

# ახალსაუნტა

ტიქსტავის და  
კონტექსტავის  
ქურნალი

№2 (56)

თებერვალი, 2018 წელი

ფასი 2 ლარი

ნომრის ავტორები

## ნუგზარ ზეზუნაშვილი & იყრთია თუიქოძე-ჩხეიძე

**პროზა**

ნუნუ ქადაგიძე

**კრიტიკა**

ლელა კოდლაშვილი  
ნოდარ ლაღარიანი

**ანდრო ბუნიძე**

სოსო გეგვილიანი, გეა ახალიანი  
და გიორგი არაგულაძე

**პოეზია**

ლია სტურუა  
შიო ლალუაშვილი  
ია ჯინჭარაძე

**მწერლის არქივიდან**

გაბრიელ ჯაგუშანიანი

**ახალი თარგმანები**

ტადე კიუზი  
ნატალია ტროსიმი

**არტი**

დავით ანდრიანი  
ტარიელ დათიაშვილი



№2 (56) თებერვალი, 2018 წელი

## ახალი საუნჯე

**ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი**

**პროექტის ავტორი:** ვაჟა წონკოლაური

**მთავარი რედაქტორი:** შოთა იათაშვილი

**რედაქტორი-სტილისტი:** ლელა კოდალაშვილი

**დიზაინი და დაკაბადონება:** ნიკა ხვედელიძე

**სარედაქციო კოლეგია:** დავით ანდრიაძე, გია ეძგვერაძე, დათო ტურაშვილი, ეკა ქევანიშვილი, ზაზა შათირიშვილი, დავით ჩიხლაძე, გია ხადური

**ნომერზე მუშაობდნენ:** ელისო მეტრეველი, ნუგზარ ზაზანაშვილი, თამარ კოტრიკაძე, ლია სტურუა, შიო ლალუაშვილი, ია ჭინჭარაძე, ნუნუ ქადაგიძე, ლელა კოდალაშვილი, ანდრო ბუაჩიძე, გიორგი არაბული, ზვიად რატიანი, მარიამ წიკლაური, დავით ანდრიაძე, ტარიელ დათიაშვილი

**გამომცემლობა «საუნჯე»**

მის.: ალ. ყაზბეგის 32/34

ტელ.: 2141214, 2395587, 2397188

Skype: saunje-saunje

ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com;

www.saungeo.ge

# 1. ნომრის ავტორები

**ნუგზარ გაბანაშვილი**

## **ელისო მეტრეველი – ნუგზარ ბაბანაშვილის პოეზიის და „სიმარტივის“ პარადოქსები**

*ძნელია პოეტთან ლაპარაკი, რაც უნდა წინასწარ და „პოეტურად“ მოემზადო — ლექსები იკითხო და ინტერვიუებსაც გადახედო, ფეისბუკს ჩაჰყვე-ამოჰყვე, პოსტები და კომენტარები ითვალო, რადგან „ფეისბუქის ფრენდების უმრავლესობა / ჩემს ნატურალურ ფეისს / ვერასოდეს იხილავს / ჩემი გასვენების დღესაც კი“. როგორ კარგადაც უნდა მოემზადო, მაინც გაიფიქრებ, იქნებ რაღაც ისე ვერ გაიგე, როგორც საჭიროა; რაღაც ისე ვერ წაიკითხე, როგორც მან დაწერა.*

*„სიცოცხლე / ცარიელ / ჩარჩოსაც / ჰგავს“, წერია ნუგზარ ბაბანაშვილის „მექანიკური როიალის“ ერთ-ერთ გვერდზე, ცარიელი ფურცლის ბედა, მარცხენა კიდეში. წავიკითხე, კიდევე ერთხელ წავიკითხე — ხან ვისი სიცოცხლე ჩავსვი და ხან როგორი, ჩარჩოშიც ჩავეტე და ფურცლის კიდეებსაც გავცდი, თუმცა ამ ოთხი სიტყვის სიბუსტე ვერც შევამცირე და ვერც გავზარდე. ამ სიბუსტის მიუხედავად, მაინც მგონია, რომ ამ ფურცელზე არის ჩემი ადგილი, ალბათ, შენიც, სხვა მკითხველისაც.*

*„თუმცა / მთავარი ისაა რომ არაფერია მთავარი / ანუ / რომ ყველაფერი მთავარია / წამოცდენილი სიტყვაც / გაქცეული მზერაც / და გაფრენილი ქალაქის ჩიტიც“. იქნებ მთავარი მკითხველის წამოცდენილი სიტყვაცაა, მკითხველის გაქცეული მზერაც; იქნებ მეც შემძლია ყველგან ვიყო, ტანბანიაშიც და სტამბოლის აეროპორტშიც, ოღონდ იქაც და იქაც ჩემი „წასაღები“ და „ნოსტალგია“ მეონდეს. გამქრალი სასვენი ნიშნები და უხილავი პუნქტუაცია*

მკითხველის „ადგილის“ და „თავისუფლების“ კიდევ ერთი ნიშანია ჩემთვის.

**„ინშალლაჰ!“ — ვფიქრობ.**

**„რა მშვენიერი ღრუბლები ადგას / ამ მახინჯ სახლებს“, გულში ვიმეორებ ნუგზარ ბაზანაშვილთან შეხვედრამდე, „აკადემქალაქის“ მრავალსართულიანების ჯუნგლებში ჩაკარგულ გზაზე, WWF-მდე.**



ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის ოფისის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და კონსერვაციის პროგრამის დირექტორი, ეკოლოგი, ესეისტი და პოეტი ნუგზარ ბაზანაშვილი ლექსების ოთხი კრებულის ავტორია, მეხუთეა „რუსოფობია — ანუ პოეტური იმპერიალიზმი ლომონოსოვიდან

ევტუშენკომდე“. 2008 წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია.

გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული და ლიტერატურული პუბლიკაცია. პირველი წიგნი 1998 წელს დაბეჭდა. პირველი პუბლიკაცია იყო ლიტერატურული წერილი ესმა ონიანზე 1980 წელს. მომდევნო წელს დაიბეჭდა ლექსებიც. მერე იყო პაუზა.

**პაუზა:** „საბჭოთა კავშირი იყო და არ მქონდა ისეთი ლექსები, იმ დროს იოლად რომ დაებეჭდათ. ჯერ ისედაც ცოტა კარგი ლექსი მქონდა. არავინ დაიჯეროს, რომ აიღებ და ეგრევე კარგად წერას დაიწყებ. მგონი, გოეთეს ჰქონდა



ეს ფორმულა: ჯერ წერ  
მარტივად და ცუდად; მერე —  
რთულად და ცუდად; შემდეგ —  
რთულად და კარგად; დაბოლოს  
— მარტივად და კარგად. ეს  
ეტაპები არსებითად ყველა  
პოეტმა უნდა გაიაროს. არ  
გამოდის ეგრე, რომ თავიდანვე  
მარტივად და შესანიშნავად  
წერდე. ახალგაზრდა ვიყავი,  
ცოტა მქონდა ლექსი, რომელიც  
შეიძლებოდა დაბეჭდილიყო და  
ამ ცოტაშიც არ იყო მათთვის  
მოსაწონი. ერთხელ

ახალგაზრდების გვერდი უნდა  
გაკეთებულყო „ლიტერატურულ საქართველოში“, წავიღე  
ჩემი ლექსები. დამირეკეს, ნუგზარ, თქვენი ჭირიმე, იქნებ  
სხვა რამეც მოიტანოთო. რა ვქნა, სად ვეძებო და თავი  
დამანებეთ-მეთქი. სანამ არ დაინგრა საბჭოთა კავშირი,  
დაბეჭდვა აღარ მიცდია. ვწერდი, მაგრამ მაგათთან  
ლაპარაკის თავი არ მქონდა. 1992 წლიდან დავიწყე ჩემი  
ლექსების გამოქვეყნება. ჯერ „მნათობი“ იყო, ბესიკ  
ხარანაულმა დიდი პუბლიკაცია გამიკეთა, მერე —  
„ცისკარი“, შემდეგ „არილიც“ გამოჩნდა. ხშირად ვბეჭდავ  
„ლიტერატურული გაზეთშიც“. ძალიან მომწონს „ახალი  
საუნჯე“, ორიგინალური კონცეფცია აქვს, ძალიან ცოტაა  
კონცეფციურად გამართული ჟურნალი“.

*წერს დაახლოებით 14-15 წლიდან. გიტარაზე უკრავდა:  
„დავამღერე, დავამღერე და ჩემი სიტყვებიც გაჩნდა“.  
დაინყო და დაინყო... ვერავინ განსაზღვრავს, ბუსტად  
რატომ მოხდა, მაგრამ წინაპირობა, რა თქმა უნდა, ოჯახი*

იყო. მშობლები — მუსიკოსი დედა, რომელმაც 50 წელზე მეტხანს იმუშავა სახელმწიფო კაპელაში, კონცერტმაისტერად, და მხატვარი-კერამიკოსი მამა. კიდევ გარემო, მამის მეგობრები — მიხეილ ქვლივიძე და სხვები, პოეტი და ფსიქიატრი სანდრო მათიაშვილი, რომელმაც მუავანაძის დროს გამოაქვეყნა „ცოტა“ ანთისაბჭოთა ტექსტები და ისე შეაშინეს, სიცოცხლეში აღარაფერი დაუბეჭდავსო. ამ გარემოში აღარავის გაჭკვირვებია, როცა წერის და სიტყვების სიყვარული გაჩნდა. მერე იყო უნივერსიტეტი და მწერალთა წრე.

**მწერალთა წრე:** „იქ იყვნენ თამაზ ვასაძე, შადიმან შამანაძე, ნოდარ გრიგალაშვილი და კიდევ ბევრი სხვა, ჩემზე უფროსებიც და უმცროსებიც. თამაზ ბაძალუა იყო თავმჯდომარე რამდენიმე წელიწადს. ძალიან ჯანსაღი, ღია და თავისუფალი იყო იქაურობა. ყველაფერს ლაპარაკობდნენ, პოლიტიკურსაც და არაპოლიტიკურსაც, და ეს ძნელი აღარ იყო. უბრალო სიტყვაზე და ლაპარაკზე აღარ იჭერდნენ. გეოგრაფიულზე ვსწავლობდი უნივერსიტეტში, პარალელურად ორწლიანი ხელოვნებათმცოდნეობის კურსი გავიარე, მეორად ფაკულტეტს რომ ეძახდნენ. სამ-ოთხ წელიწადს აქტიურად დავდიოდი ამ შეხვედრებზე. პარასკეობით ვიკრიბებოდით და იყო ერთი ამბავი, ზოგჯერ უნივერსიტეტის ბაღში მუშტი-კრივითაც მთავრდებოდა ყველაფერი. ორჯერ მქონდა გატანილი ლექსები, პირველად ძალიან სუსტი იყო. ახლაც მახსოვს, რა საშინელი ქარ-ცეცხლი გავიარე, დაუნდობელი კრიტიკა იყო. სიტყვას არ შეგარჩენდნენ. თუ მთლად ნარცისი არ იყავი და ამპარტავანი, ამ კრიტიკას ძალიან კარგად ითავისებდი და ითვალისწინებდი. იოლად ელეოდი იმას, რაც უვარგისი იყო. ყოველ სიტყვას განიხილავდნენ, თავიდან ბოლომდე, სტრიქონ-სტრიქონ,



ყოველ ფრაზას. ვფიქრობ, ეს იმ დროს საუკეთესო სკოლა იყო.“

*არ ფიქრობს, რომ სადმე სპეციალურად უნდა ისხდნენ და მწერლობას ასწავლიდნენ, თუმცა ძალიან ფართო და ზოგადი განათლება უმნიშვნელოვანესად მიაჩნია, კიდევ — ლიტერატურულ პროცესში მონაწილეობა და კითხვა, ბევრის ნაკითხვა. მაშინ ვკითხულობდით ყველაფერსო — ცუდს, კარგს, ქართულს, რუსულს, ვინც რა ენა იცოდა და რაზეც ხელი მიუწვდებოდა, ხელნაწერები ვრცელდებოდა და ისე ვკითხულობდითო. მგონი, ახლა ერთმანეთის ლექსებსაც აღარ კითხულობენ; იძახიან, პოეზია არ იყიდებაო, მართო პოეტებმა რომ იყიდონ ერთმანეთის წიგნები, მთელი ტირაჟებიც გაიყიდებოდაო. ამბობს, რომ პოეზია ძალიან ზუსტია, ლექსში მათემატიკური სიზუსტეა საჭიროო.*

**ლექსი:** „ახლა უმრავლესობა წერას იწყებს თავისუფალი ლექსით. არადა, კარგია რითმიანით დაწყება. აი, კონვენციურ ლექსს რასაც ეძახიან. უფრო რთულია. ნაკლი აქვს, რომ ეს რითმი, რიტმი, მეტრი, ეს კლასიკური რაღაცები გზღუდავს. თუმცა ეს სკოლაა, განცდა სხვანაირად მოდის და ხვენს პროფესიონალიზმს. ეს გასწავლის სიზუსტეს. ზოგჯერ გინდა გაძვრე, ვერ ეტევი ამ კლასიკურ ჩარჩოში, მაგრამ დასაწყისისთვის კარგია ეს „კანონიკური“ რაღაცები. მერე შეიძლება „კანონების“ დარღვევაც. პოეზიაში მეტი არაფერია კანონიკური და ხელშეუხებელი. სტიქიურად, იმპულსურად მოდის ფორმაც, მაგრამ არა ყოველთვის. ზოგჯერ თავიდან მოდის ოცდახუთი სტრიქონი და ბოლოს რჩება ხუთი. ამასწინათ ფეისბუქზე შალვა ბაკურაძემ თქვა, ერთ ლექსს სამი წელი ვწერდი, ახლა დავამთავრე, დავსვი წერტილი და ორი სტროფი გამოვიდაო. ჩემს თავზე მაქვს გამოცდილი. ერთი

ლექსი ხუთ წელიწადს ვერ დავამთავრე. თითქმის თავიდან გადავწერე გამოქვეყნებამდე. რა ძალა მადგა, ავდგებოდი და სულაც გადავაგდედი, პარალელურად სხვა ლექსებიც ხომ იქმნებოდა. შიგნიდან მოდის ამის მოთხოვნილება. არავინ გადალებს, რაღაც ერთი სიტყვა ეძებო დაუსრულებლად. ეს შინაგანი მოთხოვნილებაა, იდუმალი პროცესის ნაწილი, ნამდვილი პოეტური პროცესის“.

*ერთი იდუმალეობაა პოეტის სწრაფვა სრულყოფილებისკენ, და მეორე კი ის, რაც ემოციას და სიტყვას ნამდვილ პოეზიად აქცევს, რაც ლექსს წარმოშობს. „ნამდვილი პოეზია / „საღვთის“ ფურცლებზე / და „პაპიროსის“ კოლოფებზე / იწერება“. ძლიერი შთაბეჭდილება, იმპულსი, ის ჩვენი ძველისძველი ნაცნობი მუზა ნებისმიერ ადგილსა და სიტუაციაში შეიძლება გაჩნდეს. ლექსი შეიძლება წარმოშვას საცობში გაჭედვამ, უძილობამ, ღრჭიალა ლიფტმა, KENT-ის რეკლამამ, დაკარგულმა გასაღებმა, ბოსფორის თოლიამ და ათასმა რამ, ოღონდ არა „შეკვეთამ“, ოღონდ არა „დაკვეთამ“! ეს კლავს ყველა იდუმალეობას, პოეზიას, სიტყვას, მაშინაც კი, თუ პოეტის პროფესიონალიზმი საკმარისია იმისათვის, რომ „დაკვეთა“ ლექსის ფორმაში „გამოაწყოს“.*

**დაკვეთა:** „არ მჯერა ასეთი პოეზიის. ასე კარგი ლექსი არ იწერება, პროპაგანდაა, პლაკატი, დროზე მორგებული. შუა საუკუნეებშიც ხომ უძღვნიდნენ მეფეებს „ქებათა ქებას“. საბჭოთა კავშირშიც იყო: კარგ ფულს უხდიდნენ მწერლებს, აგარაკს აძლევდნენ, მერე მანქანას, ბინას და ეს იყო და არის, ალბათ, ყველა ავტორიტარულ ქვეყანაში. ამას წინათ ფეისბუქში სოციალურ პოეზიაზე გაიმართა კამათი. აი, აქ ისევ „შეკვეთილ“ ამბავთან მივდივართ. წინათ თუ კომუნისტები უკვეთდნენ, ახლა შეიძლება თვითონ შეუკვეთოს თავის თავს. იცის, რომ პოპულარული თემაა,



თან  
სწორ  
ი  
თემა  
ა,  
მაგა  
ლით  
ად,  
გენდ  
ერუ  
ლი  
თანა  
სწორ  
ობა,

უფლებრივი მომენტები. არ მგონია ეს მაღალი პოეზია, მით უმეტეს, დღეს, როცა დრომ მოიტანა გამოხატვის ბევრი ახალი საშუალება. მაგალითად, ბლოგით ათასჯერ უფრო პირდაპირ და სწორად იტყვი ამ სათქმელს, ვიდრე ლექსით. თუ ეს სიყვარულმა, განცდამ მოიტანა, სტიქიურად გაჩნდა, იმპულსებს გრძნობ, მაშინ გამართლებულია. თუმცა სულ ამას რომ აკეთებ, სულ ასეთ „მომგებიან“ თემაზე რომ წერ, ეტყობა ეს ლექსს, იგრძნობა. კი, შეიძლება ლექსის ფორმა მისცე, მაგრამ ამით არ იქცევა ეს პოეზიად, მაღალ პოეზიად. უმბერტო ეკოს აქვს ძალიან საინტერესოდ დაწერილი, ნებისმიერი ხელოვნების ნაწარმოები არის ის, სადაც ყველაფერი ბოლომდე არ არის ნათქვამიო. თუ იტყვი, რომ ცუდია უთანასწორობა, ძაღლების ხოცვა, რა მერე? დამთავრებულია მანდ ყველაფერი, ჩაკეტილია სივრცე და ამას აღარ აქვს ასეთი ფასეულობა. მკითხველს უნდა მისცე საშუალება თავისი შემოქმედებითი წარმოსახვა ჩართოს და „დაასრულოს“ ლექსი ისე, როგორც მას სურს. ეს

პოეზიის კიდევ ერთი იდუმალი მხარეა. სხვათა შორის, ეს თავისით მოდის ხოლმე და უფრო ნიჭთანაც არის დაკავშირებული. ერთი შინაარსი არ უნდა გამოდიოდეს ლექსიდან; რაც უფრო მეტი, მით უკეთესი. მკითხველი თანაავტორია, თანაშემოქმედია. შენი ინტერპრეტაციები სხვაა, შენი ჩაფიქრებული მიზანი სხვა შეიძლება იყოს, მკითხველმა კი სხვა მიიღოს და ამისთვის მას უნდა დაუტოვო სივრცე. საბოლოო პუნქტუაციურ წერტილს არ უნდა მოჰყვებოდეს წერტილი პოეზიაში“.

*ბევრს არ წერს. შეიძლება ისე გავიდეს დღეები, არ გაჩნდეს იმპულსი, რომ ლექსად გარდაიქმნას, ზოგჯერ კი შეიძლება ერთმანეთს მიეწყოს და ყოველდღე წერდეს, ზოგჯერ „ცარიელი სიტყვებით სავსეა / ყოველი დღე“, არის ულექსო თვეებიცო. ამიტომაც მიაჩნია, რომ არ შეიძლება პოეტობის პროფესიად ქცევა. პრობა ამ მხრივ სრულიად განსხვავებულია. ბევრი კითხულობს, უფრო გასაგები ენაცაა. იქნებ ერთ დღესაც გაქრეს ყველა იმპულსი და მოთხოვნილება, მერე? რამდენი პოეტია, ვინც გაჩერდა და აღარაფერი დაუნერია, აღარაფერი გამოუქვეყნებია.*

**პროფესია:** „პოეტობა კლასიკური გაგებით პროფესია არ არის, თუმცა დიდი პროფესიონალიზმი სჭირდება და ეს არის პოეზიის პარადოქსიც. პოეზია რა არის?

„არანორმალური“ ენა, “ემოციური ამბების” გადმოცემის გართულებული ფორმაა. ეს ენა, ეს მოთხოვნილება ჩნდება ადამიანში და აღარ ანებებს თავს. ლევან ბრეგაძეს ჰქონდა თავის ჟურნალში რუბრიკა „რატომ წერ“, მერე დაიხურა ეს ჟურნალი, თორემ მინდოდა მიმეწერა, „რატომ წერ“ საინტერესოა, მაგრამ კიდევ უფრო მეტად საინტერესოა, “რატომ აქვეყნებ”. რატომ წერ, მეტ-ნაკლებად გასაგებია, ჩაჯდა შენში ეს რაღაც და აღარ შეგიძლია, რომ არ წერო. რატომ აქვეყნებ? ზუსტადაც რომ

აქვეყნებ და ეს უმნიშვნელოვანესი შეკითხვაა.  
პრემიისთვის? თავის გამოჩენისთვის? ნარცისული  
კომპლექსების დასაკმაყოფილებლად?  
“ავტოფსიქოთერაპიისთვის?” რისთვის? რისთვის გინდა?  
ამით რა გავლენა გინდა მოახდინო? ფინანსური  
შემოსავალი თავიდანვე უნდა გამოირიცხოს. მე არ მგონია,  
რომ რომელიმე პროექტი დღეს ამით ცხოვრობდეს.  
აუცილებელია ჯანსაღი ლიტერატურული პროცესი,  
აუცილებელია კრიტიკა. მრავალფეროვანი უნდა იყოს  
მწერალი. სხვადასხვანაირი ეტაპი უნდა გაიაროს, თუნდაც  
იყოს ეპატაჟური, მერე სხვა ეტაპი უნდა მოვიდეს, მერე  
კიდევ სხვა. მუდმივად საკუთარი თავის გამეორება  
მოსაწყენია მკითხველისთვის. მოსაწყენია ზედმეტი  
კონცენტრირება საკუთარ შინაგან სამყაროზე, სულ შიგნით  
ჩაბრუნებული მზერა. ყველას თავისი შინაგანი სამყარო  
აქვს, არცერთი ადამიანი მეორე ადამიანზე უკეთესი არ  
არის, ყველა განსხვავებულია, ინდივიდუალურია და მას  
მუდმივად სხვისი შინაგანი სამყარო არ აინტერესებს“.

*მისთვის მიუღებელია მწერლის საქმეში სახელმწიფოს  
ჩარევა, მითითება, ისე, როგორც ადრე იყო, თუმცა  
ხელშეწყობა ნამდვილად შეუძლია. მაგალითად,  
ლიტერატურული გამოცემების და გადაცემების  
დაფინანსებით. ამბობს, რომ ყველაზე მეტად ბოლო  
ათწლეულებში განათლების სფერო დაზარალდა და არა  
ეკონომიკა. ეს მრავალსართულიანი სახლები, ეს  
ავტომობილებით გადაჭედილი ქუჩები ეკონომიკის  
განვითარების ნიშანია და ვერც ვერაფერი შეაფერხებს, თუ  
მშვიდობა იქნება, თუ კიდევ რომელიმე საომარ  
კონფლიქტში არ აღმოვჩნდებით შეთრეული. და კიდევ,  
უნდა გავიაზროთ, რა სასწაულიც მოხდა —  
ოცდაშვიდწლიანი დამოუკიდებლობის სასწაული. და*



კიდევ, სახელმწიფო უნდა  
გაუფრთხილდეს იმ  
„სიცოცხლის ფასეულობებს“,  
რომელთაც დღეს ყველაზე  
დიდი საფრთხე ემუქრება.

**ფასეულობები:** „27 წელიწადი  
ბოლოს როდის ვიყავით  
დამოუკიდებლები? ეს არ  
გვაქვს გააზრებული, ამ  
სასწაულის აღქმა და შეგრძნება  
გვჭირდება. 30 წლის წინ რა  
იყო? მთელი თაობების  
ცხოვრება გავიდა  
საშინელებებში. ციმბირი,

დახვრეტა. პაპაჩემი დახვრიტეს 1937 წელს, დედაჩემის  
მამა. კომუნისტები, რუსეთის იმპერია, იმის იქით აღარც  
მივდივარ. მართალია, დავკარგეთ ეს ტერიტორიები,  
ვფიქრობ, ესეც დროებითია. დრო უნდა გავიდეს, ჩვენც  
ვისწავლოთ, ჩვენი შეცდომებიც გადავაფასოთ. სადაც ეს  
ამხელა საბჭოთა კავშირი ჩამოიშალა, იქნებ რა ხდება...  
მანამდე კი უნდა მივხედოთ ბუნებას, კულტურას და  
განათლებას, მეტი რესურსი ჩვენ არ გვაქვს. ბუნებრივ,  
კულტურულ, ადამიანურ ფასეულობებს უნდა  
გავუფრთხილდეთ. გლეხი ზედმეტ ხეს არ მოჭრიდა, შვილი  
ჰყავდა, შვილიშვილი, მისთვის უნდა დაეტოვებინა, ეს იყო  
ჩვენი ტრადიცია და ეს უნდა შევინარჩუნოთ. რა არის  
„მდგრადი განვითარება“? ერთ ადგილას რომ ააშენებ  
ჰიდროელექტროსადგურს, ამის პარალელურად უნდა  
გააკეთო დაცული ტერიტორია, ნაკრძალი, ეროვნული  
პარკი. ზურაბ კაკაბაძეს აქვს ერთგან, ამ ბუნებაში  
ჩამოყალიბდა ჩვენი ეთნოფსიქოლოგიაო. ეს ჯერ ჩვენ

გვჭირდება და მერე ტურისტებს, რომ მოვიდნენ და ნახონ, იყოს შემოსავალიც და განვითარებაც. ამ სწრაფ მდინარესთან, ჩანჩქერთან, მორბენალ წყაროსთან — ამ გარემოში ჩამოყალიბდა ქართველი ერის ფსიქიკა, ეთიკა. რომ დატბორავ, დაანგრევ, მოჭრი, ესეც გაქრება. ეს არის სიცოცხლის ფასეულობა. შეიძლება ვერ გააჩერო ჰესების მშენებლობა, ამ ეტაპზე მაინც, მაგრამ პარალელურად უნდა მოიმატოს დაცული ტერიტორიების რაოდენობამაც. არ მიმაჩნია, რომ ჰიდროელექტროსადგური ყოველთვის ბოროტებაა ან მცირე ჰესი სჯობს დიდს. ზოგჯერ დიდი ჰესი ნაკლები საფრთხის მომტანია, ვიდრე მცირე ხეობებში შესვლა, მდინარეების მილებში ჩაკეტვა და მთელი ბიომრავალფეროვნების განადგურება. და თან ეს მცირე ჰესები ძირითადად თითო-ოროლა ოჯახის გამდიდრებას ემსახურება და არა ქვეყნის ეკონომიკას და ინტერესებს“.

*არასოდეს ყოფილა საჯარო მოხელე, თუმცა სამეცნიერო და საგანმანათლებლო ორგანიზაციებში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს და დღემდე კითხულობს ლექციებს. რამდენჯერმე „გადაურჩა“ მწერალთა კავშირში და კომუნისტურ პარტიაში შესვლას. მიშა ქვლივიძეს უნდოდა მწერალთა კავშირში რომ შევსულიყავი, მაგრამ რიგი იყო და გადავრჩიო. ასცდა კომუნისტურ პარტიასაც. იმ დროს ბოტანიკის ინსტიტუტში მუშაობდა და ინსტიტუტის თანამშრომლებს ზოგჯერ უცხოეთშიც გზავნიდნენ, მაგრამ უპარტიოს არ უშვებდნენ. ერთხელაც წავიდა რაიკომში გასაუბრებაზე. წვერი ჰქონია მაშინაც. „ვიღაც საშინელი კაცი დამხვდა, მიყურებს. წვერი და პარტია არ შეიძლებაო, ამბობს. თავზე მარქსის სურათი უკიდია. ვეუბნები, იმას არა აქვს წვერი? ნადი, ნაეთრიე აქედან!!! გამომაგდო“. ორი წლის შემდეგ ისევ გაუშვეს, ისევ წვერმა შეუშალა ხელი. მესამედ „გაუმართლა“ და კანდიდატის ბილეთი მისცეს,*

*ერთი წელი იყო გამოსაცდელი დრო, ერთ წელიწადში „9 აპრილი“ მოხდა და ბილეთიც გადააგდო.*

**მასწავლებლები:** უნივერსიტეტში მიკითხავდა გია ნახუცრიშვილი, ცნობილი მცენარეთა ეკოლოგი, აკადემიკოსი, ახლა 85 წლის არის. ჩემი მასწავლებელია, კულტურის მასწავლებელიც. ბოტანიკის ინსტიტუტში მან მიმიყვანა პირველად ნიკო კეცხოველთან. ნიკო სხვანაირი კაცი იყო, დიდი ადამიანი რასაც ჰქვია, წვრილმანებისაგან დაცლილი და თავისუფალი. შესანიშნავი მოქართულე. სახელმძღვანელო აქვს დაწერილი 1959 წელს — „საქართველოს მცენარეული საფარი“. მის შემდეგ ხელი ვერავინ მოჰკიდა, ისეთი ენით და ისეა დაწერილი. შემეყვანა გია ნახუცრიშვილმა და თან ეუბნება, ლექსებსაც წერსო. მიყურებს, მიყურებს და მეუბნება, მეც ჩემს დროს თავი პოეტი მეგონა. ვაჟა-ფშაველასთან რომ მიმიყვანეს, ვაჟა-ფშაველამ მითხრა, შვილო, პურის ფულს რად გვართმევო, და იმის შემდეგ გადმოვედი პროზაზე... ასე მიმიღო სამსახურში ნიკო კეცხოველმა. ერთი ხელი ჰქონდა დაკარგული კოჭრის ბრძოლებში. მაგას ბოლომდე არასოდეს ენდობოდნენ, სახელმწიფო მას არ ენდობოდა, მიუხედავად იმისა, რომ აკადემიკოსი იყო, ორდენები და რაღაცები ჰქონდა. ინსტიტუტში მიაშვებეს, რომ დასახვრეტთა სიაშიც ყოფილა; რევოლუციონერი ლადო კეცხოველი ბიძამისი იყო. სტალინმა თქვა, რომ ლადოს ძმისშვილი მე თოფს არ მესვრის და ეგრე გადარჩაო. ასეთ ხალხში ვიყავი, ასეთ ხალხში ვტრიალებდი, ასეთ ხალხში ვსწავლობდი. ცხოვრებაში წვრილმანების დონეს უნდა ასცდე და იუმორით უყურო ყველაფერს, გახსნილად და წინ“.

*ფიქრობს, რომ მწერალმა „გიჟური“ რამეები უნდა აკეთო, „საკაიფო“, მრავალფეროვანი უნდა იყო, ცვალო სტილიც*



და ფორმაც. უნდა მოიზიდო მკითხველი. და კიდევ, გუშინდელ ხალხზე არ უნდა იყო ორიენტირებული, რადგან ქვეყანას წინ ახალი თაობა წასწევს. ამბობს, ამ ქვეყნის პოტენციური ახალგაზრდებშია, იმ ხალხში, ვინც 1995 წელს აქეთ და იმის შემდეგ დაიბადა, მანამდე ვინც არის, ყველა „მონამღულია“, ჩემი ჩათვლითო. და კიდევ, ახალგაზრდებმა ბევრი დრო არ უნდა დაკარგონ არასწორ რაღაცებზე. კარგია ეპატაჟიც, ყვირილიც, უცენზურობაც, ყველაფერს თავისი სახელი აქვს. ცუდი სიტყვები მართლა არ არსებობენ, მაგრამ თავის დროზე, ადგილას და ზომიერადო.



**ახალგაზრდები:** „გაუმარჯოს საქართველოს“ — ასეთ ლექსებს აღარ აქვს ის ფუნქცია, რაც ადრე ჰქონდა. მაშინ იყო შინაგანად ამის მოთხოვნილება, გულს ხვდებოდა. დღეს არ არის საჭირო ამაზე კონცენტრირება. სიტყვაშია ყველაფერი,

სიტყვაში აუცილებლად შემოვა ისტორიაც, კულტურაც, ემოციაც. „...მცირე მცირე ჩამოდიოდა და ძირთავე მისთა ზედა დაემყარა და შეეძერწა ყოვლითურთ შეუხებლად ხელთაგან კაცთასა...“ საუკუნეების წინათ ეს რომ გაქვს დაწერილი, უკვალოდ არ ქრება, ოღონდ ახალგაზრდებმა ქართული ენა უნდა ისწავლონ, ბევრი უნდა იკითხოონ, ბევრი, ჰაგიოგრაფიით დაიწყონ და დღემდე მოვიდნენ. კამიუმ ნობელის პრემიის აღების დროს თქვა, ყველაზე ნაკლებად წერის დროს იფიქრეთ რეალობაზე, რეალობის ასახვაზე, ის თავისით შემოვა ნაწერშიო. თუ ქართველი პოეტი ხარ და ქართულ სინამდვილეს განიცდი, ის მაინც

შემოიპარება ტექსტში, ერთი ფრაზით, ირონიით, ემოციით. დღეს, შეიძლება ითქვას, რომ მთავარია, გულწრფელი ღირებულებები. არ უნდა ეს ცალკე პატრიოტულ-განმათავისუფლებელი დისკურსი პოეზიაში. ინტელექტუალური ახალი თაობა მოდის და მჭიდის ცემით მათ ვეღარ ააღელვებ. ბევრს კითხულობენ და ამ ქვეყნის მამოძრავებლები არიან, შეიძლება უმცირესობა, მაგრამ მაინც მთავარი მამოძრავებელი — გახსნილი მთელი დედამიწისთვის და ქვეყნიერებისთვის!

შეიძლება იყოს შეცდომებიც, მაგრამ უშეცდომო ვინ არის დედამიწის ზურგზე? 61 წლის ვხდები მარტში. სამოცს გადავაბიჯე უკვე, შეცდომების მეტი რა დამიშვია. ერთ ლექსშიც მაქვს, მარტივი ადამიანი ვარ-მეთქი, ძალიან სერიოზულად შენი თავი არ უნდა აღიქვა. მე მგონია, რომ სიბრყვის ნიშანია, როცა ძალიან სერიოზულად უყურებ საკუთარ პერსონას. რა ხარ? ჯერ დედამიწას გახედე, მერე ვარსკვლავებს, მერე შენს თავზე დაიხედე და თქვი, აბა, რა ხარ. იმაშიც კი არ ვარ დარწმუნებული, რომ მე რაც დავწერე, ის ოდესმე ამ დედამიწაზე ზუსტად ისე არავის უთქვამს და არ დაუწერია. ეს დრო მომწონს, ახლა მეტი შემოქმედებითი უნარების გამოხატვის საშუალებაა. ცოტა უფრო მეტი სიმშვიდე რომ იყოს, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ასე უფრო მსხვილ, საკაცობრიო სურვილებთან და ამბებთან მივალთ“.

*„მსხვილ“ ამბებს მაინც ვერ ავცდით. ნუგზარ ბაზანაშვილი, მეცნიერი, ეკოლოგი და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ბუნების დამცველი ორგანიზაციის წარმომადგენელი, ამბობს, რომ დღეს სამყაროსა და დედამიწის ყველაზე დიდი გამოწვევებია მოსახლეობის მოსალოდნელი სიჭარბე, ღარიბი ქვეყნებისთვის მდგრადი განვითარების პროგრამების არარასებობა, ასევე*

მოსალოდენელი უმართავი მიგრაცია და განათლების ხელმიუწვდომლობა. აქაურ ამბებზეც ვილაპარაკეთ: ონში ახალი დაცული ტერიტორია კეთდება, ვაშლოვნის ნაკრძალში ჯეირნები მრავლდებიან. აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ უსაფრთხო ქვეყნის სტატუსი, რომ ტურისტები მოდიოდნენ, რომ ჩვენც წინ წავიდეთ. ცოტა ტრადიციებზეც ვთქვით, მაგალითად, არ არის საჭირო ოჯახში აზიურ-პატრიარქალური წესების შენარჩუნება; აი, ნათესაურ-ოჯახური ურთიერთობები კი აუცილებელია, რადგან მარტოობა და გაუცხოება ისედაც მოდის და ეს ურთიერთობები ცხოვრებას აადვილებს; კიდევ, თუ შესაძლებელია, არ უნდა მიიყვანო მშობლები მოხუცთა თავშესაფარში, სადაც მათ დარდი დახოცავს. ბოლოს, „ქალი პოეტები“ ვახსენეთ და გამოსაცემი წიგნები.

**წიგნები:** სულ ვყიდულობ ახალ პოეტურ კრებულებს და ვკითხულობ. სქესი არაფერ შუაშია პოეტობასთან, რამდენი დიდი ქალი პოეტი შემიძლია გავიხსენო, რომელი კაცი შეედრება მათ, აბა, შეცვალონ, აბა, ჩაანაცვლონ, თუ შეუძლიათ. ამდენი კარგი ქალი პოეტი არასოდეს ჰყოლია საქართველოს, შეიძლება ეს ამ თავისუფლების დამსახურებაცაა, შეიძლება, აი, ამ გენდერული ამბებისაც, არ ვიცი, მიზეზს არ ვეძებ, ფაქტია, ამდენი კარგი ქალი პოეტი საქართველოში ჯერ არ ყოფილა. ერთი შვიდ სახელს ახლავე დავასახელებდი, მაგრამ მერვე აუცილებლად დამავიწყდება და ეწყინება...

რაც შეეხება წიგნებს, მინდა დავბეჭდო ლიტერატურული წერილები, მაგრამ ჯერ გამომცემელი ვერ ვნახე. ვაგროვებ ტექსტებს, არ მიყვარს განზოგადებულ თემებზე წერა, ყოველთვის ვცდილობ კონკრეტული ვიყო. დანერილი მაქვს ღია სტურუაზე, მიშა ქვლივიძეზე, თამაზ ბაძალუაზე, ვახტანგ ჯავახიძეზე, ალიო მირცხულავაზე. სხვათა შორის,

აღიო მირცხულავას აგინებენ, ლანძღავენ, ჰგონიათ, უნიჭო იყო. ასე არ არის, არასწორი გზით წავიდა, კომუნისტებთან ურთიერთობით შეიზღუდა თავი და მერე აღარაფერი გამოუვიდა. კიდევ ერთი წიგნი უნდა გამოვცე. ლექსების კრებული. დავაკვირდი და მეკარგება ლექსები. გაფანტულია და თუნდაც იმიტომ უნდა გამოვცე, რომ ერთად მოვუყარო თავი. იქ დაიბეჭდა, აქ დაიბეჭდა — რა გავგზავნე, რა გავიდა, რა დარჩა, აღარ მახსოვს“.

*„მე მარტივი ვარ / ცოტა დათბა / აყვავდა ატმის ხე / და მიხარია...“*

*მე მარტივი ვარ / ჩემმა შვილმა რომელიღაც / კონკურსში გაიმარჯვა / და მიხარია...“*

*მე მარტივი ვარ / წავიკითხე ვიღაცის მშვენიერი ლექსი / და მიხარია...“*

*მე ვარ მარტივი / და კიდევ უფრო მარტივი / გავხდები მალე...“*

„ვიცი, როგორი წიგნიც მინდა დავწერო, მაგრამ ეს წიგნი ჰორიზონტით არის, უახლოვდები და ის იქით მიდის. ეს არის ცხოვრება, ცხოვრების არსი და ეს არ არის ტრაგიკული. შეიძლება ცოტა ცინიკურია, ცოტა გეხუმრება ცხოვრება ამით, მაგრამ შენც იუმორით უნდა უპასუხო. კი არ უნდა გენყინოს და თავში ქვა იხალო, პირიქით...“

## გენდერული უთანასწორობა

მე იმ დროის შვილი ვარ,  
როცა ქალები კუნთებით არ ამაყობდნენ,  
არ ჭიდაობდნენ, არ “შტანგისტობდნენ”  
და არც ცხვირ-პირს უნაყავდნენ ერთმანეთს  
“ბოქსინგით”.

მე იმ დროის შვილი ვარ,  
როცა კაცები ქალებს კარების გაღებას  
არ აცლიდნენ — თვითონ აღებდნენ  
და ქალებს წინ ატარებდნენ,  
ტრანსპორტში ადგილს უთმობდნენ,  
ეფლირტავებოდნენ და ეარშიყებოდნენ  
და ამის გამო ქალები არ ჩიოდნენ.

მე იმ ქალის შვილი ვარ,  
მუსიკოსის, დამსახურებული არტისტის,  
ნახევარი საუკუნის მანძილზე  
სახელმწიფო კაპელის კონცერტმეისტერის,  
ვინც ყოველდღე დილაადრიან იღვიძებდა,  
გამზადებულ საუბმეს და განმენდილ  
ფეხსაცმელს მახვედრებდა  
და თან სამსახურშიც არასდროს აგვიანებდა —  
90-იანებშიც კი, როცა ხანშიშესულს  
7-8 კილომეტრის ფეხით გავლა უწევდა:  
გუნდს რომ ემღერა...

მე იმ დროის და იმ ქალის შვილი ვარ...

**\* \* \* (როგორ მინდა — დავივიწყო...)**

როგორ მინდა — დავივიწყო!..

მახსენდება მაინც —

იყო, მაგრამ არა იყო,

მაგრამ იყო მაინც...

როგორ ვცდილობ — დავივიწყო! —

სუფთა დაფას რა სჯობს?!..

სიზმრად მოდის... აბა, სიზმრებს

რას მოარგებ ჩარჩოს!..

და ვგრძნობ —

ფუჭად ვწვალობ, ვიდრე

ვამჩნევ წერტილს ათვლის...

ერთი იმედილა მრჩება —

ალცჰეიმერის მადლის!

## Loser - ქართულად

“ლუბერს” (ასევე, თვითნასწავლს)  
ყოველთვის მეტი ცოდნა აქვს, ვიდრე —  
წარმატებულ ადამიანს, რადგან ეს  
უკანასკნელი კმაყოფილდება ერთ რაიმეში  
წარმატების მიღწევით, სხვაზე დროს არ  
ხარჯავს; ენციკლოპედიურობა კი  
ლუბერობის ნიშანია. რაც უფრო მეტი  
შეუვიდა ვინმეს თავში, მით უფრო ნაკლები  
გამოუვიდა მას რეალურ ცხოვრებაში.

### უმბერტო ეკო

Loser, Loser, Loser — “ეპითეტი”, ლამის  
ყოველ ფილმში რომ გაისმის...  
ფილმების რუსულად თარგმნისას —  
неудачник...

აბა ერთი, ჩვენს ლექსიკონებში  
ჩავიხედოთ...

loser [ˈluːzə] ნ.დამკარგავი, წამგები. —  
ზუსტია, მაგრამ ეპითეტის ნიუანსებს  
ბოლომდე ვერ გადმოსცემს...

неудачник, а, и м. უბედო, უიღბლო,  
ბედუკულმართი, მარცხიანი (ქალი). —  
ესეც ზუსტია, მაგრამ “რეგისტრები”  
მაინც ცოტათი აცდენილია: უფრო  
მაღალია (“ბედი”) ან დაბალი  
(“მარცხიანი”)...

რა ვუყოთ? — ეტყობა, უფრო ზუსტად —  
ქართულ ენას არ ეხერხება...  
ეტყობა — ეუცხოება...



**\* \* \* (დასანანია...)**

დასანანია —  
ვერასოდეს დავინახავ ცას  
ფრინველის თვალით,  
ვერასოდეს შევიტყობ —  
რას გრძნობს, აი, ის პატარა,  
მოუსვენარი ჩიტი,  
აღვის ტოტზე რომ შემოსკუპულა  
და ცისკენ იხედება წამდაუნუმ...

**\* \* \* (ეს ასაკში შესული, საშუალო ტანის...)**

*ბათუმის პორტის ღია კაფეში*

ეს ასაკში შესული, საშუალო ტანის,  
გამხდარი მამაკაცი აქ კარგა ხანია,  
მუშაობს ოფიციალურად: მე ის 20-25  
წელია, მახსოვს — მუდამ თეთრ პერანგსა  
და შავ შარვალში გამოწყობილი,  
მხრებგამართული...

ეტყობა, მფარველიც ჰყავს, თორემ ვინღა  
გააჩერებდა მაგიდებიდან “ბუფეტამდე”  
დინჯად მოსიარულე თეთრ ყვავს —  
ღია-ფირუზისფერ-უნიფორმიან  
ახალგაზრდებს შორის, რიტმული  
ჰანგების გაგონებაზე სულ ცეკვა-ცეკვით  
რომ დაატარებენ “ზაკაზებს”?!..

ჩანს — თვითონაც არ მობეზრებია,  
ან რად უნდა მობეზრებოდა? —  
ემსახურება ადამიანებს  
და ყოველ საღამოს შესცქერის  
მზის ჩასვლას ზღვაში...

**\* \* \* (აგვისტოა. საღამოვდება....)**

*ემერსონიდან*

აგვისტოა. საღამოვდება.  
გონიოს ავტოსადგომზე მანქანა გავაჩერეთ.  
მიახლოვდება ერთ-ერთი — შუახნის,  
წვერმოშვებული — “სტაიანშიკი”:  
— ამ საღამოს ცოტა დიდი ზღვაა...

ანუ, ვითომ, ცურვა გაგიჭირდებაო...  
სინამდვილეში — ფული მე გადამიხადეო.

გადაგიხდი, აბა, რას ვიზამ, ძმაო?!  
ისე კი, ზღვა ყოველთვის დიდია,  
ცა კიდევ უფრო დიდია ყოველთვის...  
უბრალოდ, ჩვენ — მოფუსფუსე პატარები —  
რაღაც-რაღაცას ვერ ვამჩნევთ ხოლმე...

## იმედი

სასტუმროს ნომერში ჩავრთე ტელევიზორი,  
ვათვალიერებ არხებს... ბიჯოს! —  
ეს რამდენი არხი გამოუგონიათ  
თევზაობის მოყვარულთათვის!..

რა ცოტა გასართობი გვაქვს ამქვეყნად! —  
თევზაობა, ხელოვნება, მეცნიერება,  
ომი, მარკების შეგროვება, სექსი, ალკოჰოლი,  
ნარკოტიკი, დომინო და კიდევ ოციოდე ასეთი...

იმედია, იმქვეყნად უფრო სახალისოა  
(არ)არსებობა: წესით — სხეულის გარეშე,  
ამჩატებული სული მეტად უნდა  
კრეატიულდებოდეს...

**\* \* \* (ამ ზღვიდან მოდის...)**

*ბაქოს ბულვარზე*

ამ ზღვიდან მოდის

ამ ნიავიდან

ამ ბულვარიდან

ამ მტრედებიდან

და კიდევ ამ ეპიზოდებიდან

მოსეირნობენ პატარა, დეკორატიული,  
ხუჭუჭა, კარგად მოვლილი,  
მეტისმეტად სიმპათიური ძაღლი  
და ძაღლის პატრონი — სპორტულ ფორმაში  
გამოწყობილი, შუახნის, მსუქანი,  
მელოტი კაცი.

საპირისპირო მიმართულებით  
მისეირნობს ახალგაზრდა წყვილი,  
რომელიც, ჩემი არ იყოს, მოხიბლა  
მეტისმეტად სიმპათიურმა ძაღლმა.

წყვილი აჩერებს კაცს და ძაღლთან  
ფოტოს გადაღების უფლებას სთხოვს.

კაცი ხელში იყვანს ძაღლს და გოგოს  
გადასცემს. გოგო ძაღლს გულში  
იხუტებს და ასე პოზირებს ზღვის ფონზე.  
ბიჭი ძაღლიან გოგოს რამდენიმე  
ფოტოს უღებს. გოგო და ბიჭი მადლობას  
უხდებიან ძაღლის პატრონს, უბრუნებენ  
ძაღლს და ღიმილიანი სახეებით  
აგრძელებენ გზას.

სპორტულ ფორმაში გამოწყობილი,  
შუახნის, მსუქანი, მელოტი კაცი  
ქოჩორზე კოცნის პატარა, დეკორატიულ,  
მეტისმეტად სიმპათიურ ძაღლს,  
ისევ ქვაფენილზე უშვებს  
და ისინიც ღიმილიანი სახეებით  
აგრძელებენ გზას...



## ხმა

საკუთარ ხმას ყურს რომ მოვკრავ ხოლმე,  
რალა დაგიმალოთ და, გაოცებასა ვარ  
პირდაპირ! — თითქოს “ისევ ის ბიჭი ვააარ”...

ეგაა: გული კი არა, ხმა არ ბერდება,  
თუ დაბერებას აგვიანებს, ხმას შეჰყავხარ  
შეცდომაში — ამ ილუზიონისტს,  
ამ პროვოკატორს... გული კი არა, ხმა  
გიბიძგებს ასაკისთვის შეუფერებელი  
ათასი სისულელისკენ...

— ალო, ეკა ხარ?

— ეკა გახლავართ, მაგრამ თქვენ ალბათ  
ჩემს შვილიშვილ ეკასთან რეკავთ,  
ახლავე დავუძახებ...

**\* \* \* (უსიყვარულოდ არავინ ცხოვრობს...)**

*შოპენჰაუერიდან*

უსიყვარულოდ არავინ ცხოვრობს:  
მაგალითად, ყველას უყვარს შვილი  
ზოგს კიდევ ძალღი ზოგს კატა  
ზოგს წერა ზოგს ხატვა  
ზოგს მინა ზოგს ცა  
ზოგს მთა ზოგს ზღვა  
ზოგს ლუდი ზოგს ღვინო  
ზოგს წიგნი ზოგს კინო  
ზოგს მუხა ზოგს ფიჭვი  
ზოგს გოგო ზოგს ბიჭი  
ზოგს ქმარი ზოგს ცოლი  
ზოგს მარტოობა + სიგარეტის ბოლი  
ზოგს კარტის თამაში  
ზოგს სომხური ლავაში  
ზოგს ქარელი ზოგს სკრა  
ზოგს რა და  
ზოგს რა

ჰოდა, ამოცანა გვეკითხება:  
დაგვწყდებოდა ამ ქვეყნიდან  
წასვლის გამო გული —  
სიყვარული რომ არ არსებობდეს?..



## ამონარიდები

### ფრენა და თვალთვალი

“წიგნში ძალიან ბევრია თვითმფრინავიდან დანახული სურათები ან ფრენისას მოსული განცდები თუ მოგონებები. ლამის ნახევარი კრებული ასეა და ბევრი ლექსი მართლა ან ცაშია დაწერილი, ან ფრენისასაა ჩანიშნული. ერთ-ერთ ციკლს ასეც ჰქვია, “თვითმფრინავიდან დანახული”. ხანდახან კი პოეტი თვითმფრინავს ტოვებს და უცხო ქალაქში გამოდის, აკვირდება უცნობებს, ანდა ოცნებობს, სევდიანობს. ლექსებში ბევრია გეოგრაფიული დასახელებებიც, დიუთი ფრიში ნაყიდი სასმელები. პოეტი იხსენებს სხვადასხვა გემოებს, აკვირდება საათის ისრების მოძრაობას, დარდობს წარსულზე. წიგნი პოეტის დედას ეძღვნება და ამიტომ მასში ბევრი უცნაური მოგონებაცაა. [...]

ზოგჯერ მისი ლექსი სურათებს წარმოადგენს, აღწერებს. მას ასეთი ციკლიც აქვს, “წამის შეჩერების საშუალებები”. ასეთ ლექსებში ხშირია ხოლმე გამეორებები, თითქოს ავტორი ცდილობს, უფრო დააზუსტოს სათქმელი, თითქოს მას ძალიან უნდა, რომ უკვალოდ არ ჩაიაროს მისმა სიტყვებმა და ამიტომ გიმეორებს. ამ დროს არ უნდა იფიქრო, რომ ლექსი უმნიშვნელო რამეზეა. ეს არაა უბრალო ნატურმორტი, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაზეც პოეტი საუბრობს.

ნუგზარ ზაზანაშვილს მინიმალბმაც უყვარს. ასეთ ლექსებში იგი ხშირად მახვილსიტყვაობს და საოცარი სიზუსტით აგვირგვინებს სათქმელს. ამის საუკეთესო ნიმუშია შოთა ჩანტლაძისადმი მიძღვნილი ლექსი, რომელიც ასე მთავრდება: “როცა მზე ჩადის, ამოდის

ლექსი”. რა თქმა უნდა, ესაა შოთა ჩანტლაძის ცნობილი შედეგის სევდიანი ინტერტექსტი: “წავიდა თოვლი და მოვიდა მინა”.

### **მალხაზ ხარბედია**

რადიო თავისუფლება, 27 მარტი, 2011 წელი.

ნუგზარ ზაზანაშვილის „ცარიელი ჩარჩო“

*„მე ვარ მარტივი  
და კიდევ უფრო მარტივი  
გავხდები მალე“*

ამბობს ნუგზარ ზაზანაშვილი თავის ახალ კრებულში „მექანიკური როიალი“. რატომაა მარტივი? ლექსიდან გამომდინარე, იმიტომ რომ მარტივი რაღაცები უხარია. თუ უფრო ღრმად ჩავხედავთ, იმიტომაც, რომ ცდილობს ცხოვრებისეული სირთულეები მარტივად აღწეროს, მარტივ მამრავლებად დაშალოს, სათქმელის გადმოცემისას ლექსიკა გაამარტივოს, თუ რაღაც ხანდახან გაერითმება, მარტივად გარითმოს და მერე მარტივადვე შეეშვას ამ გარითმვას, ხანდახან ვინილის გაკანრულ ფირფიტაზე მოხტუნავე ნემსივით ერთი და იგივე ფრაზები იმეოროს... [...]

*„თითქოს  
რაღაც კარგი მელოდება წინ  
ტარატირა-ტარატირა-ტინ“*

ასე წაიმღერებს ერთი ლექსის ბოლოს ნუგზარ ზაზანაშვილი და, საერთოდ, ასეთი, თითქოსდა არხეინი წამღერებები სჩვევია. ერთმა ჩემმა ახლობელმა მის ამ კრებულს რომ გადახედა, მითხრა: თითქოს ზანგის ბიჭი ფეხით კენჭს მიაგორავებს და მიღლინებს, ისეთი ლექსებიაო. ლენგსტონ ჰიუზი გამახსენდა რატომღაცო. აი,

სულ რომ მუცობე და შატილზე წერდეს, მაინც არ ჰგავს ქართველის დაწერილსო. შეიძლება იმიტომ, რომ აი, მაგას ხომ უცხოური სასმელები უყვარს, ვისკი და ეგეთი რამეებით, ჰოდა, გაუჯდა სხეულში ეგ სასმელები და უკვე პოეზიაზეც იმოქმედაო. სასაცილო კონცეფციაა, თუმცა საყურადღებო.”

### **შოთა იათაშვილი**

„ის არ წერს ლექსებს, როგორსაც ფართო მკითხველის ყური და თვალია მიჩვეული. წერს ლექსის სპირალს, შიგთავსს, ყოველთვის შიგთავსსაც არა, ლექსის ჩონჩხს ან მარტო კანს... და ისეთი განწყობა გიჩნდება, არ მინდა ახლა ძალიან გადამლაშებულად პოეტური შედარება მოვიყვანო, მაგრამ ზამთრის ხეებივით არის — შიშველი ხეები, შიშველი ტოტები, რომლებიც გულისხმობენ წლის დანარჩენ დროებსაც: ამ შეფოთლილობას, მწვანე ფოთლებს, ნაყოფს, ფოთოლცვენას და ა.შ. მაგრამ აი, ზამთარში როგორც იკითხება ხე, ასე არის ეს ლექსებიც. თითქოს აი, ეს ღერძია, მთავარი სპირალი, აზრობრივი სპირალი, რომელსაც შეიძლება ჩაეცვას ლექსი იმ გაგებით, რა გაგებითაც მკითხველების უმეტესობა იცნობს და ელის, რომ დაინახოს და წაიკითხოს. [...]

აშკარად არის მინიმალისტი პოეტი, მაგრამ არა ლექსების მოცულობის გაგებით მხოლოდ. თუმცა არის ბევრი მოკლე ლექსი, მართლაც მინიმალისტური, მაგრამ ის მოგრძო ლექსებიც მინიმალისტურია, მხოლოდ საზრისზე არის ორიენტირებული და ეს ენა თავისთავად მოსდევს ამ ავტორს, უკიდურესად კულტურული და ადეკვატური. და მოულოდნელი. ვერ ხვდები, სად მიყავხარ. და მერე დიაპაზონი: ეს დიაპაზონი სევდასა და ღიმილს შორის ბრუნავს, აქ არის ერთმანეთის თითქმის გამომრიცხავი

სხვადასხვა პოლუსები ზოგადად სალექსო მეტყველების. სრულიად ერთმანეთისგან განსხვავებული მეთოდით და პოეტიკით დაწერილი. ერთი მხრივ, ეს არის ავტორი, რომელიც აბსოლუტურად აკონტროლებს თავის ნამუშევარს და, მეორე მხრივ, ენასაც გაატაცებინებს ხოლმე თავს: სიტყვებს, სიტყვების თამაშს... ზომიერად იცავს ამ ბალანსს: საკუთარ კონტროლს ტექსტზე და ტექსტის კონტროლს ავტორზე.”

### **ზვიად რატიანი**

რადიო თავისუფლება, 3 თებერვალი, 2017 წელი.

მტვრის ნამცეცის ტოლი ამბები სუვენირები

მე ფიზიონომისტი ვარ და ადამიანების ბუნებაზე ხშირად მისი მზერით, მოძრაობით, ან, უბრალოდ, ნაკვთებით ვმსჯელობ ხოლმე. ნუგზარს ახლოს არ ვიცნობ, მაგრამ რამდენჯერაც შევხვედრივარ, მუდამ ოდნავ, სულ ოდნავ ირონიულია მისი გამოხედვა, ირონიული და მშვიდი. ეს გამოხედვა ძალიან ჰგავს მის ლექსებს. გამოხედვა გადაედოთ ლექსებს თუ ლექსებმა გადასდეს თავიანთი ანარეკლი მის სახეს — ეს, პრინციპში, სულერთია. მთავარი ის არის, რომ დღეს თუ რამე გაკითხებს ლექსს, ესაა სხვაგვარი მიდგომა მოვლენებთან. კაცმა რომ თქვას, რამე განსაკუთრებულისთვის კი არ მიუგნია. პირიქით, გარშემო ამდენი მონდომებულის და „ტანსაცმლიდან ამომხტარის” ფონზე, რიგითი ხედვა არჩია — უბრალო ჩაჩხაკუნება. თითქოს ამ აზრის საილუსტრაციოდ, ის ამბობს:

*„ნამდვილი პოეზია*

*„სალფეტკის” ფურცლებზე და*

*„ჰაპროსის” კოლოფებზე*

*იწერება.” [...]*

ხანდახან ჩვენ თვალწინ ქმნის კონფლიქტს რეალურსა და არარეალურს, კომიკურსა და ტრაგიკულ ქვეტექსტს, მასშტაბურსა და ლოკალურს, უტოპიურსა და ნატურალისტურს შორის. [...] ის უარყოფს ე. წ. საგანგებო პოეტური სტილის იდეას, შორს დგება ყოველგვარი შინაგანი ექსპიზიციონიზმისგან, რაც ასე მოდურია დღეს და რასაც უკვე ძალიან ხშირად პათეტიკურ სენტიმენტებად აღიქვამს ჩვენი გადაღლილი სმენა. არადა, როგორც წესი, ხომ მიჩვეულნი ვართ გულაჩუყებას, პოეტის მიერ ამა თუ იმ შეგრძნების გამო მისი ტრაგიკული განცდების თანაზიარობას. მთელი ამ პროცესისთვის ის უფრო მარტივ მოძრაობებს იყენებს. ლექსების მორალურ აპოთეოზად კი იუმორის შეგრძნების იშვიათი უნარი შეიძლება მივიჩნიოთ. რაც არ უნდა დიდ გულისტკივილს იტევდეს თითოეული სტრიქონი, რაც არ უნდა ღიად ჰყვებოდეს ადამიანურ ტრაგიზმზე, მასში მაინც მსუბუქი თვითირონიის, ან, უბრალოდ, ღიმილის დიდი ძაბვა გადის, რომელიც მთელ ტექსტს რაღაც გაურკვეველ სიმსუბუქეს აძლევს და ანათებს.”

### **ლელა კოდალაშვილი**

„ახალი საუნჯე”, N5(47), 2017

### **რუსოფობია სიძულვილის გარეშე**

„რუსოფობია — ანუ პოეტური იმპერიალიზმი ლომონოსოვიდან ევტუშენკომდე” — ასე ჰქვია გამომცემლობა „არტანუჯის” მიერ გამოცემულ წიგნს, რომელშიც რუსული პოეზია და მისი დროში უცვლელი, მითოლოგიზებული, დერჟავულ-იმპერიული დისკურსი გაანალიზებულია გამოჩენილი რუსი პოეტების შემოქმედების მაგალითზე. წიგნის ავტორმა, პოეტმა და ესეისტმა ნუგზარ ზაზანაშვილმა, თავისი ვრცელი ნაშრომი

თოთხმეტ პირობით თავად დაყო. შემთხვევით არ არის, რომ წიგნის ყველაზე ვრცელი თავი — „კავკასიის გამოგონება“ — ეთმობა იმ პოეტების შემოქმედების განხილვას, რომლებმაც შექმნეს საქართველოსა და კავკასიის პოეტური ხატი. [...]

ნაშრომის პირველივე თავში, რომლის სათაურია „მამამთავრები“, ჩამოთვლილია ყველა ის რელიგიურ-პოლიტიკური მითი თუ მითოლოგემა, რომლებიც პოეტური ენით გადმოსცა მიხეილ ლომონოსოვმა და რომლებიც შემდგომ რეგულარულად აისახებოდა და აისახება რუსულ პოეზიაში. ესენია: მითი რუსეთის განსაკუთრებულობისა და რჩეულობის შესახებ, რუსეთის უსაზღვრობის მითი, მითი სხვა ხალხებისათვის რუსეთის იმპერიის „მიზიდულობის კეთილისმყოფელი ძალის“ შესახებ, მითი რუსული ხიშტის სამართლიანობის თუ სამშვიდობო მისიის შესახებ. ყველა ეს მითი მეთვრამეტე საუკუნეში ჩამოყალიბდა, თუმცა ცხოველმყოფელობა დღემდე არ დაუკარგავთ. [...]

წიგნის ავტორს უყურადღებოდ არ დარჩენია დიდი რუსი პოეტი იოსიფ ბროდსკი, რომელიც მანდელშტამთან, პასტერნაკთან, სევერიანინთან და ვოლოშინთან ერთად „მეტ-ნაკლებად დისტანცირებულთა“ შორის მოხვდა, თუმცა 1992 წელს უკრაინის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით დაწერილ ლექსში, პოეტი არსებითად დასცინის და აბუჩად იგდებს უკრაინას და მის სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ. წიგნში განხილულია ასევე ანა ახმატოვასა და მარინა ცვეტაევას ლექსები, რომლებიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორაა მათი შემოქმედება განმსჭვალული წმინდა რუსეთის არაამქვეყნიური ხატისადმი თავგანწირული სიყვარულით. ცვეტაევა ფიქრობს, რომ პეტრე პირველის პროდასავლური

ორიენტაციის გამო მოხდა რევოლუცია და დერჟავის რღვევა.

## **ჯიმშერ რეხვიაშვილი**

რადიო თავისუფლება, 24 მარტი, 2017 წელი.

სანტა ნუგზარ ბაზანაშვილი

„მგონი, უბრალოდ შეუძლებელია, ერთხელ მაინც წაიკითხო „მექანიკური როიალი“ და არ დარწმუნდე, რომ მისი ავტორი ჭეშმარიტად სანტა კლაუსია. უბრალოდ წარმოუდგენელია, ვინმე სხვა იყოს ავტორი ამ საოცარი ტექსტებისა, რომელიც, თუ შეკრებილი საზოგადოება პათეტიკას მომიტევებს, „დღესასწაულის სულითაა“ გაჟღენთილი. სამყაროსთან სრული ჰარმონია და ადამიანების — გვერდით მყოფებისა, თუ ა(ღა)რმყოფების — სიყვარული, აი, ორი ძირითადი მდგომარეობა, რომელიც დამახასიათებელია ტექსტების ღირიული მესათვის.

დღესასწაულს მუდამ თან ახლავს სევდა, — დაუბრუნებელი წუთების გახსენებითა თუ ცვლილებების შიშით გამოწვეული. სწორედ ამ სევდასთან შეგუება, მისი გადალახვა, ცხოვრების ერთ, არცთუ უმნიშვნელო ნაწილად მოაზრებაა, ალბათ, ნებისმიერი დღესასწაულის არსი. მით უფრო, შობის, რომელიც შესაძლოა, წელიწადის ყველაზე იმედისმომცემი დღეა. სწორედ ეს გრძნობები — სევდა, თანალმობა, სიხარული, იმედი — დახვეწილად, მინიმალისტურად და, ამავე დროს, ყოვლისმომცველადაა გადმოცემული ნუგზარ ბაზანაშვილის კრებულში. ძნელად წარმომიდგენია ადამიანი, რომელსაც ასე ზუსტად შერჩეული ინტონაციით, საოცარი გემოვნებითა და, რა თქმა უნდა, საოცარი იუმორით, ირონიითა თუ თვითირონიით ყველა ზემოთ მოყვანილი თემა შეუძლია მოიცვას.

მეტიც, შეუძლებლად მიმაჩნია ეს ჩვეულებრივმა ადამიანმა მოახერხოს. „შობის სულს“ ასე ჩაწვდეს, მხოლოდ მის ნაწილს, ნამდვილ სანტას ძაღუძს.”

**ნიკა აგლაძე**

„ინდიგო“, N27, თებერვალი, 2018 წელი



## იულია ფიედორჩუკი



პოლიტიკური  
პოეტი,  
მთარგმნელი,  
ლიტერატურის  
კრიტიკოსი,  
დაიბადა  
1975  
წელს  
არის  
ჰუმანიტარულ  
მეცნიერებათა

დოქტორი და ასნავლის ამერიკულ ლიტერატურას, ლიტერატურის თეორიას და ინგლისურ ენას ვარშავის უნივერსიტეტში. ნათარგმნი აქვს ჯონ ეშბერის, უოლეს სტივენსის და სხვათა პოეზია. მისმა სადებიუტო კრებულმა

„ნოემბერი ნარვაზე“ მიიღო პოლონეთის გამომცემელთა ასოციაციის პრემია. ის არის ასევე ავსტრიული პრემია Hubert Burda-ს ლაურეატი წიგნისთვის „ბიო“ (2005). მისი ლექსები თარგმნილია ინგლისურ, გერმანულ, ჩეხურ, შვედურ, რუსულ, იაპონურ და სხვა ენებზე. თავად იულის ფიედორჩუკი ასე განმარტავს პოეზიის მისეულ ხედვას: „ჩემთვის იდეალურია ის პოეზია, რომელიც საუბარს აბამს მეცნიერების სხვადასხვა დარგებთან (მაგალითად, ბიოლოგიასთან), პოეზია, რომელიც სტუმართმოყვარეა, გახსნილია სხვადასხვა არსთა და ემოციათა მიმართ.“

## **მგონი, რასაც ვეძებ, ლოცვის მატერიალური წვდომაა (ინტერვიუ)**

**ესაუბრა შოთა იათაშვილი**

**შოთა იათაშვილი: იულია, შენი ბავშვობა პოლიტიკური მღელვარების წლებს დაემთხვა. დაიბადე კომუნისტურ პოლონეთში, იბრდებოდი ცვლილებების პერიოდში, როდესაც ხალხი იბრძოდა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ, და ზრდასრულ ცხოვრებას ატარებ უკვე სულ სხვა ქვეყანაში. რამდენად მოქმედებდა ყოველივე ეს შენზე და რამდენად აირეკლა შენს პოეზიაში?**

იულია ფიედორჩუკი: პოლონეთის პოლიტიკური ცვლილებები ჩემს ცხოვრებაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს ცვლილებებს დაემთხვა. პატარა სოფელში გავიზარდე, ჩემი მშობლები ამ სოფლის სკოლის მასწავლებლები იყვნენ. როდესაც თინეიჯერი ვიყავი, საცხოვრებლად პატარა ქალაქში გადავედი, შემდეგ კი, 90-იანი წლების მიწურულს, ცხოვრება მომიწია ვარშავაში, პოლონეთის დედაქალაქსა და უდიდეს ქალაქში, რომელიც იმხანად უსწრაფესი ტემპით ვითარდებოდა. ჩემი გამოცდილება უნიკალური სულაც არ ყოფილა: იმ პერიოდში, რომელსაც „ტრანსფორმაციის ეპოქას“ უწოდებდნენ, ბევრმა გადაინაცვლა სოფლებიდან დიდ თუ მცირე ქალაქებში. ამ ცვლილებამ ჩემს შემოქმედებაზე არსებითი გავლენა იქონია: ქალაქის ბინადარი გავხდი, ვარშავის უნივერსიტეტში ინგლისური ფილოლოგია ვისწავლე, მაგრამ ჩემს სოფელს, პროვინციულ, ტექნიკურად განუვითარებელ პოლონეთს — მთელი მისი ავ-კარგით — მუდამ და ყველგან თან დავატარებდი. ამ ორი პოლონეთის — პროვინციულისა და, ასე ვთქვათ,

„ევროპულის“ — შეხლამ თავიდანვე ძლიერი შემოქმედებითი ენერჯია მომანიჭა. ეს, ვფიქრობ, შეიძლება დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაპირისპირების ჭრილობიდან დავიწინაბოთ.

ამჟამად კიდევ უფრო შორეულ წარსულს ვუღრმავდები — ჩემი წინაპრების ცხოვრების ამბებს ვიკვლევ, პოდლასიეში რომ ცხოვრობდნენ (დღევანდელი პოლონეთის აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც წინათ ძალზე მულტიეთნიკური იყო). ეს, აგრეთვე, მდინარე ნარევის სათავისკენ მოგზაურობაცაა, იქით, სადაც მას მდინარე ბუგი უერთდება, მერე კი, მალევე, ვისტულა (ცენტრალური პოლონეთის მდინარე, რომელიც ვარშავაზე გადის), ამ მდინარის სათავე კი დღევანდელი ბელარუსის ტერიტორიაზეა. პოლონეთში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები სულ უფრო და უფრო მარწმუნებს იმაში, რომ აღმოსავლეთ ევროპამ თავისი მულტიკულტურულობა (თითქმის) დაკარგა. ეს ჩემს მხატვრულ პრობაშიც ჰპოვებს გამოხატვას, მაგრამ, პირველ რიგში, პოეზიაში, რადგან პოლონურის გარდა მასში სხვა ენების შემოყვანაც მიყვარს.



**შ. ი. საერთოდ, როდის და რა სახით გაჩნდა შენს ცხოვრებაში ინტერესი პოეზიისადმი და განცდა იმისა, რომ ლექსის წერა შენი ცხოვრების წესი შეიძლებოდა გამხდარიყო, რომ საკუთარ შინაგან სამყაროში თუ სამყაროს იღუმალ კანონზომიერებებში წვდომას პოეზიის სახით შეძლებდი? თუ სულაც არ ყოფილა ასეთი**

## **განცდები და პოეზია რალაცნაირად უბრალოდ, თავისით მოვიდა შენთან?**

ი. ფ. ზუსტად მახსოვს, ეს როდის მოხდა. მაღალ კლასებში ვსწავლობდი, როდესაც რუჟევიჩის რამდენიმე ლექსი წავიკითხე. მას მერე ვნატრობდი, ასევე წერა შემძლებოდა: სადა, მშვიდი და, ამავდროულად, გასაოცრად ექსპრესიული ენით. რა თქმა უნდა, თავიდანვე სრულიად სხვაგვარად დავინწყე წერა, მაგრამ რუჟევიჩმა პირველმა დამანახა პოეზია, როგორც აზროვნების, ხედვისა და სამყაროში არსებობის გზა.

**შ. ი. პოლონური პოეზია სრულიად გამორჩეული ფენომენია მსოფლიო პოეზიაში. ყოველ შემთხვევაში, ასეთი იყო უკვე შენ მიერ ნახსენები რუჟევიჩის, მილოშის, შიმბორსკას, ჰერბერტის თაობის პოეზია. რამ განაპირობა მათი ასეთი გამორჩეულობა? და უკვე ჩანს, რომ იმოქმედა, მაგრამ რამდენად იმოქმედა ამ თაობამ შენი, როგორც პოეტის საბოლოოდ ჩამოყალიბებაზე? და ამ თაობის შემდეგ რა გზებით წავიდა პოლონური პოეზია? მესმის, რთულია მოკლედ ამაზე ლაპარაკი, მაგრამ იქნებ გამოარჩიო ის, რაც შენთვის ყველაზე საყურადღებოა დღევანდელ პოლონურ პოეზიაში.**

ი. ფ. როდესაც ლექსების წერა და გამოქვეყნება დავინწყე, სცენაზე უკვე მომდევნო თაობა გამოვიდა, რომელიც ე. წ. „პოლონური პოეზიის სკოლის“ წინააღმდეგ ილაშქრებდა. ვგულისხმობ ისეთ ავტორებს, როგორებიც არიან ბოგდან ზადურა, პეტრე სომერი, მაჟანა ბოგუმილა კიელარი, მილოშ ბედიცკი, ანჟეი სოსნოვსკი (მათ გარდა კიდევ ბევრია). ეს პოეტები უფროსი თაობის პოლონური პოეზიის სერიოზულობასა და პოლიტიკურ ანგაჟირებულობას დაშორდნენ, ისინი უფრო ავანგარდისტ მეამბოხეთა

(მაგალითად, რემბოს ტიპის) ლინგვისტურმა ექსპერიმენტებმა გაიტაცა. ზომერმა და სოსნოვსკიმ, ამერიკული პოეზიის შესანიშნავმა მთარგმნელებმა, ნიუ-იორკის სკოლის — ჯონ ეშბერის, ფრენკ ო'ჰარას და სხვათა — ძლიერი გავლენა განიცადეს. ეს იყო XX საუკუნის 90-იანების და XXI საუკუნის დასაწყისის უძლიერესი პოლონური პოეზია. ეს პოეტები მასწავლებლებად მიმაჩნია და მე მათი პოეტური სულისკვთებით გავიზარდე. მხოლოდ ახლა ვუბრუნდები მილოშს, შიმბორსკას, მაგრამ კიდევ უფრო მეტად — ბიალოშევსკისა და შვირჩინსკას. „პოლონური პოეზიის სკოლასთან“ ჩემი დამოკიდებულება უფრო ირონიულია. თუმცა, მაგალითად, ჩემს „ფსალმუნებში“ ზოგან დავითის ფსალმუნების ჩესლავ მილოშისეულ თარგმანს მივმართავ.

**შ. ი. როდის გაჩნდა ეკოპოეტიკა შენს ცხოვრებაში? როდის მიხვდი, რომ პოეზიასაც დაცვა უნდა? ორი სიტყვა გვითხარი შენს თანაავტორზე, ჯერარდო ბელტრანზე და იმაზეც, თუ როგორ მუშაობთ ერთად.**

ი. ფ. ბუნება მუდამ მაინტერესებდა. არამხოლოდ ცხოველები და მცენარეები, არამედ სხვა ფენომენებიც, რომლებიც, ჩემი აზრით, აქტიურნი არიან და ქმნადობის უნარი შესწევთ, შესაძლოა, გრძნობის უნარიც კი აქვთ — კლდეები, მდინარეები, რომ აღარაფერი ვთქვათ ვარსკვლავებზე, პლანეტებსა და გალაქტიკებზე. ასევე, მიკროკოსმოსიც: ბაქტერიები, ორგანიზმის უჯრედები. ჩემს მეცნიერულ ინტერესს გაოცების განცდა ბადებს: ბუნების სამყაროს სასწაულად აღვიქვამ, ჩემი აზრით, საოცარია, რომ ცოცხლები ვართ, გვაქვს ამგვარი სხეული, რომლის მეშვეობითაც ჩვენ გარესამყაროს აღქმა შეგვიძლია. სამყაროს მიმართ ძალზე ღრმა ემოციას, სიყვარულს განვიცდი და, ცხადია, მალეღვებს მისი განადგურება,

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეკოლოგიური პრობლემები. ეკოლოგიისა და პოეზიის გაერთიანების იდეა პირველად, თუ არ ვცდები, 10 წლის წინათ გამიჩნდა (იმაზე ბევრად ადრე, ვიდრე ეს პოლონეთში „მოდაში“ შემოვიდოდა). ჯერადო ბელტრანს 4 წლის წინ შევხვდი. ის ვარშავაში მცხოვრები მექსიკელი პოეტია, რომელიც პოლონურიდან, იდიშიდან და ლიტვურიდან ესპანურ ენაზე თარგმნის. საერთო ინტერესები აღმოგვაჩნდა, მან ჩემი იდეა გაიზიარა იმის თაობაზე, რომ პოეზიასა და მეცნიერებას შორის დიალოგი აუცილებელია, ჰოდა, გადავწყვიტეთ, ერთად დაგვეწერა „ეკოპოეტიკა“. ეს ესეისტური თხზულება ასევე თარგმანის გამოცდილებაც იყო ჩვენთვის, რადგან ის პოლონურად, ინგლისურად და ესპანურად დაინერა, თუმცა მასში გერმანულენოვან პოეზიასაც განვიხილავთ და რამდენიმე ლექსსაც, რომელიც იდიშზეა დაწერილი. ვისაც ჩვენი საქმიანობა აინტერესებს, შეუძლია, ეწვიოს ჩვენს ვებგვერდს: [www.ekopoetyka.com](http://www.ekopoetyka.com).

**შ. ი. როდესაც „ეკოპოეტიკის“ ფრაგმენტების ქართულ თარგმანს ვკითხულობდი, ასეთი კითხვა გამიჩნდა: წარმოვიდგინოთ, რომ თანამედროვე მხატვარი ხატავს თანამედროვე მეცნიერს, ადამიანს, ტალანტს, რომელიც უსწრებს თავის დროს, ახალ განზომილებებში, ახალ საფეხურზე გადაჰყავს სამყარო. ვთქვათ, ელონ მასკს. როგორი შეიძლება იყოს ეს ნახატი? რა ახალი პლასტები შეიძლება გაჩნდეს ამ ნახატში, თუკი მას ბლეიკის მიერ დახატულ ნიუტონს შევადარებთ?**

ი. ფ. დიდი იმედი მაქვს, რომ როდესაც თანამედროვე ხელოვანი თანამედროვე მეცნიერს დახატავს, ხელოვანიც და მეცნიერიც ქალები იქნებიან.

**შ. ი. შენ თარგმნი და ასწავლი ამერიკულ პოეზიას. რამდენად იმოქმედა მან შენი, როგორც პოეტის ესთეტიკის ჩამოყალიბებაზე? და საერთოდ, მინდა, ამერიკული პოეზიის ფენომენზე დავილაპარაკოთ. ძალიან ზოგადია ასეთი დაყოფა, მაგრამ ევროპულ პოეზიას შევადაროთ. სიუზენ სონტაგს თავის დღიურში უწერია: „ამერიკული პოეზიის სისუსტეა, რომ ის ანტიინტელექტუურია. დიდ პოეზიაში არის იდეები.“ და ამას ამერიკელი მოაზროვნე ამბობს. რამდენად შეიძლება დავეთანხმოთ სონტაგს? იქნებ ეს ხიბლია და არა სისუსტე, სონტაგი ხომ ანტიინტელექტუალურს ამბობს და არა უინტელექტოს.**

ი. ფ. შესაძლოა, სონტაგი ოდნავ აფეტიშებდა ევროპას, როგორც ჭეშმარიტ ინტელექტუალთა სამშობლოს. არა მგონია, ისეთი პოეტები, როგორც მერიენ მური, ებრა პაუნდი, ჩარლზ ოლსონი, ჩარლზ ბერნსტაინი, ლინ ჰეჯინიანი თუ მეიჯორ ჯონსონი ანტი ინტელექტუალები იყვნენ. მართალია, უილიამ კარლოს უილიამსმა თქვა: „იდეები მხოლოდ საგნებშია“ და მის მოკლე ლექსებს უშუალობა და სილალე ახასიათებთ (ეს კი, ვფიქრობ, ძალაა და არა სისუსტე), მაგრამ მას, ამავე დროს, ძალზე დახვეწილი შთაგონებით კვებავს თანამედროვე სახვითი ხელოვნებაც. ჩემი აზრით, XX საუკუნის ყველაზე უფრო ამაღელვებელი პოეზია შემდეგი მიმართულებებითაა ნასაზრდოები: იმაჟიზმი, ობიექტივიზმი, ჩარლზ ოლსონის პროექტული ლექსი, ჯონ კეიჯის ძენ-„ნატურალიზმი“. არსებითად, ეს არ არის ის პოეზია, რომელიც რაღაც ფილოსოფიურ განცხადებებს აკეთებს, მაგრამ ის გამოკვეთს საგნებსა და მოვლენებს, მიგვითითებს მათზე, ახორციელებს მათ. არჩიბალდ მაკლიშს ეკუთვნის ცნობილი გამონათქვამი (სიტყვები მისი ცნობილი ერთადერთი ლექსიდან “Ars Poetica”): „ლექსი კი არ უნდა



გულისხმობდეს, არამედ უნდა იყოს“ (“a poem should not mean but be.”). მე მომწონს ამერიკული პოეზიის ეს თავისებურება. უდიდესი „იდევები“ მაინც სიტყვების მიღმაა. ძენ-ბუდისტური აფორიზმია: „რალაცის სათქმელად პირი თუ დააღე, ამით უკვე ჩაიდინე შეცდომა“, რაც, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ ლაპარაკი უნდა შევწყვიტოთ. საუკეთესოდ ის პოეზია მიმაჩნია, რომელიც ენის შეზღუდულობას აცნობიერებს და, ამიტომაც, ლაღად, დამაფიქრებლად და საინტერესოდ „სჩადის შეცდომას“.

**შ. ი. დაბოლოს, რამდენიმე სიტყვა ფსალმუნების ციკლზე, რომელიც წიგნად გამოეცა და საიდანაც ითარგმნა ქართულად ლექსები. რა იყო ასეთი ციკლის დაწერის ინსპირაცია?**

ი. ფ. ეს ფსალმუნები ძალზე ინტერტექსტუალურია და ზოგჯერ ჩემი ცნობიერების ფარგლებსაც კი სცდება. გარკვეულ მომენტში დავინწყე ბიბლიური ფსალმუნების კითხვა, რალაცას დავეძებდი, — თვითონაც არ ვიცი, რას. ამავედროულად, ვწერდი ამ ლექსებს, რომლებსაც ასევე „ფსალმუნები“ ვუწოდე (თქვენ მიერ ნაგულისხმევი წიგნის გამოსვლის შემდეგ მათ წერას განვაგრძობ — ეს ხანგრძლივი და ძალზე ჩამორევი პროექტია). ჩემი ზოგიერთი ფსალმუნი, როგორც ვთქვი, დავითის ფსალმუნების ჩესლავ მილოშისეულ თარგმანს ეხმიანება, სხვა — ამა თუ იმ სახით უკავშირდება ბიბლიურ ტექსტებს (მაგალითად, ჩემი 25-ე ფსალმუნი ერთგვარ „თარგმანს“ წარმოადგენს). პარალელურად დავინწყე ძველებრაულის შესწავლა, ამჟამად ვსწავლობ ფსალმუნების ძველებრაულ ენაზე გალობას მომღერალ ანა იაგელსკა-რივიეროსთან ერთად, რომელიც, აგრეთვე, მგალობელიცაა. ზოგჯერ არც მესმის იმ ფრაგმენტების შინაარსი, რასაც ვგალობ. მგონი, რასაც ვეძებ, ლოცვის მატერიალური, ხორციელი,

არარელიგიური წვდომაა. დავითის ფსალმუნებში ერთურთს ორი განწყობა ერწყმის: სასონარკვეთილება (130-ე ფსალმუნის ცნობილი დასაწყისი — “de profundis”, ძუღუღუღ, „ღრმით ამოღალად-ვყავ“<sup>[1]</sup>) და უპირობო მადლიერება. აქ გამუდმებით მოიხსენიება ადამიანური სინამდვილის მიღმა არსებული სიცოცხლე. მე მართლა ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი პოლიტიკური/ეკოლოგიური ვითარება ძალზე დრამატულია, ამიტომაც სასონარკვეთილება მართლაც დიდია. მაგრამ ისიც ღრმად მნამს, რომ კვლავ უნდა ვისწავლოთ სამყაროს წინაშე აღტაცება და გაოცება, წინააღმდეგ შემთხვევაში უბრალოდ დაგვახრჩობს ბრაზი იმის გამო, რაც ჩვენ გარშემო ხდება. ამიტომაცაა, რომ ჩემი ფსალმუნებიც ამ ორი განცდით — ერთი მხრივ, სასონარკვეთილებით, მეორე მხრივ კი, აღტაცებითა და მადლიერებითაა განმსჭვალული. ოღონდაც, ჩემი ლოცვები თეოლოგიური არ არის, მათში ღვთაება არ იგულისხმება. ისინი უფრო ეკოლოგიურია. როგორც გითხარით, ეს პროექტი გრძელდება: მინდა, სიკვდილის წუთებშიც კი სხეულის თითოეული უჯრედით ვილოცო და ვიგალობო.

**ლექსები**

**თარგმნა შოთა იათაშვილმა**

# ფსალმუნი 1

მ.მ.-ს

არის ლექსები, უკვე რომ არ დაიწერება,  
არის ლექსები, უფრო ადრე რომ ვერ დაწერდი.  
დამღამობით სასონარკვეთა — ბავშვების გამო, წყალში  
დამხრჩვალნი  
ბავშვების გამო, ჩამოხრჩობილი ბავშვების გამო, ცეცხლში  
დამწვარი  
ბავშვების გამო, ნანამები ბავშვების გამო, სათამაშოთა  
გამო  
დაცემულ თვითმფრინავებში, დედობრივი გრძნობა არის  
სამუდამო პატიმრობა, სასონარკვეთა კი დაეძებს  
სანახაობას,  
მოდურ ფასონებს, ოღონდ მათში გამოეწყოს,  
ოღონდ სადმე დაიმალოს, ოღონდ თავი გადაირჩინოს,  
ამიტომაც გაჩუმება სჯობს — ასე ვამბობ, და ვამბობ, რომ  
არცერთი ძვალი არ გაგიტყდებათ, და ვთქვით ასეც:  
„არაფერი არ დაგჭირდებათ“, ვთქვით:  
„იქნებით წყლის ნაკადულებთან დარგულ ხესავით“...

## ფსალმუნი 2

ჩემი სხეულის მჭამელებო,  
როგორ გაისმება ჩვენი სიყვარულის კანონი?  
კანის 2 კვადრატული მეტრი,  
სამყაროს აღსასრული — ეს ჩემი  
საცხოვრისია, უჯრედების მემბრანებისგან აგებული  
სახლის კედელი — 30 კვადრატული კილომეტრი  
ყოველდღიური არსებობისა და წყალი,  
წყალი მწყურვალეთათვის, სვით  
იგი ჩემგან, ჩემო გულღვარძლიანებო,  
მეგობრებო,  
საყვარლებო,  
მშრალი ტერფით ჩემს ზღვასა ზედა —  
ხვალინდელ დღემდე...



## ფსალმუნი 6

წამები ცვივიან კანფეტებივით მზე ეშვება  
ფანჯრებისკენ თოვლისაკენ მე კი ვკარგავ  
კონტურებს თვალებს ძვალ-რბილს და სახლს  
(ბეტონისას ვარშავაში)  
და ეს გაისმის

მსგავსად ტირილის: დღეო  
ხელიდან რად მივარდები  
რად მეცლები ფეხქვეშიდან და ინთქმები  
შავ მორევში ვარსკვლავებს მიღმა  
დააპურე საკუთარი ნარჩენებით იქ  
დედანი ჩემნი და თანაბარ  
ნაწილებად გაიყავი  
ჩემს შვილებს და  
სხვის შვილებს შორის...

## ფსალმუნი 8

ეს ნივთები შეიძლება იმაზე უფრო შხამიანები  
იყონ ვიდრე ცნობიერების  
მეხსიერების  
სარკეში ჩანან  
და სულ არ ჰგავდნენ პურის ყანებს და ვაშლის ბაღებს  
სუპერმარკეტებს რომ ესიზმრებათ

ოკეანენი შეიძლება სრულიად სხვა ფერისა იყონ  
ვიდრე ფირზე გამოისახნენ  
სამხრეთული  
ზღვების  
ფაუნა  
კი უფრო მკვდარი ვიდრე არის  
ეს სარეცელი ცრემლებით სველი

ქარის ბალახის საკრეჭი მანქანის და საფრენი აპარატის  
ხმების გუმბათი  
კი თავზე ადგას  
ხეებს კუბოებს ბუდეებს და  
„ცის ფრინველებს, ზღვის თევზებს და სუყველაფერს,  
რაც მოძრაობს ზღვის ბილიკებზე“

## ფსალმუნი 10

აპრილის შუქის სამართებლით ღრუბლების ცისფერი  
ყურთბალიში გაფატრულია  
ბუმბულების გასაფანტავად, და იმავე შუქითაა  
გალვიძებული, აქ, ახლა,  
ქალი

აპრილის ბინდბუნდის ჭიაფერისგან შეკერილია  
თქეშის ფარდა და იმავე წყლებისაგან ჩამოქნილია, აქ,  
ახლა,  
ქალი

აპრილის ღამის კუნაპეტით შეფუთულია ვარსკვლავთა  
ტანი,  
და იმავე ყიამეთით სავსე არის, აქ, ახლა,  
ქალი

ადამიანი  
მიწისაგან გაკეთებული  
საშიში არის...

## ფსალმუნი 30

ვისი მეშინოდეს ახლა?  
დაქანცული ძალღივით თუ ჩამოიძინა  
დრომ ტროტუარზე, კარგია  
ეს ჩვენთვის: ფაიფურს, ფოტოსურათებს,  
მაგნიტოფონს მტვრისაგან ვნმენდ: პოეზიას,  
პოლიტიკას და სიყვარულსაც. ოცი წლისას  
შენ მე მხედავ ფანჯრის ჩარჩოში,  
სანამ მხურვალე პიქსელები ქუჩებისა  
არ ჩაცხრებიან, სანამ დღე წყალივით



არ დაიღვრება. მქრქალ ფოტოზე ისაა, რაც  
დაამშვიდებს ზღვის მღელვარებას: სიფუტუროვე...

## ფსალმუნი 31

რ.კ.-ს

ფანჯრის რაფაზე დაჯდა წივნივა — გზავნილი,  
ნისლის ნაჩურჩულევი. ოქტომბერი ნოემბერში  
გადადიოდა. გადადიოდა მუხებზე, თხმელებზე, არყის  
ხეებზე,  
ყინვაგამძლე ყვავილებზე სასაფლაოთა,  
სადაც არ წერდნენ მოგონებებს ჩვენი მამები, სადაც ისინი  
ვერ იცნობდნენ ჩვენს შვილებს და ვერც ჩვენს ლექსებს  
ვერ გაიგებდნენ  
და ჩვენც ასევე ვერ გაგვიგებდნენ. ტელევიზორი  
აჩვენებდა  
იმ პოლონეთს, რომელიც მოკვდა, ხოლო მერე აღარ  
მოკვდა,  
მერე ისევ მოკვდა, ბოლოს კი — არა, შემდეგ კი  
მზემ ხის ტოტების არშიები ააალა, და იმავ წამს  
ცაში ისე გაქრა წივნივა, ვერც მოვასწარი მეთქვა მისთვის:  
არ დამივიწყო, დამიმახსოვრე...

## ფსალმუნი 42

მზის ქვეშ ახალი არაფერია  
მაგრამ დაე ძველი კვლავ გაჩნდეს  
ჩვენს თვალწინ ჩვენს ტყავზე და ენის წვერზე  
(სულ დამავინყდა, რომ ნახევარი სიცოცხლე მორჩა)  
მზის ქვეშ ახალი არაფერია  
მაგრამ დაე ძველი კვლავ გაჩნდეს  
წკვარამში სითბოში და ჩურჩულისას  
(ახალშობილნი არიან წყლის სათავეებთან)  
დაე მღეროდეს ყველაფერი: კლდეთა სუნთქვაში  
ფეხქვეშ ქვიშის წვრილი მარცვლების კინკლაობებში  
კუდიანთა ბეჭდებში და ქსოვილებში  
(ახალშობილნი არიან წყლის სათავეებთან)  
დაიყვირებს უფსკრული ჩანჩქერის გრუხუნითა და  
ვეხმიანებით ვტირით ვქვითინებთ  
ოღონდაც ძველი ჩნდებოდეს კვლავაც  
ჩვენს თვალწინ ჩვენს ტყავზე და ენის წვერზე...

# ეკოპოეტიკა — იულია ფიედორჩუკი, ჯერარდო ბელტრანი

## თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

*„ბუნება ის ადგილი როდია, რომელსაც ვსტუმრობთ: ის ჩვენი სახლია“.*

*გერი სნაიდერი, „ველური ცხოვრების პრაქტიკა“.*

## შესავალი: ინტრუმენტალური რაციონალიზმის საკითხი

ნიუტონის ცნობილი, უილიამ ბლეიკისეული პორტრეტი, რომელიც 1795-1805 წლებშია შექმნილი, ცხადად წარმოაჩენს მეჩვიდმეტე საუკუნეში დაწყებული მეცნიერული რევოლუციისადმი ვიზიონერი პოეტის ამბივალენტურ დამოკიდებულებას. ბლეიკი გვიხატავს კლდეზე, — შესაძლოა, ზღვის ფსკერზეც კი, — მჯდომ შიშველ ნიუტონს, რომელიც წყვილი ფარგლით ქვიშაზე რალაცას ხაზავს და იმდენადაა სწორი ხაზების გავლებით გატაცებული, რომ თავის გარშემო რეალურ სამყაროს ვერ ამჩნევს. მეცნიერის ზურგს უკან კლდე ნაირფრად ბიბინებს, მაგრამ ნიუტონი ბუნების მრავალფეროვნებას ვერ ამჩნევს. ეს ნახატი გამოხატავს ბლეიკის უნდობლობას განმანათლებლობის მიერ გაცხადებული ფასეულობებისადმი, განსაკუთრებით, მეცნიერების რედუქციონალიზმისადმი, რომელიც ბლეიკის ეპოქაში უკვე იწყებს რელიგიის, როგორც შემეცნების სრულიად განსხვავებული გზის, თანდათანობით განდევნას. ინტრუმენტალურ რაციონალიზმზე დამყარებული ეს ახალი მსოფლმხედველობა ადამიანური და ზეადამიანური სინამდვილის სულიერი განზომილებისადმი სრულიად გულგრილი რჩება. ბლეიკისთვის ნიუტონი, ფრენსის ბეკონსა და ჯონ ლოკთან ერთად, გზააბნეული გმირის

სახეა, შეზღუდული ათეიზმის მქადაგებელი, ვისაც (ალექსანდერ პოუპის ცნობილი სატირიკული ეპიგრამისა არ იყოს) სინათლის ნაცვლად მეტი და მეტი სიბნელე მოაქვს.

მეცნიერულმა რევოლუციამ ადამიანური ცივილიზაციის განვითარებას ახალი იმპულსი მისცა. შედეგად, მეთვრამეტე საუკუნე გარემოზე ადამიანის გაასმაგებულ ზეგავლენის მოწმე შეიქნა. როდესაც თანამედროვე ეკოლოგიური კრიზისის პირობებში ბიოლოგმა იუჯინ სტორმერმა ჩვენს გეოლოგიურ ეპოქას, გავრცელებული სახელწოდების, ჰოლოცენის<sup>[2]</sup> ნაცვლად, „ანტროპოცენი“ უწოდა, ამ ახალი ერას დასაწყისად სწორედ მეთვრამეტე საუკუნე დაასახელა. პოლ კრუცენტან ერთად გამოქვეყნებულ წიგნში, სახელწოდებით „ანტროპოცენი“, ის აღნიშნავს:

„[...] უკანასკნელი საუკუნის მანძილზე ურბანიზაციის მასშტაბები გაათმაგდა. ჩაივლის რამდენიმე თაობაც და კაცობრიობა მთლიანად ამოწურავს ასობით მილიონი წლის განმავლობაში დაგროვებული წიაღისეულის მარაგს...“

იმის გამოსაკვეთად, რომ ანტროპოცენის დასაწყისი მეცნიერულ რევოლუციას დაემთხვა, სულაც არ არის საკმარისი, თანამედროვე მეცნიერება უკანასკნელ საუკუნეებში ადამიანის, როგორც ბიოლოგიური სახეობის მომეტებული განვითარებით გამოწვეულ გარემოს განადგურებაში დავადააშაულოთ, — ცხადია, ეს პრობლემის გამარტივება იქნებოდა, — მაგრამ არც მხოლოდ ბლეიკის თეოლოგიური თვალსაზრისია საკმარისი და ამომწურავი. თუმცა ზოგიერთი თანამედროვე ეკოლოგი და ფილოსოფოსი ბეკონის,

ნიუტონისა და დეკარტეს მიერ წამოყენებული მექანიკური პარადიგმის ბლეიკისეულ კრიტიკას იზიარებს. ბლეიკის მიერ დახატული ნიუტონის პორტრეტი ისეთ ინტუიციურ წვდომას შეიცავს, რომელიც ასევე გვხვდება რომანტიზმის ეპოქის პოეზიის მრავალ ნიმუშშიც და ნადვილად იმსახურებს დღევანდელი გადმოსახედიდან გულდასმით განხილვას. ბლეიკი საუბრობდა მეცნიერის გულგრილობაზე ყოველივე იმის მიმართ, რისი განმარტებაც მეცნიერებისათვის ხელმისაწვდომი საშუალებებით შეუძლებელია და ამის საფუძველზე დაჟინებით ამტკიცებდა, რომ მეცნიერული ცოდნა არსებითად შეზღუდული და მუდამ ცალმხრივია. პრობლემა, მისი აზრით, ასე დგას: მეცნიერული ცოდნა მცდარი კი არა, არასრულია. ეჭვი არ არის, სურათზე ნიუტონის მიერ ჩატარებული აზომვები სწორია, მაგრამ ძალზე ბევრ რამეს არ ითვალისწინებს, ამას კი იმ მოვლენასთან მივყავართ, რასაც ჩვენი დროის მეცნიერი, ევოლუციის მკვლევარი უენდი უილერი „თანამედროვეობის ჩიხს“ უწოდებს, — შედეგი თანამედროვე მატერიალიზმის რედუქციონალისტური ხასიათისა და კაცობრიობის ფარგლებს გარეთ არსებული სინამდვილის უსულო, უპიროვნო და საკუთარი აზრის არმქონე სინამდვილედ მიჩნევისა. ქეროლაინ მერჩანტის თქმით, მეჩვიდმეტე საუკუნის მეცნიერებამ მართლაც დიდი წვლილი შეიტანა „ჩვენი დროის ყველაზე მწვავე ეკოლოგიურ და სოციალურ პრობლემებში“, საერთო ჯამში კი იმაში, რასაც ეს ავტორი „ბუნების სიკვდილს“ უწოდებს. მერჩანტი ამტკიცებს: „მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებში ჩამოყალიბებული „მეცნიერული რევოლუციის“ იდეა დასავლური კულტურის ბევრად უფრო მასშტაბური ტენდეციის ნაწილია, რომელმაც მეცნიერების, ტექნოლოგიისა და კაპიტალიზმის ძალები

ბუნების „სამართავად“ გამოიყენა, — ტენდენცია, რომელშიც დასავლეთის ადამიანთა უმრავლესობა გაუცნობიერებლად იქნა ჩათრეული და რომლის ფარგლებშიც ყველანი პროგრესის გამოგონილი სიუჟეტის პერსონაჟები ვართ“. მერჩანტი, პირველყოვლისა, ბეკონის მიერ გამოყენებული რიტორიკის მაგალითზე ამტკიცებს, რომ მექანიკურ მეცნიერებას ბუნების ოდენ გამოყენება კი არა, — მისი წამება აქვს მიზნად.



ინსტრუმენტულ რაციონა

ლიზმზე დამყარებული მეცნიერება ბრმა და ყრუა ბუნების ყველაზე ცოცხალი მნიშვნელობების მიმართ, რაც აფერხებს დიალოგს და აღრმავებს ბზარს, გავრცელებული თვალსაზრისით, ეგრეთ წოდებულ „ზუსტ მეცნიერებებსა“ და ხელოვნების გასულიერებულ განზომილებას შორის. ზოგჯერ „ორ კულტურად“ წოდებული ეს უფსკრული კაცობრიობის ცოდნის განვითარების გზაზე უდიდეს დაბრკოლებად გვევლინება. აუცილებელია ცოდნის შეძენის სრულიად ახალი, ინტეგრალური გზების ძიება, თუკი არ გვსურს, რომ ჩვენი პლანეტა „ადამიანს შეეწიროს“, როგორც ლაკონიურად ჩამოაყალიბა პოეტმა ბრენდა ჰილმენმა. ტექნიკურ და ჰუმანიტარულ სფეროებს შორის უფსკრულის გადალახვის აუცილებლობა უკვე ფართოდაა აღიარებული: თანამედროვე მეცნიერება სულ უფრო ხშირად და უფრო დიდი მასშტაბით აწყდება რედუქციონალისტური პარადიგმის ფარგლებს და ცხადად აღიქვამს საკუთარ გნოსეოლოგიურ შეზღუდულობას.

მიუხედავად ამისა, „მესამე კულტურის“ შექმნის ყველა მცდელობისას უპირატესობა დღემდე კვლავაც მეცნიერებას ეძლეოდა, და არა ხელოვნებას, ინსტრუმენტული საწყისი კი კვლავაც წინ უსწრებს წარმოსახვას. ამით პარადოქსულად მყარდება „დასავლური კულტურის მთავარი ნარატივი“, რომელიც მუდამ ხაზს უსვამს ადამიანის უპირატესობას და დედამიწის მაცხოვრებლებს შორის უპირველეს ადგილას აყენებს კაცობრიობის — პირველ რიგში კი ჯანსაღი, ჰეტეროსექსუალი, თეთრკანიანი მამრის — ინტერესებს. ამ ნაშრომის მიზნია, მოვახდინოთ დისტანცირება მესამე კულტურის მიღებული კონცეფციისაგან და ახალი აზროვნებისა და ცხოვრების ოპტიმალურ საწინდრად წარმოვადგინოთ **ეკოპოეტიკა**, როგორც ინტეგრალური პრაქტიკა (ბერძნული „oikos“ — „მეურნეობა“ და „poiēsis“ — „კეთება“), რომელიც უნდა გავიგოთ, როგორც პლანეტა დედამიწაზე — და თავის მხრივ, უფრო ვრცელი კოსმოსის ნაწილზე — ცხოვრების პრაქტიკა.

ეკოპოეტიკის პრაქტიკა პოეზიის წერასა და კითხვას უკავშირდება, თუმცა ამით არ შემოიფარგლება. ამგვარად, ეს წერილიც, გარკვეულწილად, „პოეზიის გამართლებაა“, იმის მტკიცება, რომ პოეზიას შეუძლია იყოს ცოდნისა და სიბრძნის წყაროც და ცოცხალი შემოქმედებითი ძალაც. ჩვენი ღრმა რწმენით, პოეზია განხორციელებული წარმოსახვაა. თუკი კვლავ ბრენდა ჰილტონს მოვიშველიებთ, „პოეზია საშუალებას აძლევს გონებას, ყოველი არსის გაუცხოება დაძლიოს და მასთან ცოცხალი კონტაქტი დაამყაროს. პოეზია საშუალებას გვაძლევს, განვიცადოთ და ერთმანეთს გავუზიაროთ უმძაფრესი გამონათების წარუვალი მომენტები. თანამედროვე კულტურის სკოპოცენტრიზმის საწინააღმდეგოდ, პოეზია



სმენის განცდაზეა კომცენტრირებული. გალიციური წარმოშობის ნიუ-იორკელი პოეტის, ჯუდ ტელერის ეს ლექსიც ჟღერადობაზე აგებული ფილოსოფიური და, ამავდროულად, ირონიული, ურბანულ-პასტორალური პოეზიის მრავალრიცხოვან ნიმუშთაგან ერთ-ერთია:

*„ყურები, გაფაციცებული ძაღლებივით და  
ვარსკვლავებივით,  
გესმის შორი თლაშუნი  
სიტყვებს შორის.  
სხეული ბებერებით იფარება.  
ხეებს და ფანჯრის მინებს თრთვილი ფარავს.“*

ლექსის დასაწყისში „ყურების“ ხსენება იმაზე მიგვანიშნებს, რომ პოეზიისათვის სმენის უნარს არსებითი მნიშვნელობა აქვს. ეს მოგვაგონებს ფორესტ გენდერის რომანის „როგორც მეგობარი“ პერსონაჟი პოეტის სიტყვებს: „არა მგონია, პოეტები საერთო რამეს ამბობდნენ... პოეზია ისმენს“. ტელერის ლექსის თემაც სწორედ ეს გახლავთ. ყურები თავინთი გაფაციცებულობის წყალობით, ძაღლებთან და ვარსკვლავებთანაა შედარებული. ლექსში გამოთქმულია შეხედულება, რომ კაცობრიობასა და ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებას შორის მყარი კავშირი არსებობს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ადამიანიც და სხვა ცოცხალი არსებებიც აქტიურად აგებენ პასუხს იმ გარემოზე, სადაც ცხოვრობენ. პირველი პნკარის წაკითხვისას თვალწინ წარმოგვიდგება კონკრეტული სახე: ხმაურისას ყურებდაცქვეტილი ძაღლი და უფრო აბსტრაქტული სახეც: ვარსკვლავები. შესაძლოა, ვარსკვლავები კოსმიურ სივრცეს „აყურადებენ“. იქნებ ღამეულ ცაზე მათი დიდებული გამოჩენა მშვიდ ყურისგდებასა და მოთმინებასთან ასოციაციას გვიქმნის. ამასთან, საგულისხმოა, რომ ლექსის ორიგინალის ენაზე —

იდიშზე, სიტყვა „ყურები“ „ვარსკვლავებს“ ერითმება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყურებსა და ვარსკვლავებს შორის კავშირი რომ დავაფიქსიროთ, აუცილებელია ლექსი *მოვისმინოთ*.

ლექსში ნახსენები ხმა, „შორი თლაშუნი“, სიტყვა კი არა, უფრო „სიტყვებს შორის“ გაჟღერებული მოუხელთებელი ბგერებია, რომლის ადრესატიც — სხეული — შესაძლოა, სწორედ ამის პასუხად, „ბებერებით იფარება“. კანის დაბებრვა მტანჯველი პროცესია, რომელიც იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ მიერ გაგონილი მუდამ მანუგეშებელი და დამამშვიდებელი არ არის. „სიტყვებს შორისი“ ბგერები შეიძლება დამთრგუნველიც იყოს, როგორც „ტაძრის ზარების დვრინი“ ემილი დიკინსონის ლექსში:

*„მზის ირიბი სხივები,  
სევდა ზამთრის დღეების.  
გულზე განევს, გამძიმებს  
დვრინი ტაძრის ზარების“.*

გარემოსთან მჭიდროდ გადახლათული ცოცხალი ბუნების ნაწილად ყოფნა მუდამ როდია სასიხარულო. თუნდაც იმიტომ, რომ სიცოცხლე სიკვდილსა და ხრწნასაც გულიხმობს. ეკოლოგიური პოეზია არ უნდა გავიგოთ, როგორც ბუნების ცალსახა ხობა თუ ადამიანის ბუნებაზე დამოკიდებულების მტკიცება. ეს პოეზია უფრო ყურისგდების ხელოვნებაა.

პოეზია — ნებისმიერი სახის — როგორც ენასთან ფაქიზი მოპყრობის ხელოვნება, გვასწავლის, ყურადღება მივაქციოთ სიტყვებს, წინადადებებს, სახეებს, სიტყვებს შორის წარმოქმნილ ბგერებსა და მეტაფორებს — უილერის სიტყვებით, მეტაფორა „ყველა მეცნიერებისა და

ხელოვნების შემოქმედებითი საწყისის ერთ-ერთი ძრავაა“ და, ამავდროულად, ზოგიერთი ბიოლოგის აზრით, ევოლუციის სიღრმისეული მამოძრავებელი ძალაცაა. პოეზია, განსაკუთრებით კი ექსპერიმენტული პოეზია, რომელიც გამოხატვის ახალ საშუალებებს ეძებს, მნიშვნელობათა საზღვრებს აფართოებს, წინ აღუდგება ენის კლიშეებად გაქვავებას, რის შედეგადაც უფრო გაფაციცებულნი ვხდებით. გაღრმავებული ლინგვისტური ყურადღება — მეტი *გაფაციცებულობა!* — წარმოშობს უფრო საფუძვლიანი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის შესაძლებლობას და ადეკვატური ქმედებებისათვის მეტ თავისუფლებას იძლევა.

აგრეთვე, პოეზია გვიბიძგებს, უბრალოდ, მეტი ყურადღებით დავაკვირდეთ ადამიანური სინამდვილის გარეთ არსებულ სამყაროს. ბუნება მუდამ წარმოადგენდა პოეზიის ერთ-ერთ წამყვან თემას და შეიძლება, ურიცხვი მაგალითი მოვიყვანოთ იმისა, რომ ყველა ეპოქის პოეტები გამუდმებით ასხამდნენ ხოტბას და ღრმა ემოციით მოიხსენიებდნენ მცენარეებს, ცხოველებს, ლანდშაფტებს. ამის კლასიკური მაგალითი გახლავთ ბლეიკის „უმნიკვლოების საგალობლები“ მათი ცნობილი გაფრთხილებით: „ძალღი, პატრონის კართან შიმშილით სულამოხდილი, ქვეყნის დაცემის უტყუარი ნიშანი არის“. ხოლო გალიაში დამწყვდეული ავაზას სახე, რომელიც რაინერ მარია რიკლემ დაგვიხატა, შეშფოთებით გვავესებს:

გვერდზე გაუვლის  
*გისოსებს და მის დაღლილ მზერას*  
*ამ გისოსების მოღანდება აღარ ასვენებს.*  
*ეჩვენება, რომ ათასობით გისოსი სერავს*  
*და იმათ მიღმა სხვა სამყარო აღარ არსებობს.*

მოხდენილად და რბილად ადგამს ძლიერ ნაბიჯებს, წრებზე ტრიალებს, წრე მცირდება და ვინროვდება, თითქოს როკავს და ამოუხსნელ ძალას ანიჭებს ბარდაცემული, წრის შუაში ჩამდგარი ნება.

და მხოლოდ ზოგჯერ, აინევა უხმოდ და მალვით ქუთუთოს ფარდა — სურათს მაშინ აღიქვამს თვალი, და კიდურების დაძაბული სიმშვიდის გავლით გულის სიღრმეში იკარგება თანდათან კვალი.[\[3\]](#)

რილკეს ლექსის ძრწოლისმომგვრელი ძალა იმით აიხსნება, რომ ის ცხოველს არამხოლოდ მგრძნობელ, არამედ ისეთ არსებადაც წარმოგვიდგენს, რომელსაც საკუთარი სამყარო აქვს. ამ თვალსაზრისით, უკიდურესი სისასტიკეა იმის ფიქრი, რომ მხოლოდ ადამიანს ძალუძს საკუთარ გარემოსთან გააზრებული თანაცხოვრება, ყველა სხვა არსებას კი კუთვნილი სამყარო არ გააჩნია. ამგვარად დამცირებული ველური ბუნება („დიადი ნება“) მართლაც გულისმომთუთქველი სანახავია. ლექსი ცოცხლად წარმოგვიდგენს დამწყვედულ მხეცს (ავაზას მხოლოდ სხეული კი არა, მისი სული, მბერა და გულიც გალიაშია გამოკეტილი) და უშუალოდ მიმართავს მკითხველის ისეთ ფუნდამენტურ გრძნობებს, როგორცაა შიში და თანაგრძნობა. ლექსის თანაბარი რიტმული პროსოდია გალიის ფორმასთან ასოციაციას ბადებს. ამ შთაბეჭდილებას სიტყვა „გისოსების“ გამეორება კიდევ უფრო აძლიერებს.

თანამედროვე პოეზიაში გარემოს განადგურების პრობლემებისა და (პასტორალური) ბუნების ქრობის თემატიზირება წინა პლანზე გამოდის. თუკი გარემოს კრიზისი მართლაც „წარმოსახვის კრიზისია“, როგორც ამას ლორენს ბიუელი და ეკოკრიტიციზმის სხვა

წარმომადგენლები ამტკიცებენ, მაშინ ჩვენი ინდივიდუალური და კოლექტიური წარმოსახვა სასწრაფოდ მისახედი გვექონია. უნდა მოვახერხოთ სააზროვნო შაბლონების დამსხვრევა, რათა ისეთი მომავალი შევიქმნათ, ადამიანურისაგან განსხვავებულ სინამდვილესთან ჭეშმარიტად სიღრმისეული შეხვედრიდან ორგანულად რომ ამოიზრდება და ჟაკ დერიდას l'avenir-ს უფრო მეტად დაემთხვევა, ვიდრე ქრონოლოგიური სწორხაზოვნებით აღბეჭდილ le future-ს. აუცილებელია, შევიგრძნოთ უმჭიდროესი კავშირი ადამიანებისა როგორც ერთმანეთთან, ისე მთელ ბუნებასთან და ამის საფუძველზე მეტი პასუხისმგებლობითა და თანაგრძნობით განვიმსჭვალეთ. პოეზია კი ცოდნისაკენ ისეთი გზაა, სამყაროსთან უფრო ფაქიზი და ემოციური თანაცხოვრებისათვის რომ გვამზადებს.

სწორედ ამიტომ, ეკოპოეტიკა დაბეჭდილი ფურცლით არ ამოიწურება. პოეზიის წერა და კითხვა აუცილებელი აქტივობებია, მაგრამ ისინი „poiēsis“-ის სხვა, ადამიანურ და არამხოლოდ ადამიანურ ფორმებზე უფრო მნიშველოვანი არ არის. ჩვენი მიზანია, გავაფართოოთ *პოეტიკის* ცნების ჩარჩოები და მასში ჩვენი ცხოვრების, ჩვენი „მეურნეობის“ სხვა სფეროებიც მოვაქციოთ. ჩვენ მიერ გამოცხადებული ეკოპოეტიკა ცხოვრების სტილია, რომელიც ორად გაყოფილი ადამიანური მგრძნობელობის (პოეტურისა და მეცნიერულის) გაერთიანებისკენაა მისწრაფული. როგორც ბიოსემიოტიკა გვასწავლის, სიცოცხლე შეიძლება გახდეს სემიოზისის (მნიშვნელობის წარმოქმნისა და მისი ინტერპრეტაციის) საგანი, რაც ყველაზე ძირეული მატერიალური სტრუქტურების დონეზე ხდება. უილერის თქმით, მატერია „პასიური სუბსტრატი კი არა, *საზრისით*

დატვირთული სარბიელია“. „საზრისით დატვირთულობის“ ფენომენი სწორედ ჩვენ ძირითად იდეას ეხმარება: თუკი მატერიას სემიოტიკური კუთხით შევხედავთ, მაშინ ენა უეჭველად მატერიალურია.

სწორედ ენის მატერიალურობა გახლავთ თემა გერი სნაიდერის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლექსისა „Riprap“ („ქვათა ყრილი“). ლექსი იწყება გამონკვევით, რომელიც, შესაძლოა, მკითხველისადმი მიმართული:

*„ძირს დაუშვით ეს სიტყვები  
თქვენი გონების წინაშე ლოდებივით,  
მყარად დააწყვეთ, ხელის შეხებით  
შეარჩიეთ ფრთხილად ადგილი,  
გონების სხეულის წინაშე  
სივრცესა და დროში...“*

ლექსში სიტყვები ლოდებთანაა გაიგივებული; ეს, შესაძლოა, ის ლოდებიც აღმოჩნდეს, რომლებიც ფეხის დასაბიჯებლად გამოგვადგება, რათა ჩვენს გზაზე წინ წავინით. ეს ლექსი ერთგვარ მეტარეალობას როდი მიეკუთვნება, ის არ მოგვითხრობს „ირმის ნახტომის“, „მოხეტიალე პლანეტების“, ანდა „მყარად გაკვალული გზების“ შესახებ, რომლებიც მომდევნო სტროფშია ნახსენები, ის ამ საგნებსა და ფენომენებთან თანაბარი უფლებებით სარგებლობს, ისიც ამ ცოცხალი კავშირებით დაქსელილი სამყაროს ერთ-ერთი ნაწილია.

პოეზიის მატერიალური საგნობრიობის თემა ლექსში „შრომა“ ძალზე ლაკონურად აქვს გადმოცემული ლიტვური წარმოშობის ამერიკელ პოეტს, მენკე კაცს, რომლის პოეზიის მისტიკურ-ეროტიკული მოტივები იმის მიზეზი გახდა, რომ პირველი პოეტური კრებულის „სამი და“ გამოქვეყნების შემდეგ ის იდიშ-ენოვანი პოეტების

მემარცხენე გაერთიანება „პროლეტპენიდან“ განდევნეს. „შრომა“ ერთგვარი მედიტაციაა ადამიანის ხელების ფიზიკური საქმიანობისა და იმის თაობაზე, თუ როგორ ძალუძს ინდუსტრიას მატერიის გარდასახვა:

*„ისმინე, როგორ მეტყველებს ხერხი,  
მშენებელს ესმის მისი ენა,  
ადამიანებს სიმაღლეზე გაჰყავთ გზები, —  
კლდის სატეხები გაჰკვივიან და ღრჭიალებენ,  
ადამიანები ჭედავენ  
ცოცხალ ხელებს რკინისგან,  
ფოლადის კბილები  
მთელ კედლებს ღეჭენ.  
ნაპერნკლები ცეკვავენ,  
უროები უკრავენ ტაშს ხელებივით.“*

ლექსში ადამიანის მიერ შექმნილი ხელსაწყოები არამხოლოდ ცოცხალია, არამედ მეტყველიც. ხერხი „მეტყველებს“, თანაც გააზრებულად. მშენებლის პროფესიონალურ უნარებში შედის, გარკვეულწილად მაინც, ხერხის ენის გაგება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელსაწყო, თავისი „მთრთოლავი მატერიალურობით“ (თუკი ჯეინ ბენეტის ფრაზას მოვიშველიებთ), მხოლოდ ინსტრუმენტი არ არის; ის თავისთავადი ფაქტორია. შესაბამისად, ხელსაწყოები სხეულის ნაწილებთანაა შედარებული: „რკინისაგან გამოჭედილი“ ხელები, კედლის მღრღნელი „კბილები“, უროები, რომლებიც „ხელებივით უკრავენ ტაშს“. ეს მოგვაგონებს ზიგმუნდ ფროიდის განსჯას ტექნოლოგიასთან დაკავშირებით თხზულებაში — „ცივილიზაცია და მისი სიმძიმე“, სადაც ფსიქოანალიზის ფუძემდებელმა ადამიანი „პროსტატიტით დაავადებულ ღმერთს“ შეადარა. ფროიდის მტკიცებით, ადამიანები ხელსაწყოების საშუალებით სხეულების

მოცულობას იზრდებიან, რის ხარჯზეც თავს ერთობ სასაცილო ღვთაებებად აქცევენ, რომლებსაც უჭირთ საკუთარი გაზრდილი კიბორგისებრი სხეულების მართვა. მენკეს გარკვეულწილად სხვაგვარად ესმის ტექნოლოგია (ყოველ შემთხვევაში, მისი ზოგიერთი სფერო). მისთვის „შრომა“ ადამიანისა და მისი ხელსაწყოების თანამშრომლობის შედეგია.

რადგანაც ეკოპოეტიკა და ეკოკრიტიციზმი ინტერდისციპლინარულ მცდელობებს შეადგენს, გვსურს, ზოგადად მოვხაზოთ მესამე კულტურის კონცეფციის ისტორია. აუცილებელია, ჩავიხედოთ იმ კონცეფციის მიღმა, რადაც დღესდღეობით წარმოგვიდგენენ მესამე კულტურას მისი მესვეურები, რადგან თავისი არსებული ფორმით ის ზუსტ მეცნიერებებს უპირატესობას ანიჭებს ჰუმანიტარულთან შედარებით. ჩვენი აზრით, აუცილებელია ამ საწყისთა განონასწორება, რადგან, როგორც ტიმოთი მორტონი ამტკიცებს ობიექტზე ორიენტირებული ონტოლოგიის პოზიციიდან, „ხელოვნება სინამდვილის ერთფეროვან ნამცხვარზე მოყრილი კარამელის ნამცეცები კი არა, რეალურად არებულ მიზეზებსა და შედეგებზე საექსპერიმენტოდ მოწყობილი სახელოსნოა“. ხელოვნების შესწავლა ნიშნავს იმის შესწავლას, თუ როგორ მოქმედებს თვით რეალობა. ჩვენ ვცდილობთ, მეცნიერებისა და პოეზიისათვის საერთო სამოქმედო სივრცე მოვძებნოთ. კვლავაც ვუბრუნდებით წარმოსახვას ისევე, როგორც მის ძირეულ ფორმას — მეტაფორას. როგორც პოეზია, ისე მეცნიერებაც ახალ-ახალი მეტაფორების წყალობით ვითარდება, ხოლო სტატიკური და მოძველებული ენა და დოგმები ორივეს აზიანებს. თუკი განვიხილავთ მეტაფორას, როგორც ბუნებისა და კულტურის ბინარული ოპოზიციის გამიჯნვის



საშუალებას, უნდა ვაღიაროთ, რომ ენა ბუნებრივი ფენომენია, თუმცა ეს რადიკალურად ეწინააღმდეგება გავრცელებულ თვალსაზრისს, რომ ენა ადამიანური სინამდვილის დანარჩენი სამყაროსაგან გამასხვავებელ კრიტერიუმს წარმოადგენს.

ნათქვამის ფონზე ამ ნაშრომში განვიხილავთ თანამედროვე პოეზიის ნიმუშებს, სადაც ეკოლოგია თემის სახითაა მოცემული. ჩვენ მოსაზრებებს ძირითადად ინგლისურენოვანი პოეზიითა და კრიტიკით ვასაბუთებთ, რაკილა ეკოკრიტიციზმსაც და ეკოპოეტიკასაც სწორედ ამ ენობრივ სფეროში ჩაეყარა საფუძველი. თუმცა, ეკოპოეტიკური სპექტრის გასამდიდრებლად შემოგვაქვს ესპანური და პოლონური პოეზიის ნიმუშებიც, რაკი ეკოკრიტიციზმის ტენდენცია მულტიკულტურულ ხასიათს ატარებს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიერ განხილული პოეზიის ნიმუშებიდან უმრავლესობა ადამიანური სამყაროს ფარგლებს გარეთ არსებული სინამდვილის თემატიზირებას ახდენს, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ეკოლოგიური პოეზიის მთავარი იმპულსი დიდაქტიკაა. მაგალითისათვის, ტელერის, დიკინსონის, სნაიდერის და მენკეს ჩვენ მიერ უკვე ციტირებული ლექსები სრულიად არაფერს გვეუბნება ბუნების დაცვის შესახებ, თუმცა ისინი, შეიძლება, ეკოლოგიური თვალითაც წავიკითხოთ. ჩვენი მიზანია, ყურადღება შევაჩეროთ პოეტიკის საკითხებზე, ანდა იმაზე, „თუ როგორ ასრულებს ენა ეკოლოგიურ სამუშაოს“.

ის თანამედროვე ლექსები, რომლებიც შეიძლება დროებით განვსაზღვროთ, როგორც ეკოლოგიური (უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მხოლოდ დროებითი, სტრატეგიული დაშვებაა), წინა ეპოქებისაგან განხვავებით, აღარ

განიხილავს ბუნებას, როგორც თავისთავად მოცემულობას. ამ ლექსებს თვითონვე ცხადად აქვთ გააზრებული ის, რომ მათ ბუნების ანთროპომორფიზაციის მიდრეკილება ახასიათებთ; ეს ლექსები წარმოადგენს განსჯას ადამიანსა და დანარჩენ სამყაროს შორის ურთიერთობაზე, უკვირდება იმას, თუ როგორ უთავსდება ერთმანეთს ერთ გვერდზე მოქცეული სიტყვები, ასევე სიტყვები და საგნები, მატერია და საზრისი. ცხადი ხდება, რომ „ეკოლოგიური შემოქმედება (წერა, ხატვა, მოაზრება, სცენაზე თამაში) ღიაობაში, მაშასადამე, მოწყვლადობაში შენებას გულისხმობს“.

საკუთარ მოწყვლადობასთან მორიგება-მოლაპარაკება სულაც არ არის ადვილი, რადგან ჩვენი ეგო ამას უძლიერესად ეწინააღმდეგება. მაგრამ მხოლოდ ხორციელი არსებობის სასრულობის აღიარება საშუალებას მოგვცემს, დავაფასოთ „ამნუთიერი“ მის სწრაფვაში, თუკი მოვიშველიებთ მარჯვე ფორმულას მარია ბარანდას ლექსიდან „აბსოლუტური სინათლის მდებლობე მიმდინარე კომმარი“, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნის ესპანური ბაროკოს პოეტთან, დედა ხუანა ინეს დე ლა კრუბთან დიალოგის ფორმითაა დაწერილი და ამგვარად გრძელდება:

*[...] უფრო მეუ ბაგეთა შორის,  
ოდეს თევზები,  
როგორც შენა თქვი, ორგზის  
მუნჯნი, სახლობდნენ  
მუდამ მღვიმეში,  
მზე წამოიწყებს  
შეურიგებელ  
ბრძოლას  
წყვდიადის შესამუსრავად [...]*

ადამიანურის მიღმა არსებული სინამდვილე აქ  
თევზებითაა წარმოდგენილი (გამოთქმა „ორგზის მუნჯნი“  
პირდაპირი მინიშნებაა დედა ხუანას ლექსზე „ზმანება“) და  
ეს სინამდვილე აქ სიზმარეული წყვდიადითაა შებურვილი.  
ჩვენი გადასახედიდან თევზები უბრალოდ კი არა, „ორგზის  
მუნჯნი“ არიან და ჩვენ მზად ვართ, პაქტი დავდოთ  
მზესთან, რომელიც ნათელის დასამკვიდრებლად  
„წყვდიადთან შეურიგებელ ბრძოლას წამოიწყებს“. ის  
„წყვდიადი“, სადაც თევზები ცხოვრობენ, ჩვენთვის  
მიუწვდომელია, თუკი წამიერ, ელვისებრ კაშკაშა  
ზმანებებს არ ჩავთვლით.

# მაგდალენა ქეი — იულია ფიედორჩუკის „ჟანგბადი“

თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

ავტორი: იულია ფიედორჩუკი

მთარგმნელი: ბილ ჯონსტონი

ბრუკლინი, მასაჩუსეტსი. „ზეფირ პრესი“. 2017. 110 გვერდი



„ჟანგ  
ბადი  
“  
იული  
ა  
ფიედ  
ორჩუ  
კის  
ლექს  
ების

მოკრძალებული კრებულია — მას „რჩეულ ლექსებსაც“ კი ვერ ვუნოდებთ — რომელიც შეიძლება სამ თემატურ კატეგორიად დავყოთ: „ქვეყნები და ოკეანეები“, „ლიტერატურული ავტობიოგრაფია“ და „ფსალმუნები ქმნადობის პროცესში“. თითოეული ეს კატეგორია სხვებისაგან არსებითად განხვავდება და პოეტის შემოქმედების სრულიად განხვავებულ სტილს წარმოგვიჩენს. ამგვარი დაყოფა მოწმობს იულია ფიედორჩუკის პოეზიის მრავალფეროვნებასა და ფართო დიაპაზონზე და, ამავდროულად, მის უნიკალურობასაც ცხადყოფს. იულია ფიედორჩუკის ლექსი უაღრესად მეტაფორული და იმაჟისტურია და შეგნებულად დახვეწილი სტილით გამოირჩევა. ფიედორჩუკი

თავისუფლად მოძრაობს ოთხივე ელემენტში, არც მათ მასას უფროთხის და არც კოსმიურ მასშტაბებს. ის თავს არიდებს აბსტრაქციას იმდენად, რამდენადაც ფიზიკურ სამყაროზე ახერხებს კონცენტრირებას, მისი მზერა ვარსკვლავებსაც სწვდება და ოკეანის სიღრმესაც, რაც, შეიძლება, ერთ-ერთი მიზეზი იყოს იმისა, რომ მას ეკოპოეტი უწოდეს. გარე სამყარო, შესაძლოა, მართლაც იყოს ამ პოეზიის უმნიშვნელოვანესი ელემენტი. თუმცა მას მორალისტურს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ და არც ბუნებით გადამეტებული ალტაცებითაა ნასაზრდოები.

ფიედორჩუკი მეტაფიზიკურ ლექსს წერს, რომელიც ფსიქოლოგიის, ასტრონომიის, ბიოლოგიისა და ლიტერატურული კრიტიკის ცოდნითაა განმსჭვალული. აკადემიური ენა მისთვის მეტაფორული თამაშის წყაროს წარმოადგენს: „ასიმილაცია და დისიმილაცია“ მატერიის მეტ-ნაკლებად რთულ ნაწილებად დაშლას წარატლავს, მაგრამ ეს, ამავე დროს, წელიწადის დროთა ცვლის ერთგვარი შეჯამების რიტმულ-მელოდიური და ნატიფად ირონიული საშუალებაც გახლავთ. ფიედორჩუკი ხან მკვლევარია, ხანაც ქურუმი, მას ზოგჯერ დიდ სიამოვნებას ანიჭებს დანახული სცენის განგებ გართულება. მისმა მეტაფორულმა თამაშმა შეიძლება თავგზაც კი აგვიბნოს, მაგრამ არასოდეს გვიჩნება იმის განცდა, თითქოს ავტორი თავის ცოდნით თავს გვამეტებდეს, ანდა ისეთ ინტელექტუალურ თამაშს ეწევა, რომლიდანაც გამარჯვებული მუდამ თვითონ გამოვა. ამ ლექსების ერთ-ერთი საიდუმლო სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მათში გადალახულია როგორც ლირიკული პირველი პირის აბეზარობა, ისევე ცივი უპიროვნებაც. პოეტი რალაცნაირად ახერხებს, ლექსში იყოს და თან არც იყოს, მოკრძალებულად მიგვანიშნებს საკუთარ თავზე და,

ამავდროულად, ლირიკულ სივრცეში დიდ ადგილს არ იკავებს. ის ლექსებიც კი, სადაც საკუთარ თავსა და ყოველდღიურობაზე მოგვითხრობს, აღსარების კილოსა თუ ეგოიზმისაგან შორსაა. ამაში ის ჰგავს ვისლავა შიმბორსკას, რომლის ლირიკული „მე“-ც ასევე თავმდაბლად იმალება და უარს ამბობს, ლექსში ცენტრალური ადგილი დაიკავოს.

ბილ ჯონსტონმა ეს პოეზია ერთგულად და დიდი მოწინებით გვითარგმნა. უეჭველად მოსაწონია ის, რომ მან უზუსტესად გადმოიტანა ლექსების ინდივიდუალური ჟღერადობაც და მათი შინაარსიც. ფიედორჩუკის ბგერული თამაში მისი შემოქმედების მართლაც საოცარი თავისებურებაა და წინამდებარე თარგმანებიც ინგლისურენოვან მკითხველს საშუალებას აძლევს, სრულად შეაფასოს ამ პოეტის სიღრმეც და სიმსუბუქეც, მისი განსჯითი სიმშვიდეც და დრამატული დინამიურობაც. სწორედ ეს გვაძლევს მომავალში კიდევ მეტი იმედს.

## 2. პოეზია

ღია სტრუქტურა



## სიყვარულის მცდელობა

როცა კლდოვანი მკერდის ილუზია  
ნახევარ ცხოვრებას შეჭამს,  
რაც დარჩება, დღეებით კი არ იზომება,  
მენამულობით, სალექსო ფორმაზე მორგების ხარისხით.  
ამ ესთეტიკით ეყრდნობოდი, თუ რეალური ძვლებით?  
კლდე ბუნებაა, ამღებია იმის,  
რასაც სთავაზობ,  
ისე როგორ უნდა გიყვარდეს,  
რომ ხერხემალი გაიმრუდო?  
არც შეეცოდები, არც სიტყვების  
კორიანტელს დააყენებს,  
ქარმა ზედ რომ შეგახეთქოს,  
შენი სისხლით გამოიხედავს,  
ქვა მაინც ქვაა, პირდაპირ ფიქრობს,  
მოსახვევებში ვერ ჩაენერება,  
შენი მოქნილობა არ აქვს, არც მანქანების,  
ერთმანეთს რომ შეასკდებით,  
თუ გადარჩი, კედლების ჩარჩო გელოდება,  
თუ არა — სურათის, საფლავის, ბოლოსდაბოლოს...  
რა გინდა მიწაში? კრემატორიუმი ითხოვე  
მეზობელი ქვეყნისგან და ისევ კლდესთან!  
სიპი, სალი, პიტალო —  
ეპითეტები ღარიბი, მაგრამ ნათესავი,  
სისხლით როცა ამშვენებ, ლამის, აღმოდებული გოთიკა!  
თვალთ კი მოერგები, ღვიძლით ვერა,  
ვერც ეროვნული პილპილით,  
მითუმეტეს, ღუმელიდან ამოსული ნაცრით,  
რომლის სავალდებულო პროგრამაში  
პათოსი არ შედის

აბა, რაზე დგას კლდოვანი მკერდი?  
ძახილის ნიშნებზე შენი ლიტერატურული  
წარსულიდან? რა სიბრმავეა!  
როცა ხავსი გინდა იყო მის ფეხებთან  
დაბალი, შეუხედავი, მაგრამ შესაბამისი...

**\* \* \* (ტყემალი ჰყვავის...)**

ტყემალი ჰყვავის  
ქარის მოტანილი თეთრი საფეთქლები  
გახსოვს?  
ღია კარების წახნაგები,  
როცა მოდიოდი და ორი ხელის  
ათივე სხივით მარწმუნებდი,  
რომ სინათლეში ხარ? როგორ?  
ჰორიზონტის და მიწის კვეთაზე  
ადგილი ამოიკანრე?  
მართი კუთხე თვითონაც ფრჩხილებიანია,  
უნივთობასაც თავისი მარგინალები ჰყავს...  
ჩემი ყვირილი დანეკრობებულ ურთიერთობებზე  
გესმის?  
ნუ მიმითითებენ სამაგალითო ადამიანზე!  
სწორება ხეზეც შეიძლება და ბალახზეც  
არამართო მაგალითების ტომარაზე...  
მითხარი, ცაზე როგორ დადიხარ?  
ზმნას ვინ გაძლევს? ღმერთი,  
რომელიც გამოიგონე, თუ სულ იყო?  
სიყვარულიც სულ იყო, მაგრამ  
ერთხელ ხომ გამოიგონე, სახელი მიეცი!  
ტყემალი ჰყვავის...  
ქარის მოტანილი თეთრი საფეთქლები  
გახსოვს?

**\* \* \* (ამინდი უჟმური, მაგრამ ქვეტექსტში...)**

ამინდი უჟმური, მაგრამ ქვეტექსტში  
ორ-ორი მზე, ოთხი მთვარე...  
მზეს ცხელი რადიატორები ადასტურებენ,  
მთვარეს — რძე და შინაგანი მგელი...  
უმიზეზო სიხარული ამისგან,  
დანყობილი სახეების მელოდია,  
აქეთ-იქიდან შემოშენებული რითმებით,  
რომელიც გინდა დაგირღვევია,  
გინდა პურზე ფასი აგინევია  
და თუ შუაში ცხვირი ამოგდის  
კეხიანი, უჯიშო ბუჩქივით,  
ვინაობას კი ამძაფრებს,  
ამას რას უბამ?  
გახსოვს ეკლესია, უპატრონო,  
პროპორცია დანგრეული,  
ნაკლული ადგილებიდან კიდევ  
ბალახი რომ ამოსდიოდა  
რა არის ეს ბალახი?  
მინდვრის უკმარისობა, თუ კაუჭი გულზე?  
ბუჩქივით ცხვირით და დაგრეხილი სინტაქსით  
ვინაობას კი იმძაფრებს, რითმას ამბობ,  
მნათობების სიმბოლიკას თავში ინახავ,  
წესით, ყველაფერი უნდა გამოგივიდეს,  
მაგრამ როცა კაუჭი გულზე?

## თავის მოტყუება

ყალბი სიხარული — ილუმინაცია თვალებში  
რისთვის გამიზნული? თავის მოსატყუებლად?  
რას უნთია ეს შუქი?  
შეკითხვებზე უპასუხოებას? ნაღებს გადალახავ,  
მოლურჯო დედა შაქარს თხოულობს  
დიაგნოზის დასატკობად,  
ანუ, ისევ, უპასუხოებისთვის  
ვაშლის ოინი რომ გაიმეორო?  
მისი მატლი უფრო მეტს ამბოს,  
ოჯახურ მურაბას კი აფუჭებს,  
მაგრამ რაღაცის პირისპირ გაყენებს:  
დავინწყებული უშუალობით, შიშით,  
მაგრამ პირისპირ, თუნდაც იმ ეჭვის  
რომ რომელიმე გადალახვის შემდეგ  
(მორიგი წინააღმდეგობის, სერიოზული მთის)  
საკუთარი ტანი აღარ დაგხვდება  
იქ, სადაც დატოვე...  
გადალახვა და შეგუება...  
ეს უკანასკნელი გიბიძგებს, მოკავშირედ გაიხადო  
ოთახი, საფლავი, კუბო —  
მთელი ეს მოძალადე გეომეტრია,  
იქნებ, მიწას ყელზე დაადგე,  
ყველა შეკითხვას წიგნში შეასწრო...  
აქვე არ ცხოვრობ, ბიბლიოთეკასთან  
და სულ ერთი ნაბიჯით  
ჩამორჩები ჭეშმარიტებას...

## ერთ მშვენიერ დღეს

ლეღას

ნუ გადადებ ჩემთან შეხვედრას!  
თორემ კიბებე ტირიფი ჩამომიჯდა  
და ერთ მშვენიერ დღეს ელოდება,  
რომ წამიყვანოს  
ტრადიციას, სვეტებიანს და ოფიციალურს,  
სხვა შიკრიკები ჰყავს:  
დაწერ რამდენიმე ლექსს,  
შინაარსით როგორსაც გინდა, ფორმით — კლიშეს  
და ჩაწერას მოგიხერხებენ ამ არაადეკვატურ  
ქალაქში, პოეტობის საბუთს მოგცემენ.  
ტირიფს ჩემისთანები მიჰყავს:  
იდაყვების, მუხლების, ლავინის ძვლების  
კუთხეები და აღარცერთი სიმრგვალე!  
მრავალკუთხედი,  
რომელსაც წახნაგები სტკივა,  
პირიდან ქვეცნობიერის ნაფლეთები ამოსდის  
და ფორმას აძნელებს, იქნებ, პერფორმანსი?  
რამე ნერვიული კომპოზიცია,  
შუაში მე, გარშემო ცნობისმოყვარეები,  
თითო მნათობით პირში  
განათებული ქვეტექსტი რომ რეკლამისკენ იხრება?  
თუ არა ერთი მშვენიერი დღის კლასიკა,  
როცა ყველაფერი შესაძლებელია:  
შენთან შეხვედრა, ტირიფებთან მიწის გაყოფა,  
სანაგვეზე გადაგდებული საწერი მაგიდის  
აღმოჩენა, რომელსაც მივშტერებივარ,  
როგორც ცას...

## მისტიფიკაცია

ყოველდღე შავი სამუშაო დაუნახავია.  
კვირა საიდან? ცნობიერების ნაკადიდან?  
წიგნებში ჩასატანებლად,  
პატარა, თხელტანიან წიგნებში,  
ტომეულები სხვა აგურით შენდება  
ეს წყეული ნაკადიც უფრო მჩქეფარე  
აქვთ, ვიდრე მდულარე, როცა გამძლეობამ  
და მაღალმა ტემპერატურამ, ჟანრის კანონით,  
უნდა გაისროლოს, თუნდაც,  
ინკუბატორების ჭარბი პროდუქციისკენ,  
ცალობით ნიჭიერება და სიგიჟე იყიდება,  
უფრო სწორად, არ იყიდება,  
თაროებზე დევს, თუ მიწაში —  
სასარგებლო მოსავალს აიძულებენ:  
ლობოს, ხორბლის, ბავშვსაც მოსთხოვდნენ,  
გვერდით რომ კაცის ჩონჩხი ეგულებოდეთ,  
აქედან ამოსვლასაც, კი, შეუძლია,  
ინსტალაციამ შესაბამისი საგნობა ასწავლა,  
ამოვარდნები თარაბული ცხოვრებიდან,  
ისეთი სხივი, ნორმალურმა ადამიანმა  
კატარაქტა რომ არ აიფაროს თვალებზე,  
შეიძლება, დააბრმავოს, ბნელი კომპლექსები  
წაუხალისოს, ან დაანახოს, როგორია  
ჩამოფასებული ელვარება კვარტლის ბოლოში...

### **\* \* \* (გახსოვს, როგორ ისმოდი...)**

გახსოვს, როგორ ისმოდი?  
როგორ გიჩანდა რომელიღაც ნერვი  
მარჯვნივ წაწვენილ სტრიქონებში,  
მთიდან მთამდე ქვეყანაში,  
დაბნეული დემოსის თვალში!  
რომელმაც რა ქნას?  
ასე იწრიალოს მეტაფორის რებუსიდან  
სოციალურ ქსელებამდე?  
ჯოგები, ფარები ესთეტიკურ საძოვარზე!  
ესთეტიკაც რაა?  
სულ შენისთანები არ აცვია, წითლად,  
ხორციტ გარედან? ვის სჭირდება ეს მაზოხიზმი?  
დაბნეულ დემოსს გულაჩუყება მოენატრა,  
არა წარმოსახვა, არამედ რეალური გათვალისწინება:  
რამდენი ღვინო არ დალიოს,  
რამდენი ხიდიდან არ გადახტეს,  
რამდენი ქალიდან არცერთი არ უყვარდეს,  
მაგრამ სიკვდილის წინ ძალღივიტით  
რომ არ წავიდეს სახლიდან  
და მარჯნით ყური გაიხვრიტოს,  
დაინახავს: როგორ გცხელა, გტკივა, იღლები,  
თავი ჯალათებით გაქვს გამოტენილი,  
რომლებიც ვედროდან წითელ საღებავს გასხამენ  
მართლა საღებავს? ამასაც მიხვდება,  
ბევრი კი არაფერი,  
მარჯნით რომ ყური გაიხვრიტოს...



**შინ ღალუაშვილი**

## რადიაცია

მე ვასხივებდი და უცნობ დაავადებებს გადავცემდი  
კედლებს.

ეს ხდებოდა წარსულშიც და აწმყოშიც,

მერე კი იდგნენ ჯარისკაცები ერთ მწკრივში და

ითვლიდნენ სამხედრო წესის თანახმად.

დაფრინავდნენ ბომბდამშენები და ელოდნენ ნიშანს  
ჩემგან,

რომ კიდევ ერთხელ მოექციათ მსოფლიოს ეპიცენტრში  
ჰიროსიმა.

და მე ვაძლევდი ნიშანს,

და მე გავცემდი ბრძანებას და ვპოულობდი ღია უჯრებს  
მაღალსართულიანი კომპანიების ბოსების კაბინეტებში.

და ისინი არ იყვნენ იქ და ისინი არ იყვნენ ქვედა  
სართულზე

და ისინი არ იყვნენ არც ქალაქში.

ყველა ერთბაშად იღებდა ცივ აბაზანას და მე მიკვირდა  
მათი.

მერე ვტოვებდი ცათამბჯენს და ვკეცავდი  
მისალოც ბარათებს, რომლებიც უფრო  
უხდებოდა ჩემს გულის ჯიბეს.

მე გავდიოდი და ვტოვებდი ღია უჯრებს,

გავდიოდი და ვტოვებდი ღია კარებს,

გავდიოდი და ვტოვებდი მომავალს,

მერე კი მსოფლიოს ეპიცენტრში ექცეოდა  
ჰიროსიმა.

## გადამახედე

გადამახედე იმ ხიდიდან, რომელზეც ვდგავართ,  
გადამახედე და დამანახე, როგორ მიდის მღვრიე მდინარე  
ჩვენ ქვემოთ, როგორ მიათრევენ პატარა ტალღები  
გამხმარ ყვავილებს.

იქ, სადღაც მალე მოუხვევს და  
ჩანჩქერად იქცევა, მღვრიე სითეთრედ დაასკდება  
მყიფე ლოდებს და თან წაიღებს უფესვო ხეებს.

ვერ ვამჯობინებთ ტივით მგზავრობას,  
მხოლოდ განაჩენს გამოვუტანთ ჩვენს თავებს  
და ვინანებთ, როცა დავასკდებით წყლის ზედაპირს,  
ანუ სულ რამდენიმე წამით მოგვიწევს ესეც.

გადამახედე ფართო კალაპოტზე და დამანახე ჰორიზონტი,  
რომელიც აქვია, რომლის ბოლოშიც მებადურები წელამდე  
წყალში

შემოსულან და იქნევენ მთელი ძალით ბადეებს.

გადამახედე და დამანახე, როგორ იწმინდება მღვრიე  
მონაკვეთები.

გადამახედე და მომაშორე ილუზია,  
რომ მდინარე მიდის და არა ხიდი,  
რომ ჩვენ აქ ვდგავართ, უმოძრაოდ  
და ვაყურადებთ კოსმიურ ხმაურს.

## მზერა, პარაშუტები, ბუშტები

ნუ ჩააძაღლებ ყველა გამვლელს, ვინც  
თვალს ვერ გისწორებს, მათი ბრალი არ არის  
შენი გამყინავი მზერა, თუმცა იფიქრე.

ლურჯი პარაშუტები ეშვებიან ჩვენს პლანეტაზე  
და ეს რალაციით წააგავს დესანტის ჩამოსხმას,  
უნდა გაუფრთხილდე ყოველი შემთხვევისთვის  
და თანაც არცერთი შემთხვევისთვის.

ყოველი მათგანი შეიძლება არ გაიხსნას,  
მაგრამ ისინი არ აგვცდებიან ჩვენ, თუნდაც იყვნენ  
დახოცილები.

ყველას დამარხვა ჩვენ მოგვიწევს და ნუ დავტოვებთ მათ  
თვალებს გახელილს.

და როცა დადგება დრო, რომ გადავხსნათ  
მიწები, ნუ გავატარებთ დიდ დროს ლოცვებში,  
მათ ეს არ დაუმსახურებიათ და არც ჩვენ  
დაგვიმსახურებია ლოცვაში დროის ფლანგვა.

წამი უკვე იყო, ნუთები კიდევ გრძელდება,  
ესეც ერთ-ერთი რაკურსია.

ლურჯი პარაშუტები კი შესაძლოა, კიდევ ერთი  
ჰუმანიტარული დახმარებაა,

ან საერთოდ ბავშვების მიერ გაშვებული  
ლურჯი ბუშტები.

## გათენება

მე ვიხილე, როგორ თენდებოდა დედამინაზე და კარი მივხურე. ელექტრომონყობილობები იყენებდნენ ადამიანებს და არ აძლევდნენ მათ მოგზაურობის საშუალებას.

საღამოობით კი იკეტებოდნენ ეკლესიები შემდეგ ათასწლეულამდე.

მე ისევ სიტყვებით ვთამაშობდი და საბოლოოდ ესეც მომბეზრდა, როგორც გაუთავებელი სეირნობა ღამის ქალაქში.

მე ვიხილე, როგორ ცდიდნენ შეშლილი ქიმიკოსები თავიანთ ახალ გამოგონებებს, ვიხილე, როგორ ურევდნენ ერთმანეთში ორ სხვადასხვა ფერის სითხეს და როგორ ქრებოდნენ ადგილიდან.

ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა და თვალის მიდევნება ვერ შევძელი.

ელექტრომანქანებმა თავზე გადამისვეს ხელი და მეტალის ბურგი შემაქციეს.

ისევ და ისევ თენდებოდა დედამინაზე და სექსუალურ სათამაშოებს ისევ აუტოეროტიზმმა აჯობა. როგორც დროის გარეშე მყოფ ადამიანებს შეეფერებათ, ყველაფერი სწორედ ისე მოხდა.

მე ვიხილე მესამე პირში ჩემი გაქრობა და თვალები გავახილე,

მერე კი ვკვეთდი ქუჩას გადასასვლელი ხიდის საშუალებით,

რომ თავი დაცულად მეგრძნო.

ეს უკვე რეალობაა: მე ვხედავდი, როგორ თენდებოდა დედამინაზე და მაინც ვკეტავდი კარს.

**\* \* \* (მე ადრე ვფიქრობდი, რომ ყველა სხეული...)**

მე ადრე ვფიქრობდი, რომ ყველა სხეული,  
სახლი, მთები და მეტროსადგურები  
აბსტრაქტული ცნებები იყო,

მერე კი ვისწავლე, თუ როგორ უნდა იმოძრაო ისე,  
რომ სხვებმა ვერ შეგამჩნიონ.

შენ უნდა დაუძვრე ჯაჭვებს, რომლებითაც  
რელსებზე მიგაბეს, მაგრამ არ უნდა დაწყვიტო ისინი,  
უნდა შექმნა ილუზია, რომ ყველაფერს მარტივად  
გაართვი თავი.

ყველაფერი გარემოებებთან ერთად მოდის და  
მზის ჩასვლის შემდეგ მთავრდება,  
სხვანაირად უსაფრთხოებას ვერ დაიცავ.

დახოცე კედლებზე არსებული შენივე ჩრდილები,  
რომლებიც ხელოვნურმა ნათურამ წარმოქმნა,  
მერე კი დატოვე ოთახი და ელოდე ჩრდილების ხრწნის  
სუნს.

თუ მართლა იგრძნობ რამეს,  
ჩათვალე, რომ ღმერთს აწყენინე,  
თუ ვერაფერს იგრძნობ,  
ესეიგი ღმერთი თვითონ ხარ.

## შიში

ჩვენ გვიკეცავდნენ მატყლის საბნებს ფერდებთან  
და ამით ცდილობდნენ ღამით რაიმე დაავადება  
არ შეგვყროდა. სინამდვილეში ვერ ხვდებოდნენ,  
როგორ ავლებდნენ მყარ გალავანს ჩვენი  
სიმამაცის გარშემო  
და მათთვის ეს უბრალოდ  
მზრუნველობის ერთ-ერთი გამოვლინება გახლდათ.  
ღამით მშვიდ ძილს მატყლის საბანი განაპირობებდა,  
მასში ვერ აღწევდნენ საშინელებათა ფილმის გმირები  
ან ფანჯრიდან დანახული გარდაცვლილი მეზობლის  
აჩრდილი.  
ისინი შორს იყვნენ ჩვენგან,  
როცა სქელი საბნები გვეფარა.  
მერე გავიზარდეთ და ვხედავდით,  
როგორ ვარდებოდა წყალი სახლის სახურავიდან,  
როგორ ჩამოჰქონდა მას აგურის წითელი საღებავი  
და აწითლებდა მთლიან ეზოს, ახლა კი შიში უფრო ახლოს  
მოვიდა,  
დატბორვის შიში.  
ჩვენი შვილები ერთობოდნენ და ჯერ უნახავ ზღვის  
წარმოდგენას იქმნიდნენ,  
ჩვენ კი გვეშინოდა, რადგან  
არავინ იცოდა, რა დაგვხვდებოდა მეორე დილას ეზოში,  
ან დაგვხვდებოდა თუ არა საერთოდ რამე.  
ისინი თვითონ იკეცავდნენ  
მატყლის საბნებს, რომ თავიდან აეცილებინათ სურდო ან  
გაციება,  
მეორე დღეს კი ხელს ვიქნევდით და მათდამი რწმენას  
ვკარგავდით.

ჩვენ გვეშინოდა,  
ისინი ერთობოდნენ,  
ჩვენ გვიცავდნენ,  
ისინი თავს იცავდნენ.



## მდგმური

ის ჩემი ფანჯრის წინ იწვა ყოველთვის.  
ყოველ დილას განსაკუთრებით მხვდებოდა თვალში  
და მეც ვუნანილებდი ჩემს საუბმეს.  
ვესროდი პურის ნატეხებს, მაგრამ ყნოსვა ყოველთვის  
ღალატობდა,  
ეს განასხვავებდა ალბათ სხვა ძაღლებისგან,  
ამიტომაც იქცევდა ჩემს ყურადღებას.  
თითქმის ორი თვე ასე გავატარეთ,  
ასე უიმედოდ ვესროდი პურს ან ხორცის ნატეხებს,  
ის კი მოჩვენებითი ყნოსვით ეძებდა მათ და  
მგონია, თვითონაც იცოდა, რომ ვერ იპოვიდა  
იმას, რაც მისი საკუთრება იყო.  
მე ამის გამო მეცოდებოდა და  
ვცდილობდი, ისეთ ადგილზე გადამეგდო საჭმელი,  
რომ მარტივი მისაგნები ყოფილიყო მისთვის.  
ასე ვიწყებდით მოსალოდნელ დღეებს ერთად,  
ასე იწყებოდა ჩემი რუტინული დღეებიც,  
ის კი, არ ვიცი, სად იყო იმ დროს,  
როცა მე კვამლით და მანქანებით სავსე ქალაქში  
ნელ-ნელა მივიწვევდი უნივერსიტეტისკენ.  
სალამოს ისევ ვბრუნდებოდი, ის კი აღარ მხვდებოდა იქ,  
სადაც დავტოვე, არც გვიან ღამით მოდიოდა,  
მხოლოდ დილით,  
ყოველ დილით მაცილებდა და ყოველ ღამით მინერგავდა  
იმის შიშს,  
რომ ერთ დილასაც აღარ დამხვდებოდა და  
ჩემი რუტინაც ოდნავ განსხვავებული იქნებოდა.  
იმაზეც ვფიქრობდი, რა ერქვა, მაგრამ არასდროს მიცდია

მისთვის სახელი გამომეგონებინა, ის კონკრეტულიც იყო  
და კრებიტიც.

## წვიმიან ამინდში დანერილი

1.

ჩვენ დავდივართ გრუნტიან გზაზე, გზაზე, რომელიც ოდესღაც ნიაღვარს მიჰქონდა და ჩვენში ინვევდა ფსიქიკურ რყევებს. ეს ხედები ცვლიდა ჩვენს შეხედულებებს და გვიმახინჯებდა ნაბიჯის გადადგმის მომენტს. ჩვენ ასე ვრჩებოდით მარტო, უაივნო სახლში და გვეხუთებოდა სუნთქვაშეკავებული გულები. ვალებდით ფანჯრებს და ხარბად ვხვრეპდით წვეთებს ხის ტოტებიდან.

ნელ-ნელა ვამჩნევდით, როგორ შეიცვალა ვარსკვლავების განლაგება ცაზე და იმასაც ველარ ვახერხებდით, რომ ამოგვეცნო ჩვენი ვარსკვლავი.

ტელევიზორების ხმა აფხიზლებდა ობობას, საკუთარ ქსელში გახლართულს და ეშვებოდა ჩემ მტევანზე, მტევანზე, რომელიც სიცოცხლეს მოუსწრაფებდა მას.

მე კი ვფიქრობ იმაზე, თუ როგორ არ მოვკვდე და ამიტომაც ვერ მაფხიზლებს ვერანაირი ამპლიტუდის ბგერა.

დავდიოდი მომწვარ ბალახზე და ვესაუბრებოდი მიკროსამყაროებს ჩემს სხეულზე.

ვახვევდი კინოფირებს ფინალისკენ და მათაც ვუსწრაფებდი დასასრულს.

პერსონაჟები ებღაუჭებოდნენ ტელევიზორის კუთხეებს და გულგრილი თვალებით შევცქეროდი, მათი მთავარი როლები როგორ ხდებოდა მეორეხარისხოვანი და საბოლოოდ, როგორ ხდებოდნენ უმნიშვნელო.

2.

ღამის ქალაქი თითქოს ამოსუნთქვის  
საშუალებას გვაძლევდა.

მისი სინყნარე გვიბიძგებდა გაგვეღვიძა  
მომდევნო დილას და ეს ტყუილი საუკუნეებს ითვლიდა  
უკვე.

მხოლოდ ჩვენ შევძელით ასე გულგრილად მოგვეტყუებინა  
მდუმარება, მაგრამ ყველაფერი სიმართლე აღმოჩნდა.

ჩვენ თავის მოკვლა ვერ შევძელით, ასე შევახორცდით  
ანთებულ ლამპიონებს,

რომლებმაც რკინის ზედაპირი გამოგვიყვეს  
მოსათავსებლად.

და სიმაღლიდან დავყურებდით ჩვენს  
ანარეკლს, ბინძურ გუბეში არეკლილს,  
რომელიც იტალღებოდა, როცა მანქანები გადაურბენდნენ.

ჩვენ კი ველოდით ქარიშხლის ჩადგომას,

რომ დეტალურად შეგვესწავლა ჩვენი თავი,

მაგრამ ისინი არ გვაცდიდნენ, ზოგჯერ კი ბავშვების

ნაბიჯები იწვევდნენ ტალღებს და ვპატიობდით,

ისინი ხომ ანგელოზები არიან

(ყოველ შემთხვევაში, ასე გვასწავლეს),

და სხვანაირად ვერ დავუშვებდით.

კომიკურია, როგორ ვაფარებთ თავს ამსიმაღლე

რკინის კონსტრუქციას და როგორ ვაღმერთებთ

ღამის სიმშვიდეს, როცა ქარიშხლიან ანარეკლში ვხედავთ,

როგორ ვმახინჯდებით პატარა ბიძგებისას.

**\* \* \* (ნუ მოგინდება სკამის ორ ფეხზე...)**

ნუ მოგინდება სკამის ორ ფეხზე  
დაყენება და ზედ ჩამოჯდომა,  
ყველაფერი ისედაც ნათელია.  
ნუ გადაიხდი ხარკს და ერიდე ჩქაროსნულ მანქანებს.  
თუ მე ოდესღაც ლიანდაგზე დავწევი,  
ნუ ჩამთვლი გიჟად,  
ვიცი, რომ მეისრე მიხსნის.  
გადაიფარე სინათლის მანტია და  
ნუ იოცნებებ გაუჩინარებაზე.  
უნდა დაგხატონ.

ნა ჯინჯარაძე

## ჩემო ბიჭუნავ

მე მოვალ და ამოვხოცავ  
შენს სიზმარში ამოსულ ჭინჭარს  
და მავნე ბალახს,  
და გახდება შენი სიზმრის მოლი  
მწვანე და ხასხასა.  
მე გაჩუქებ ველოსიპედს  
და ჭიბის ნათურას,  
რომ შეაშინო  
ჭერზე მობოროიალე ობობები  
და წიგნებს ჯერონიმოზე,  
ვიდრე ნახვალ სამოგზაუროდ,  
ვიდრე გაგიმრავლდება მეგობრები  
და ვარსკვლავები  
და ვიყვირებ, თითქოს ვიდგე  
შუა მინდორში ქარის პირისპირ,  
და დამავინწყდება,  
რომ აქ ყვირილი იკრძალება  
და სიყვარული ჰგავს,  
ყინვისპირზე შეფუთულ ლიმნის ხეს,  
ჩვენ გავუშვებთ  
ბადეში გახლართულ თევზებს  
და კვლავ მოვანწყობთ თავდასხმებს  
ფერადი ბალიშებით  
და დავუჯერებთ  
კლავიშებიდან ამოსულ სულს,  
რომ მას, ვინც გიყვარს,  
ხელი უნდა გაუშვა.

## სამშობლო

ვზივარ და  
შეშლილ თმებზე გეფერები,  
ვიდრე ჩემი ძმები  
ულრანებს გამოტეხავენ  
და თოვლიან უღელტეხილებს  
და დაბრუნდებიან,  
ვიდრე დაბნელდება —  
ვზივარ და  
შეშლილ თმებზე გეფერები.

რომელი მთიდან ამოვლენ ნეტავ,  
რომელი წყალდიდობიდან,  
ჭირის ოფლში განურულები?  
არ გვინდა მათი  
სისხლიანი ნანადირევი,  
არც ჭორფლიანი კალმახები.

ჩაწყვეტილმა გზებმა  
და ხეიბარმა ხეებმა  
გზა ვერ აურიოს,  
ღამეების ყმუილმა  
და თხელმა მთვარემ.

შენი მკლავები  
ისეთი მსუბუქია — ფრთებივით,  
შენთვის თავს იკლავენ,  
რომ მოგეხვიონ და გაკოცონ,  
ვიდრე ჩემი ძმები  
კოცონთან ძვლებს ითბობენ,  
ვზივარ და შეშლილ თმებზე  
გეფერები.



**\* \* \* (როცა ბალახი ვარ...)**

როცა ბალახი ვარ,  
მეშინია —  
მოვა, მომცელავს  
ასე მაღალი და ტკბილხმიანი,  
მერე დაწვება მწვანე სისხლით  
მოსვრილ მინდორზე  
და მე ველარ გავიგონებ,  
რა გაიფიქრა.

როდესაც ხე ვარ,  
მეშინია —  
ცულის პირივით ბასრი მზერის,  
ვცდილობ გვერდზე გადავიხარო,  
სხვა დაინახოს —  
ჩემზე კარგი,  
ჩემზე ლამაზი.

როცა ჩიტი ვარ,  
მეშინია —  
აბა სადაური ჩიტობაა,  
მინაზე რომ მიფორთხიან,  
მაგას სჯობს, ცაშივე მოვკვდე.

როცა სახლი ვარ,  
მეშინია —  
რომ მიმატოვებს,  
რომ დაბრუნდება  
და ნანგრევებთან  
ფრთხილად დააწყობს  
გამხმარ ყვავილს,

ხმელ ფოთოლს,  
მკვდარ ჩიტს.

როცა კაცი ვარ,  
მეშინია —  
ყველა ჩრდილის,  
რომელიც მე მგავს.

**\* \* \* (მე ვნახე ჩიტების ღმერთი...)**

მე ვნახე ჩიტების ღმერთი,  
ფლორენციაში,  
დუომოს მოედანზე,  
მოლბერტზე დახრილი  
ლაბირინთს ხატავდა.  
— მე ვიცი, ვინც ხარ — გავიფიქრე.  
— ყველა იმას ხედავს, რაც უნდა —  
თქვა თავაუღებლად  
და მხრები ოდნავ შეარხია.  
არასდროს მინდოდა ღმერთობა.  
აი, ხე კი ვიქნებოდი,  
წყლის სინათლეში  
გავწვებოდი განაკანრივით.  
განა ასე მკაცრი იქნებოდა  
ცხოვრება,  
ხე რომ ვიყო,  
ჩიტების ხმის შემფარებელი.

### \* \* \* (ეს ლექსები...)

ეს ლექსები,  
ცარიელ უდაბნოში ამოსული  
ალცჰაიმერის ყვავილები,  
ფრიალოზეც რომ მიატოვო,  
აიტანს.  
თუ გინდა, ფრანი გააკეთე  
და ჰაერში ააფრიალე.  
თუ გინდა გემი — საომარი,  
ან სამშვიდობო.  
ან უბრალოდ დააქუცმაცე,  
წყალს გაატანე მტრის ტანივით.  
მე რა ვიცოდი,  
რომ სნეული ბავშვები,  
ომგამოვლილი ბავშვები,  
ომში დარჩენილები,  
ასეთი გამჭვირვალეები იყვნენ,  
მე რა მესმოდა ტკივილის სინათლის.  
პირველად გამოვტყდი —  
საშიშია და დაუნდობელი უდაბნო.  
როგორც ბედუინების მუნჯი ოჯახი,  
ტურისტების შემოტევას  
ვეღარ ვუძლებ  
მზის გამჭოლ სხივებს,  
ვერ გამოვდექი გამძლე  
ჩემი ლექსებივით.

### 3. პრობა

**ნუნუ ქადაგიძე**

## ჯვარცმულის თვალსაწიერი

პირველი აიყვანეს ჯვარზე ჯალათებმა, უწინარეს ყოვლისა მას დასდეს პატივი, ხელ-ფეხით მჭიდროდ მიაკრეს ჯვარედინად დაჭედდნენ ხის ძელაკებზე. მისი სახელიც „დიმასი“, ხმამაღლა ამცნეს დამსწრეებს. ბრალეულობა, „შარაგზის ყაჩაღი“. კიდევ ორი მსჯავრდებული თვინიერად ელოდა იმავე ხვედრს, შეიარაღებული მცველების თანხლებით.

ჯვრის სიმაღლიდან გადმოხედა ღვთის გაჩენილ ქვეყანას ყაჩაღმა... ჯერ ხომ ისევ სული ედგა, სხეული შეიგრძნობდა, თვალები ხედავდნენ. დაუსაბამო სივრცე გადაეშალა თვალწინ; გოლგოთას მთა, მთელი მისი შემოგარენი, ხელისგულივით ჩანდა ყოველივე. მთის მიღმა ცა და მიწა ერწყმოდა ერთმანეთს, ქალაქში შემომავალი გზის კლაკნილა თითქოს პირდაპირ ციდან ეშვებოდა. დასაზვერად ამაზე მარჯვე ადგილი ჩემს დღეში არ მინახავსო, უნებურად ამ აზრმა გაუელვა ჯვარცმულს. ცხოვრებისეულმა ჩვევამ შეახსენა თავი, კიდევ ერთხელ საცნაურჰყო ძველთუძველესი ჭეშმარიტება, ჩვეულება რომ რჯულზე უმტკიცესია.

მჭიდროდ გამოსკვნილი თოკები მტკივნეულად ჩაფრენოდა მაჯებში, საკუთარი სხეულის სიმძიმე შეუბრალებლად ექაჩებოდა დაბლა, ფეხებზედაც მქისედ შეიგრძნობდა უხეში თოკის გორგალს. მზის სხივებმა არ დაახანეს, ყოველი მხრით ცეცხლი დაუმიზნეს ლამის ერთიანად შიშველს (მცირე არდაგი ეხვიათ თეძოებზე მსჯავრდებულებს). მწერებმაც იკრეს უმწეო მსხვერპლის სუნი, გუნდებად მიიტანეს იერიში. მწარე იყო ეს ყოველივე, მწარე და უკვე სრულიად აუტანელიც, თუმცა მშვენივრად

იცოდა, ნამდვილი ტკივილი ჯერ შორს იყო. უმწარესი ტკივილი, რომელსაც ბოლოს სულის ამოხდენა მოჰყვება, როგორც გარდაუვალი შედეგი. კიდევ რამდენი ხანი უნდა ეწვალა, სანამ ამას ეღირსებოდა... ერთი ამასლა ელოდა, სხვა აღარაფერი დარჩენოდა.

ჭრელი ბრბოც სწორედ ამას ელოდა, ჯვარცმულის ფეხთა ქვეშ მოზიმზიმე. მრავალსახიან ურჩხულს დავყურებო, ასე მოეჩვენა დიმასს, როცა ამ სიტყვლეს გაუსწორა მზერა. არც ის გამოჰპარვია, რა კარგად ეწერებოდა ეს ურჩხული გოლგოთის მთის მიდამოებში და რა მოსახერხებელი იყო ჯვრის სიმაღლე მისი უამრავი სახის საჭვრეტად.

თვალის სიმახვილეს ყოველთვის უქებდნენ. „დიმასის თვალი უნდა ინატროს ყაჩაღმა“, ბევრჯერ სმენია ეს სიტყვები. თვითონაც დიდად აფასებდა ამ ღირსებას, კარგადაც იყენებდა. ბევრად ადრე ხედავდა მოქიშპეს, სანამ თვითონ ის იეჭვებდა რამეს. საყაჩაღოდ ჩასაფრებულებიც, ჯერ კიდევ შორიდან არჩევდა, თუ რა ნუბლი მოჰქონდა შეგულებულ მგზავრს, ღირდა თუ არა ხელის გამოღება. შეეძლო (ანდაბასავით იტყოდნენ ხოლმე და არც ისე შორს იყო ჭეშმარიტებისაგან), თვალის ერთი გადავლებით სათითაოდ დაეთვალი მარგალიტები, მდიდრები რომ იმკობენ თავიანთ სამოსელს.

უკვე აღარაფრად სჭირდებოდა ეს მართლაცდა შესაშური ღირსება, თვალის გამორჩეული სიმახვილე, და სწორედ ახლა შეიმოსა ყოველივე უჩვეულო სიცხადით. როგორც ჩანს, დილეგის სიბნელეში ყოფნამაც საგანგებოდ ალესა მისი თვალთმზერა, ამას გარდა, სიკვდილის წინა წუთებშიც ხომ რაღაც სხვა ხილვა ეხსნება ადამიანს...

არასდროს არაფერი დაუნახავს დიმასს ასე მკაფიოდ და გამოკვეთილად, მისი აღსასრულის მომლოდინეთა



სახეებს რომ ხედავდა ჯვრის სიმაღლიდან; ხედავდა ყველას ერთად და ამავედროს ცალ-ცალკე, შორს მყოფებს თუ შედარებით ახლოს მყოფებს. ისინიც თავისდაუნებურად უადვილებდნენ ამ საქმეს; როგორც კი ჯვარზე აღამაღლეს, იქ მყოფთა თვალთმბერა მაშინვე ბურთივით შეიკრა ჯვარცმულის ირგვლივ. ყველა სახე მისკენ იყო მიბრუნებული, ყველა თვალი მას შეჰყურებდა.

...და ყველა მათგანს რაღაც უცანურად მოზეიმე იერი ჰქონდა, ესეც შენიშნა დიმასის მახვილმა თვალმა, დილეგის სიბნელით საგანგებოდ აღესილმა. ისე ჩანს, თითქოს რაღაც უხარიათ, მეტად ბნელი, უკეთური სიხარულით უხარიათ. ეს მოზეიმე იერიც სწორედ ამან წარმოშვა, უკეთურმა სიხარულმა.

ყველაზე თვალშისაცემად სწორედ ეს მოეჩვენა ყაჩაღყოფილს, ჯვრის სიმაღლიდან მომზირალს. გუნდ-გუნდად ესეოდნენ ბუბები, თვალის ქუთუთოებშიც უძვრებოდნენ, დიმასი თავს აკანტურებდა მათ მოსაგერიებლად, თვალს კი წამითაც არ ხუჭავდა. ფართოდ თვალგახელილი და შეიძლება ითქვას, გაოცებული შეჰყურებდა ამ მოზეიმე იერს, ავბედითი შარავანდედივით გაფოფრილს ჭრელი ბრბოს თავზე.

ისიც თითქოს კიდევ უფრო იკრებდა ძალას მისი დაჟინებული მზერის კვალობაზე, უფრო და უფრო იფოფრებოდა, სულ უფრო მეტ სივრცეს თხოულობდა. ერთიანად გადაფარა გოლგოთის მთა, მთელი მისი შემოგარენი, ასე უადგილოდ რომ შეახსენა ყაჩაღყოფილს ძველი ჩვევები. კიდევ უფრო მეტ სივრცეს თხოულობდა.

მეტად უცნაური რამ იყო, მსგავსიც კი არაფერი ენახა დიმასს აქამდე.

უცხო ხილი სულაც არ ყოფილა მისთვის ეს ყველაფერი, რასაც ახლა ჯვრის სიმაღლიდან დაჰყურებდა. თვითონაც შესწრებია სხვათა სიკვდილით დასჯას, სწორედ ამ სახით, ჯვარზე გაკრულები რომ აღესრულნენ. ყაჩაღებს, ცოდვებით დამძიმებულებს, მაგნიტივით იზიდავთ სხვათა ცოდვები. თვითონაც არ იცოდა კარგად, რისთვის მიხეტიალდა მაშინ გოლგოთაზე, იქ ყოფნა ხომ არც ისე უხიფათო იყო მისთვის. ფეხებმა თითქოს თავისით მიიყვანა. ჯვარცმულს ხომ უყურა და უყურა, გარშემომყოფთაც ფხიზლად უთვალთვალებდა, არაფერს ტოვებდა უყურადღებოდ, ყოველ წამს მზად იყო ყველაფრისთვის.

მაშინ დიმასს არ შეუმჩნევია ეს უცნაური, მოზეიმე იერი იქ თავშეყრილ მჭვრეტელთა სახეებზე, თანაც ასეთი გამორჩეული სიცხადით. როგორც ჩანს, ამ უკეთურების დასანახად სხვათა ჯვარცმა არ გამოდგება, მას მხოლოდ საკუთარი ჯვრის სიმაღლიდან თუ დაინახავ.

ვინ იცის, თვითონ მასაც ისეთივე მოზეიმე იერი ჰქონდა მაშინ, რასაც ახლა სხვების სახეზე უჭვრეტს და ასე ეუცხოვება.

მაინც რა ჩაცმებით შემოჰყურებენ, თვალს წამითაც არ აცილებენ. მოზეიმე და ამასთან ერთად, დამშეული სახეები აქვთ; მისი სიკვდილი შიათ, მისი ტანჯვა-წამება.

სცადა დიმასმა, თვალი აერიდებინა ამ მრავალსახიანი ურჩხულისათვის და ვერ შეძლო. თვალები მის დაუკითხავად გადარბოდნენ ერთი სახიდან მეორეზე. მაინც როგორ გაუმახვილდა მხედველობა, თანაც სწორედ ახლა, როდესაც აღარაფრის დანახვა აღარ უნდოდა, ერთი იმასლა ნატრობდა, დროზე გაყროდა სული სხეულს... გაშლილი ეტრატივით კითხულობდა ყოველ მათგანს.

ზეიმით ყველა ზეიმობს, ყველას უხარია სხვისი უბედურება, თუმცა სხვადასხვანაირად. აგერ ეს, რა გალაღებულია, პირდაპირ ნეტარების მწვერვალზეა. ნახა სასეირო სანახავი, მეტი რა უნდა. უხარია და არც მალავს ამას, ბუნებით თავხედია და უგულო. უმეტესნი სწორედ ამისთანები არიან, შემომყურებენ, თვალს წამითაც არ მაცილებენ, სრულია მათი ზეიმი. არიან ზოგიერთნი, ერთგვარი ჩრდილი ახლავს თან მათ მოზეიმე სახეებს. სიხარულით მათაც უხარიათ, ეს ცხადად ჩანს, მაგრამ როგორღაც შიშნეულად. რისი ეშინიათ? ცხადია, სიკვდილის... კარგად იციან, მათაც მოეწევა ეს გარდაუვალი ხვედრი. მათი სიხარული სიკვდილის შიშითაა გაზავებული, ამდენად მათი ზეიმი არაა ისე სრული, როგორც აი, იმ გალაღებულების, ჩემი დანახვით რომ ნეტარებენ, დიდმა სიხარულმა სიკვდილის შიშიც კი გადაავიწყა მათ.

ვხედავ, ისეთებიც არიან, ჩემი ჭვრეტა რომ უმძიმთ, როგორღაც გული ეთანაღრებათ, თითქოს არც კი უნდათ ჩემი დანახვა, მაგრამ ცნობისმოყვარეობა სძლევთ, სასეირო სანახაობა ძალიან იზიდავს მათ თვალს. აი, აგერ, ისეთიც კი გამოჩნდა, რომელსაც ვებრალები. ჰო, ნამდვილად ვებრალები... გულით ღმობიერია და იმიტომ. ჩემი დანახვა ყველაზე მეტად სწორედ მას უმძიმს, ერთს შემომხედავს და მაშინვე ამარიდებს თვალს. ასეთები ყველაზე ცოტანი არიან.

და, აი, ერთი სახეც, ყველაზე მეტად მოზეიმე, გალაღებული. მისი სიხარული შეუდარებლად აღემატება ყველა დანარჩენის სიხარულს, ერთად აღებულს. მიზეზიც აქვს, დიდასი მას ცხადად კითხულობს, ისე ცხადად, თითქოს ხელისგულზე ეფინოს ყოველივე, აი, იმ ხელისგულზე, ხის ძელზე მაგრად რომაა მიბმული.

„ჰო, ასეა, ეს მე, მე ჩაგაგდე ამ დღეში, მე ვუჩვენე ჯალათებს გზა შენსკენ, ყველაფერი ხელისგულზე დავუხატე. დიდი ხანია ვნატრობდი და აჰა, მეღირსა, როგორც იქნა, გხედავ ჯვარზე გაკრულს. მაქედან უკვე ველარ დააღწევ თავს, მხოლოდ მკვდარს ჩამოგიღებენ და ეს მიხარია ყველაზე მეტად. შენი ყოველთვის მეშინოდა, ჭკვიანი ხარ და თვალმახვილი, მაინც მოგალორე. ვერ დაუძვერი ჩემს დაგებულ მახეს, თვითონვე მახის დაგების დიდოსტატი, ბადალი არ გყავდა ამ საქმეში. დიდხანს კი გიტრიალე, მარჯვე შემთხვევას ველოდი, ისიც დადგა... საქმე მოგიტანე, დიდად სარფიანი, ვიცოდი, თვალი გაგექცეოდა მასზე, შენ ხომ შორიდანვე ითვლიდი მდიდრების სამოსელზე ასხმულ თვალ-მარგალიტს. ყალბი იყო ის თვალ-მარგალიტი, ვაჭრებად მეომრები იყვნენ გადაცმულები, ალესილ მახვილებს მალავდნენ სამოსელის კალთებს მიღმა. არც კი შეგიმჩნევია, მე თვითონაც მახვილი მექონდა ჩაბლუჯული, როცა ამის თაობაზე მოგიტანე ამბავი. ვიცოდი, თუ ეჭვი შეგეპარებოდა, იქვე ეცდებოდი ჩემს გასაღებას და მზად ვიყავი ამისთვის. აღარაფერი გიკითხავს ჩემთვის, ისე იწყე ჩასაფრებისთვის მზადება. გესტასს მოუხმე, მისი მარჯვენა გჭირდებოდა, მისი მოქნეული მახვილი. იმანაც კი არ დაგაეჭვა, როცა გითხარი, შეიძლება გზა შეცვალონ, სხვა მხრიდან შემოვიდნენ ქალაქში-მეთქი. მე თვითონვე არ მექონდა იმ მეომრების დიდი იმედი, ჩემთვის ბილიკი დავიტოვე ყოველი შემთხვევისთვის. ანდაზად თქმულა და მართალი ყოფილა: როცა ჟამი დაჰკრავს, ყველაზე ჭკვიანიც კი ყველაზე უკანასკნელ ტუტუცად იქცევა, ყველაზე თვალმახვილს ორივე თვალი დაუბრმავდება. სწორედ ასე დაგემართა და ახლა გხედავ იმ ყოფაში, რომელიც ყველაზე მეტად მენატრებოდა. ვიცი შენი ასავალ-დასავალი, კარგად ვიცი, სად რა გაქვს

გადამალული, ახლა ყველაფერი ჩემია, დიდი საგანძურის გადამალვა მოასწარით შენ და გესტასმა, ვინ იცის, რამდენი ცოდვია მის მოქნეულ მახვილზე. თავისუფლების ყიდვაც კი შევძელი თქვენი საგანძურით. შენც კარგად იცი, ხელისუფლებს ძვირფას რამეებზე როგორ მიურობით თვალი, იმ საგანძურის თითქმის ნახევარი მათი თვალის სიხარბეს შეეწირა, მაგრამ მიღირს ამაღ, სრულიად არხეინად ვარ, ბუბსაც კი ვერავინ ამიფრენს, შენგან განსხვავებით... ბუბები გჭამენ ცოცხლად და მათი მოგერიება არ შეგიძლია.“

სხვა დროს და სხვა პირობებში ალბათ გაუკვირდებოდა დიმასს, ასე დაწვრილებით როგორ შეძლო სხვისი ფარული აზრების ამოკითხვა. ახლა აღარაფერი აკვირვებდა, აღარც შესწევდა ძალა ამისთვის. ისიც საკუთარ ტყავზე გამოსცადა, აღსასრულის წუთი უჩვეულო სიცხადით რომ წარმოაჩენს ყოველივეს. ყველაფერი დაწვრილებით ამოიკითხა ყოფილი თანამოძმის სახეზე. ალბათ შიშით ველარც დაიძინებდა, დიმასი თავისუფლებაში რომ ეგულდებოდა, ცხრა მთას იქით გადაიხვეწებოდა მისი შიშით. ახლა კი უსაზღვროა მისი სიხარული, ასე უმწეოს რომ ხედავს. ზეიმითაც, ცხადია, ყველაზე მეტად ზეიმობს. წითურას ვეძახდით, ალისფერი თმა უფარავს თავ-კისერს, ახლა ლამის ჩირაღდანს დაემსგავსოს, ისე ბრწყინავს სიხარულით. უფრო დიდ სიხარულსაც ელის ისიც და დანარჩენებიც. ეს მაშინ, როდესაც წამებას დაუნყებენ ჯვარცმულს, მაჯებში და ფეხებზე ლურსმნებს ჩაურჭობენ. თვალის გარდა ყურსაც დაატკობენ, გაათკეცებულად იზეიმებენ მისი ხმის, უფრო სწორად, მისი ყვირილის გაგონებისას.

— ვერ ეღირსებით, ვერ ეღირსებით, ვერ ეღირსებით — უთხრა მათ დიმასმა, ყველას ერთად და უფრო იმას,

წითურას, — ჩემი ხმის გაგონებას ვერ ეღირსებით. —  
ტუჩების გაუტოკებლად, უხმოდ უთხრა.

ცხადია, მათ არაფერი გაუგიათ.

მალე დიმასმა შეამჩნია, მოზეიმე სახეების თვალთხედვა  
ბურთივით აღარ იყო შეკრული მის ირგვლივ. მიხვდა  
დიმასი, რაშიც იყო საქმე; დანარჩენი ორი მსჯავრდებულის  
გააკრეს ჯვარზე, ამიტომაც დაიფანტა მაყურებელთა  
ხედვის ისრები, ვისაც საით უნდა, იქით იყურება, იმ  
ჯვარცმულს მიაპყრობს თვალს, რომელიც უფრო მეტად  
მიიზიდავს მის ყურადღებას.

\* \* \*

სრულიად მოულოდნელად ამ მრავალსახეობას  
მედილეგეს სახეც შეემატა... ძველს და ახალს თურმე  
ერთად იტევს და წარმოაჩენს აღსასრულის წინა წამი.  
თვალწინ ცხადად წარმოუდგა დიმასს, გესტასთან ერთად  
როგორ მიაყენეს უხეშად გამოჩორკნილ ხის კიბესთან,  
რომლის ბოლო დილეგის წყვილიადაში იკარგებოდა.  
მედილეგეს ცნობისმოყვარეობა ეწერა სახეზე,  
ყურადღებით შეათვალიერა ორივენი. მიხვდა დიმასი,  
რითი მიიპყრეს მისი ყურადღება; იმედიანობა შეატყო მათ  
და ეს ძალიან ეუცხოვა. როგორც წესი, ზარდაცემულები  
არიან ახლად შეპყრობილები, ლამის თვალეები  
გადმოუცვივდეთ შეშლილ სახეებზე. მუხლებიც ეკეცებათ.  
ხანდახან საჭირო ხდება, ძალისძალად მიათრიონ და ისე  
ჩაყარონ დილეგში. ყველამ კარგად იცის, დილეგი რომ  
სასიკვდილო განაჩენს ნიშნავს.

ნუგეშის სიტყვა ახლდა თან ახლად შეპყრობილ დიმასს და  
გესტასს, თანაც ისეთი სიტყვა, იშვიათად რომ ღირსებია  
ვინმე ძეხორციელთაგანს. ეს აძლევდა მათ მუხლში ძალას,

თვალშიაც იმედის სხივს უნთებდა. სწორედ ეს არ გამოჰპარვია მედილეგეს, ვინ იცის, რამდენი ენახა მათნაირი, რამდენ შეპყრობილს გაევლო მის ხელში.

სრულიად შემთხვევით გადაეყარა დიმასი იმ დღეს მოძღვარს. სამოძღვრო სიტყვაც (ანუ უდიდესი ნუგეში) თითქოსდა ასევე შემთხვევით მიიღო მისგან. სულ სხვა საფიქრალი ჰქონდა, ნაცნობ მჭედელთან მიდიოდა, საგანგებოდ გამოკვერილი სატევარი უნდა დაეხვედრებინა მისთვის.

ერთმანეთი გადაკვეთა ყაჩაღისა და მოძღვრის სავალმა გზებმა. დინჯად, აუჩქარებლად მოაბიჯებდა იესო (დიმასმა ამ დროისთვის უკვე იცოდა მისი სახელი), ხალხის ჭრელი გუნდი ეხვია ირგვლივ. მათგან უმეტესნი კურნებას ითხოვდნენ და ღებულობდნენ კიდევ, ზოგნიც ეკითხებოდნენ, ვისაც თავში რა მოუვიდოდა. იცოდნენ, იესოს ყოველივეზე ჰქონდა პასუხი. აგერ, სწორედ მის თვალწინ ჰკითხა ვილაცამ, ვის შეუძლია ჩვენი ცოდვების აწონვა? სადაა სასწორი ამისათვის? საკუთარ გულს დაეკითხეო, — მიიღო პასუხად.

ერთმანეთს გაუსწორდნენ მოძღვარი და ყაჩაღი, და მაშინ გადაწყვიტა დიმასმა, თვითონაც ეკითხა რაიმე მოძღვრისათვის, აკი, ასე ახლოს იყო მასთან. ბევრი არ უფიქრია, რაც თავში უცბად მოუვიდა, ის ჰკითხა:

— მითხარი, მოძღვარო, რამდენ ხანს ვივლი ამ მიწაზე?

შემდგომში, როდესაც საკუთარ შეკითხვას იხსენებდა, მსჯავრს სდებდა საკუთარ თავს დიმასი, რამ მომაფიქრა, ასეთი შეკითხვა რომ დავუსვი მოძღვარსო, ვინმე მჩხიბავი ხომ არ არისო. მაგრამ, აბა, სხვა რა უნდა მეკითხა, საკუთარ თავს ასე ეპაექრებოდა თვითონვე. ჯანს არ უჩიოდა,

მაძლარი ცხოვრებით ცხოვრობდა, საკუთარმა ხელობამ, ყაჩაღობამ ანახა სარგებელი, ერთი ის აფიქრებდა, ცოცხალი და საღ-სალამათი თუ გადაურჩებოდა თავის მეტად სახიფათო ხელობას, რამდენ ხანს დაჰყოფდა სამზეობე, ეს იყო მისი უმთავრესი საწუხარი. ისე, როგორც ყველას, მასაც ეშინოდა სიკვდილის. ვის არ ეშინია სიკვდილის? ყველას თავბარს სცემს მისი მრისხანე სახე, ყაჩაღი მაინც სხვაა, მისთვის მეტად ვიწროა ზღვარი, სიკვდილ-სიცოცხლის გამყოფი. სიმხდალეს ვერავინ დასწამებდა, მაგრამ სიკვდილის შიში სიმხდალედ მაინც ვერ ჩაითვლება, — გულში ასე ფიქრობდა დიმასი, როდესაც მოძღვარს შეკითხვა დაუსვა.

მოძღვარმა ღირსჰყო, პასუხი გაეცა შეკითხვაზე. მშვიდად გაუსწორა მზერა დიმასს და უბრალოდ უთხრა შემდეგი სიტყვები:

— სანამ მე ვივლი, თქვენც ივლით, სამნი ერთად მოვწყდებით მიწას...

ეს იყო და ეს, მეტი აღარაფერი უთქვამს, კვლავ გააგრძელა გზა ხალხის ჭრელი გუნდის თანხლებით.

დიმასი გაკვირვებული დარჩა. ნეტავი ჩემს გარდა კიდევ ვის უთხრა ეს სიტყვაო, მესამე ვინლა არისო. მოიხედა, გვერდით გესტასი ედგა.

გესტასი ხანდახან აეტორღიალებოდა ხოლმე იესოს თანმხლები ხალხის გუნდს, უსმენდა ქადაგებას, დიმასს ამისთვის დიდი მნიშვნელობა არასოდეს მიუნიჭებია. და, ახლაც სრულიად შემთხვევით შეეჩიხნენ ერთმანეთს, წინასწარ ერთმანეთი არ შეუნიშნავთ.

წამით გაუსწორეს ერთმანეთს თვალი დიმასმა და გესტასმა, მაშინვე გაიყარნენ, სხვადასხვა მხარეს



გაემართნენ. ცნობილი ამბავია, წესად არ აქვთ ყაჩაღებს ერთად სიარული, ცალ-ცალკე დაძრწიან მარტოხელა მგლებივით.

სამოძღვრო სიტყვის შესახებაც არაფერი უთქვამთ ერთმანეთისთვის, არც მაშინ, არც მოგვიანებით, ერთხელაც აღარ უხსენებიათ. საძნელო მოეჩვენათ მასზე მსჯელობა და ფიქრი, ვაითუ, სადმე შორს გაგვიტყუოს, სადაც ჩვენი განსჯა ველარ წვდებაო. სადაც მე ვივლი, თქვენც ივლით და მითუმეტეს, შემდეგი ნათქვამი: სამნი ერთად მოვწყდებით მიწას. მოძღვრის სიტყვებში რაღაც დაფარულ აზრს ხედავდნენ, და რაც უფრო მეტს ფიქრობდნენ მასზე, მით უფრო ბუნდოვანი ეჩვენებოდათ. ცალკე ის უკვირდათ, როგორ აღმოჩნდნენ ერთმანეთის გვერდით სწორედ მაშინ, როცა ეს სამოძღვრო სიტყვა ითქვა.

ერთი სიტყვით, დრო ველარ გამონახეს სამოძღვრო სიტყვებზე სალაპარაკოდ, იქნებ არც ისე ეშინოდათ სიკვდილის, ღალიანობა ედგათ, ბოლო ხანს ძალიან მოემართათ ხელი.

სამაგიეროდ მოგვიანებით მოიცალეს, დილეგის წყვდიადში გამომწყვდეულებმა. დაწვრილებით გაიხსენეს იმდღევანდელი შეხვედრის ამბავი, როგორ გაუსწორა მათ თვალი მოძღვარმა (მშვიდად, აულელვებლად), რა უთხრა... „სანამ მე ვივლი მიწაზე, თქვენც ივლითო...“ ამ სიტყვების აზრი სრულიად ნათელი იყო. არანაირი ბუნდოვანება ან გაუგებრობა არ გააჩნდათ. ცოტა ის აფიქრებდათ, რაც ამ სიტყვებს მოსდევდა: „სამივე ერთად მოვწყდებით მიწას“, — აქ უკვე მთლად ნათელი არ იყო ყველაფერი, მაგრამ ამაზე დიდად არ უტეხიათ თავი. ერთხანს იმსჯელეს და

მალევე შეეშვნენ; როცა იქნება, ყველა სულიერი მოსწყდება მიწას, ალბათ ამას ნიშნავსო.

თავი და თავი ის იყო, რაც დასაწყისში თქვა მოძღვარმა: „სანამ მე ვივლი მიწაზე, თქვენც ივლით...“ ეს სიტყვები სინათლის წვრილ სხივს ჰგავდა, დილეგის სიბნელეში მოკიაფეს. ყაჩაღები სწორედ მას ჩააფრინდნენ მთელი ძალ-ღონით; სხვა რაღა დარჩენოდათ. ის იყო მათი ერთადერთი იმედი, თუკი ჰქონდათ რაიმე საიმედო; ერთადერთი ძაფი, რომელიც აკავშირებდათ ამქვეყნიურ ცხოვრებასთან...

არავინ კითხულობდა მათ ამბავს და არც მოიკითხავდა, რამდენი ხანიც არ უნდა მსხდარიყვნენ დილეგის წყვდიადში, არც თავად სურდათ ვინმეს ნახვა. მედილეგემ უთხრა მათ: წესია ასეთი, თუ გინდათ თქვენს ახლობლებს შევატყობინებ თქვენ შესახებო. ამაზე ორივემ უარი თქვა; ღატაკი ოჯახებიდან იყვნენ. ოჯახის წევრები ვერაფრით დაეხმარებოდნენ სასიკვდილოდ განწირულებს. ერთი ის იყო, დარდსა და ვარამს დაიმატებდნენ. ეს არაფერში სჭირდებოდათ ყოფილ ყაჩაღებს. გვირჩევნია, იმის მოლოდინი ჰქონდეთ, ოდესმე ხელდამშვენებულები დავბრუნდებითო, გულში ასე ფიქრობდნენ.

იქნებ ასედაც მომხდარიყო, თუ ღმერთი შეეწეოდათ. იქნებ მოძღვარი, რომელმაც ეს სანუკვარი სიტყვები უთხრა მათ, სწორედ ახლა სადმე დააბიჯებდა მიწაზე, არიგებდა ლოცვას, კურნებას, ახდენდა სასწაულებს. ხომ შეიძლებოდა, დიმასი და გესტასი რაღაც სასწაულით მის გვერდით აღმოჩენილიყვნენ. ასეთ სურათს უხატავდა მათ ოცნება, ამ სანატრელ სურათს მზე დაჰნათოდა თავზე, მონატრებული მზე... ამითი ინუგეშებდნენ თავს ცოტად თუ ბევრად.

განსაკუთრებით გესტასი მხნეობდა. ნამდვილად ვიცი, ღმერთი არ მიგვატოვებსო, ხშირად იმეორებდა. ხანდახან თითქოს სრულიად შეუსაბამოდ გაიხსენებდა იესოს ქადაგებიდან მოსმენილ სიტყვებს, შემთხვევით რომ ჩაბეჭდოდა მეხსიერებაში. ერთხელ დიმასს რაღაც მწერმა უკბინა ხელზე. რაღაც პატარა არსებები მუდამ დაფუთფუთებდნენ დილეგის მიწურ იატაკზე... დიმასმა წყევლა-კრულვა შეუთვალა მწერსაც და მის გამჩენსაც. სიბნელიდან გესტასი შეეხმინა ამ პატარა თავგადასავალს:

— თქვა მოძღვარმა, ნუ ჰყვედრით უფალ ღმერთს ტკივილის გამო, რასაც საწუთრო მოგაყენებთ. გახსოვდეთ, ტკივილი მისი ყველაზე უძვირფასესი საჩუქარია. იგია ერთგული, უღალატო მეგობარი თქვენი სხეულისა. სხვათა დანდობასაც ხომ სწორედ ის, ჩვენი საკუთარი ტკივილი გვასწავლის.

— საამურ განცდაზე რაღას იტყვი? ის არაა ძვირფასი საჩუქარი? — იკითხა დიმასმა, თან სულს უბერავდა ნაკბენ თითს.

— ისიც ძვირფასი საჩუქარია უფლისა, ოღონდ ნაკლებ ღირსეული.

— ასე ბრძანა მოძღვარმა? — ეჭვით ჰკითხა დიმასმა, — იქნებ შენ თვითონ დაგესიზმრა რაიმე მაგის მსგავსი...

— ნამდვილად ასე ბრძანა. კიდევ ისიც თქვა, სიამოვნება ტკივილის უმცროსი ძმაო, მას ძალიან უნდა უფრთხილდეთო.

— ვითომდა რატომ?

— ბუნებით ორპირია და მრუდე, შეიძლება მოგაღოროსო.

ერთხელ ისეთი რამე გაიხსენა გესტასმა, კიდევ უფრო გააოცა თავისი ძმაკაცი. თურმე ვილაცამ თქვა იესოს ირგვლივ შემოკრებილ გუნდში, სიძულვილი განუყოფლად ბატონობს ამ ქვეყანაზეო. იგი ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე სიყვარულიო. თავისი სიტყვა კი შემდეგნაირად დაასაბუთა: სწორედ სიძულვილმა მომცა ძალა, ჩემზე ბევრად უფრო ღონიერ მტერს მოვრეოდი, ათი კაცის ღონე ჩამიდგა მკლავში, სიყვარული ამდენს ვერ შემადლებინებდაო.

მოდღვარმა კი, აი, რა თქვა: სიძულვილი ყოველთვის ისევ სიყვარულს ემსახურებაო. ნამდვილად ასე თქვა? — გაიკვირვა დიმასმა. — ნამდვილად, ბოლოს ასე დააყოლა: სიძულვილი სიყვარულს ქიმუნჯს წაჰკრავს ხოლმე, ეხმარება, რათა მოსწყდეს მიწიერს, ზეციურს მოეფინოსო.

დიმასს აღარაფერი უთქვამს პასუხად. გულზე კი ხვდებოდა ეს სიტყვები, რასაც გესტასი გაიხსენებდა ხოლმე, მაგრამ იმასაც გრძნობდა, მათში დიდი ბუნდოვანება იმალებო, თანაც იმაზე არანაკლები ბუნდოვანება, რაც მოძღვრის ბოლო სიტყვებს ახლავს თან, „სამივენი ერთად მოვწყდებით მიწას...“ დიმასის აზრით, ასეთ საკირკიტო რამეებზე სჯობდა მაშინ ეფიქრათ, თუ აქედან ცოცხლები გააღწევდნენ და სამზეოს დაუბრუნდებოდნენ.

თან იმასაც კარგად ხვდებოდა, რატომ ლაპარაკობდა გესტასი ამდენს. შიშს ებრძოდა, სიკვდილის შიშს, მათ თავებზე ავბედითად გაფოფრილს. სიმხდალეს გესტასს ვერავინ დასწამებდა; ასე რომ ყოფილიყო, ვერ ივარგებდა ამ საქმეში, ნებისით თუ უნებლიეთ წილად რომ ხვდა. მალევე შეეშვებოდა. არაერთხელ უთქვამს გესტასს: თუ კაცი ფეხზე დადგება ჩემი მოქნეული მუშტის მერე, ხელს აღარ მოვუნაცვლებ, კიდევ რომ მომკლასო. საკუთარი

მუშტის ძალამ ათქმევინა ეს ქედმაღალი სიტყვები.  
მაგრამ, აბა, რას იღონებ სიკვდილის აჩრდილის პირისპირ,  
მასაც მუშტს ხომ ვერ მოუქნევ.

ბევრი სიკვდილი ენახა დიმასს; მისი ხელიდან გამოსული,  
თუ რაიმე სხვა მიზეზის შედეგი. ძალიან კარგად გაიგო  
ერთი უბრალო რამ: სიკვდილისთვის არასდროს არავინაა  
მზად, მასთან შეხვედრაც ყოველთვის მოულოდნელია და  
ნურც ნურავინ დაიტრაბახებს, მისთვის თვალის  
გასწორებას შევძლებო. უნახავს დიმასს გულოვანი  
ვაჟკაცები, სიკვდილის პირისპირ ბალღებივით  
ზარდაცემულნი. მხდალიც უნახავს, უცნაურად  
გულმოცემული, სიკვდილისათვის გულგრილად თვალის  
გამსწორებელი.

ვერც თავის თავზე იტყოდა დიმასი, როგორ შეხვდებოდა  
გარდაუვალს, როგორ გაუსწორებდა თვალს სიკვდილს,  
როცა მისი ჟამი დაჰკრავდა. მითუმეტეს, არც ვინმე სხვაზე  
შეეძლო ამ მხრივ რაიმეს თქმა. არავინ იცის წინასწარ ამის  
შესახებ, მორჩა და გათავდა, — ეს იყო მისი ბოლო სიტყვა,  
თუ ამ საკითხზე მოუწევდა ლაპარაკი.

ერთი რამეც კარგად გაიგო: თუ ერთხელ გაუსწორე თვალი  
სიკვდილის ზარდამცემ სახეს, მერე ყოველივე  
გადასხვაფერდება, სრულიად შეიცვლება ის სურათ-  
ხატება, რასაც მთელი ცხოვრება შეაჩვიე თვალი. ეს იმას  
ჰგავს, აზვირთებული ტალღის წიაღში რომ გაიარო,  
შიშისაგან თვალსაც რომ ვერ უსწორებ. მის მიღმა უცნაურ  
სიმშვიდეს აღმოაჩენ. ყოველივე ერთ წერტილში გაყინულა  
ქარბორბალას თვალივით.

ერთი სიტყვით, სიკვდილის მრავალგვარი სახე ენახა  
ორივე ყაჩაღადყოფილს, დიმასს და გესტასს. არაერთხელ  
უმსჯელიათ კიდევ მის შესახებ იქ, სამზეობზე... ისე, როგორც

სხვებს, მათაც იზიდავდათ სიკვდილის დიდი იდუმალეობა, მაგრამ აქ, დილეგის წყვდიადში, სამუდამოდ აკრძალეს მისი ხსენება. თავი ისე ეჭირათ, თითქოს არც არსებობდა სიკვდილის აშკარა აჩრდილი, მათ თავს ზემოთ ავბედითად გაფოფრილი...

და არც წითურა უხსენებიათ, ამ პატარა ყაჩაღური საძმოს მესამე წევრი, მათი გზამკვლევი, სიტყვისა და საქმის მიმტან-მომტანი. ისე, როგორც სიკვდილის, მისი სახელის ხსენებაც აკრძალეს.

ამ სამეულმა მართლაც დიდი თავსატეხი გაუჩინა ქალაქს და მის მესვეურებს. ამაში წითურას მეტად დიდი ღვაწლი ედო. საკუთარი ხელისგულივით იცნობდა მთელ ქალაქს. იცოდა, ვინ საით და როდის წავიდოდა, რას წაიღებდა, რას მოიტანდა. ნაძარცვის გაყოფის დიდოსტატიც ის იყო, უდიდესი წილის წამლებიც. და ახლა დიდად საეჭვოდ ეჩვენებოდა ორივეს, წითურა მათთან ერთად რომ არ იჭდა ბნელ დილეგში. თუმცა ამაზე სიტყვას არ ძრავდნენ. არ სურდათ ამაზე ლაპარაკით დაემძიმებინათ ისედაც უნუგეშო ყოფა. მოაწევდა ჟამი, ყოველივე თავისით გაირკვეოდა. ერჩივნათ, ისევ სამოდვრო სიტყვა გაეხსენებინათ; „სანამ მე ვივლი, თქვენც ივლით“, ამ სანეტარო წამს უტრიალებდა მათი გული და გონება, ყოველ წვრილმანს იხსენებდნენ, ამაზე ლაპარაკში გაჰყავდათ ბნელზე ბნელი დრო.

მერე კიდევ ერთი ტუსალი შემოემატათ.

ჯერ წითურა ეგონათ, როდესაც დილეგის საძვრომი გაიღო და მედილეგემ ვიღაც შემოუშვა მათთან.

არა, წითურა არ ყოფილა, გაუცრუვდათ მოლოდინი.

სრულიად უცხო კაცი შერჩათ ხელში... ისიც მათსავით

ყაჩაღი, ასე ამცნო მედილეგემ. მეტისმეტად სიტყვაძუნწი აღმოჩნდა. ბარაბა მქვიაო, თქვა, როცა სახელი ჰკითხეს. მეტი ველარაფერი ათქმევინეს.

ძალაუნებურად მიჩუმდნენ დიმასი და გესტასი, უხმოდ ელოდნენ, თვითონაც არ იცოდნენ, რას... იმედი ღვივოდა მათში, როგორც ნაპერწკალი ფერფლის გროვაში. ცხადია, შიში თავზე დასტრიალებდა ამ მოლოდინს, გარდაუვალი აღსასრულის შიში. ეს დიმასს უფრო ეტყობოდა, ხანდახან მოთმინებას კარგავდა, დილეგში მოუთმენლად იწყებდა წრიალს. თუ სიკვდილს გვიპირებენ, ბარემ დროზე დაგვხოცონო, ბურტყუნებდა, — ამდენს რას გვალოდინებენო.

გესტასი შედარებით მშვიდად იყო, უხმოდ აყურადებდა დიმასის ნაბიჯებს და მერე მოძღვრის სიტყვას შეახსენებდა: „...სანამ მე ვივლი, თქვენც ივლით...“ დიმასი ერთხანს კიდევ იწრიალებდა, მერე ისიც მიჯდებოდა დილეგის სიბნელეში, ერთადერთი სინათლის ძაფს, სამოძღვრო სიტყვას ჩაბლაუჭებული.

არცერთი აღარ იღებდა ხმას, უხმოდ აყურადებდნენ ერთმანეთის ფიქრებს, წყვილიადის წიაღში მორიალეს; ნეტავი დამანახა, აი, ახლა, ამ წუთას, სად დადის იესო, სად ეხება მიწას მისი ნაბიჯი, რომელ ქალაქში თუ სოფელში. სანამ ის დადის მიწაზე, ჩვენც ვიქნებით. ის ხომ ჭეშმარიტი ღმერთია. მრავალნი ამბობდნენ ამას იქ, სამზეობე. ჩვენც ასე ვფიქრობთ, უეჭველად აღსრულდება მისი სამოძღვრო სიტყვა. ერთი ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ, როდის გამოგვიხმობენ დილეგიდან, როდის გავივლით კვლავ მიწაზე, ღმერთის სიტყვის ნებისამებრ.

და აი, თითქოს დადგა ნანატრი წამი, გაიღო დილეგის კარი. მედილეგემ ჩამოაბნელა ზემოდან ჩამომავალი რიბირაბო,

ბარაბა გამოიხმო.

ისიც უჩუმრად გაიძურნა დილეგიდან. დიმასმა და გესტასმა სცადეს ერთმანეთისთვის შეეხედათ სახეში. გულში ორივეს ერთი ფიქრი უტრიალებდა, ნეტავი რა ხდებაო.

მდუმარება ჩამოვარდა, რომელიც ერთხანს გაიწვლა.

ისევ გაიღო დილეგის კარი, ახლა უკვე მათთვის, მედილეგეს მიჰყვნენ ოკრობოკრო კიბეებზე.

ახლაც ცნობისმოყვარე მზერით შეხედა ორივეს მედილეგემ, როგორც კი დილეგს გამოსცდნენ და დღის შუქი მისწვდა მათ სახეებს. ჩანს, აინტერესებდა, რაიმეს იმედი თუ შერჩათო. არც დიმასს, არც გესტასს ეს არ შეუმჩნევიათ, ვერაფერს ხედავდნენ სინათლისგან თვალებაჭრელებულები, დილეგის სიბნელიდან ახლად თავდაღწეულები.

მედილეგემ შეიარაღებულ მცველებს გადააბარა ისინი. იარეთო, უბრძანეს მცველებმა. მორჩილად მიჰყვნენ ყოფილი ყაჩაღები, თან თვალებს ხშირ-ხშირად ახამხამებდნენ, რათა დღის სინათლეს შესჩვეოდნენ. რაღაც ჭრელი დომხალი ტრიალებდა მათ ირგვლივ, სხვას ვერაფერს ამჩნევდნენ.

სადღაც დადგნენ. როგორც იქნა, ნელ-ნელა იწყო თვალის სინათლემ დაბრუნება, ჭრელი დომხალიდან ფართო მოედანი გამოიკვეთა, თავშეყრილი ხალხიც დაინახეს, შეიარაღებული მცველები.

დიმასმა და გესტასმა უნებურად ბარაბას დაუწყეს თვალით ძებნა, აკი, არც ისე დიდი ხნის წინ დატოვა დილეგი... მათი აზრით, ისიც აქ უნდა ყოფილიყო.



ბარაბა არსად ჩანდა. მის ნაცვლად ვიღაც სხვა დაინახეს, მათსავით ხალხს გამორიდებული, შეიარაღებული მცველების რიგის გადმოღმა მყოფი. ამით დაასკვნეს, ისიც ჩვენსავით მსჯავრდებულიაო. ჰოი, რა საცოდავი სანახავი იყო... არც დიმასი და გესტასი იყვნენ პირზე ვარდგადაფენილები, მაგრამ ის უცხო მსჯავრდებული მათზე ბევრად უფრო ნატანჯი, უფრო ძალაგამოცლილიც ჩანდა... ხელ-ფეხზე გაშოლტვის კვალი ეტყობოდა, თავზეც ეკლის გვირგვინი ჩამოეფხატათ მისთვის. ცხადი იყო, ვიღაცამ მთელი თავისი გულის ჯავრი ამოიყარა მასზე, ბოლომდე იზეიმა მისი სრული დაცემით.

ხის მძიმე ჯვრები ჩამოურიგეს სამივეს, გზას გაუდექითო, უბრძანეს. პირველობა გესტასს ერგო, კვალში უცხო მსჯავრდებული ჩაუყენეს, ათიოდე ნაბიჯის დაშორებით, დიმასი სულ ბოლოს მიაბიჯებდა. ასე დაწალიკებით გაუდგნენ გზას, მძიმე ჯვრისგან წელში გადრეკილები. შორიახლოს შეიარაღებული მცველები მიჰყვებოდნენ, უფრო იქით სეირის მაყურებელთა ჭრელი გუნდი ირეოდა.

ალარაფერი იყო გაუგებარი და საკითხავი. ხის ჯვარი რასაც ნიშნავდა, ძალიან კარგად იცოდნენ დიმასმა და გესტასმა. გზის მიმართულებაც ენიშნათ, გოლგოთის მთისკენ მიიწვედნენ. სწორედ იქ სჯიდნენ სიკვდილმისჯილებს. ამის შესახებ ორივეს გაეგონა, საკუთარი თვალითაც ენახა.

სადღა იყო მოძღვარი? მისი სამოძღვრო სიტყვა: „სანამ მე ვივლი მიწაზე, თქვენც ივლით...“ კვალიც არ ჩანდა მისი, არც არაფერი ისმოდა. არავინ და არაფერი... ასეთ ყოფაში იყვნენ ორივენი. სრულიად უნუგეშოდ, მარტოდმარტოდ დარჩენილები სიკვდილის საზარელი სახის პირისპირ. და მაინც, იმედი არ ტოვებდა მათ. იმედი, რომელიც მეტისმეტად ჯიუტი ყოფილა მართლაც, მეტისმეტად

სიცოცხლისუნარიანი. საკუთარ სიკვდილს ატარებდნენ ზურგით. დროის სულ რაღაც მცირე მონაკვეთი აშორებდათ მისგან. მაინც მოძღვარს ეძებდნენ თვალით, ჯვრის სიმძიმისგან წელში ორად მოკეცილები. თვალს ადევნებდნენ მცველებს მიღმა მოფუთფუთე ხალხის გუნდს, ხომ არ დააბიჯებდა მათ შორის ვინმე, ვინც მოძღვარს გაახსენებდა მათ. მაინც რაღაცის მოლოდინში იყვნენ...

ის უცხო მსჯავრდებულებს თვალში უსიამოდ ეჩხირებოდა დიმასს. ცხადად ჩანდა, როგორ უცახცახებდა მუხლები, ხის ჯვარი მეტსიმეტად მძიმე ტვირთი გამოდგა მისთვის, ძლივს ახერხებდა ნაბიჯების გადადგმას. ტაატიტ მიდიოდნენ ყველანი მისი გადამკიდე. არადა, საჩქარო აბა რა იყო დიმასისთვის და გესტასისთვის, რა ელოდათ მათ, მთის მწვერვალს რომ ააღწევდნენ, წამებით სიკვდილი... მაინც დიმასს გულს უწყალებდა უცხო მსჯავრდებულის უღონო ბარბაცი, ძლივსძლივობით მიახოკიალებდა ხის ჯვარს, ცხადად ისმოდა მისი მძიმე სუნთქვაც.

აჰა, ველარც იარა, წამოიჩოქა ძალაგამოცლილმა.

— ადექი! — დაუყვირა მცველმა, თან მათრახი მოუნაცვლა.

მსჯავრდებული შეეცადა, გაემართა მუხლი, ცოტა ხანს იჯახირა და პირქვე განერთხა გზის მტვერში. აი, ეს მოჰყვა ამ მცდელობას, ჯვარი ზემოდან დაეცა.

ხალხში ჩოჩქოლი ატყდა: „იესო დაეცა, იესომ ველარ იტვირთა ჯვარი!“ — მრავალთაგან მრავალი ხმით თქმული.

დიმასმა ყური ცქვიტა, იესო, ნამდვილად ასე მოესმა. ნეტავი ვის გულისხმობენ? სად არის იესო, ნუთუ აქ, ამ ხალხში? თუ ასეა, რატომ ამდენ ხანს ვერ დაინახა,

გესტასიც ხომ ეძებდა... თანაც ეს სიტყვა: „დაეცა!“, ეს რაღას უნდა ნიშნავდეს.

დიმასმა სცადა, შეძლებისდაგვარად წელში გამართულიყო, თვალით ხალხის სახეების ჩხრეკა იწყო, იქნებ რაიმე ან ვინმე დაენახა.

ამასობაში ვიღაც გამოჩნდა, სახელად იოსები. მან იტვირთა დაცემულის ჯვარი. უცხო მსჯავრდებული გაათავისუფლეს მეტისმეტად მძიმე ტვირთისგან.

ისევ გააგრძელეს გოლგოთის გზა.

დროის რაღაც მონაკვეთის მანძილზე უცხო მსჯავრდებული დიმასის ახლოს, თითქმის მის გვერდით აღმოჩნდა.

შეხედა დიმასმა, დააკვირდა, რაღაც ეცნაურა... ის არის? თუ არა, არა მგონია... შეუძლებელია! არადა, თითქოს ჰგავს, ძალიან ჰგავს. თუმცა ძალიან შეცვლილია... ჰო, ნამდვილად ის არის, მოძღვარი, რომელმაც სამოძღვრო სიტყვა დაგვიტოვა მე და გესტასს.

აი, თურმე რას ნიშნავდა ის სიტყვები, მათ ამდენი თავსატეხი რომ გაუჩინა. „სამნი ერთად მოვწყდებით მიწას...“ ჯვარცმა ხომ სწორედ ესაა, ჯერ სხეული მოწყდება მიწას, სანამ სული სხეულს გაეყრებოდეს.

შედარებით სწრაფად მიიწვედნენ წინ, რაც იოსებმა იტვირთა დაცემულის ჯვარი. მიაბიჯებდა დიმასი, მძიმე ჯვრისგან ქედდადრეკილი, სახე გვერდით მოეღრიცა, უცნობ მსჯავრდებულს არ აცილებდა მზერას. სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ ნამდვილად იმ მოძღვარს შეჰყურებდა, შემთხვევით თუ განგებ, გზად რომ გადაეყარა. გესტასიც ხომ იქვე აღმოჩნდა... მისმა სამოძღვრო სიტყვამ იხსნა ორივენი, ამოიყვანა ბნელი დილეგიდან. ხომ შეიძლება, იქვე დარჩენილიყვნენ. ასედაც მომხდარა:

უიმედობა უფრო ადრე ჰკლავს, ვიდრე თვით სიკვდილი. მერედა რისთვის, რილასთვის გადარჩენ. იმისთვის, რომ ახლა, სულ მალე, ჯვარზე გაკრულები წამებით აღესრულონ. თუმცა ვინ იცის, იქნებ ღმერთმა სხვანაირად განსაჯოს. ის ჭეშმარიტი ღმერთია, მიუხედავად ბალღზე უფრო უმწეო ყოფისა. აკი წინასწარ განჭვრიტა ყოველივე. ჩვეულებრივი მოკვდავის ყოფა ვერ შეძლებდა ამას, ვერ დასძლევდა მანძილს მაშინდელსა და დღევანდელობას შორის.

ჩვენ ვერ მივხვდით მაშინ, რას ნიშნავდა მისი სამოძღვრო სიტყვები, განსჯა არ გვეყო საამისოდ. იქნებ ვერც ახლა ვხვდებით რაიმეს.

გესტასის მზერა დაიჭირა დიმასმა. ისიც მისჩერებოდა უცხო მსჯავრდებულს. მგონი, მანაც იეჭვა რალაც. სახე ერთიანად გაქვავებოდა, თვალები ცარცივით ჰქონდა გადათეთრებული.

ცუდად ენიშნა გესტასის იერსახე დიმასს, ბევრის მნახველ ყაჩაღს. წინმსწრები სიკვდილის სუნი იგრძნო. ანუ, ისეთი სიკვდილის, სხეულს რომ დაასწრებს. საბოლოოდ დარწმუნდა კიდევ ამაში, როდესაც გესტასის ხმა გაიგონა...

\* \* \*

მსჯავრდებულთა ჯვარზე დაღურსმვა იწყეს ჯალათებმა. განგებ თუ შემთხვევით გესტასით დაიწყეს, ჩაქუჩითა და ლურსმნებით შეიარაღებულები მიადგნენ. ხმამაღლა მორთო ყვირილი გესტასმა. მეტად ემწარა, როცა ლურსმანი ჩაურჭეს ხელ-ფეხში.

ბევრი რამ უთხრა ამ ყვირილმა დიმასს, ბევრი ტკივილისა და სიკვდილის მნახველს. გესტასი აღარ ჰგავდა იმ გესტასს, ოდესღაც რომ იცნობდა. ყოველივე ადამიანური წარხოცა მასში შიშმა, ტკივილმა, სრულმა უიმედობამ,

თითქოს გონებაც აღარ შერჩა. უგონო პირუტყვის ზმუილს უფრო ჰგავდა მისი ხმა, ვიდრე ადამიანისას.

და ახლა უკვე გესტასს მიაჩერდნენ მოზეიმე სახეები; ახალი ნუგბარი მიიღეს. სანახაობას ხმაც დაემატა, ერთიანად ტკბებოდა მათი თვალი და ყური.

ყველა იქ მყოფის მზერა ბურთივით შეიკრა გესტასის ირგვლივ, ისიც კი, წითურა, მას შეჰყურებდა. დიმასს ცოტა ხნით იმანაც აარიდა თვალი, მაგნიტივით მიიზიდა გესტასის ხმამ.

ახალი ძალა მოიცა მოზეიმე იერმა მჭვრეტელთა სახეებზე, კიდევ უფრო ძლევამოსილად გაიფოფრა მისი ავბედითი შარავანდედი.

ცხადია, მაშინაც ისეთი სახეები ექნებათ, როდესაც უკვე მას, დიმასს, მიაღურსმავენ ჯვარზე. როცა უკვე მის ხმასაც გაიგონებენ, ტკივილისაგან გაგიჟებული პირუტყვის ხმას, მაშინ უკვე ის დაატკბობს მათ ყურთასმენას.

„ვერ ეღირსებით, ვერ ეღირსებით, ვერ ეღირსებით...“  
უსასრულოდ იმეორებდა ამ ორ სიტყვას დიმასი, თითქოს ცდილობდა, ფარდასავით აეფარებინა მათი სიმრავლე. იქნებ ძალა შემატებოდა მათგან, ხმა არ დაეძრა ჯვარზე დაღურსმნისას. კიდევ ერთი სიხარული და ბედნიერება არ შეემატებინა მოზეიმე სახეებისთვის.

უფრო ახლოს გაისმა ლურსმანზე ჩაქურჩის ცემის ხმა, იესოს ჯერი დამდგარიყო, სულ მალე მასაც მიადგებიან.

„ვერ ეღირსებით, ვერ ეღირსებით, ვერ ეღირსებით“ —  
იმეორებდა გუნებაში, თან გაფაცვიცებით აყურადებდა მეზობელი ჯვრიდან მოდენილ ხმებს. მხოლოდ ჩაქურჩის ცემის ხმა ისმოდა... და კიდევ გესტასის ყვირილი თუ

ზმუილი, ამ ორ ხმას აღარაფერი შემატებია. ჯერჯერობით სხვა არავინ ყვიროდა აუტანელი ტკივილისაგან.

მგონი რაღაც მოხდა, ჯერჯერობით გაუგებარი. ჯალათები გაეცალნენ ჯვარზე ახალდალურსმულს. მათ ნაცვლად მცველები მიუახლოვდნენ. ერთ-ერთ მათგანს მაღლა აწეული ხელით ჯოხი მოჰქონდა, ჯოხზე ძმრიანი ღრუბელი იყო დამაგრებული.

მიხვდა დიმასი, რაც მომხდარიყო; აუტანელი ტკივილისაგან გონება დაჰკარგა იესომ, ყველაზე უმწეომ და ღონეგამოცლილმა მსჯავრდებულთა შორის. დიმასმა გვერდზე მიაბრუნა სახე, დაინახა, იესოს თავი მკერდზე ჰქონდა ჩამოვარდნილი. საყნოსი ღრუბელი ცხვირთან მიუტანა მცველმა, რათა გრძნობაზე მოეყვანა იგი. ნება არ ჰქონდა ჯვარცმულს, ტკივილს გაეცეოდა, სანამ ცოცხალი იყო. ბოლომდე უნდა მიეღო სასჯელის ყველა სახე, მწარე სასმელის ყველა წვეთი.

ამასობაში მასაც მოადგნენ.

სულ ახლოს დაინახა დიმასმა ჩაქუჩმოღერებული ჯალათი, ლურსმანსაც მოჰკრა თვალი, მაგრად მომუშტულ ხელში ჩაბღუჯულს.

მთელი სხეული სწორედ იმ მუშტივით შეკუმშა დიმასმა, სახე ნიღაბივით გაიქვავა, მაგრად მოკუმულ ტუჩ-პირს კბილები ჩაუჭირა... და რაც მთავარია, თვალი გაიმახვილა, ისედაც მახვილი დაბადებიდან, დილეგის სიბნელით კიდევ უფრო ალესილი. მოზეიმე სახეებს შეაჩერდა (ახლა უკვე მისკენ შებრუნდა ყველა სახე), უმეტესად იმ ერთს, მისი უბედურებით ყველაზე გახარებულს, ყველაზე გალაღებულს და ბედნიერს და ყველაზე საძულველს მღვრიე ბეიმის წიაღში. დიმასი გრძნობდა, სიძულვილის

განცდამ ცეცხლოვანი ტალღასავით როგორ დაუარა მთელ სხეულში.

მძიმე ჩაქურჩის მოქნევა, მწარე ჩხვლეტა, მაჯებზე და წვივებზე თითქოს ცეცხლი შემოენთო.

მეტად მწარე და აუტანელი იყო ყველა ეს ტკივილი, უფრო უარესი კი იმის შიში, ვაითუ, ხმა დამცდესო.

„ვერ ეღირსებით, ვერ ეღირსებით...“, გუნებაში განუწყვეტლივ იმეორებდა ამ სიტყვებს, იქნებ დახმარებოდნენ, ხმა არ გაეღო. თვალის ქუთუთოებში ბუბები უძვრებოდნენ, მაინც თვალდაუხამხამებლად შეჰყურებდა მოზეიმე სახეების ჯგროს და უმეტესად იმ ერთს; ისინიც ეხმარებოდნენ, ნამდვილად ეხმარებოდნენ, როგორმე ხმა არ დასცდენოდა.

წამით გონება მაინც დაჰკარგა აუტანელი ტკივილისაგან. სულ სხვა ყოფილა, როდესაც საკუთარი სხეულის სიმძიმე ლურსმებს ექაჩება დაბლა და არა თოკებს.

ხმა ხომ არ დამცდაო, უწინარეს ყოვლისა, ეს გაიფიქრა ისევ გონს მოსულმა. არა, მსგავსიც არაფერი მომხდარა. მისი ხმა არავის გაუგონია. ეს ცხადად ამოიკითხა მასზე თვალმოუცილებლად მიშტერებულ მოზეიმე სახეებზე: რაღაც ნამდვილად შეიცვალა მათში. სახეები თითოს გაქვავდნენ, მოზეიმე იერს გაოცება შეერია. რას უნდა გაეოცებინა ისინი, თუ არა მის შეუვალ სიკერპეს და სიჩუმეს. ჯვარცმულის გამძლეობა ძალიან ეუცხოვათ.

მძიმედ, ხრიალით ამოისუნთქა დიმასმა, ყოველივე ამის დამნახველმა, ანუ, მთელი მკერდით; საეჭვო აღარაფერი იყო, როგორც იტყვიან ხოლმე, შეძლო შეუძლებელი. სწორედ ის, რაც თვითონვე ეჩვენებოდა შეუძლებლად. ხმა ნამდვილად არ დასცდენია, სულ მცირე ამობგერებაც კი.

ტუჩ-პირი კბილებს საიმედოდ ჰყავდა ჩაბღუჯული. უფრო მეტიც, სახეც კი არ შეცვლია, კუნთი არ შეტოკებია სახეზე. ისეთივე იერი შეინარჩუნა, რაც მილურსმნამდე ჰქონდა, განურჩეველი, არაფრისმთქმელი, ოდნავ დამცინავიც კი. თვითონვე დაინახა საკუთარი იერსახე, მოზეიმე გაქვავებულ სახეებზე არეკლილი. თანაც ისე ცხადად, თითქოს წყლით სავსე გუბურაში ჩაიხედაო.

დიმასი არ შეუცბუნებია ამ მოულოდნელ აღმოჩენას. თავი იმ მოთამაშესავით იგრძნო, ბევრად მეტი მოგება რომ ხვდა წილად ფსონის ჩამოსვლისას, ვიდრე წინდანი ვარაუდობდა. რას იფიქრებდა, თუ ამდენს შეძლებდა, პირში დასცინებდა მრავალსახა ურჩხულს.

მრავალსახა მოზეიმე ურჩხულსაც სწორედ ეს ემწუთხა ყველაზე მეტად, ჯვარცმულის სახეზე აღბეჭდილი დამცინავი იერი.

ძალა შემატა ამ პატარა, თუმცა, ალბათ მისი მდგომარეობისთვის არც ისე პატარა გამარჯვებამ დიმასს, თვალის თითქოს კიდევ უფრო გაუმახვილდა, გოლგოთის შემოგარენიც უფრო გაფართოვდა, ახლა უკვე თვით უსაზღვროებას ერწყმოდა იგი. დიდი თუ მცირე, ახლოს მყოფი თუ შორეული, ყველა და ყოველივე ერთად მოიცვა დიმასის თვალმა, რაც ტკივილის ზღურბლს უხმოდ გადააბიჯა.

და, რაღა თქმა უნდა, იმ ერთადერთსაც კარგად ხედავდა, ყველაზე მოზეიმეს, ბედნიერს და გალაღებულს მისი უბედურებით. ისიც კარგად დაინახა, რომ ყველაზე ადრე სწორედ მას წაუხდა ნირი. რაღაც იეჭვა, მისთვის გაუგებარი და უცხო. აშკარად არ მოეწონა დიმასის დამცინავი იერსახე, მეტად უსიამოვნოდ დაურჩა,



კლდესავით მტკიცედ რომ დაუხვდა დიმასი გაუსაძლის ტკივილს, ერთი ამობგერებაც რომ არ დასცდენია.

იმანაც იგრძნო დიმასის დაჟინებული მზერა, ეს კიდევ უფრო არ მოეწონა, რაღაც მოუსვენრობა აშკარად შეეტყო; აწრიალდა, რამდენიმე უნებური მოძრაობა გააკეთა, სახეც გვერდით მიაბრუნა, მერე ისევ შემოხედა, თითქოს ეკითხებოდა, რას მომჩერებიხარო. შეჰყურებდა დიმასი დამცინავი სახით, თვალს წამითაც არ აცილებდა. კვლავ მოინაცვლა ფეხი იმ ერთ-ერთმა, ყველაზე მოზეიმემ, მიიხედ-მოიხედა, ვითომდა ვინმეს ეძებსო, მერე ისევ მას, დიმასს შემოხედა... და აჰა, ველარც გაუძლო, შებრუნდა, ზურგი შეაქცია მისთვის ესოდენ ნანატრ, თან სასურველ სანახაობას. გაარღვია მოზეიმე სახეების ჯგრო, ერთიც აღარ მოუხედავს უკან, ისე მიიმალა.

„ვერ დაიმალები“ — დაანია სიტყვა დიმასმა. დარწმუნებული იყო, გააგონებდა წითურას, მის ირგვლივ მყოფი გაფართოებული სივრცე მისცემდა ამის ნიჭს.

„ვერსად და ვერანაირად ვერ დაიმალები, თავს ვერსად შეაფარებ. მოაწევს ჟამი, ისე ცხადად დამინახავ, როგორც მე დავინახე ჩაქუჩმოღერებული ჯალათი საკუთარ ცხვირწინ. იმ ტკივილსაც მაშინ იგრძნობ, რომელსაც მე ახლა განვიცდი“.

ამ დროს მართლაც მოისმა ხმამაღალი ყვირილი, გაუსაძლის ტკივილს რომ უნდა გამოეწვია. დიმასი ერთი წამით შეცბუნდა, ისიც კი გაიფიქრა, წითურას ხმა ხომ არ გავიგონეო... სწორედ ის ხმა, რომელიც, ვინ იცის, როდის უნდა აღმოეტევა, სულის ამოსვლასთან ერთად.

არა, წითურა არაფერ შუაში ყოფილა, მას არ ეკუთვნოდა ეს ხმა. ჯალათებს იესო მოეყვანათ გრძნობაზე და ახლა

ხმამაღლა ყვიროდა აუტანელი ტკივილისაგან მეტად შეწუხებული. დიმასს გაუკვირდა კიდევ, არ მოელოდა, თუ ამ ზომამდე ხმამაღალ ხმას აღმოუტევებდა ესოდენ ძალაგამოცლილი სხეული. ჩანს, ძალიან ემწარა გონსმოსულს ხელ-ფეხში ჩარჭობილი ლურსმნები, ბუბებიც განუწყვეტლივ ეხვევიან, მზის სხივები შეუბრალებლად უწვავენ მთელ სხეულს. მეტად მძიმეა ეს ყოველივე, მძიმე და აუტანელი, (დიმასზე უკეთ ეს ვინ იცოდა?) ამიტომაც ყვიროდა ასე მწარედ იესო... მოძღვარი, რომელიც სხვებს ასწავლიდა, „ნუ ჰყვედრით უფალს, თუ საწუთრო ტკივილს მოგაყენებთო,“ თვითონვე მწარედ მოთქვამდა აუტანელი ტკივილის გამო. „უფალო, უფალო, რაისთვის დამიტევე მე?“- ბალღივით შესტირა იესომ უფალს, ამ სიტყვებთან ერთად სცადა, ზეცისკენ აღეპყრო თვალი. მცდელობადა შერჩა, ბუბებმა არ მისცეს ამის საშუალება, ქუთუთოებში გუნდ-გუნდად უძვრებოდნენ, თავიც გვერდზე უღონოდ გადაუვარდა.

მრავალსახიანმა მოზეიმე ურჩხულმა გადაყლაპა ეს ნუგბარი, კვლავ დამშეული იყურება, მეტს თხოულობს, ბევრად უფრო მეტს... მისი თვალი და ყური ახლა მთლიანად მწარედ მტირალი იესოსკენაა მიმართული, ყველა მოზეიმე სახე მისკენ მიბრუნდა.

და რაც ყველაზე უარესია, მოზეიმე სახეებზე უკვალოდ გაჰქრა ის შეცბუნება, გაოცება, უკმარობის განცდა, რაც დიმასის საოცარმა გამძლეობამ და შეუვალმა სიკერპემ შვა. ხმა რომ ვერ დააცდენინეს. ეს მეტად უსიამოვნოდ დაურჩა დიმასს.

„ბალღივით უმწეო ხარ, — გუნებაში უსაყვედურა დიმასმა მწარედ მტირალ იესოს, — „ოღონდ მისგან განსხვავებით, ბევრად მეტი იცი, ვიდრე ყველა მოზრდილმა, ერთად

აღებულმა. ამდენად, არც შეგეფერება, ბალღივით ტიროდე ტკივილისაგან.“

იესო კვლავ ყვიროდა, რა სანყენიც არ უნდა ყოფილიყო დიმასისტვის. ხმა კიდევ უფრო შეიმაღლა... სამწუხაროდ, არ შეეძლო ის ორი მხსნელი სიტყვა: „ვერ ეღირსებით, ვერ ეღირსებით...“ ფარავით დაეხვედრებინა ტკივილისათვის. სიძულვილის ნიჭმა აჩუქა ეს სიტყვები და შეუძლებელი შეაძლებინა დიმასს. იესოს არ აქვს სიძულვილის ნიჭი, იესო მხოლოდ სიყვარულია...

გესტასის ზმუილიც სწორედ ახლა გაისმა... ხანდახან ხმა უწყდებოდა, ჩანს, ძალა დალატობდა, ახლა ისევ მოიცა ძალა... ერთმანეთში აირია ორი ხმა, ცხოველის მინაგვარი და ადამიანის... ეს განსაკუთრებით უსიამოდ მოხვდა დიმასის ყურთასმენას, გულში გაივლო, ნეტავი იმდენი მაინც შემეძლოს, ეს ორი ხმა განვაშორო ერთმანეთისგანო.

რა უნდა ელონა? იმ ცეცხლოვან სიძულვილს ვერ უწილადებდა მეზობელ ჯვარცმულს, რამაც თვითონ მას ტკივილის უხმოდ ატანის ნიჭი მისცა, მაგრამ ალბათ, ხმას მიაწვდენდა, არც ისე დიდი მანძილი იყო ჯვრებს შორის.

დიმასი გასცდა საკუთარ ჯვარს (ასედაც შეიძლება ითქვას), ამ განზრახვის აღსრულება მოინდომა; ძალიან კი გაუძნელდა, ძლივს გახსნა კრუნჩხვით მოკუმული ტურპირი. ჯერ გაურკვეველი ხრიალი აღმოხდა, ვერაფერი ვერ თქვა. როგორც იქნა, დაწეწვილი ტურპირი დაიმორჩილა, სიტყვა მოაყოლა ხრიალს;

— მოძღვარო, მოძღვარო...

მოესმა დიმასს, სუნთქვა გაუხშირდა იესოს. ყური მომაპყროო, იმის ნიშნად ჩათვალა, აღარც დააყოვნა,

უთხრა სათქმელი:

— ნუ ჰყვედრი უფალს...

ცხადად გრძნობდა დიმასი, რომ მისმა სიტყვებმა მიაღწიეს მეზობელ ჯვარცმამდე, ყური, თვალი, მთელი სხეული, შეუმცდარად ამცნობდა ამას.

კვლავ რამდენიმე ამოსუნთქვა მისწვდა დიმასის ყურს, ხრიალში არეული. ბოლო გასაქანი მისცა ტკივილს იესომ. მერე მიყუჩდა, სრულიად აღარაფერი ისმოდა მისგან. ხომ არ მოკვდაო, ისიც კი იეჭვა დიმასმა. არა, არ მომკვდარა, თავი მიიდრიკა ჯვარზე და ნიავივით ჩუმი ხმით თქვა: „იყავნ ნება შენი...“ ღმერთს უთხრა ეს სიტყვები, ცხადად გაიგონა დიმასმა. ალბათ სხვა ვერავინ გაიგონებდა ამ სიტყვებს, მაგრამ ერთ-ერთი მცველი მიუახლოვდა იესოს სწორედ ამ დროს. მასაც ალბათ ეგონა, ხომ არ მოკვდაო, როგორც დიმასმა იეჭვა.

დიმასი დაუბრუნდა საკუთარ ჯვარს, დაწეწკილი ტუჩ-პირი კვლავ მოიქცია კბილებს შორის. „ვერ ეღირსებით, ვერ ეღირსებით...“ ისევ და ისევ იმეორებდა ამ სიტყვებს გუნებაში. დიდი იყო ძალა იმ ცეცხლოვანი სიძულვილისა, რაც მთელ მის სხეულს მსჭვალავდა. მისი წყალობით მიაღწია თავისას დიმასმა, ერთმანეთისაგან განაშორა ცხოველისა და ადამიანის ხმა, მრავალსახა ურჩხულიც განბილებული დარჩა, სრული გასაქანი ველარ მისცა თავის ზეიმს, მის ყურთასმენას მხოლოდ გესტასის ზმუილი წვდებოდა და ატკბობდა, და ისიც საცაა მიწყდებოდა, სულ უფრო იშვიათად, უფრო სუსტად ისმოდა, სიცოცხლე ტოვებდა გესტასის სხეულს.

დიმასიც გრძნობდა, ახლოს იყო მისი აღსასრულიც, სულ უფრო ხშირად ჰკარგავდა გონებას. უგონობის წყვდიადს

რალაც გაურკვეველი, ცეცხლოვანი ღრუბლები  
ენაცვლებოდნენ, ყაჩაღივით თავს ესხმოდნენ  
გონსმოსულს. ტკივილის განცდა, მოზეიმე სახეები,  
გოლგოთის უსასრულოდ ფართო თვალსაწიერი...  
ყოველივე იმ ცეცხლოვანი ღრუბლების მიღმა  
უჩინარდებოდა.

და ბოლოს, როდესაც დიმასის სხეულმა მიაღწია სიკვდილ-  
სიცოცხლის მიჯნას, უგონობის წყვდიადიდან ცეცხლოვანი  
ნიშნებივით ამობრიალდნენ და გესტასის ხმით  
ალაპარაკდნენ სიტყვები, ოდესღაც მოძღვრის მიერ  
წარმოთქმული: „სიძულვილი სიყვარულის მორჩილი  
მსახურია, მუდამ ებრძვის და ეტოქება, ამით ისევ მას  
ეხმარება, რათა მოწყდეს მიწიერს, ზეცას მოეფინოს მისი  
ძღვევამოსილება...“

სულ ერთი წამით გაიელვეს ამ სიტყვებმა, სანამ  
განუყოფლად გაბატონდებოდა არყოფნის წყვდიადი,  
საბოლოოდ დაბურავდა ჯვარცმულის თვალსაწიერს.

## 4. კრიტიკა

**ღელა კოდალაშვილი**

## მეტად უცნაური სიყვარულის ისტორია

შეიძლება, სარტრი მართალია და სამყარო გადასარევად იარსებებდა ლიტერატურის გარეშე, მაგრამ ლიტერატურა ალბათ ვერ იარსებებდა სიყვარულის თემის გარეშე, რომელსაც ის მუდამ თავის ყბაში იგდებს და ხანდახან იმის გამოცნობაც ძნელდება, ჰუმანიზმი ამოძრავებს თუ მიზანთროპიას და სიძულვილს გვიქადაგებს.


რთულია, აღწერო პიროვნების ტრაგედია, რომლის ადამიანური ღირსება შებღალულია უსამართლო საზოგადოების მკაცრი კანონებით, და იმავდროულად მკითხველს თვალწინ გადაუშალო გრძნობების ნამდვილი უსასრულობა, ერთდროულად მშვენიერი და უშნო თანავარსკვლავედებით მოჭედილი.

პირველი, რასაც ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მიერ სულ ახლახანს გამოცემული წიგნი, “ქარის გამორჩევა” განგაცდევინებთ, ძრწოლაა, სადაც ორი ადამიანის წამების ცეცხლი თითქოს მთელ ჩვენს სოციალურში, მთელ სამყაროში გიზგიზებს.

ეს გახლავთ ნოდარ ლადარიას პირველი რომანი და, თუ არ ვცდები, პირველი განაცხადი მხატვრულ ლიტერატურაში. თუმცა ასეთ რამეებს უფრო კონკურსებისთვის და მსგავსი ღონისძიებებისთვის აქვს მნიშვნელობა. პირადად ჩემთვის — სად იწყება ფეისბუკ სტატუსი და სად მოთხრობა, სად გრადაცირდება ლექსად, სად ცხოვრებად და სად ნახატად, უკვე სულერთია. მთავარია, სადმე, რამე მომენტში, ხელოვნების აქტი შედგეს. თუნდაც, ვთქვათ, კითხულობ ამ რომანს, ფეისბუკი თავისთვისაა ჩართული, პერიოდულად ხედავ, რომ ამ წიგნის ავტორმა ახალი სტატუსი ან ახალი ფოტო გამოაქვეყნა. და ადრეული



გაზაფხულის ამ ნისლიან, მოჟამულ პეიზაჟებსაც ტექსტის ნაწილად აქცევ...



ეპიგრაფად წამძღვარებული შექსპირის სიტყვები (“...Nothing extenuate, Nor set down aught in malice.”) ავტორისგან წინასწარ თავის მართლებას ჰგავს — თითქოს ფრთხილობს, რომ სუბიექტურობა არავინ დასწამოს. არადა, ჯერ ტექსტი წინაა, მკითხველმა არაფერი იცის...

რომანს, შეიძლება ითქვას, ორი პერსონაჟი ჰყავს, ე. წ. შუა ასაკის წყვილი — ევდემონი და

თეოფორა. თუმცა ევდემონი სამი გახლავთ. არის კიდევ რამდენიმე ადამიანი, რომელიც მოჩვენებასავით გაიელვებს, მაგრამ მთავარი ამ ორ პერსონაჟს მიღმა არსებული უშველებელი სამყაროა. უფრო სწორად, სისტემა, კლანი, ტუსოვკა, ინსტიტუცია — ყველაფერი ის, რასაც ასე აშარჟებს ავტორი ევდემონის ენით. ეს ქალი და კაცი, სავარაუდოდ, ჩვენს ქალაქში ხვდება ერთმანეთს და მოქმედებაც აქ ვითარდება. ასაკი ნუ მოგატყუებთ. ეს არაა დაღვინებული წყვილის სიყვარულის ისტორია. ესაა სიყვარული იმ თავბრუდამხვევი სიგიჟით, რომელსაც 18 წლის ადამიანებთან უფრო წააწყდებით. მაგრამ თუ ახალგაზრდების თავგადასავალი სავსეა ზედაპირული დრამატურგიით, ევდემონის და თეოფორას ამბავი ქვედენიბრივია. ერთი შეხედვით, თითქოს საერთოდ არ ვითარდება მოქმედება. თითქოს სულერთია, წიგნის პირველ გვერდებზე ხარ თუ შუა ან ბოლო ფურცლებს

კითხულობ. ყველაფერი სტატიკურია. თითქოს არაფერი არ ხდება ობივატელი მკითხველისთვის, რადგან წიგნის ფურცლებზე ნაკვალევს არ ტოვებს მათი ნაბიჯები, ჩრდილებიც კი არ ჩანს, მაგრამ მოქმედება სიღრმეში, ვერტიკალური ტრაექტორიით ვითარდება, რაც ქვესკნელში ხელის ფათურს და მხილებას ერთდროულად წააგავს.

ასრალაცამდენი წლის ქართული რომანი, შუასაუკუნეებისდროინდელ მსოფლიო რომანთან შედარებით, სუფრაზე მისული დაგვიანებული სტუმარივითაა, სწრაფი ტემპით რომ ცდილობს, გამოტოვებული სადღეგრძელოები ერთბაშად დალიოს და გაციებული კერძები სასწრაფოდ დააგემოვნოს, რათა როგორმე დანარჩენებს წამოეწიოს.

თუმცა, ნოდარ ლადარია არ ცდილობს, “გამოკვებოს” რომელიმე გამოტოვებული მიმდინარეობა — არც ახალ რომანი, არც ე.წ. უარყოფის სკოლა ან დღეს მოდაში (თუ საჭიროებაში) შემოსული პოსტმოდერნიზმი. მისი ტექსტი კლასიკური რომანის სტრუქტურის ფარგლებშია ნაძერწი, ენობრივად და კონცეპტუალურად კი დახვეწილი, ფილიგრანული ნამუშევარია. თუმცა, რაკი ვთქვი, რომ სასიყვარულოა, იმას არ ნიშნავს, რომ ვინმე, სამოელ რიჩარდსონის სენტიმენტალური ტექსტების ან ჯეინ ოსტინის მგრძნობიარე პასაჟების მსგავსი რამ წარმოიდგინოთ.

მხილება! ესაა მისი ლიტერატურული მიზანი, რომელიც მთელი ტექსტის მანძილზე რევერბერირებს და ლამისაა, უხერხულ მდგომარეობაშიც კი გაგდებს. ამ წუთას არც მახსენდება მწერალი, რომელიც ასეთი პედანტური რუდუნებით, ასო-ასო ააქნევინებს ერთ შეყვარებულს

მეორე შეყვარებულს და ამას სიყვარულის სახელით გააკეთებს. ვერსად, თვით სიყვარულის დრამატიზირების ოსტატ ლევ ტოლსტოისთანაც კი ვერ წააწყდებით ასეთ მხილებას და ერთდროულად ასეთ სიყვარულით შენიღბულ სიძულვილს თუ — პირიქით, სიძულვილით მოცულ სიყვარულს. ან იქნებ სწრაფვას, აკვიატებას. ან იქნებ აკვიატებაა ზოგადად სიყვარულიც.

“ქარის გამორჩევაში” ქარი არ ქრის, მაგრამ აქ ორი ადამიანი ერთმანეთს დაუნდობლად ასახიჩრებს და ამას სასიყვარულო ურთიერთობა ჰქვია. ალბათ იშვიათად წააწყდებით მამაკაცს, რომელიც საყვარელ ქალს ამხელს სექსუალური აქტის მომენტში გამოჩენილი ყოფითი დაუდევრობის გამო. მაგრამ ევდემონს უკვე ყველა მხრიდან ასხამს ბრაზი. ის უკვე ველარ თოკავს თავის აგრესიას. ის თითქოს ჩასაფრებული დაეძებს სამხილებს თეოფორას სხეულზე, ტანსაცმელზე, ღიმილში, სიტყვებში, სექსუალურ აქტში, თეთრეულში, იმაშიც კი, რომ ვიღაცებს 18 წლისა ჰგონიათ და ამით თავს იწონებს.

“ქარის გამორჩევა” აბსურდული რომანია. უმოქმედო წრებზე ტრიალი, რომელსაც არსად არ მიჰყავს პერსონაჟები. იქ რაც ხდება, დუმილით ხდება. წარმოთქმული და ბაგესგადმოცდენილი დიალოგები მხოლოდ სასეირო ხარკია. ავტორი თითქოს ცდილობს, ამბის ბუნებრივი დიმანიკა ჯერ თვალებში მოგვაფრქვიოს, შემდეგ გადაგვფხიკოს და ჩაგვახედოს ურთიერთობის თუ ადამიანების უხილავ ბარელიეფებში, რომელიც ცალკე ზღაპრული სამყაროა. ცალკე არქექტიპებით დასახლებული.

ამქვეყნად ალბათ ყველა რუტინას გაურბის და ევდემონი სწორედ ამას მიელტვის საყვარელ ქალში და ამბობს კიდევ. “უეცრად მიხვდა, რომ ამ ქალისაგან ყველაზე

მეტად სხეული კი არ სურდა, არც ეს ქიმერა, რომელსაც უქმ საუბრებში ხან „ინტელექტად“, ხანაც „კულტურად“ მოიხსენიებენ, უარეს შემთხვევებში კი „ნიჭად“. ყველაზე მეტად ევდემონს ყოველდღიური რუტინის ერთობლივი განცდა იზიდავდა, არაფრის მთქმელი, დაკარგული, უნაყოფო, უმნიშვნელო, შეუმჩნეველი დროის გაზიარება.”

როდესაც საზოგადოება გიცნობს, როგორც სარკაზმის ოსტატს, თუ გროტესკის ალქიმიკოს შემოქმედს, როცა ნებისმიერი შენი სიტყვა დიონისიოსის მახვილივით მჭრელია, ბუნებრივია, რომ შენს ვრცელ ტექსტშიც არ და ვერ უღალატებ ამ ჩვევას, ნიჭს თუ ტრადიციას. მართლაც, რომანის პირველივე გვერდებიდან იგრძნობა შეუპოვარი სარკაზმი. ავტორი დეტალების “დაჭერის” ოსტატია, დაზვერვის სამსახურის საგანგებო წარმომადგენელია. ის თითქოს უკვე დამთავრებული ამბის პოზიციიდან წერს. თავიდანვე აღჭურვავს მკითხველს იმ ცოდნით, რომ თეოფორა ნეგატიურია, რომ თავად მხვერპლია. როცა ის იწყებს ამბის თხრობას, თითქოს უკვე გაბრაზებულია. უფრო მეტიც, ჩანს, როგორ სძულს. აი, მაგალითად: “— დღეს არაფერი იქნება! — უცებ თქვა თეოფორამ ისეთი ტონით, როგორითაც ალბათ გოჭები ელაპარაკებიან მგელს საბავშვო დადგმაში: „არ გაგიღებთ, არა!“. აქ არათუ ევდემონი, ავტორიც კი ცინიზმის მწვერვალზე იმყოფება. მას უკვე სძულს თავის მიერ შექმნილი პერსონაჟი ქალი. ის შანსს არ უშვებს, არ წამოაყვედროს ისეთი ხარვეზებიც კი, როგორიც ადამიანის ცხოვრებაში მისდაუნებური რეალობაა: “...გულწრფელად არ შემომთავაზებ იმ ორთოდონტთან მისვლას, ვინც შენ ჩაგიდგა ეგ მეტალკერამიკის პროთეზი”. ამბობს ევდემონი თითქოს მხოლოდ იმიტომ, რომ თეოფორას “ნაკლი” ამხილოს. თუმცა, ვფიქრობ, ასეთი მომენტები უმალ ავტორს ამხელს

მეწვრილმანეობაში და წელან უკვე ნახსენებ ჩასაფრებულობაში. რალაც მომენტში ისიც კი გავიფიქრე, ლატენტური ქალთმოძულე მიზანთროპი ხომ არაა ეს ჩვენი ევდემონი, თუმცა, რალა ლატენტური...

დათმობა და სიღინჯე, რომლითაც თითქოს კოკეტობს ევდემონი, რეალურად მისგანვე შეფასებულია “ჩმორობად”. ანუ გასაგებია მერე და მერე ის რისხვა, ის ბრაზი და აგრესია, რომელიც უგროვდება და ეზრდება თეოფორას მიმართ.

აღბათ ხვდებით, სავარაუდოდ წიგნი ფემინისტების რისხვას გამოიწვევს და მხოლოდ ობიექტურობის ჯიუტად მაძიებელნი ჩაუღრმავდებიან იმას, რომ “ეს წიგნი ომზეა, თეოფორა. მე მას სიბნელეში ვისვრი, იქ კი, სიბნელეში, ომი ფასობს...” მაგრამ ამ ომში ორივე მარცხდება.

თეოფორაც და ევდემონიც. და ეს კარგად იცის ორივემ და კარგად იცის ავტორმაც, რომელიც მაინც ცდილობს, ჩვენი თანაგრძნობის ვექტორი ევდემონისკენ გადახაროს, რადგან მამაკაცი გამოჰყავს მსხვერპლად, ცალსახა მსხვერპლად. სწორედ ეს აჩენს უნდობლობის განცდას. ევდემონი მორჩილებს ქალს არა იმიტომ, რომ ასე მოსწონს, ან მშვიდი ნერვები აქვს... არამედ თითქოს იმიტომ, რომ მერე ძმრად ამოადინოს მასაც და საკუთარ თავსაც.

“ბინა არსებითად კლავდა მოულოდნელობას, რუტინად — უარესი! — რიტუალად აქცევდა სიყვარულს.” აქ უკვე რუტინამ მოაბეზრა თავი ევდემონს. არადა, ზემოთ ვახსენეთ, რომ თავდაპირველად სწორედ ამას მიელტვოდა. „ესეც ცვლილებები!“ — გაიფიქრა ევდემონმა და უკვე ჩვეული სულიერი მოძრაობით ჩაიკლა ბოღმა”. ვერა. ვერ ჩაიკლა. მთელი ტექსტის მანძილზე ჩანს,

როგორც ცდილობს ის, გვაჩვენოს თეოფორას კლასის სიმდაბლე, ე.წ. სვეტის მდაბიო ბუნება. სნობიზმის მორევი, “მართლა მთის აულია და არა ქალაქი. რაღაც მონიშნული ტერიტორიაა ადგილის დედებითა და ხატებით, ტაბუირებული ტყეებითა და გაუგებარი ადათებით“. ცდილობს, გვაჩვენოს თავისი განონასწორებულობა, არსადმყოფობა, არსწრაფვა ამ სვეტისკენ, როგორც რაღაც მახინჯისკენ, მაგრამ ამ ყველაფრის თხრობისას თავისდა უნებურად ნათელი ეფინება იმას, რომ სწორედ მას ესწრაფვის, “ ბაზრის დახლების სუნიო”, ამბობს და სწორედ ისაა დასაპყრობი, რის დაკნინებასაც ცდილობს პარალელურად და ძალიან მონდომებით. მაშ, რაღად ეტრფის, მაშ რაღად აღიქვამს აღმატებულ ხარისხში, რატომ არ მიაფურთხებს. თეოფორა უყვარს? იქნებ სულ პირიქით — სძულს. მაშ, რა ხდება. ალბათ აკვიატება ჯერ თვითონ სიყვარულის, მერე ამ კონკრეტული ქალის, შემდეგ კი ამ ე.წ. სვეტში შეღწევის ასეთივე აკვიატებული სურვილი, გამარჯვების განცდის სურვილი, რადგან ეს ქალი იმ სამყაროს ნაწილია, “თბილისი იყო ურთიერთობა” რომ ჰქვია და რომელშიც ევდემონი ოჯახის წევრად ვერა და ვერ ჩაენერა.

ჩვენ შორის ხიდია ჩატეხილიო, ამბობს “ოთარაანთ ქვრივში” ილია ჭავჭავაძე. კი, ბატონო, ევდემონიც, შეიძლება ითქვას, თანამედროვე ოთარაანთ გიორგია, ხოლო თეოფორა — კესო. ილიას კესოსგან განსხვავებით თეოფორა ბევრად დაუნდობელი და თავნებაა. როგორც ჩანს, კესოს სიდარბაისლე ეპოქალურმა ფეხმა გასრისა და თეოფორად წარმოგვიდგინა. რაც მთავარია, ხიდჩატეხილობა არ მომსპარა და არც არასოდეს მოისპობა. უბრალოდ, დღეს მან ასეთი სახე მიიღო. ფემინისტური აგრესიულობისგან ნამდვილად შორს ვარ,

მაგრამ ავტორი სხვა გზას არ მიტოვებს, გარდა იმისა, რომ გავაკრიტიკო ევდემონი, რადგან თავად ბოლომდე ინარჩუნებს მის მიმართ თანაგრძნობას. უფრო მეტიც, მსხვერპლად წარმოაჩენს, ზედაპირული, არაფრისგამღები, ე.წ. არისტოკრატიული სამყაროს მსხვერპლად, რომელიც გასრისა ამ ქალაქმა, სადაც ის 16 წლისა ჩამოვიდა და დასახლდა, გასრისა სულელურმა რელიგიურმა კლიშეებმა, საზოგადოებამ, რომელიც ბავშვობიდან ძერწავდა ამ ქალს სწორედ ასეთს.

რა უნდა ევდემონს, ამ რელიგიური სურნელისა და ხავერდის მატარებელი სახელის ადამიანს თავისი საყვარელი ქალისგან, ეს, ასე თუ ისე, გასაგებია. მაგრამ რის თქმა სურს მწერალს ამ ორმხრივი სისასტიკის ჩვენებით, ეს, პირადად ჩემთვის, საიდუმლოდ დარჩა. მაგრამ, ჩემი აზრით, ეს რომანის მხატვრულობის ხარისხს არანაირად არ ეხება. ასეთ მომენტებში ჩანს, რამდენად ლაკონიურად შეუძლია ავტორს, გადმოსცეს ეპოქის სქემა: “იგრძნო, რომ მის წინაშე უკვე მხოლოდ თეოფორა არ იდგა, არამედ რალაც წრე, ან რამდენიმე წრე, რალაც სოციალური სტრუქტურა... ქალაქი და არა ქალი.”

უცნაურ განწყობებს აგნებს. მხოლოდ მისგან რომაა განცდილი და ემოციის ნაგლეჯიღა რომ აღწევს ჩვენამდე: “ბევრი შუქი, ბევრი ხმაური, უგემური საჭმელი და თეოფორას მდოგვისფერი ჯემპრი მოულოდნელად ზრდიდა თავისუფლების ხარისხს.”

არის ლიტერატურულად და ადამიანურად, ცოტა არ იყოს, მდარე დეტალებიც: “ამ დროს ევდემონი თავის ჩანგალს დადებდა და თეოფორას ჩანგლით განაგრძობდა ჭამას. ოღონდ ჯერ აუცილებლად ცარიელს ჩაიდებდა პირში.” ან ეს: “თუ არა და ერთადერთი რამ დაგრჩება გასაცემი და

ისიც ვადიანი საქონელია. ჩემთანაც ეს ერთადერთი მოიტანა, ჩემთვისაც არაფერი მოუცია მუტლის გარდა.“

მაგრამ იმავდროულად უკიდურესად რთული და მძიმედ საამბობ განცდათა მკითხველთან მოტანის ოსტატია, ტრაგიზმის ირონიზირებას კი ალბათ ასე საინტერესოდ ვერავინ შეძლებს: “ევდემონი შუბლით მიეკრა თეოფორას ჯერ კიდევ თბილ ლოყას და მის გაცივებამდე არც უცოცხლია“.

საბადოა აფორიზმების, მართალია, ზოგჯერ მისი კალამი თუ კლავიატურა ანტიკურ ფილოსოფიას თუ ლიტერატურულ კონცეფციებს აცოცხლებს, მაგრამ ამ ავტორს მუდამ აქვს ხედვის საკუთარი რაკურსი, ეს კი ფუფუნება მკითხველისთვის. გამორჩეულია მისი პედანტური მიდგომა სტილის მიმართ, ენა, სურვილი, დახვეწილი ხერხებით ამხილოს ყველა და ყველაფერი (ევდემონის გარდა :) ) შეინარჩუნოს ნატურალური ფაქტურა და მრავალი სხვა ნიუანსობრივი ღირსება, რაც ერთი წიგნისთვის საკმარისზე მეტი ამოცანაა და ნოდარ ლადარია ამ ამოცანას, ჩემი აზრით, თავს ართმევს და ქმნის ამბივალენტურ ტექსტს, სავსეს იმ დობის ფსიქოლოგიზმით, ისეთი ახალი არომატებითა და შეგრძნებებით, როგორც, ალბათ, ჩვენს მკითხველს აქამდე ნაკლებად უგემია.



ანდრო ბუაჩიძე

## სამი პოეტი

ერთმა მოაზროვნემ თქვა, თანამედროვე პოეტები უჩვეულო მოვლენებზე უჩვეულო მხატვრული ენით საუბრობენო. სოსო მეშველიანის მხატვრული ენაც უჩვეულოა და ეს უჩვეულობა სხვათა უჩვეულობას არ ჰგავს. მისი ეპიგრაფები ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ავტორთა წრეს შემოწერენ. აქ არის მიგელ დე უნამუნო, ვარლამ შალამოვი, ბესიკ ხარანაული, ლეონტი მროველი, აკაკი წერეთელი, ლუკას სახარება, გალაკტიონი, ტომას მური, ეკლესიასტე, რობერტ ბერნსი, ჰერმან ჰესე, შარლოტა ბრონტე და სხვ.

აქ არაფერია უჩვეულო, ეპიგრაფი ეპიგრაფია და რაღაც ნიშნით, აშკარად თუ მოიარებით უკავშირდება ტექსტს. ვთქვათ, ვარლამ შალამოვის ეპიგრაფად გამოყენებული ამონარიდი ასეთია: „მე იმდენად ვწერ ლაგერზე, რამდენადაც ეგზიუპერი — ცაზე, მელვილი — ზღვაზე“.

ყველა მწერალი წერს იმაზე, რაც იცის. შალამოვი თავის მცირე ნოველებს თუ მოთხრობებს „ლაგერზე“ და იქ გამეფებულ შიმშილზე წერს. ერთად თავმოყრილი ეს მოთხრობები ვრცელი ეპოსის შთაბეჭდილებას ტოვებს. როგორც ჩანს, სოსო მეშველიანს ერთგვარი სტიმული მისცა ამ ნაწერებმა და თავისი ცხოვრების ადრეული ფრაგმენტი წარმოუდგა თვალწინ: მკაცრი ზამთარი, „ყინვით შეჭირხლული სარკმელი“, ქარი, სოფელი, მგლები, რომლებიც „გაიტყუებდნენ მოზრდილ ქოფაკებს ხევის გადაღმა“ და „აღარაფერს ტოვებდნენ მათგან“. ეს ლექსი უაღრესად ექსპრესიულადაა დაწერილი და შთაბეჭდილების ზოგიერთი მკაფიო კონტური

რელიეფურობას სძენს სურათს: მგლები „ძვლებსაც ხრავდნენ და სისხლით დასვრილ თოვლსაც ღეჭავდნენ“.

ფინალში ავტორი ღამის შემზარაობას ერთი უაღრესად ზუსტი შტრიხით შემოწერს: „და ტანში მცრიდა მთვარის შუქზე, როცა ვერცხლისფრად ბზინავდნენ ხევში გაყინული ნაკადულები“.

უჩვეულო, ჩემი აზრით, სოსო მეშველიანის ამა თუ იმ ლექსის დაწერის საბაბია, რომელიც სათაურშივეა აღბეჭდილი და უჩვეულოდვე გრძელდება. თემა თითქოს იმპულსურად იბადება, სათაურიდან იწყება და მერე თანდათანობით განივრცობა. ასეთი ლექსია „სონეტი არარსებულ ტილოზე“. პოეტი ხატავს სურათს, რომელიც არასდროს ქცეულა ტილოდ. ეს სურათი სოსო მეშველიანის წარმოსახვაა, სადაც ხეები, ადამიანები, ცხოველები უცნაურ კომბინაციას ქმნიან, კომბინაცია კი განწყობას ქმნის. მთავარი კი ისაა, რომ პოეტი ვერ იხსენებს „რა ადგილია, ვინ არიან? სოფელს რა ჰქვია?“

ღირიკულ პოეზიაში მოულოდნელად უნდა დაიბადოს სათქმელი, ეს ბუნებრივია, ღირიკა ხომ, როგორც ერთმა პოეტმა თქვა, წინასწარგანუჭვრეტელია, მაგრამ სოსო მეშველიანთან არამხოლოდ მოულოდნელად, იმპულსურად იბადება ლექსი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ პოეტი ფიქრობს და გაბმული ფიქრის რომელიღაც წერტილიდან იწყებს ლექსის წერას. ეს ლექსი მისი ფიქრის, ან ასოციაციური დინების ფრაგმენტია. კარტეხანაში ღამით ვიღაც ზურგსუკან მდგომი უყურებს პოეტს, თვითონ კი სიბნელეში არ ჩანს. პოეტი ზურგშექცევით დგას უცნობისაგან, მაგრამ მაინც „ხედავს“ და აღწერს კიდევ მას:

*„ხოლო ის იჯდა, მსხვილკისერა და კურდღლისტუჩა,  
ლუდს სვამდა, ხანაც ფერფლს აცლიდა სიგარას თითით,  
შორს ძალიან ყრუდ ხმაურობდა ელ პატოს ქუჩა,  
მე კი მისტიკურ ნისლში მხვევდა ნებურუს მითი“.*

ეს ფრაგმენტი სოსო მეშველიანის ცხოვრებიდან ერთი შეხედვით უმნიშვნელოა, მაგრამ არა! მაინც მნიშვნელოვანია და აი, რატომ: ავტორს სურს, ხანგამოშვებით საკუთარი თავი აღბეჭდოს დროსა და სივრცეში, საამისოდ კი მრავალი რაკურსი შეუძლია შეარჩიოს და არჩევს კიდევ. ყოველი ეს თვითხილვა ავტოპორტრეტია, ოღონდ სხვადასხვა რაკურსით შესრულებული. ეს არის არა თვითრეფლექსია, საკუთარ არსებაში ჩაღრმავება, არამედ საკუთარი ფიზიკური პერსონის ხედვა სხვადასხვა სივრცეში, ადამიანებისა და ნივთების გარემოცვაში. სოსო მეშველიანის აღბეჭდილ ცხოვრებისეულ მონაკვეთებში ტექსტთან ერთად იმპულსური და დინამიკურია რითმაც. პოეტი თითქოს თამაშობს რითმით, რითმის პაროდირებას ახდენს. სარითმო წყვილები ასეთია: „ჩამოლენილ და — ბენვიდან“, „ნახარში — რახან შინ“ „„გაბერო — კაფე რომ“ და სხვა მისთანანი. სარითმო სიტყვის და სიტყვათშეერთების მეშვეობით ანჟანბემანი პოეტურ ფრაზაში გაიშლება.

სწორედ ამგვარი იმპულსური ლირიკული აღტყინება, ფიქრის ფრაგმენტული დინება და ანჟანბემანში ჩართული რითმა ერწყმის ერთმანეთს ლექსში „ხსოვნა“. ეს ლექსი წასულების გახსენებაა, ოღონდ ძალიან უცნაური და მტკივნეული გახსენება. ეპიგრაფი გვამცნობს, რომ „ხის მორების დასიზმრება ახლობლის სიკვდილის მაუნყებელია“. პოეტი იხსენებს ხის მორების დაცურების ეპიზოდს, როცა ყველაზე უფრო მძაფრად გრძნობდა სიცოცხლეს და ამას მოჰყვება წასულების გახსენებაც,

რომელიც ორი სტრიქონით ძალზე მძაფრად არის გამოხატული:

*„თითქოს მთრგუნავდა შორი სახე უდაბნოს ფრესკის და სევდა თოვლქვეშ დარჩენილი საფლავის ქვების“.*

ჩემ მიერ უკვე ნათქვამიდან ჩანს, რომ სოსო მეშველიანმა ლექსწერის თავისი კანონიკა შექმნა. ის ხატავს სრულიად მოულოდნელ, იმპულსურ ნახატებს, სადაც საკუთარი სახეც არის წარმოჩენილი ან მინიშნებული. ვფიქრობ, რომ საკუთარი მარტოობის გამოთქმის წარმატებული ცდაა ეს ლექსი:

*„ქალაქი.*

*ქუჩა.*

*შუქნიშანი.*

*ფოსტა.*

*მარკეტი*

*და ეს კაჭკაჭი, მარტოსული*

*(კაჭკაჭიც მე მგავს)*

*ამ სისხამ დილით, ნაწვიმარზე*

*ჯერაც დაკეტილ*

*ბართან*

*პლასტმასის მაგიდაზე შავ თუთას კენკავს“.*

სოსო მეშველიანის პოეზია პროზაულ დეტალებს ითავსებს. ეს დეტალი მჭიდროდ არის ჩანერგილი ლექსში და ისეთი ბუნებრივობით ერწყმის ლირიკულ თხრობას თუ ფაბულას, რომ მისი შემჩნევა ძნელია. მოყვანილ ციტატაში ამგვარ დეტალად აღიქმება ფრჩხილებში ჩასმული ფრაზა „კაჭკაჭიც მე მგავს“. ეს ფრაზა პოეტის მარტოობას ამჟღავნებს და ხელშესახებ აზრს სძენს ლექსს. შეიძლება, სიტყვა „აზრი“ ეჩოთიროს მკითხველს, მაგრამ ფაქტია, რომ პროზაული დეტალის შეტანა ლექსში ზოგჯერ შიშველი

აზრითაც ხერხდება და, თუ ის ბუნებრივად ერწყმის მთლიანობას, ეფექტი საკმაოდ ძლიერია.

სოსო მეშველიანმა საკმაოდ დახვეწა საკუთარი ლექსწერა და ამიტომაც უკიდურესი ლაკონიზმით ახერხებს სასურველი სურათის დახატვას. სურათი ასე სრულდება:

*„ვიგონებ მსუქან ბოშა ქალებს,  
ვაკეროსს, ლორკას,  
და მე ვიგონებ გვადალკვიკვირს,  
მდინარის გაღმა  
სკვოიას და თივის ზვინში ჩასობილ ორკაპს“.*



რადგ  
ან  
აქამ  
დე  
არ  
მითქ  
ვამს,  
ახლა  
ვიტყ

ვი, რომ ესპანეთის თემა ამ ლექსებში ღრმად პიროვნულ შთაბეჭდილებებთან არის შეჯერებული, ამიტომ ეს უცხო გარემო და რეალიები განყენებულად და უცხოოდ არ აღიქმება, პოეტის შთაბეჭდილებების მკვიდრი არეალია და, თუ ბავშვობის ხილვების კვალად ღამეული ტყის სიღრმიდან ამოზიდული მგელი აღიბეჭდება ლექსში, ისიც ბუნებრივად ენაცვლება ესპანურ მოტივებს, რადგან ერთი მთლიანი სამყაროს ნაწილია. ეს არის სწორედ მთავარი — ესპანეთში მიღებული შთაბეჭდილებები გათავისებული და წრფელია, ამიტომ სრულიად შეუჩნევლად აფართოებს ავტორის უკვე ბუნებრივად შემოწერილ სამოქმედო

სივრცეს. ამ სივრცეში სოსო მეშველიანი თავისუფლად მოძრაობს, ეს მისი ყოფიერების სივრცეა, მისი ნაცნობი გარემოა და აქვე აღმოცენდება მნივნობრული შთაბეჭდილებაც. ეს არის „ლორკა“. სულ რაღაც ორსტროფიანი ლექსია, ოღონდ, რა თქმა უნდა, ავტორის ახლადდამკვიდრებული „კანონიკით“ დაწერილი. აქაც არის მკვეთრი რითმა, პროზაული დეტალი, რიტმიკა, დაბოლოს შთამბეჭდავი ფინალი: ლორკა დახვრიტეს, ცხოვრება იმ წუთებშიც ჩვეულებრივად გრძელდებოდა და მერეც ჩვეულებრივად, თავისი ცხოვრებისეული ცხოველმყოფელობით გაგრძელდა:

*„ეს ყველაფერი როცა მორჩა, როცა დამთავრდა,  
ქუჩაში მეძავს მიათრევდნენ მთვრალი მკვლელები“.*

შეუძლებელია ესპანური თემატიკა გამოიყენო და ლორკა არ ახსენო. ლორკა ამას იმსახურებს არა მხოლოდ თავისი პოეზიით და სიკვდილით, არამედ „დუნდეს“ თეორიით და თამაშით“, რომელმაც პოეზიაში ახალი სივრცე გახსნა.

ერთ ლექსს სოსო მეშველიანი კარლოს კასტილიოს უძღვნის, რომლის ნათქვამსაც ეპიგრაფად იყენებს:  
„ჟენევაში მინდა წასვლა ბორხესის საფლავის სანახავად.  
საწყალი ბიძაჩემის ოცნება იყო, ის კი ისე მოკვდა,  
ინვალიდის სავარძლით ბუენოს აირესსაც ვერ გასცდა“.

ესეც ესპანური რეალიაა, ოღონდ კულტურის არეალში მოხვედრილი რეალია. აქ ბორხესი გამოსჭვივის. ეს ლექსი ფაქტობრივად ბორხესის აპოლოგიაა. სოსო მეშველიანი კარლოს კასტილიოს ბიძის პირით საუბრობს. უზარმაზარ ქალაქ ბუენოს აირესს, სადაც საკონსერვო ქარხნის მიღები ხრჩოლავენ, მუდამ ღია ფანჯრიდან ინვალიდის სავარძელში მჯდომი კაცი გადაჰყურებს. თვალწინ უკიდუგანო ოკეანეა გადაშლილი და შორს პატარა პორტი

ილანდება. მიუხედავად ამ სივრცისმიერი პერსპექტივისა, მაცქერალი კაცის ყოფა რუტინულია და მოსაწყენი. ასე კი იმიტომ არის, რომ მას სულისმიერი პერსპექტივა გააჩნია. მისი ღმერთია ბორხესი. მისი აუხდენელი ნატვრა კი არგენტინელი მწერლის საფლავის ნახვაა. კარლოსის ბიძა სევდიანი მბერით გაჰყურებს ოკეანის ჰორიზონტზე მწუხრში მოციმციმე თვითმფრინავს, რომელიც ჟენევაში მიფრინავს, მიფრინავს იქ, სადაც ბორხესის საფლავია.

ეს არის და ეს, მაგრამ ეს არის ყველაფერი. აქ მთავარია რაკურსი, არა თემატიკა, არამედ ამ თემატიკაში არსებული რაკურსი. სხვაგვარად რომ ვთქვა, ეს არის ლექსი კაცზე, რომელიც სულიერად ბორხესს ენათესავება. მიუხედავად იმისა, რომ ეს კაცი ოკეანეს გადაჰყურებს, მისი სამყარო ემპირიულ ქვეყნიერებაზე უფრო ვრცელია, ეს არის სულიერი სამყარო, მეტაფიზიკური სამყარო. აი, ასე პოვებს თემის სიღრმეში თავის სათქმელს სოსო მეშველიანი. ამას ის ინტუიციის მეშვეობით ახერხებს.

სოსო მეშველიანი კარგად ფლობს კონვენციურ ლექსს, კარგად ფლობს რიტმას. მან დაშალა და გადააწყობა კონვენციური ლექსი. სტროფიკას ზოგჯერ შლის და ზოგჯერ ტოვებს, ოღონდ პროზაული წყვეტილი ფრაზებით განაჯერებს. მთავარი კი ის არის, რომ რასაც ამბობს, ყველაფერი განცდილი აქვს და თავის უკვე შემუშავებულ კანონიკას უსადაგებს.

ვიდრე ბეჯა ახალაიას სალექსო ტექნიკაზე ვიტყვოდე რამეს, მის შთამბეჭდავ სახეებს მოვიყვან: „სახლში, ცალ ფეხზე, წეროსავით დადგა სიჩუმე, შენს სუნთქვას ზღვების სურნელი მოაქვს“, „ჩვენ რა ვქნათ, ყველა გზა თუ ცაში არ მიდის? ანდა თუ წყდება?!“, „და ის მოვიდა მოშრიალე ვერხვის ფოთლებით, დაუნერვლი ლექსებით სავსე“,



„რადგან სიცოცხლე სიცოცხლისთვის ნამდვილად ღირდა“, „სვანური ქუდით მზე მოჰქონდა ესმა ონიანს და მზეზე შენი სახელი ენთო“, „შენ დაირწვევი ჩემს თვალებში ბროლის ჭალივით“...ეს და სხვა ამგვარი სახოვანი სიმკვეთრით აღბეჭდილი სტრიქონები იმაზე მეტყველებს, რომ ბეჟა ახალაიას შთაბეჭდილებებს პლასტიკა იმთავითვე ახლავს. ფორმას, ხელშესახებ მატერიას, კონტურის მოხაზულობას მის წარმოსახვაშივე ეძლევა გასაქანი.

განვითარებისა თუ ზრდის რალაც ეტაპზე პოეტისთვის ფორმის ფლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეს ეტაპი აუცილებლად უნდა არსებობდეს. XX საუკუნის 10-იან წლებში, მოდერნიზმის ხანაში ევროპული პოეზია ფორმათქმნადობის იდეამ მოიცვა. ეს უფრო ადრეც დაიწყო, მას შემდეგ, რაც ბოდლერმა ედგარ პოს „ყორანი“ ფრანგულად თარგმნა და მისი წერილის — „კომპოზიციის ფილოსოფია“ — მთავარი თეზისები გაიზიარა. როგორც ჩანს, მაშინ უკვე არსებობდა ამის აუცილებლობა. ფორმალური დახვეწილობა უკვე შინაარსის ტოლძალოვანი იყო. მერე, უკვე მოდერნიზმის პერიოდში, ფორმის სირთულეში შინაარსის სირთულე ამოიკითხებოდა. ასეთ პოზიციაში, რა თქმა უნდა, ინტელექტუალური კრიტიციზმი ჭარბობდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს სავსებით ცნობიერი გახლდათ. იგივე არჩევანი გასული საუკუნის დასაწყისში საქართველოში „ცისფერყანწელებმა“ გააკეთეს. „გავმართოთ ქართული პოეზია მსოფლიო რადიუსით“ — წერდა ტიცციან ტაბიძე. გალაკტიონ ტაბიძეს ამ დროს თავისი პირველი წიგნი უკვე გამოცემული ჰქონდა.

და აი, დღეს, როდესაც იშლება ზღვარი (არამართო ჩვენში) პოეზიასა და პროზას შორის, როდესაც პოეტები ვეღარ ფლობენ სალექსო ფორმას (მეტწილად რითმას), იქნებ

ამორფულობას ისევ და ისევ ფორმის ფლობა დაუპირისპირდეს?

ცხადია, რომ ბეჯა ახალაიას ამ მოსაზრებით არ შეუთხზავს მკაცრ ფორმაში მოქცეული სონეტები, პოემები, სხვა მწყობრი სტრუქტურით აღბეჭდილი ლექსები. ასე ეწერებოდა და ასე წერდა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ჩემ მიერ შერჩეული პოეტები: სოსო მეშველიანი, ბეჯა ახალაია და გიორგი არაბული კარგად ფლობენ კლასიკური ლექსწერის ფორმებს. ყოველივე ეს კი თავისუფალი ლექსის ფლობაშიც გამოსჭვივის და, ზოგადად, პოეტური აზროვნების სიმჭიდროვეშიც.

ბეჯა ახალაია, ჩემი აზრით, მთლიანად გადაიხარა ფორმისკენ. ამგვარ გადახრას შინაარსობრივი ქვედინებები მოჰყვა. პოეტი ცდილობს, რაც შეიძლება ფართო კალაპოტი მისცეს ამ დინებებს და უფრო მეტად გამოკვეთს ფორმას. ფორმა და შინაარსი განუყოფელია და ამ განუყოფლობას სწორედ ქმნადობის პროცესში გრძნობს პოეტი. ბეჯა ახალაიასთვის ახლა ფორმათქმნადობის პერიოდია. ეს ერთგვარი მზადყოფნაა ახალი შინაარსობრივი სავსეობისთვის. რა თქმა უნდა, არსებობს ფორმის პრიორიტეტი, მაგრამ არსებობს ფორმას და შინაარსს შორის წონასწორობის დაცვაც. ბეჯა ახალაიამ, ვფიქრობ, რთული გზა აირჩია და მოთმინებით მიაბიჯებს ამ რთულ გზაზე. ამას მოწმობს წიგნი „ამ ვალმოხდილი ფოთლებისთვის“.

*„და ფიქრით მიმაქვს სტრიქონები ზუსტად იმდენი შესამოსელად რომ ეყოთ ჭადრებს“.*

ამ ალეგორიულ ლექსში ბეჯა ახალაია ფოთლების ხვედრს განიცდის. ისინი სამყაროს მუდმივცვალებად მოძრაობას მიჰყვებიან, უკვე ძირს ჩამოყრილები სხვადასხვა

მიმართულებით ტოვებენ ადგილსამყოფელს. „რაც მსუბუქია, ყველაფერი არის დღემოკლე“, — ასე ფიქრობს ავტორი, უშველებელ სამყაროსთან შედარებით მსუბუქია ადამიანი და მისი ხვედრი. ისიც ვერ ეყრდნობა თავის თავს და ბედისწერა სხვადასხვა მიმართულებით მიაფრიალებს, მაგრამ ძირს გაფენილს მხოლოდ მას შეუძლია დაინახოს „ბოლო ღმერთი რომ მოწყდება ციდან“.

გიორგი არაბულის პოემის გმირი ალდი დაბერდა და ემზადება სიკვდილისათვის. მისი დამოკიდებულება სიკვდილის მიმართ რელიგიურ-რიტუალურიც არის და ფილოსოფიურიც.

„როგორც ახალგაზრდა ქალი ჯვრისწერისათვის, ისე ემზადება ალდი სიკვდილისთვის“. ალდის სწამს, რომ სიკვდილის შემდეგ ის კვლავ ბავშვად გადაიქცევა.

*„ჭიანი ვერ შემჭამენ მინაში ჩადებულს  
ბალღადშობილი ბალღადვე  
მიებარება მინას“.*

ალდი ემზადება სიკვდილისათვის და ის ასრულებს სიკვდილისწინა რიტუალს. ეს რიტუალი მას ძალას აძლევს, გონებისმიერ ძალას, რომლის გამოისობითაც მან თავისი სიკვდილი და, ზოგადად, სიკვდილის ფენომენი უნდა გააცნობიეროს:

*„უკანასკნელად გაჰკრა კვესს,  
უკანასკნელად დაიფარა გამხმარი ქუდი და  
აუყვა საფლავთგორს,  
თან წაიბურტყუნა:  
ღმერთი მაღალი,  
კაცი დაბალი“.*

ალდი სიკვდილისათვის ემზადება, სიკვდილთან შეხვედრა და სიკვდილისთვის მზადება კი მისთვის მორალური სახის შენარჩუნებაა, ეთიკური სამზადისია. „სირცხვილი რომ მოგადგება — სიკვდილი ეგ არი“ — ამბობს ალდი. „სტუმრად მოსულ მტერს რომ ხელცარიელი ან მწოლიარე ავადმყოფი დახვდები — სიკვდილი ეგ არი“, — ამბობს ალდი. ამ კაცის აზრით, სიცოცხლეში არავითარ უზნეობას არ უნდა შეეგუო, თუ შეეგუები, უკვე მკვდარი ხარ. ამიტომ საბოლოოდ მას ასეთი დასკვნა გამოაქვს: „ცოცხალი რომ ხარ, სიკვდილი ეგ არი“.

*ჩამოჯდა ალდი ქვაზე,  
გადააფურთხა თამბაქო და თქვა:  
სიკვდილო, არცრა შენ ყოფილხარ სირცხვილზე მეტი“.*

ამის შემდეგ სიკვდილის აპოლოგია იწყება. ამას პოეტს ფოლკლორული ტრადიცია ჰკარნახობს. პოემაში საუბარია სიკვდილის აუცილებლობაზე. ნათქვამია, რომ საბოლოოდ ყველაფერს ხავსი ედება: სახლსაც, იარაღსაც, საფლავსაც, სახელსაც. და ყოველივე ეს ღვთის ნებით ხდება. ჩემი აზრით, მხატვრული თვალსაზრისით განსაკუთრებით ძლიერია პოემის ის მონაკვეთი, სადაც საუბარია სიკვდილის ნაირგვაროვან გამოვლინებაზე. ვთქვათ, პოეტი წარმოიდგენს, რომ სიკვდილმა სტუმრის სახე მიიღო და მას სახლში პატიჟებენ.

*„ნეტავ შეიძლებოდეს სიკვდილი მოდიოდეს  
და სახლში პატიჟებდე...  
ნეტავ შეიძლებოდეს —  
სიკვდილი წინ გეჯდეს,  
არაყს ასმევდე და  
ბაღლის სიცილს ასმენინებდე,  
ნეტავ შეიძლებოდეს*

*სიკვდილს შენ საბანს აფარებდე და  
თვითონ მიწას არ გაყრიდეს“.*

ალდი უნდა მოკვდეს, მაგრამ ის არ კვდება, ვინაიდან  
ინყებს განსჯას სიკვდილ-სიცოცხლის თაობაზე. ეს თემა  
მარადიულია და ყოვლისმომცველი, ამიტომ გიორგი  
არაბულს საშუალება ეძლევა, სხვადასხვანაირი  
მხატვრული ვარიაციები გაშალოს, მაგრამ პოეტი  
თავშეკავებულია, მისი ყოველი ფრაზა გამოზომილია.  
„უნდა მოკვდეს ალდი. მიწას პირი აქვს გაღებული, უნდა  
დაიტანოს შავმა მიწამ, უნდა მოკვდეს ალდი“. ალდი არ  
კვდება, რადგან ფიქრობს იმაზე, რომ თუ სიკვდილი  
ადვილია, ის თვითონ რატომ არ კვდება? ამაზე რომ არ  
იფიქროს თვითონ პოემის

გმირმა, მის მაგივრად სხვა არავინ იფიქრებს. ეს მისი  
მაღალი პასუხისმგებლობაა, საკუთარ სიკვდილს  
მომზადებული დახვდეს. მზადყოფნა კი იმით გამოიხატება,  
იცოდეს, თუ რა არის სიკვდილი. გიორგი არაბული ამ  
სიბრძნეს ანიჭებს თავის პერსონაჟს, მაგრამ  
სასიკვდილოდ კი ვეღარ იმეტებს. სხვა პოემებიც  
(„ქადაგი“, „ანატორი — მკვდართა სოფელი“) ამგვარივე  
დრამატიზმით, ფოლკლორული მასალის მხატვრული  
განფენით და კონკრეტულად სიკვდილ-სიცოცხლის  
პრობლემის სიმწვავეთ არის გამორჩეული.

სოსო მეშველიანი, ბექა ახალაია და გიორგი არაბული  
ინდივიდუალური ძიების ხარჯზე ცდილობენ ფორმისა და  
შინაარსის ფოკუსში მოქცევას, საკუთარი ხელწერის  
მკაფიოდ გამოკვეთას. პოლ ვალერი ამბობს: „გაცილებით  
უფრო მეტად მაინტერესებს ქმნილებათა ფორმირებისა  
და ჩამოყალიბების პროცესი, ვიდრე საკუთრივ  
ქმნილებანი“.

ვფიქრობ, ამ პროექტებსაც აქვთ ამგვარი ინტერესი.

## 5. მწერლის არქივიდან

# გაბრიელ ჯაბუშანურის ჩანაწერები და წერილები

## მოამზადა გიორგი არაბულმა

2010 წელს გაბრიელ ჯაბუშანურის (1914 წლის 11 სექტემბერი — 1968 წლის 23 დეკემბერი) ერთტომეული დაიბეჭდა, რომელიც ამირან არაბულმა შეადგინა. წიგნის რედაქტორი ეთერ თათარაიძეა, ხოლო მხატვარი — გოგი ოჩიაური. წიგნი გაბრიელ ჯაბუშანურის ნათესავების ფინანსური მხარდაჭერით გამოვიდა გამომცემლობა „უნივერსალში“. ეს კრებული აქამდე გამოცემული წიგნებიდან ყველაზე სრულია, თუმცა, როგორც წიგნის შემდგენელი აღნიშნავს, პოეტის შემოქმედებითი მემკვიდრეობის მხოლოდ ნაწილს აერთიანებს. წიგნში შესულია ასი ლექსი, ორი პოემა, ორი ბალადა, დღიურები, ლიტერატურული ჩანაწერები და პირადი წერილები.

წიგნს დართული აქვს ამირან არაბულის 52 გვერდიანი წინასიტყვაობა, რომელიც ძალიან კარგად ასახავს გაბრიელ ჯაბუშანურის ბიოგრაფიას, ყოფას, ლიტერატურულ მოღვაწეობას და ამავე დროს წარმოადგენს პოეტის ნაწარმოებთა ანალიზს. ეს არის გაბრიელ ჯაბუშანურზე დაწერილი ყველაზე ვრცელი წერილი. ავტორი იშველიებს სხვადასხვა მოგონებებს გაბრიელზე, პირად წერილებს და დღიურებს. წიგნში ასევე დაბეჭდილია მისი უცნობი ფოტოები.

გაბრიელის დღიურებს, მოგონებებს თუ პირად წერილებს ამ წიგნამდე ცოტა თუ იცნობდა. ქართული ლიტერატურის ისტორიისთვის მეტად მნიშვნელოვან და უცნობ ფაქტს



ბევრს შეხვდებით მის მოგონებებში, რომელსაც ნიკა აგიაშვილის თხოვნით წერდა.

რაც შეეხება ამ წერილებს, ისინი აქამდე არსად დაბეჭდილა. მე გაბრიელის მეგობრის, პოეტ გიორგი გიგაურის ოჯახმა გადმომცა. გიორგი გიგაურის არქივში წერილებთან ერთად, გაბრიელ ჯაბუშანურის უცნობი ფოტოებიცაა. ყველაზე ძველი წერილი 1944 წელს, ღილოდანაა (ინგუშეთი) გამოგზავნილი, სადაც არხოტის მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩაასახლეს და სადაც გაბრიელმა ჩვიდმეტი წელი გაატარა. გაბრიელ ჯაბუშანური მეორე მსოფლიო ომის დროს ფრონტზე არ გაიწვიეს, მიუხედავად მისი სურვილისა. 1941 წელს გაბრიელის ოჯახი კვლავ არხოტში დაბრუნდა და 1962 წლამდე ხევსურეთში, ინგუშეთში და დარიალის ხეობაში მოუწია ცხოვრება.

გიორგი გიგაური წერს, რომ ერთ დღეს გაბრიელს პარტიის მანდატიც დაუნვაეს და რომ არა გიორგი ლეონიძე, ციხეს ვერ გადაურჩებოდა. ლეონიძის თხოვნით ყაზბეგის რაიონის პირველ მდივანს, ალექსი ბექაურს საქმე „მიუჩუმათებია“.

ორმოცდაათიან წლებში, ცხოვრებაზე გულგატეხილს, ბევრი თბილისელი კოლეგისაგან დავინწყებულსა და განმარტოებულს, მას უკვე თავისი ნაწერები მიუცია ცეცხლისთვის.


გიორგი არაბული

**მოგონებები წიგნიდან**

\* \* \*

1938 წლის შემოდგომაზე კომკავშირის 20 წლისთავი სრულდებოდა. ახალგაზრდა მწერლების ჟურნალი,

ცხადია, ამ თარიღს გვერდს ვერ აუვლიდა და რედაქციამაც დაგვავალა საიუბილეო ნომრისთვის კომკავშირის ცხოვრებისა და ბრძოლის ამსახველი ნაწარმოებები დაგვეწერა.



...ტროცკის ტუბურინელებს მაშინ დივერსანტებს, ხალხის მტრებს და ცხრა გზის

წყულ ქვენარმავლებს უწოდებდნენ; პოეზიაში, პროზაში და განსაკუთრებით — დრამატურგიაში იქმნებოდა მათდამი სიძულვილის აღმძვრელი ნაწარმოებები. ღირსშესანიშნავი რამ მაინც არავის შეუქმნია — ამ თემაზე დაწერილი ლექსები და პოემები, მოთხრობები და რომანები, ტრაგედიები თუ დრამები, კინოფილმები თუ ხელოვნების სხვა დარგების ნაწარმოებები ერთფეროვანი და ულტრატენდენციური ხასიათისა იყო, მკითხველი ასეთ ნაწარმოებთა კითხვას რომ იწყებდა, უკვე მაშინვე ნათელი იყო მისთვის, თუ რას ამოიკითხავდა მათში... ნიჭიერი მწერლები კიდევ რაღაცას ახერხებდნენ და თავი

გაჰქონდათ, მაგრამ საშუალო მწერლებს ძალიან უჭირდათ: მათ მიერ სიძულვილის თემატიკაზე შექმნილი მხატვრული ფაქტები სიამის ტყუპებით ჰგავდნენ ერთმანეთს. „ხალხის მტრებზე“ არწერა არ შეიძლებოდა და თუ მწერალი მათ შესახებ დუმდა, მას ამგვარი დუმილი მტრობად ეთვლებოდა. ეს იყო მიზეზი უგემური, ნაძალადევი, ხალტურული „მარგალიტების“ მომრავლებისა. უკეთესი მდგომარეობა არც ნამდვილ ცხოვრებაში იყო: ჩხრეკა-დაპატიმრებას და სხვა რეპრესიებს ბოლო არ ჰქონდა. იჭერდნენ უბრალო მიზეზისთვის, ხშირად ერთი გაუფრთხილებლად თქმული სიტყვისათვის, იჭერდნენ ეჭვის ნიადაგზე და ძალიან ბევრს სრულიად უდანაშაულოდაც, ჩეკას აგენტთა მიკერძოებული მითითებების საფუძველზე. არავის შეეძლო დარწმუნებით ეთქვა, რომ ხვალ საკუთარ ოჯახში და არა ციხეში გაიღვიძებდა. იჭერდნენ ყველას: მუშას და გლეხს, ინტელიგენტს და მოსწავლეს, კომისარს და მეეზოვეს, ცეკას მდივანს და რიგით კომკავშირელს. 1936-38 წლებში მარტო ჩვენი გერმანული ჯგუფის სამი მასწავლებელი დააპატიმრეს და დაკარგეს. იჭერდნენ პროფესორებს, დოცენტებს, სტუდენტებს და სხვა. ლექციები ცდებოდა ლექტორთა უყოლობის გამო, ხოლო ვინც ლექციებს კითხულობდა, ზეპირად ლექციის კითხვას ვერ ბედავდა, ვაითუ რამე ისეთი წამომცდეს, რასაც ყველგან მომრავლებული ჩეკისტის აგენტები „პოლიტიკურ სარჩულს“ დაუდებენო. ასეთი რამ ყოველდღე ხდებოდა. სტუდენტთა შეკრებილობაში სიტყვას ვერ იტყოდი, იმის შიშით, რომ ვინმე „აქტივისტს“ იგი სხვანაირად არ ეთარგმნა და შენთვის ტროცკისტობა არ დაეწამებინა. მახსოვს, ერთი ჩვენი კურსელი სტუდენტი ყურუა, რომელიც იკვებნიდა: შინსახკომში ასორმოცდაათი განცხადება მაქვს შეტანილი. ასეთკაცობა პარტიულ სიფხიზლედ

ითვლებოდა. ერთხელ უნივერსიტეტის კლუბში ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტთა საერთო კრება გვეკონდა, რომელიც ჩვეულებრივად ხალხის მტრების გამოვლინებასა და უკვე გამოვლინებულთა საჯაროდ გაკიცხვისადმი იყო მიძღვნილი. კრებაზე უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი, კიკნაძეც გვესწრებოდა. პრეზიდიუმის მაგიდას უსხდნენ პროფესორ-მასწავლებლები და ფაკულტეტის პარტიულ-კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების აქტივისტ-ხელმძღვანელები. „ცხრაგზის წყეული გველებისა და წუნკალი ძაღლების — ხალხის მტრების“ „ლოცვა-კურთხევით“ გამოდიოდნენ პარტ-კომკ-პროფორგები, სტუდენტები, კომკავშირელები, პარტიულები და უპარტიოები, ლექტორები, და, რაც მთავარია, საცოდავი უხერხულობის შთაბეჭდილებას ეძენდა ისეთი მცხოვანი და პოლიტიკისაგან შორს მდგომი ჭაღარა სწავლულების გამოსვლები, როგორიც იყვნენ: გიორგი ახვლედიანი და კორნელი კეკელიძე, ვარლამ თოფურია და აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა და სხვები. ეს ხალხი, რომელიც თავთავის საგნებში დიდად განსწავლული იყო, კათედრებიდან სტუდენტებით სავსე აუდიტორიებში ცეცხლს აფრქევდა, ახლა, როცა მწვავე პოლიტიკურ საკითხებზე უხდებოდა სიტყვის თქმა და „ხალხის მტრებისთვის“ წყევლა-კრულვისა და ლანძვარების შეთვლა, შემზარავად საცოდავი და საოცრად უხერხული შესახედავი იყო. ამას ყველანი ვგრძნობდით და, რა თქმა უნდა, ამას ყველაზე მეტად განიცდიდნენ და გრძნობდნენ თვით ჭაღარა ორატორები. მაგრამ სხვანაირად არ შეიძლებოდა. „ხალხის მტრების“, „ტროცკისტ-ბუხარინელი დივერსანტ-მავნებლების“ წინააღმდეგ ხმის ამაღლებას, უპირველეს ყოვლისა, სავალდებულოდ იმათთვის ხდიდნენ, ვინც

პოლიტიკისაგან, როგორც თავისი მდგომარეობით, ისე მოღვაწეობის ხასიათით, შედარებით შორს იდგა. ასე კარნახობდა პოლიტიკური სიფხიზლის მაშინდელი მეთოდი.

\* \* \*

სხვათა შორის, ჩემ მიერ ზევით აღწერილ კრებაზე კოტე ხიმშიაშვილის წინააღმდეგ აღიმაღლეს ხმა: გამოვიდა რომელიღაც კომკავშირელი სტუდენტი და თავის სიტყვაში ხალხის მტერი უწოდა მას. კოტე, მთლად გაფითრებული, ბრაზისა და მოსალოდნელი შედეგისაგან თავდასაცავად გამოვიდა. ის ამბობდა, რომ ხალხის მტერი არ არის, რომ მის წინააღმდეგ ახლახან გამოსული ორატორის კომუნისტური სიფხიზლის გამოვლინება საფუძველმოკლებულია.



მუჟღელესთან ერთად

იმავე კრებაზე მოხდა ერთი იმ დროისთვის დამახასიათებელი ინციდენტი: მე ზევით მოვიხსენიე „აქტივისტი“ სტუდენტი ანტონ ყურუა, რომელიც საჯაროდ აღიარებდა, რომ შინსახკომში შეჰქონდა „მამხილებელი“ განცხადებები. აი, ეს სტუდენტი ყურუა უცებ სცენაზე ავიდა, კრების პრეზიდიუმს მიუახლოვდა და თითის დაქნევით უნივერსიტეტის რექტორი

კიკნაძე კულისებისკენ გაიხმო. ეს გაუგონარი თავხედობა იყო: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ხალხმრავალი კრების პრეზიდიუმიდან, სტუდენტთა

თვალწინ, ყოვლად უნიჭო და უქნარა მისივე სტუდენტი კულისებში „სათათბიროდ“ იწვევდა და ისიც როგორ? ხელის დაქნევით! ამ ჟესტის წრეგადასული უხამსობა ყველასთვის ცხადი იყო და, მითუმეტეს, თვით რექტორის გ. კიკნაძისათვის, მაგრამ რა უნდა ექნა? ყველამ იცოდა, რომ ყურუა ფართედცნობილი „ინფორმატორი“ იყო და მისი ამ საქციელის არათუ გაკიცხვა, არამედ უგულვებელყოფაც არ შეიძლებოდა, რადგან ასეთი მოქმედება იმავე ყურუას საკმაო საბაბს მისცემდა, რომ უნივერსიტეტის რექტორისათვის სიფხიზლის უქონლობა და თვით „ხალხის მტრების“ დამქაშობაც დაენამებინა. სახეგანითლებული და შეცბუნებული რექტორი ყურუასთან მივიდა, პრეზიდენტის უკან, კულისებთან შეჩერდნენ და სტუდენტი რექტორს საიდუმლოდ რაღაცას მოახსენებდა. ლაპარაკს რომ მორჩნენ, რექტორი ისევ კრების თავმჯდომარის ადგილას დაჯდა, მაგრამ ათი წუთი არ იყო გასული, რომ გათავხედებულმა ყურუამ გიორგი კიკნაძე კვლავ კულისებში გაიწვია. ეს კი მეტისმეტი იყო, დარბაზში ჩოჩქოლი შეიქნა, მაგრამ რექტორი მაინც იძულებული იყო, „აქტივისტის“ ნებას მიჰყოლოდა... აი, ასეთი ამბები ხდებოდა მაშინ. ამ ნიადაგზე ჩვენს უნივერსიტეტს მოაშორეს ბევრი ღვანლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი: გრიგოლ წერეთელი, კ. სალუქვაძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი, შალვა ნუცუბიძე და მრავალი სხვა. ზოგიერთი მათგანი მერე ისევ დაუბრუნდა უნივერსიტეტს, როგორც შეცდომით დაპატიმრებული, ხოლო უმრავლესობა სატუსაღომ შეიწირა, აქვე შევნიშნავ, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ თვით ყურუაც გააქრეს.

ასეთი მდგომარეობა იყო მწერალთა წრეშიც. მწერალს, რომელსაც წინა დღეს „ნამყვან“ საბჭოთა მწერლად ვიცნობდით, — მეორე დღეს, უკვე დაპატიმრებულს,

ქვეყნის ლაფს თავს ასხამდნენ და ყოველნაირად ლანძღავდნენ ოფიციალურ ორგანოებში.

პაოლო იაშვილმა საკუთარი თავის ქალა და სისხლი მწერალთა კავშირის სასახლის ჭერს შეახალა პროტესტის ნიშნად და, ამრიგად, თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე, ტიცვიან ტაბიძე და ნიკოლო მიწიშვილი უიმედოდ გაქრნენ და აღარც გამოჩენილან. არც ძველი კომუნისტი მწერლები დაინდეს, — დაპატიმრებულ იქნენ: პავლე საყვარელიძე, რაჭდენ კალაძე, სევასტი თალაკვაძე, პეტრე სამსონიძე, კალე ფეოდოსიშვილი, ფრიდონ ნანუაშვილი, პლატონ ქიქოძე და ძალიან ბევრი სხვა. გარეთ დარჩენილნიც დღითიდღე დაპატიმრებას ელოდნენ. რაც არ უნდა ნიჭიერი და ღვაწლმოსილი ყოფილიყო კაცი, — საკმარისი იყო ლავრენტი ბერიას ერთი უბრალო სიტყვა, რომ მოუბრუნებლად დაეკარგათ. მაშინდელი რეპრესიების დროს ძალიან ბევრი ნიჭიერი და ღვაწლმოსილი, კულტურული და სამშობლოს დაუშრომელი მოამაგე გამოაკლდა საქართველოს და განა მართო საქართველოს? ყველგან ასე იყო. ეჟოვს რკინის სახალხო კომისარს და მტერთა დამთრგუნველს უწოდებდნენ. ასევე ბერიასაც. ყველაზე უფრო დასანანი და სავალალო ის იყო, რომ ამ დაპატიმრებულსა და სასიკვდილოდ განწირულ ხალხში ბევრი ისეთი ერია, რომელიც პოლიტიკას სულ არ ეხებოდა და, მაშასადამე, სტალინისტებსა და ტროცკისტებს შორის გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

1950-1959 წ.წ. (?)

**ნაწყვეტი წერილიდან „მწერლობაში მოვიდნენ მირზა და ლადო“**

მირზა გელოვანმა საოცრად შთამბეჭდავი კითხვა იცოდა. იგი ლადო ასათიანივით ჟესტიკულაციას არ იშველიებდა, არც ყვიროდა, პირიქით — ძალიან ნელი ხმით კითხულობდა, მაგრამ სწორედ მისი ეს ნელი, გულის მიღმიდან მომდინარე ხმა და ამ ხმის გასაოცარი ვიბრაცია ახდენდა მსმენელზე უდიდეს შთაბეჭდილებას... [...]

მირზასგან განსხვავებით, ლადო ასათიანი საკუთარი ლექსების კითხვისას უფრო ჟესტიკულაციას ემყარებოდა, თუმცა ხმაც შთამბეჭდავი და მგრძნობიარე ჰქონდა. ერთხელ, მწერალთა კავშირში, ცალკე გამიხმო და „ნამკაშურის წისქვილები“ წამიკითხა და ლექსზე ჩემი აზრი აინტერესებდა. მე, რა თქმა უნდა, ძალიან მომეწონა ეს, ამჟამად ფართოდ ცნობილი ლექსი. ლადოს ბავშვივით უხაროდა. თითქოს ახლაც ყურში მესმის მისი ათრთოლებული ხმა... კითხულობდა ლადო და ლექსის რიტმს ტანსაც აყოლებდა... [...]

მირზა გელოვანი არც სადმე სწავლობდა და არც სადმე მუშაობდა. ის მთელი თავისი არსებით პოეზიას იყო თავშეწირული და ამის გარეშე არც რამე ახსოვდა და არც რამე სწადდა. თიანეთში, თავის ოჯახში, არცთუ ისე ხშირ-ხშირად ადიოდა. უფრო ხშირად მისიანები ჩამოდიოდნენ ქალაქში და მირზას ხელმოკლეობას წამალს ადებდნენ... თუმცა თბილისშიაც ბევრს წერდა, მაგრამ ქალაქიდან გასვლა და რომელიმე კუთხის მოხილვა მისთვის ახალ ლექსებს ნიშნავდა. ამიტომ, მისი ოთახის კარი თბილისში არცთუ ისე იშვიათად იყო გამოკეტილი. ერთხელ ქალაქიდან კარგა ხნით გაქრა, უკან ოდნავ ფერმკრთალი და დასუსტებული დაბრუნდა. საერთოდ, მირზა ფრიად ჯანსაღი იყო და ავადმყოფობა იშვიათად იცოდა. როცა მის ოთახში თავშეყრილებმა შეშფოთებით შევეკითხეთ შეუძლობის მიზეზზე, მან ხალათი გაიხადა, პერანგი აიწია



და მკერდის არეში ნატყვიარის ნაჭრილობევი დაგვანახა.  
ზურგში გავარდნილ ტყვიას უფრო დიდი დალი დაეჩნია.  
ჩვენ გაოცებულებმა ვკითხეთ მომხდარის შესახებ და მან  
გვიამბო: ჩრდილო ოსეთში ყოფილა თურმე, ქალაქ  
ორჯონიკიძეში, სასტუმროს რესტორანში დამთვრალა და  
თავის ნომერში რომ ასულა, მთვრალი სარკესთან მისულა.  
საკუთარ სახეს სარკეში რომ დავაკვირდი, — გვიამბობდა  
მირზა, — ერთბაშად მომწადა მეხილა, თავისმკვლელს,  
სიკვდილის წინ როგორი გამომეტყველება მექნებოდა.  
ჩვენ გაკვირდით და ნაამბობი კიდევ დავიჯერეთ.  
მკერდში გავლილი ტყვიის კვალს საკუთარი თვალით  
ვხედავდით და ისლა დაგვრჩენოდა, მირზას ცოცხლად  
მორჩომის გამო ღვთისათვის მაღლი შეგვეჩნია, თანაც ჩვენ  
დიდ ლიტერატურაში მაშინლა ფეხადგმულებს, წინაპარი  
ზოგი მწერლის მსგავსი საქციელით და ცისფერყანწელთა  
აპოლოგიით რომანტიულად განწყობილთ და  
თავგაბრუებულთ, მირზას მოქმედება ჭეშმარიტად  
პოეტური გვეჩვენა. მირზასგან ისეც, საერთოდ ყველაფერი  
იყო მოსალოდნელი. ძალიან უცნაური ხასიათის კაცი  
გახლდათ და იოლად შეეძლო ერთი უკიდურესობიდან  
მეორეში გადავარდნილიყო.

1965 წელი / ნოემბერი / თბილისი / საავადმყოფო

*1941 წლიდან გაბრიელ ჯაბუშანური ბარისახოს სკოლის  
მოსწავლეებს წერილებს წერდა. უგზავნიდა საკუთარ  
ლექსებს და მათაც სთხოვდა ლექსებისა და წერილების  
გაგზავნას.*

წერილი ბარისახოს სკოლის მოსწავლეებს

*ძვირფასო მეგობრებო!*

ბევრს არ გიცნობთ, ბევრი თქვენგანისა არა წამიკითხავს, ესეც დიდი დანაშაულია ჩემი, უნდა ვიცნობდეთ, ვკითხულობდეთ ერთმანეთს, უნდა გვიხაროდეს ერთმანეთის კარგი და გვწყინდეს ცუდი. უნდა ვეხმარებოდეთ ერთმანეთს შეძლებისდაგვარად. თევდორე ალუდაურის და გიორგი გიგაურის ჩემდამი მოძღვნილი ლექსები ადრევე მომიტანეს, პასუხიც (ლექსად) ადრევე დავწერე, მაგრამ ზოგი ჩემი დაუდევრობით და ზოგიც სხვა მიზეზების გამო ვერ მოვახერხე, დროზე გამომეგზავნა თქვენთვის წერილი. ესეც ჩემი დანაშაულია და აქაც კვლავ ბოდიშს ვიხდი ყველა თქვენგანის წინაშე... როდესაც თევდორე ალუდაურის და გიორგი გიგაურის ლექსები წავიკითხე, მე გავოცდი: გავოცდი და გამიხარდა გულწრფელად: ძალიან კულტურულად წერთ. მე იშვიათად ვხვდები ასე კულტურულად ნაწერს ლექსებს ახალგაზრდების შემოქმედებაში (და ძალიან ხშირად უკულტურობა „დიდების“ ნაწერებსაც ახასიათებთ). ჩვენს დროში [...] თავს ვერავინ გაიტანს მწერლობაში. ვაჟა უდიდესი პოეტი იყო, ფშაურ კილოზე წერდა და ამ სტილზეა ვაჟას უკვდავი ნიმუშები პოეზიისა. ეს ამბავი მაშინ ორიგინალური იყო და თავი გაიტანა. გარდა ამისა, ვაჟას უკულტურობად კი არ მოსდიოდა ის ამბავი, რომ პრიმიტიული ფშაური კილოკავით წერდა. ვაჟა დიდად კულტურული კაცი იყო და ამას განგებ შვრებოდა. ნახეთ მისი პროზა. უწმინდესი ლიტერატურული ქართულით არიან დაწერილნი მისი პროზაული შედევრები. დრო გავიდა და ლიტერატურა წინ წავიდა. ცვლილება მოხდა და ახლა ვაჟაური ლექსით შორს ვერ წახვალ. დღეს თუ პოეტი თანამედროვე ლექსს სრულ ლიტერატურულ დონეზე ვერ წერს, თავისთავად ჩამორჩენილია. სწორედ ეს კულტურული სიმალლე ვიგრძენი მე თქვენს ლექსებში და ეს მახარებს უბოძოდ.

ამიტომ ძლიერ დაინტერესებული ვარ თქვენი შემოქმედებით.



დავით გოგოჭურთან ერთად

მითხ  
რეს:  
ლექს  
ები  
ბევრ  
ს  
უნდო  
და  
შენთ  
ვის  
გამო  
ეგზავ  
ნა,  
მაგრ  
ამ  
არა  
ქნეს:  
გაბრ  
იელი  
უკად  
რისი  
აო.  
მწყინ

ს ეს ამბავი. მანდ მოსწავლე არხვატელი ხალხი მაინც მიცნობს და იცის ჩემი თავმდაბლობის ამბავი. მოდიოთ: ეკალ-ნარს ნუ ვედებით და პირდაპირ ვუთხრათ ჩვენი სათქმელი ერთმანეთს. გზა ერთი გვაქვს, მიზანიც ერთია და ჩვენი ურთიერთდაახლოვება შემოქმედების

ურთიერთგაცნობის თვალსაზრისით თუ სარგებელს არა, ზიანს არ მოიტანს.

ეხლა აი, რა მინდა მე: ყველა თქვენგანმა (ცხადია, თუ ამის სურვილი გაქვთ) გამომიგზავნეთ თქვენი რჩეული ლექსების კრებულები, ამით უფრო გამახარებთ. ფრიად საიმედო და დაინტერესებული კაცის ხელით მთის შეკვრამდე გამომიგზავნეთ არხვატში. ლექსებზე დაწვრილებით მოგწერთ ჩემს აზრს — ღილლოდან ფოსტით და გარდა ამისა გამოგიგზავნით ჩემს ლექსებსაც — უკანასკნელ წლების შემოქმედების ნიმუშებს. [...]

მე ჩვეულებრივად ვცხოვრობ ღილლოში. არის აქ ბევრი რამ საინტერესო, უმთავრესად ეგზოტიკა. ვწერ აქა-იქ. ვთანამშრომლობ რაიონულ გაზეთში „ახალი ხევი“. ამას განგებ ვშვრები, აბა თუ თბილისი გაიგებს რამეს და თუ მწერალთა კავშირი მიკითხავს. [...] თბილისს ჯერჯერობით არაფერს ვუგზავნი და არც ვფიქრობ რაიმეს გაგზავნას ამჯერად...

ლექსები გამომიგზავნეთ ყველამ, — სულ ერთია ბარისახოს იქნება ავტორი თუ სხვაგან — მისწერეთ და გამოაგზავნეთ! წერილები მომწერეთ! იყავით კარგად და კარგად!!!

*თქვენი გაბრიელ ჯაბუშანური*

### ***მიძღვნა პირველი***

მე თქვენს სტრიქონებს წრფელს და უბადოს ღამით ღილლოში ვუკითხავ მთვარეს, — მთვარეს გაბადრულს — მაღალ მუზათა — მარად სავანე — უჩრდილო მზვარეს.

შევცქერი მნათობს ოქროთ დათქორილს,  
ზედ თქვენი მზერის მსურს ამოცნობა,  
დღეს ჩვენ ათასი გვაშორებს გორი  
და ამდენივე გვაერთებს გრძნობა.

მე, ვისაც ზოგჯერ სევდა-მაცილი,  
ამიკვიატებს თითქოს მტერს — მტერი  
და საიმედო ფიქრით დაცლილი —  
ვბორგავ, ვწრიალებ, როგორც ვერტერი,

ო, მე იმბაშად გვემულს — მნადია, —  
მოვსპო, უარვყო ძირფესვიანად, —  
ყოვლი, რაც დღემდე მიყვარდა, მნამდა,  
რაც დღესაც ჩემთვის ძვირფასი არი...

ვამბობ განწირვით: ყველას მოვძულდი,  
ამ ქვეყანაზე არვინ მიგონებს,  
არ არის ღონე კვალად მოვძალდე,  
სჩანს უკუნეთი მკერდს ჩამიკონებს.

ოდენ მღილი ვარ დაბლა მცოცველი —  
ღანვს უმწეობის ცვარი გადამდის  
და განწირული, მწირი მლოცველი  
მე პირჯვარს ვინერ გარიჟრაჟამდის.

ვით მოწყალებას მცირეს, საკუთრად, —  
იმედს მომიტანს დილა გვიანი —  
და მაშინ ვიტყვი: მწირი საწუთრო  
არც თუ ერთიან დილეგი არი...

სულში ჩადგება შუქი მახვილად,  
რომ კვლავ სიცოცხლის რეკოს ეჟვანი,  
ძმებო! — ასევე თქვენმა ძახილმა —  
გადამაშორა მე კაეშანი.

ახალ ხალისთა ვხდები ოჯახი  
და ვთრგუნავ გრძნობებს მღვრიეს და მდარეს,  
მე თქვენს ჭაბუკურ — წმინდა მოძახილს  
ლამით ღილღოში ვუმღერი მთვარეს.

2 ივლისი / 1944 წელი / ღილღო

*p.s. ნისლაურიც, ცხადია, ღილღოს არის. ვმუშაობთ ერთად.  
ვწერთ ხანდახან. [...] მოკლედ, აქაც და იქაც სოფლის  
მწერალი ვარ. წიქას (ალექსი ჭინჭარაულის) წერილი  
წუხელ მივიღე, ბევრი ვიცინე მის ხუმრობებზე (შატილურს  
და სხვა ამბებს სწერდა). გამომიგზავნეთ ძმებო, წერილები.  
მოკითხვა ყველას ყველასგან.*

გაბრიელ ჭაბუშანური  
27.09.1944 წელი / ღილღო

### **ძვირფასო ძმაო გოგი!**

შენი წიგნი და წერილი მივიღე. პასუხს დღესვე გიგზავნი.  
წიგნი გულდასმით წავიკითხე და მინდა ჩემი  
შთაბეჭდილება გაგიზიარო. ლექსებმა, საერთოდ კარგი  
შთაბეჭდილება დასტოვეს, მაგრამ ზოგიერთი ლექსი მაინც  
ვერ უპასუხებს იმ მაღალ მოთხოვნილებას, რომელსაც  
დღეს ქართული პოეზიის დღევანდელი დონე უყენებს  
ქართველ პოეტს. ისიც მართალია, რომ წიგნი ორი წლის  
წინათ არის გამოცემული და იმასაც აქვს მნიშვნელობა,  
მაგრამ მე შენგან მეტს მოველი და იმედი მაქვს, რომ შენი  
ლექსების ახალი კრებული ამ წიგნზე უკეთესი იქნება. [...]  
შენ ხედავ, რომ მე შენს წიგნს მაღალი მოთხოვნა  
წავუყენე... აი, ზოგიერთი ლექსი, რომელმაც ჩემზე საჭირო  
შთაბეჭდილება ვერ დასტოვა: „ციმბირის ღამე“, „ჩემს  
ხალხს“, „პოლონელ ქალს“, „საზეიმო“ და სხვა. ასეთი  
ხასიათის ლექსებში ძმაო გოგი, ახალი არაფერია. ისინი

ხშირად გვსმენია სხვებისაგანაც და თავი მობეზრებული გვაქვს. ახლის თქმა რა თქმა უნდა ადვილი არ არის, მაგრამ ყოველი ჭეშმარიტი პროექტი ვალდებულია საგანი საკუთარი თვალებით, ახლებურად, თავისებურად დაინახოს. მდარე ლექსები ყველა პროექტს აქვს, მაგრამ ყველაფერი ხომ არ უნდა გამოვაქვეყნოთ, როცა ლექსს დასაბეჭდად გავიტანთ, უფრო მეტად მკაცრ განსაზღვრულში უნდა გავატაროთ, მით უმეტეს, რომ ამჟამად ლექსებს ისეთი ამინდი დაუდგა, რომ ნაძალადევი იდეას მათ თავზე არავინ მაინცდამაინც არ ახვევს. მეტად მკაცრი ხომ არა ვარ? მგონი ასე სჯობია! ესეც არის: ლექსის კითხვას განწყობილება უნდა. დღეს გატანჯული ვიყავი, ყველაფერი ფეხებზე მეკიდა, მაგრამ შენმა ამანათმა გამახარა და გადავწყვიტე პასუხი აღარ დამეგვიანებინა.

წიგნში ბევრი კარგი ლექსებია, მე რომ მომეწონა და გამახარა. აი, ზოგიერთი მათგანის სათაური: „ხმა შორეული“, „შადრევანი“, „ჩემი ბალიდან“, „კვლავ მთებში წავალ“ (ეს ლექსი ძალიან მომეწონა). [...]

ძმაო გოგი, ამ ლექსებში, ჩემის აზრით, არის გრძნობა, სიახლაც და პროეტური ოსტატობაც. ამ გზით უნდა წარიმართოს შენი მუშაობა. ისიც ხშირად ხდება, მე ჩემი ესა თუ ის ლექსი ძალიან მომწონს, შევითან წიგნში, სხვა ჩემთვის ნაკლებად საყვარელ ლექსების გვერდით. გამოდის კი რომ მკითხველს სწორედ ის ლექსები მოსწონს, რომელთაც მე ნაკლებმნიშვნელოვნად ვთვლი, ხალხს ჩემთვის საყვარელი ლექსები შეუმჩნეველი რჩება. ალბათ შენც ასე ხარ. ამით ვამთავრებ შენს წიგნზე ლაპარაკს.

იწერები: ღრეობა გავმართეთ, ეგერაოდ არ უნდოდავ. ყველაფერი კარგი ყო და მაკვდას ვინაც შაინანას.[\[4\]](#)

ძმომ ქრისტი!

ბათუმში უნდა იყოს და ვინ უნდა იყოს.  
აქვე სწორი პოზიციისთვის და ვინ უნდა იყოს.  
ვინ უნდა იყოს და ვინ უნდა იყოს.

და ვინ უნდა იყოს და ვინ უნდა იყოს.  
და ვინ უნდა იყოს და ვინ უნდა იყოს.

და ვინ უნდა იყოს და ვინ უნდა იყოს.  
და ვინ უნდა იყოს და ვინ უნდა იყოს.

და ვინ უნდა იყოს და ვინ უნდა იყოს.  
და ვინ უნდა იყოს და ვინ უნდა იყოს.

და ვინ უნდა იყოს და ვინ უნდა იყოს.  
და ვინ უნდა იყოს და ვინ უნდა იყოს.

P.S. და ვინ უნდა იყოს და ვინ უნდა იყოს.  
და ვინ უნდა იყოს და ვინ უნდა იყოს.

„სახე  
ლგამ  
ში“  
არავი  
სთვი  
ს  
არაფ  
ერი  
დაგვ  
იშავ  
ბია,  
პირი  
ქით,  
ყველ  
ასთა  
ნ  
ალერ  
სიან  
ი  
ვიყავ  
ით,  
ვის  
რას  
ვემა  
რთლ  
ებოდ

ით, მითუმეტეს მაშინ, როცა განწყობილებაც ხალისიანი  
იყო და ყველა გულლიად გვხვდებოდა, ან ვინ  
შეგვხვდებოდა გულდახშულად მთვრალ ხევსურებს?!? [...]  
ულრმესი პატივისცემით მოვიკითხავ შენს მეუღლეს,  
მალხაზს,



*მოგიკითხათ სარამაც.*

*თქვენი: გაბრიელ ჯაბუშანური*

*7 თებერვალი. 1963 წელი. თბილისი*

**ძმავო გოგი!**

შენი წერილი მივიღე. [...] საბუთებს ველი, მაგრამ არაფერი ჩანს. მეტი გზა არაა, უნდა განვაცხადო მათი დაკარგვის თაობაზე სათანადო ინსტანციებში.

აქ ახალი არაფერია. ჩემს პოემას ალბათ ამ დღეებში ჩაუშვებს „ნაკადული“ სტამბაში. ფულისად იქავ მალოდინებენ „ნაკადულიც“ და „საბჭოთა საქართველოც“.

სმის თაობაზე რომ იწერები, ეს ამბავი ჩემი მთავარი საწუხარია, როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად, მაგრამ ეს ოხერი, მაინც ვერ მივატოვე, ნებისყოფა არ მეყო და თანაც ჩემს მელანქოლიურ ხასიათში ამ წყეულს (სასმელს) ცოტა ხანს მცირე შუქი მაინც შეაქვს, თუმცა ამ შუქში ჩრდილი უფრო მეტია, რაც გამოფხიზლების შემდეგ მთელი სისაძაგლით საცნაურდება და ჩემს საქმესაც და თავსაც მაზიზღებს. ამიტომ არის, რომ დიდი სმის შემდეგ გამოფხიზლების მეშინია და ისევ სასმელში ვეძებ თავდავინწყებას. მე ვიცი, რომ ეს წყეული მომიღებს ბოლოს ადრე და მალე, მაგრამ რა ვქნა... არის, რაც არი. ფხიზელს — სასმელს წარიდებულს, სმა არ მინდა, მაგრამ ჩემი ქალაქში ცხოვრება ისე მოეწყო, რომ სხვაგრივ არ ხერხდება; ყოველდღე ვინმეა ჩემთან ძმა, მეგობარი, ნათესავი თუ სხვა. ძალაუნებურად გიხდება კაცს მასპინძლის ვალი შეასრულო, რადგან „თუ მასპინძელი არა სვამს, სტუმარსაც მეწყინების“, ხოლო სმას ის მოსდევს, რაც ბევით ვთქვი...

თავი შეგაწყინე.

ვეფხურად იყავ, ვეფხვო!

შენი გაბრიელ ჯაბუშანური

11 დეკემბერი 1963 წელი, თბილისი

## 6. ახალი თარგმანები

# ტედ ჰიუზი

ლექსები წიგნიდან „ყვავი. მისი ცხოვრება და სიმღერები“  
ინგლისურიდან თარგმნა ზვიად რატვიანი

## ყვავის სიყრმის ამხანაგები

ყვავს მობეზრდა სიმარტოვე და შექმნა ღმერთები —  
რათა მათთან ეთამაშა. მთის ღმერთი გაექცა.

და ჩამოვარდა ყვავი მთიდან, რომლის წინაშეც  
ჩანდა ასეთი უმნიშვნელო.

მდინარის ღმერთმა ამოიღო მდინარეები  
მაცოცხლებელი წყლების ნუსხიდან.

ღმერთი ღმერთის მიყოლებით გაურბოდა, ყველა აცლიდა  
სასიცოცხლო ადგილს და ძალას.

ყვავი დაეცა, ამოთხვრილი საკუთარ თავში.  
თვითონღა იყო თავისთავი, თავისივე გადანაფურთხი.

თავისივე ტვინისათვის მიუწვდომელი.

უკანასკნელი ცოცხალი არსება,  
მოხეტიალე თავის უკვდავ სიდიადეში,  
მარტოსული, როგორც არასდროს.

## ვაშლის ტრაგედია

ხოლო მეშვიდე დღეს  
გველი ისვენებდა.  
გამოეცხადა ღმერთი და უთხრა:  
“მე გამოგიგონე ახალი თამაში”.

გველმა ახედა გაკვირვებით  
ამ არამკითხეს.  
მაგრამ თქვა ღმერთმა: “ხომ ხედავ ამ ვაშლს?  
მე მას გავჭყლეთ და, აი, სიდრი!”

ყვავმა მოსვა და დაიკლაკნა  
კითხვის ნიშანივით.  
ადამმაც მოსვა და აღმოხდა: “შენ იყავი ჩემი ღმერთი”.  
ევამ მოსვა და გაშალა ფეხები

და დაელმებულ გველს მოუხმო,  
და კარგი დროც ატარებინა.  
ღმერთმა ადამთან დააბეზლა.  
ადამმა სცადა, გაღეშილმა, მისსავე ბაღში თავის  
ჩამოხრჩობა.

გველი ცდილობდა აეხსნა, “შეჩერდი”,  
მაგრამ სიმთვრალით ენა ებმოდა.  
“იძალადა, იძალადა”, კიოდა ევა  
და გველს ქუსლით თავს უჩეჩქვავდა.

ახლაც კი, გველის დანახვისას, ის იწყებს კვივლს:  
“ისევ მოვიდა! მიშველეთ, მიშველეთ!”  
ადამი სკამით თავს უჭეჭყავს.  
ღმერთი ამბობს, “კმაყოფილი ვარ”

და ყველა ცვივა ჯოჯოხეთში.

## ყვავს გული ერევა

ავადმყოფობა იყო რაღაც, რაც მას ვერ არწყევდა.

როცა ძაფის გორგალივით დაშალა სამყარო,  
აღმოაჩინა, ძაფის ბოლო მის თითზე იყო გამობმული.

სიკვდილს ჩაუსაფრდა, მაგრამ ყველაფერი,  
რაც ებმებოდა მის ხაფანგში,  
იყო ხოლმე მისივე სხეული.

სად არის ვიღაც, ვისაც ვუპყრივარ?

ის ყვინთავდა, მოგზაურობდა, იმუქრებოდა, ცოცავდა,  
ბოლოს

თმის ყველა ღერი აუაღდა — იპოვა შიში.

თვალეებმა ელდა აიფარეს, იუარეს მისი დანახვა.

მან დაარტყა მთელი ძალით. და იგრძნო დარტყმა.

ჩაიკეცა, შეძრწუნებული.

## ზღაპარი ძილის წინ

დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა კაცი  
თითქმის კაცი

როგორღაც დიდად ვერ ხედავდა  
როგორღაც დიდად ვერ ესმოდა  
როგორღაც დიდად ვერ ფიქრობდა  
როგორღაც იყო მისი ტანი  
როგორღაც წყვეტილი

როცა პურს ჭრიდა ხედავდა პურს  
როცა სიტყვებს კითხულობდა ხედავდა ასოებს  
როცა ხელისგულს დაჰყურებდა ხედავდა ღარებს  
ან კაცის ერთ თვალს  
ანდა ერთ ყურს, ანდა ერთ ფეხს, ანდა მეორეს  
როგორღაც დიდად ვერაფერს ხედავდა

მაინც მის თვალწინ გადაიხსნა გრანდ-კანიონი  
როგორც კანი ქირურგის თვალწინ  
მაგრამ როგორღაც მხოლოდ სახის ნახევარი მოჩანდა  
მასში

და როგორღაც არ მოჩანდა არცერთი ფეხი  
კიდევ კარგი გამართულად მუშაობდა მისი კამერა.  
ზღვამ მის წინ ფსკერი მოიშიშვლა  
და უსირცხვილოდ გამოფინა თავისი თევზები  
ის უყურებდა და ვერ გრძნობდა  
რადგან ყველაზე უდროოდ დროს გაჩლიქოსდნენ მისი  
ხელები.

თუმცა თვალები მუშაობდნენ  
მისი სახის ნახევარი იქცა მედუზად —  
ფოტო გამოდგა გადღაბნილი.

მის წინ გრუხუნით გაიხლიჩა უზარმაზარი საბრძოლო გემი



რათა მიეპყრო მისი მზერა  
მიწისძვრამ თავზე ჩამოამხო მძინარეებს მათი ქალაქი  
და ოდნავ ადრე მოუვიდა — მან ვერ მიუსწრო  
საკუთარი მოსამართი ყურითა და რეზინის თვალით.  
და ყველაზე მშვენიერი გოგონები  
მის ბალიშზე დებდნენ თავებს და შეჰყურებდნენ  
მაგრამ როგორღაც სხვაგან იყო მიპყრობილი მისი  
თვალები  
დაიჩურჩულა გაიცინა და როგორღაც ხმა ვერ გაიგო  
ჩაებლაუჭა ჩაეჭიდა და როგორღაც გაიწელნენ მისი  
თითები  
როგორღაც იყო ფისოვანი სატყუარა  
როგორღაც ვიღაც მისი ტვინით ავსებდა ბოთლებს  
როგორღაც იყო ყველგან გვიან  
და იყო გროვა ნამსხვრევეების გახვეული მატყლის საბანში  
და როდესაც ზღვის ურჩხული ამოზვიროთდა ნავის  
კიჩოსთან  
როგორღაც ნერვიც არ შესძვრია  
და როდესაც დაინახა კაცის თავი ცულით ნაკეპი  
უგრძნობმა მზერამ შეისრუტა მთელი სახე  
თანაც ასეთ გადამწყვეტ წუთში  
შემდეგ ისევ გადმოაფურთხა  
თითქოს არც მოხდა არაფერი.

წავიდა ჭამდა რაც შეეძლო  
და აკეთებდა რაც შეეძლო  
და იპარავდა რაც შეეძლო  
და ხედავდა რაც შეეძლო


და შეუდგა ავტობიოგრაფიის წერას

მაგრამ ხელები იქცნენ ჩხირებად  
ძარღვები ჭიბის საათის ძეწკვად

ფეხები იქცნენ ძველ საფოსტო ბარათებად  
თავი იქცა გაბზარულ მინად

და თქვა, “ვნებლები”. და დანებდა.

არც ამჯერად შედგა ქმნილება.



## ყვავის საბრძოლო მრისხანება

როცა პაციენტი, ტკივილისგან წამონთებული,  
მოულოდნელად ფერმკრთალდება,  
ყვავი გამოსცემს ხმას, რომელიც საეჭვოდ წააგავს სიცილს.

როცა ხედავს ღამის ქალაქს მიწის ლურჯად შეშუპებულ  
ჰორიზონტზე,  
რომელიც აქნევს თავის დაირას,  
ყვავი იცინის ცრემლის წასკდომამდე.

როცა იხსენებს ნემსით მკვდრების შეღებილ ნიღბებს,  
რომლებიც დასკდნენ საჰაერო ბურთებივით,  
ყვავი უმწეოდ ხობავს მიწაზე.

სადღაც შორს ხედავს თავის ფეხებს და იგუდება,  
ებლაუჭება მტკივან ფერდებს —  
სულ უფრო შეუძლებელია ამის ატანა.


თავისქალაში ჩაიძირა ერთი თვალი, გალუული, როგორც  
ქინძისთავი,  
და მეორე აეხილა — თვალისგუგებით სავსე თეფში,  
საფეთქლები დაებურცა, როგორც თავი ერთი თვის ჩვილის  
და ქუსლები ორად გაეყო,  
და ტუჩები გადაეკრა ყვრიმალის ძვლებს, და გულ-ღვიძლი  
ამოსდის ყელში,  
და იფრქვევა სისხლის ჭავლი მისი თხემიდან —  
როგორც არ ხდება ამ სამყაროში.

ამ სამყაროდან თმის ღერის მანძილზე

(თავის ადგილას მიწებებული დასიებული სახით  
ძველ ფოსოებში ჩაწყობილი მკვდარი თვალებით  
ნეკნებს შორის ჩატენილი მკვდარი გულით

ძველ ადგილებში ჩაკერებული დაფლეთილი ნაწლავებით  
და ფოლადის კაპიუშონში გამოკრული ტვინის  
ნამსხვრევებით)

მან გადმოდგა ერთი ნაბიჯი,  
კიდევ ნაბიჯი,  
და ნაბიჯი —



## ყვავიეგო

ყვავი ულისეს მიჰყვებოდა, ვიდრე ულისე  
იქცა იმ მატლად, რომელიც აკენკა.

ჰერაკლეს ორ გველს შეებრძოლა  
და შეცდომით შემოეხრჩო დეიანირა.

ხოლო ოქროდ გადამდნარი ჰერაკლეს ფერფლი  
თავისი ტვინის ელექტროდად გამოიყენა.

ბოევულფის სისხლით მთვრალი და მის ტყავში  
გამოხვეული  
ეზიარა ძველი ტბების პოლტერგეიტსით.

მისი ფრთები — მისი წიგნის მუყაოს ყდაა,  
თვითონ — მისი ერთადერთი ფურცელია მელნის  
ლაქებით.

ჩასჩერებია საკუთარი წარსულის ჭაობს,  
როგორც ბოშა მომავლის კრისტალს,  
როგორც ბნელ მიწას — ლეოპარდი.

## ფოკუსები სასუფეველში

და ბოლოს დარჩა არაფერი.  
ის მოათავსეს არაფერში.  
მას დაუმატეს არაფერი  
და დასამტკიცებლად მისი სიარაფრის  
მიასრისეს არაფერს არაფრით.

არაფრით დაქუცმაცებული  
და არაფრით ათქვეფილი  
ამოაბრუნეს შიგთავსით გარეთ  
და მოაბნიეს არაფერზე  
რათა ყველას დაენახა რომ ის არის არაფერი  
და არაფერი ეშველება.

და მიატოვეს. ხანგრძლივი აპლოდისმენტები სამოთხეში.

დაეხეთა მიწას და გასკდა —  
იქ იწვა ყვავი, კატაღეფსიური.

## ჯადოსნური საფრთხეები

ყვავი ფიქრობდა სასახლეზე —  
დავზე დაემხო მისი ჭერი, ძვლები იპოვეს.

ყვავი ფიქრობდა სწრაფ ავტომობილზე —  
მან ამოგლიჯა ხერხემალი, და მიაგდო უხელოფეხო და  
ცარიელი.

ყვავი ფიქრობდა ქარის თავისუფლებაზე —  
და აორთქლდა მისი თვალები, ქარი სტვენდა თურქულ  
უნაგირზე.

ყვავი ფიქრობდა ჯამაგირზე —  
მან ის გაგუდა, უვნებელი ამოკვეთეს მკვდარი კუჭიდან.

ყვავი ფიქრობდა დაუვინყარ რბილზე და თბილზე —  
მან თვალები აუხვია აბრეშუმით, შეაგდო ვულკანში.

ყვავი ფიქრობდა გონიერებაზე —  
მან ის საკანში გამოკეტა, ყვავი ეცა უგრძნობ გისოსებს.

ყვავი ფიქრობდა გაშეშებულ ბუნებაზე —  
აღმოცენდა მის ყურში მუხა.

კენწეროზე მისი შავი შვილები ისხდნენ.  
და გაფრინდნენ.

ყვავს

აღარც უცდია.

## ყვავს ნერვები ღალატობს

ყვავმა იგრძნო, რომ გონება ებინდება,  
რომ ყველა ღერი მისი ბუმბულის ქვადქცეული  
მკვლელობაა.

ვინ დახოცა ეს ყველაფერი?

ცოცხალი მკვდრები ფესვს იდგამდნენ მის სისხლში და მის  
ნერვებში,

ვიდრე ბოლომდე გააშავებდნენ.

როგორ უნდა გაუფრინდეს თავის ბუმბულებს?

რატომ დაიდეს ბინა მასში?

ნუთუ ის მათი ბრალდებების საცავია?

მოჩვენებითი სამიზნეა მათი შეუკავებელი შურისძიების?

მათი შეუწყნარებელი პატიმარი?

არ ეღირსება მიტევება.

დედამინა მისი ციხეა. განაჩენში გამოხვეული,

იხსენებს თავის ყველა ცოდვას

და მიფრინავს დამძიმებული.



## გამოუსწორებელი რელიგიური შეცდომა

როცა გველი აღმოცენდა, ყავისფერი ნაწლავი მიწის,  
გახლეჩილი ატომიდან,  
თავისთავზე ალიბივით დახვეული ორეული,  
როცა შემართა გრძელი ყელი,  
როცა გააწონასწორა მინერალური უსურვილო გამოხედვა

—  
დასრულებული ფაქტის სფინქსი,  
როცა ორად გაყოფილი ცეცხლოვანი ენით გამოსცრა  
მოგუგუნე სფეროების მსგავსი ბგერები,  
ღმერთის სახე მოიღუშა — ფოთოლი ღუმელში,  
ქალის და კაცის მუხლები გალღვა, და კისრები  
შემოადნათ, და წარბებით დაასკდნენ მიწას,  
დაანთხიეს ხილული ცრემლი  
და ჩურჩულებდნენ: “შენი ნება, ჩვენი მშვიდობა”.

ხოლო ყვავი უყურებდა.

შემდეგ დაიძრა —

ქმნილების კეფას დაეძგერა, გადააძრო თავიდან ტყავი,

ამოაცალა ჯოჯოხეთი, და გადაყლაპა.

## ღიმილი

დაძრული ძველი ტყის გმინვიდან  
ის კვეთს ღრუბლებს, მესამე სხივი  
და მიწის კანს უახლოვდება

და უთვალთვალებს მიწას  
როგორც ახალი ლუკი  
ტალღებიდან ამოზრდილი წყალქვეშა ნავის  
არხებს ტირიფებს და თელების კენწეროებს  
მარჯვე შემთხვევის მოლოდინში

მაგრამ ხალხიც მზად დაუხვდა  
და შეეგება  
ღიმილებით შუშის ნიღბიდან, ამრეკლავი სარკეებით  
ძვალხრტილოვანი ღიმილებით  
პირსისხლიანი ღიმილებით  
შხამიანი ღიმილებით  
სიმწრის  
ღიმილებით

მაგრამ ღიმილი იყო დიდი, ისე დიდი, ყველას დაუსხლტა  
და ისე მცირე, ეტეოდა ეტომებს შორის  
და გააპო ფოლადი გრგვინვით  
როგორც თავქვე დაკიდებული გატყავებული კურდღლის  
ფაშვი  
და ტროტუარი სინათლე ჰაერი  
როგორც ქალღმის პაკეტები  
ვერ აკავებდნენ სისხლის ნიაღვრებს  
ხალხი გარბოდა პირაკრული  
მაგრამ სამყარო განუწყვეტლივ იბზარებოდა  
მთელი ქმნილება  
ქცეულიყო ამოხეთქილ წყალსადენ მილად

და კიდევ თვალი უიღბლო კაცის  
ნატყვიართ წარბის კუთხეში  
სიბნელით გაფართოებული  
რომელიც უფრო ფართოვდება, უფრო ბნელდება  
თითქოს სულმა შეწყვიტა შრომა

და სწორედ ამ დროს გამოჩნდა ღიმილი  
და ბრბო, მონადინებული დაენახა ეს-ესაა აღმომხდარი  
შიშველი სული  
გაშიშვლებული უკანასკნელ სირცხვილის ზღვრამდე  
მიაწყდა ღიმილს  
რომელიც ამოძვრა მოთხრილი ფესვიდან  
შეეხო ტუჩებს, შეცვალა თვალები  
და განკურნა ყველაფერი  
თუნდაც წამით

ვიდრე ისევ მოწყდებოდა დედამიწას, დედამიწის  
შემოსაფრენად

# ნატალია ტროხიმი

## თარგმნა მარიამ წიკლაურმა

*უკრაინელი პოეტი, საბავშვო ავტორი, მთარგმნელი. იგი ლვოვის ივან ფრანკოს სახელობის უნივერსიტეტში მუშაობს, რამდენიმე ლიტერატურული პრემიის ლაურეატია. გამოცემული აქვს რამდენიმე პოეტური კრებული, ასევე საბავშვო წიგნები და თარგმნილი ლიტერატურა. თარგმნის ინგლისური, რუსული, პოლონური, ბელარუსული და ქართული ენებიდან. უკრაინულად თარგმნა და გამოსცა პაკო სვიმონიშვილის, გაგა ნახუცრიშვილის, დავით რობაქიძის და სხვათა თარგმნები. მარიამ წიკლაური ქართულად გამოსაცემად ამზადებს მის პოეტური კრებულს „სიესტა — მცხრალი მზე“.*

## ოდა სამსახურს

“ის ქალი” გიშვებს  
შებინდებულზე.  
მოდიხარ ჩემთან  
დამშეული, უნუგეშო, აუტანელი,  
კარის ზღურბლიდან  
გადმომიგდებ  
გამოხედვის გამოლოკილ ძვალს —  
პატარას, მაგარს და ერთადერთს, რაც გაგაჩნია.  
ხელისცეცებით აბაზანისკენ მიემართები,  
იხდი დღის ჭუჭყს,  
გამჭვირვალე იმედით, რომ  
მოგშორდება ტანზე შემხმარი  
კვალი “მისი” შენახებისა,  
თან ბუზღუნებ გაბრაბებული  
დენზე, რომელიც გათიშულია,  
სანთლის შუქზე ცრემლებივით  
ყლაპავ ვახშმის კუთვნილ ლუკმებსაც,  
თვალს არიდებ მოხერხებულად  
ჩემ მზერას და  
ახშობ ჩემს სიტყვებს,  
ჩემს ხელიგულსაც მარჯვედ იშორებ,  
იმალები “იმის” ზურგსუკან,  
აზრი და ფიქრი შენი ისევ “მას” დასტრიალებს,  
და აშკარაა, ასე მდუმარეც  
მადლობას უხდი “მას”, როგორც ღმერთს —  
ლუკმა პურისთვის...  
მერე წვები დასაძინებლად  
მინდორივით ფართო სანოლში,  
იკავებ მასზე შენს საკუთარ პოლუსის მხარეს —

დიახ, სამხრეთულს, რაღა თქმა უნდა  
(ჩემი ხომ ვიცი, ჩრდილოურია),  
თავს იღობავ საკუთარ საბნით, მსგავსად იმისა,  
საკუთარი ძილთ როგორც  
აძინებ — შენს თავს  
და ემზადები მეორე დილას  
ისევ “მასთან” პაემანისთვის.  
მე კი კვლავ მტოვებ,  
შორს, პოლარული წრის იქით, სადაც  
ჩემი ნაღველი როგორმე უნდა ჩავათბუნო  
საბნის მღვიმეში,  
გაყინული ტერფებით და გულით რომ მაინც  
შენ  
დამესიზმრო.

## ეგოისტურ-ნოსტალგიური სიუჟეტი სილუეტზე

იმ სახლში, სადაც  
დიდი ხანია, ჩვენ აღარ ვცხოვრობთ,  
იმ ოთახში,  
სადაც სტუმრები არასოდეს არ შედიოდნენ,  
იმ კედელზე,  
დიდი ფანჯრის მოპირდაპირედ,  
რომელზეც მთვარე მთელი ასი ღამე მხატავდა  
(ის კედელი, ვინ იცის, არც კი შეთეთრებულა),  
აღბათ ჩემი სილუეტი ახლაც იქაა,  
გზააბნეული, მივიწყებული,  
მარტოობაში ჩაკარგული და ვერასგზით გამოღწეული.  
ნეტა ზედ სხვისი პორტრეტი ხომ არ მიაწვებს?  
იქნებ ანარეკლს მიაკიდეს ჭრელი ხალიჩა?  
მაგრამ თუ მაინც ყველაფერი ისევე დარჩა,  
როგორც მაშინ, ხელუხლებელი —  
თეთრი, შიშველი კედელი და  
მოპირდაპირედ — დიდი ფანჯარა?!  
მაშინ, მისმინე,  
როცა სხვა მიზეზს ვერც კი პოულობ,  
იქნებ სწორედ “ის”  
გაღვიძებს ხოლმე —  
უცნობი ბიჭი  
შუალამეში?

## ალილო შეყვარებულისთვის

ხვალ შობა დგება. დღეს კი, ძვირფასო,  
დაღამებულზე რომ გაშლი საწოლს,  
რომ დაწვები და თვალებმილულულს  
მალე მშვიდად ჩაგეძინება...

ამასობაში

ცომი სამჯერ ამოფუვდება,  
აავსებს, სამჯერ გადაბელილი, გობსაც პირთამდე —  
მოეცხება ფითქინა მიტკალს,  
დილის შუქივით გაქათქათებულს,  
რომელშიც ადრე ახალშობილს ვახვევდი ხოლმე.

ახლა ცომს ვახვევ,

ჯერ ჩემს ხელებში რომ გამოივლის,  
მერე ცეცხლსაც რომ გამოაღწევს  
გადიქცევა ჰაეროვან, დაბრანულ ლუკმად,  
ადრე როგორიც ვიყავი თავად.

მოვალ მერე და, ვანილიან სურნელში გაგხვევ,  
ნესტოებს რომ აგითრთოლებს და ძილბურანში  
მოგეჩვენები ამოსული ცომის მკვრივ გუნდად.  
ოღონდ წამწამებს მეტად ნუ გახსნი!

მსურს, რომ დღეს მაინც ვინეტარო ამ ფუფუნებით —  
ზუსტად ასეთით — ეს სურნელი როგორიცაა.

ხვალ ხომ შობაა!



## გინეკოლოგის მოსაცდელში

(შიშის კარნახით)

გაბერილი და მოღუშული ღრუბლები ცაზე  
მძიმედ და ნელა თავს იყრიდნენ,  
ორსულელებით,  
სამშობიაროს მისაღებში რომ გროვდებიან,  
ტრიკოტინის ფართო სამოსით.

მაღლა — ღრუბლებს და  
დაბლა — ორსულებს

ერთნაირად ემჩნეოდათ მოძრაობაზე  
ფეხმძიმეობის ქანცგანყვეტა,  
აუხსნელი განსაცდელის  
შიში და სევდა.

არაფერი იყო ცაში მზერის დამტკობი,  
არც დაბლა იყო არაფერი საინტერესო,  
თუმც თვალს ვერ ვწყვეტდი,  
რაც აქ ხდებოდა —

მიზიდავდა სახიფათო მოლოდინი,  
მნუსხავდა და მაჯადოებდა —

ვუყურებდი, როგორ შეერთდა ყველა ღრუბელი,  
როგორ იქცა ერთ მთლიან საშოდ,  
როგორ გაიხსნა გრგვინვის ხმით და  
როგორ შობა თქეში წვიმისა — საერთო შვილი...

ჩვენ კი ქალები, რა თითონი ვართ  
და მარტოები  
განსაცდელეებში...

**\* \* \* (კოკისპირული გრძნობის თავსხმაში...)**

კოკისპირული გრძნობის თავსხმაში  
ვერ დამიცავს საიმედოდ  
ინტელექტის გაშლილი ქოლგა  
თმის ძირამდე გავილუმპე წამში და მორჩა.

**\* \* \* (კედელს სხეული ჰქონებია...)**

კედელს სხეული ჰქონებია,  
თეთრი სხეული.  
მუდმივად ცივი  
მუდმივად მკვრივი.  
კედელს ყურებიც ჰქონებია,  
თეთრი ყურები  
მუდმივად იქ და იმ ადგილას,  
სადაც ვეხები ტუჩებით და  
ზღაპრებს შენზე ვეჩურჩულები.  
ზღაპრებს, კოცნით ჩაძინებულებს.

## საზაფხულო ავტოპორტრეტი

ზაფხულია.

ჭიანჭველებსაც

ხედავ, ფრენა მოუნდათ! —

გამოუსხიათ სიფრიფანა მბზინავი ფრთები,

თბილ ქვეყნებში ეპირებიან!

რომანტიკა დაუფლებიათ.

გინახავთ ცაში ფრთოსანი ჯაჭვი

ჭიანჭველების?

**\* \* \* (სულ გარს მივლიდი...)**

სულ გარს მივლიდი,  
თითქოს ადგილს ეძებდი ჩემში.  
მეკვროდი მჭიდროდ,  
სამყოფელს თუ ისაკუთრებდი  
ჩემში უთუოდ...  
თათს მისვამდი, ყურს და კუდსაც მაგლესავდი,  
როგორც მელიის და მგლის ზღაპარში...  
მაგრამ ადგილს ვერ პოულობდი —  
დროებითი იყო შენი თავშესაფარი.  
ფრთებს შორის, შორის ბაგეების, ხელისგულების,  
და იქ, სადაფის ნიჟარაშიც,  
იმ ზღვით სავსე ნიჟარაშიც კი...  
ბოლოს მიხვდი, აქ არ იყო შენი ადგილი...  
გარს მევლებოდი, მეცეკვებოდი,  
თითქოს მავლებდი ჯადოსნურ წრეს,  
ნაზი მახვილით,  
რომ ველარასდროს გადმომელახა  
მაგიური რკალების ყულფი  
არასოდეს გავსულიყავი ამ წრიდან გარეთ.  
სამუდამოდ ვქცეულიყავი  
შენს დროებით თავშესაფრად,  
და შორიდანაც მომეწვდინა  
ძლივსგასაგონი ჩურჩულითაც:  
აქ ვარ...

## ინსტალაცია

რკინაბეტონის კონსტრუქცია  
ცოცხალი ქალი  
მონოლითური ბეტონისა  
გეგონება მოიპოვეს კარიერიდან  
თუჯის ვეება ქვაბში გააღღვეს  
ჩამოასხეს  
თავი კიდური ტორსი გვარი  
სახელი და სადაურობა  
უსახურობად  
უსულგულობად  
უპიროვნებოდ

**\* \* \* (ნუ შეშინდები, ეს დაწყევლილი...)**

ნუ შეშინდები, ეს დაწყევლილი  
სეზონი მაინც მოვიდა, დადგა.  
სამერმისოდ კი, აღარც წერტილი  
და აღარც მძიმე გეყოფა საგზლად.  
ცრემლილა დასდის დახეთქილ კანზე  
ხატს და შენც გიწვავს გალახულ ლოყას.  
სისხლის სუნისგან ღონემიხდილი  
თითქმის ქცეულხარ საძილე მორჩად.

არ ჩაგეძინოს! ბურგი აქციე  
ყველაფერს, წადი შორს, გაეცალე.  
მიუსაფარმა, უსახლომ, მარტომ,  
ველურ ქალივით მოუხმე ძალებს.  
წადი სირბილით, გზას ნურვის ჰკითხავ,  
არ ენდო მიჯნას, არც ზღურბლს — არ შეცდე!  
არცერთი მხარე შენ არ გჭირდება,  
გახსოვდეს, მხოლოდ გასაღწევს ეძებ!

## ციხე - საპყრობილე

ყოველ ჯერზე, ძვირფასო, როცა  
შორიახლოს ჩავუვლი ხოლმე,  
ჩვენი ქალაქის სიმრუდეში  
იდუმალად ჩამალულ ციხეს,  
მას წყლულივით რომ ამოზრდია —  
სიბინძურის და მრისხანების უტყუარ ნიშნად,  
უხეხულ მზერას ვარიდებ მორცხვად,  
მაგრამ თვალის კუთხეები ეჭიდებიან  
უსიცოცხლო და უგრძნობ სარკმელებს,  
ორთავე მხრიდან გისოსებით ამოშენებულს,  
შიშისა და რკინის უმტკიცესი შენადნობისგან  
ჩამოსხმულებს.

ეს სარკმელები მითვალთვალებენ  
დაჟინებით და გამჭოლი მზერით,  
ბრმათა უჩინო თვალებივით,  
რომლებიც მუდამ სავსე არიან იმედების უიმედობით,  
ყოველთვის რომ უკანასკნელი აღესრულება,  
მარადიულად აღესრულება.

ეს სარკმელები მდარაჯობენ  
დღითა თუ ღამით,  
გაზუთხული ასლებივით  
პირდაპირ გულზე დაღერებული  
იმ დაჟანგული მახვილებისა,  
უნებურად რომ მაიძულებენ,  
ა ღ ვ ი მ ა რ თ ო  
ბლაგვი ხმლის წვერზე წამოცმული  
მსხვერპლივით,  
მ ა ღ ლ ა.



## ვერცხლისწყალი

მე არა ვარ ქალი-ოქრო, მე ვარ ვერცხლისწყალი.  
ვერ ვივარგებ მოსართავად — სასიკვდილო შხამი.  
ახლოს არც კი გამეკარო, შესუნთქვაც კი ღუპავს.  
შემსვი ხარბად, თუ ეგრე გსურს, არა წვეთ-წვეთ, ყლუპად.  
მე არა ვარ ქალი-ოქრო, და გახსოვდეს კარგად,  
რომ ვერაფრით შემაკავებ, ბადესთან და კართან!  
მძიმე ვარ და თხევადიც ვარ, დამღვრი, ვინოვები.  
ვორთქლდები და ზევით, მაღლა, ცაში ვინონები.

## სასიკვდილო სიმღერა

წითურს ჭაღარა ვერ სჯობნის! გაზაფხულია! მზე!  
მისხლამდე მავსებს სიცოცხლე და სიხარულში მხვევს!  
ბედნიერი ვარ, მაგრამ რა?! ვერ ვარ ბოლომდე მხნე,  
რადგან საყვარელს სახელად — სიკვდილი, მიქვის მე!

მზე მწვავს და მთანგავს, რა გზაა?! სად გაექცევი მზეს?!  
სულ რომ თავი ქვას ახალო, ვერ შეცვლი ბედს და სვეს.  
შენც ამ მზესავით მიყვარხარ, მაგრამ თავზარსა მცემს  
რომ მახსენდება, საყვარელს — სიკვდილი, მიქვის მე!

იცი, ძვირფასო, არ უყვარს შეთამამება მზეს,  
მამაკაცური თვალები და გულიც მზისტოლს წევს.  
მსოფლიოს კაცებს ვუყვარდე, მაინც არაფერს მძენს,  
როცა საყვარელს სახელად — სიკვდილი, მიქვის მე!

სულ ხელისგულზეც მატარონ, ნიავიც არსად მწვდეს,  
მზესთანაც რომ მიმაბრძანონ, მიმცენ სხივითვლელ ძეს,  
ყველა მიწიერ ცდუნებას შემატკბოს თუნდაც მწემ,  
რა, თუ საყვარელს სახელად — სიკვდილი, მიქვის მე?!

**\* \* \* (ფეხები აღარ მეხსნებოდა...)**

ფეხები აღარ მეხსნებოდა, გამომშრალი სახსრების  
მსგავსად.

ასე, დაღლილ ქუთუთოებსაც ვერ ხსნი და მარცვალს  
ვერ ყრი ყამირში, არ იკარებს ერქვანის სახნისს.  
ძვირფასო, შენი მეგობრობა ამ ჯადოს ამხსნის.

**\* \* \* (მან თევზივით გამომათრია ძილის  
სიღრმიდან...)**

მან თევზივით გამომათრია ძილის სიღრმიდან  
ხელაობით გამომიყვანა, მუხლისთავიც გადაიღლიტა,  
მერე კოცნით გამაბრუა და ღამის ნავიც  
შეაქანა, მთელი ძალით, არ ზოგა თავი.  
მერე ტალღებმაც დაგვიტანეს, დაგვფარეს ღამის,  
შეგვათრიეს ხელახლა წყალში, დავხუჭეთ თვალი,  
თავდახსნილებმა ყველასგან და ყველაფრისგან,  
ძილისგანაც თავისუფლებმა.



**\* \* \* (შენი სხეულის...)**

შენი სხეულის  
პატარა ნავს გააკეთებ და  
ჩემი სხეულის მდინარეში  
შემოცურდები,  
როცა ნავი  
წყლის ფსკერისაკენ  
ჩაეშვება,  
ჩვენი სულები გავლენ  
ნაპირზე  
ღიმილისაგან  
გაბრწყინებულნი.

## 7. ანტი

**დავით ანდროიაძე**

## ადამიანი ადამიანისთვის ფოტოგრაფია — Homo Homini Fotografus

უცნაური რამ ხდება ფოტოგრაფიის თავს...

ფოტოგრაფია მით უფრო გვევლინება არა ობიექტად, არამედ ანალიტიკურ ინსტრუმენტად.

ფოტოგრაფია თანდათან ექცევა ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ორბიტაში.

ასე იქმნება ფოტოგრაფიული ადამიანის მოდელი; მოდელი, რომელსაც შეიძლება **Homo fotografus** ვუწოდოთ.

და ეს მოდელი ამჟღავნებს (პოსტ) თანამედროვე ადამიანის ყველაზე მტკივნეულ სიმპტომებს.

მეტიც, ფილოსოფოსები თავად იღებენ ხელში ფოტოაპარატს და გამოფენებსაც კი აწყობენ.

მაგალითად, ჟან ბოდრიარი...

ფოტოგრაფის ხელობის დაუფლება ძნელი არაა.

ძნელია ცოდნის მოპოვება;

არა ცოდნა ფოტოგრაფიის შესახებ, არამედ ცოდნა ადამიანის შესახებ ფოტოგრაფიის მეშვეობით.

ამ ეპისტემოლოგიური ოპტიკის შიგნით კი დაუნდობლად გასდის ყავლი უამრავ „გამოტირებულ“ ოპოზიციას:

„დოკუმენტური-მხატვრული“, „პროფესიული-სამოყვარულო“, „საავტორო-ანონიმური“ და ა.შ.

აქტუალობას კარგავენ. შესაბამის პერიპეტეტიებში ერთვება ნაცნობი რელაცია: „ფოტოგრაფია-რეალობა“.



ამგვარი განხილვისას ფოტოგრაფია (და მის კვალობაზე, დიგიტალური ხელოვნება) რეალობას კი არ ასახავს, არამედ თავად წარმოქმნის რეალობას. გარემომცველი სამყარო კადრს მიღმა იხსნება და „ოპერატორის“ ამოცანაც მართოდენ იმაში მდგომარეობს, რომ დაემთხვეს რეალობას; ასე ვთქვათ, „მუდამ-უკვე“ ფოტოგრაფიულ რეალობას...

ფოტოგრაფიის მიღმა, კულტურაში უკვე დაგროვდა მნიშვნელობათა მთელი რეპერტუარი; და დადგა დრო (და მომენტი), როცა უნდა გამჟღავნდეს ამ ცოდნათა-ეპისტემათა და დოქსათა (და პარადოქსთა) მზარდი მნიშვნელობები; მნიშვნელობები ხსოვნისა, ისტორიისა, სუბიექტისა, ბიოგრაფიისა...

აი, რატომ „ამოიტვირთება“ ფოტოგრაფიიდან (პოსტ)თანამედროვე ანთროპოლოგიის მთელი საინფორმაციო პაკეტი.

ფოტოგრაფია, როგორც კულტურული ფორმა, ქმნის რეალობას; და კინემატოგრაფიასთან ალიანსში ახდენს (მეტა)რეალობის რეპრეზენტაციას.

შემთხვევითი არაა, რომ ზ. კრაკაუერი ფოტოგრაფიულ და კინემატოგრაფიულ რეალობებს შესატყვის ფენომენებად მოიაზრებს.

თუმცა, ბოდრიარის თანახმად, „წმინდა სახეს“ ფოტოგრაფია უფრო „იჭერს“; ფოტოგრაფია უფრო ართმევს ობიექტს მოძრაობას, ხმას, სუნს, საზრისს... ართმევს ყველაფერს, რათა დატოვოს უსასრულო ამოკითხვის ველი...

ეს მართლაც საგანგებო „ხატოვნებაა“; არა მაინცდამაინც „ნეგაციონისტური“, მაგრამ, ყველა შემთხვევაში,

ბრჭყალებში ჩასმული რეალური; „რეალური“, განსაზღვრულ სიტუაციაში რომ არსებობს; და ფოტოგრაფიაც საკუთრივ ისაა, რაშიც მოცემული პირობები (და პირობითობები) უქმდება.

ყოველ შემთხვევაში, ფოტოგრაფია (თავის ბინარულ პარტნიორთან ერთად), ადამიანური გამოცდილების არა მარგინალურ ელემენტს, არამედ, „საბაზო“ ესენციას წარმოადგენს.

და ის წინააღმდეგობრიობაც — პრინციპული სირთულეცა და უპრინციპო სიმარტივეც, ფოტოგრაფიას რომ ახასიათებს, თვით ამ „თანამედროვეობის“ დახასიათებადაც გამოდგება.

მოკლედ, ფოტოგრაფია და მისი ფილოსოფიური ანალიტიკაც სულ ციმციმებს, სულ „ცქმუტავს“, ადგილზე ვერ ჩერდება... ხან მაქსიმალურად გამჭვირვალეა, ხანაც — სავსებით შეუვალი, ხან შეუნიღბავია, ხანაც — შენიღბული, ხან დედიშობილაა, ხანაც — შეჯავშნული...

ერთი შეხედვით, ყოველდღიურობაში გამოიღვევება და შეუმჩნევლად მოინავლება რუტინაში, თანდათან ქრება, მტვრად და ნაცრად იქცევა, მერე კი, სულ რომ არ მოელი, საკრალური კონოტაციების პედესტალზე ამოჰყოფს თავს...

ფოტოგრაფიას მართლაც ძალუძს, გამოიწვიოს რეაქციათა მთელი სპექტრი — სრული იგნორირებიდან აფექტამდე.

და ამიტომაცაა, რომ ფოტოგრაფიის ბუნება შეიძლება აღინეროს ისეთი ურთიერთგამომრიცხავი დახასიათებებით, როგორიცაა უწყვეტობა-გარღვევა; გაყინულობა-მოუხელთებლობა; Shtudium-punktum; სიკვდილისაგან გაქცევა — სიკვდილის განსხეულება...

ასეა თუ ისე, დღეს, ფოტოგრაფია თავადაა ავტონომიური გა-მოთქმა; გამოთქმა (პოსტ)თანამედროვეობის „გამო“; და „შესახებ“...

და ახალ მნიშვნელობასაც მით უფრო იძენს, როგორც აგების (და გაგების) განსაზღვრული ხერხი; თუნდაც, ორგანონი...

ერთიცაა: „ფოტოგრაფია ანგრევს ხელოვნების ფუნდამენტურობას“.

ეს ვალტერ მენიამინია.

და კიდევ: ფოტოგრაფია ბოლოს მოუღებს ხელოვნების ტრანსცენდენტულობას.

ეს უკვე ბოდრიარია.

ერთი მომენტი იქცევს საგანგებო ყურადღებას:

ფოტოგრაფია იმპერატიულად ითხოვს მსჯელობას არა ფოტოგრაფებსა თუ ფოტოგრაფიებზე, არამედ თავად ფოტოგრაფიაზე.

ფოტოგრაფიაზე, როგორც ასეთზე...

არის ამაში ტოტალობის ერთგვარი ცდუნება.

ცდუნება, რომელსაც ჯერჯერობით ვერ ასცდენია ვერავინ, ვისაც კი უცდია ფოტოგრაფიის შესახებ ტექსტის დანერა.

ამ ცდუნებას, ცხადია, ვერც მე ავცდები.

თუმცა, ტოტალობას, რომელზეც ზემოთ მოგახსენებდით, იანუსის ჰაბიტუსი აქვს: ფოტოგრაფიას ვენდობით; და არც ვენდობით...

ყოველ შემთხვევაში, ვენდობით, როგორც აბსოლუტურ შედეგს;

და შესაძლოა, როგორც აბსოლუტურ საშუალებას...

პირველი პოზიცია — დავარქვათ მას პირობითად „მოდერნისტული“ — გამჟღავნებულია როლან ბარტის წიგნში „Camera Lucida“; მეორე კი, ძალიან არ მინდა ამ ტერმინის თქმა, მაგრამ — „პოსტმოდერნისტული“, გამოხატულია სიუზენ ბონტაგის ესსეში — „ფოტოგრაფიის შესახებ“.

„Camera Lucida“ „ავტორის სიკვდილის“ ავტორმა დედაზე მგლოვიარემ დაწერა.

ესაა წიგნი, რომლისთვისაც, მარსელ პრუსტის პერიფრაზით, შეგვეძლო დაგვერქმია „დაკარგული დედის ძიებაში“.

იგივე ბოდრიარი წერს, ბარტის ტექსტი მუდამ თან მახლდა, როგორც მუდმივი კონტრაპუნქტი — Contrapunktum; მუდამ მხედველობაში მქონდა ეს თხზულება, სადაც ბარტმა სიტყვით — punktum ზუსტად აღნიშნა გულისგული ხატისა, რომელიც არ არსებობს, „არ იმყოფება“, მაგრამ სწორედ ამ „დაუსწრებლობის“ გამო ფლობსო ხატოვან ძალას.

ბარტი ამ ekritiuré-ში ექსისტენციურ დანაკარგს — დედის სიკვდილს ფოტოგრაფიული რეფლექსებით ინაზღაურებს.

და ამიტომაც ვლინდება ამ ტექსტში ერთგვარი ბიოფოტოგრაფიული რედუქციონიზმი, რომელსაც ფსიქოანალიტიკოსი სულ სხვა „კუდს“ მოაბამდა.

ფოტოგრაფია, ბარტის კვალობაზე, თითოეულ ჩვენგანს თავისი უწყვეტობით იზიდავს; იმით, რომ შეუძლებელია ფოტო დაანანევრო „ნიშნებად“.

ასე ენიჭება ფოტოს პარადოქსული სტატუსი — „გზავნილი კოდის გარეშე“.

ფოტოგრაფიაზე რეფლექსია კი ჯიუტად მოითხოვს, რაც შეიძლება შევავიწროვოთ ეს კონტინუალობა, ფოტოსურათში მოვიძიოთ დისკრეტული დანაწევრების, წყვეტის რესურსები; გამოვხშიროთ კოდი...

დენოტაციული თუ არა, მეორად კონოტაციური კოდი მაინც; კოდი, რომელსაც სოციუმი ნერგავს ფოტოხატის იმანენტურ უწყვეტობაში...

გახსოვთ, „არაჩვეულებრივ გამოფენაში“ პიპინია რომ ეუბნება თავის „მონაფეს“, ხომ იცი, მე ძველი წიგნებით გასწავლიო?!

ჰოდა, ამ „ძველ წიგნებში“ სურათებით ხდებოდა ტექსტის ილუსტრირება, თანამედროვე ილუსტრირებულ ჟურნალში კი, პირიქით — ტექსტი „პარაზიტირებს“ გამოსახულებაზე.

ასე ჩაენაცვლება ერთმანეთს ვერბალური და ვიზუალური ნიშნები.

თავის წიგნაკში, — „ნიშანთა იმპერია“ (1970), — იაპონიაში ლექციებით „პილიგრიმობას“ რომ ეხება, იმავე ბარტს მოჰყავს ერთი სახალისო ფოტო — საკუთარი პორტრეტი, ერთ იქაურ ჟურნალში დაბეჭდილი...

იეროგლიფური ტექსტით შემოგარული ფრანგი ლექტორის ევროპული ჰაბიტუსი მონგოლოიდური თვალთა ჭრილით გვეცხადება.

რა მოხდა?

რა და, ორი სემიოტიკური მექანიზმის კოლიზია „ობიექტის“ სხეულებრივი დეფორმაციით აღინიშნა.

და მაინც, ფოტოგრაფია დისკრეტულ-ნიშნურ რედუქციას აგრე იოლად არ ეპუება.

წყვეტილობა და უწყვეტობა უკვე თავად ფოტოსურათის შიგნით იწყებენ პოლემიკას.

Shtudium-ის ველის განვრცობის უწყვეტობა წარმოქმნის საკუთრივ ნიშნურ, კოდირებულ მესიჯებს ანუ წარმოდგენებს, ფოტოსურათზე რომ „ვკითულობთ“.

და მხოლოდ ზოგიერთ, ექსისტენციურად, „ჩემთვის“ არსებით ფოტოებზე თუ აღიბეჭდება ერთგვარი უსისტემო, მკვეთრად დანაწევრებული ელემენტი — Punktum — ისარივით რომ გვესობა, ანდა ნემსივით გვერჭობა.

ესაა ფოტოაპარატის გაჩხაკუნების ეფექტი — წერის ეს დამატებითი „ნულოვანი დონე“.

ვისაც წაკითხული აქვს „ტექსტით მოგვრილი სიამოვნება“ (Pleasure du texste), დამიდასტურებს ამ დიდი ფრანგის ინტერესს ნიშანთა ეროტიკული ეფექტებისადმი; და იმასაც მიხვდება, თუ რა მაცდუნებელი ხიბლი აქვს Punktum-ის, როგორც სასურველი სხეულის — ლიბოდობური ტანის ეპიფანიის გაგებას.

თუმცა, ექსისტენცია და ეროტიკა ერთი და იგივე სულაც არ გახლავთ.

სხეული (თუ ტანი) ფოტოსურათებზე, განსაკუთრებით, პორნოგრაფიულ ფოტოსურათებზე Shtudium-ს მიეკუთვნება, „ჩხვლეთის“ — Punktum-ის ეფექტი კი, სურათის რაღაც კერძო, მატერიალურ ანდა სავსებით დეჰუმანიზებულ დეტალებს უფრო აღბეჭდავს.

ფოტოგრაფიის ობიექტი მაინც ადამიანია, ოღონდ „არცთუ მთლად ადამიანურ“ მდგომარეობაში; არა ცოცხალ „აქ-

ყოფნაში“, არამედ რაღაც პარადოქსულ „აქ-წარსულ-ყოფნაში“.

დაახლოებით ამგვარი გამოთქმა გვხვდება „ხატის რიტორიკაში“ და ძველ-ქართულად უკეთ ჟღერს — „მუნ-ყოფნა“ ანუ ერთდროულად, „აქა“ და „იქ“ ყოფნა.

მოკლედ, ფოტოგრაფიის ონტოლოგია „გაცოცხლებული მკვდრის“ არსებობაა.

ეს თავისებური ნეკრომანტიაა!

სურათის გადაღებას ახლა მისი გადაღებვაც ემატება — რეტუშს ციფრული ტექნოლოგიები ჩაენაცვლება.

და ესაა გვამის მაკიაჟი.

საბოლოო ჯამში კი ფოტოგრაფია ერთგვარი წინასწარმეტყველებაა.

ოღონდ, წინასწარმეტყველება „უკულმა“.

თუნდაც, უკუნინასწარმეტყველება.

ამ გაგებით, ფოტოგრაფია, თითქოსდა, მისდაუნებურად იმეორებს შლეგელის ცნობილ ფრაზას ისტორიის შესახებ, მეტიც, ლამისაა, პირდაპირ აწყვილებს ფოტოგრაფიასა და ისტორიას, როგორც რელიგიურ წარმოდგენათა (sic) კრიზისის ორ ეპოქალურ პროდუქტს.

არადა, ფოტოგრაფია მაინც ისტორიის მიღმა იცქირება და საკუთარ ისტორიულ შინაარსს მთელი სისავსით იძენს, როგორც თანადროულობის, სინქრონულობის ფენომენი. კათარზისული დიალექტიკისაგან განძარცვული, კონკრეტული „სურათის“ განცდის დონეზე გვევლინება ფოტოგრაფია კრეატიული ბედისწერის დიალექტიკის განსხეულებად.

ეს უკვე სემიოტიკის ექსისტენციალური თვითუარყოფაა.

ალექსანდრ როდჩენკოს სახელოსნოს გამოფენის შთაბეჭდილებათა წიგნში ვიქტორ შკლოვსკის ჩაუწერია, როდჩენკომ ასწავლა ფოტოგრაფიასა და კინოს, სამყარო დილის თვალით დაენახაო...

ამგვარი ხედვა მაშინაა შესაძლებელი, თუკი ალიონზე ადგომას დაასწრებ ანონიმური ხელისუფლების პანოპტიკონს...

ამ პანოპტიკონის სათვალთვალო კამერები ხომ ყველგანაა ჩასაფრებული?!

აუთენტური (არ მინდა ვთქვა — ჭეშმარიტი) ფოტოგრაფია ამგვარი თვალის მოტყუებასაც ახერხებს და წარმოგვიდგენს სპონტანურ მეტაფორებს, ფხიზელი და განაფული Punktum-ით მოტანილ სამყაროს.

არადა, ყველაფერი მაინც ობიექტსა და ობიექტივს მიეწერება და არა — იმპერსონალურ „ავტორს“.

ფოტოგრაფია, ყველა სიტუაციაში, დროის მუმიფიცირებას ახდენს;

ამ პროცესს ფოტოგრაფიული სივრცის სუბიექტივაციაც ახლავს, თუმცა, საავტორო სუბიექტურობა მაინც რეგლამენტირებულია, რადგანაც ფოტოგრაფირების, როგორც პროცესის ფიზიკა პრინციპულადაა ობიექტური და სუბიექტის გადაჭარბებულ ინიციატივებს არ ემორჩილება.

დღევანდელ ფოტოდისკურსში მით უფრო იგრძნობა რეალობის უსიტყვო, ანდა უკეთ, პრავერბალური აღქმის პირობა.

სხვათა შორის, „ავტორებიც“ იწყებენ მზერით რეფლექსიას იმის თაობაზე, რომ ფოტოგრაფიას ძალუძს, რადიკალურად



დააკმაყოფილოს რეალობის უსიტყვოდ ანუ უპირობოდ „მიღების“ ქვეცნობიერი წადილი;

და ესაა ფოტოგრაფირების, როგორც თვალის ახელის, უცაბედი ახელის ექსისტენციური აქტი, როცა შენც არ იცი, როდის და რატომ გადაიღე ესა თუ ის კადრი; და მაშინ იწყებ იმის გაცნობიერებას, რომ „ეს“ გამოსახულება თავისთავად არსებობს „საგანთა ბუნებაში“ და, საერთოდ, ყოფიერებაში.

ასე სწვდება ფოტოგრაფია ცნობიერების ფენომენალურ კოდებს და ფოტოსურათით წარმოგვიდგენს მზერის მთელ ონტოტექსტუალურ სპექტრს.

თანამედროვე ფოტოგრაფიის საუკეთესო ოპუსებში სწორედაც ონტოტექსტუალური მატრიცით ხდება აქ-ყოფნის, როგორც დასწრებულობის წვდომა;

როგორც რილკე იტყოდა, ჩვენს „მწირ ჟამში“ დასწრებულობის წვდომა...

ამასობაში, ეს „იოლი ხელობა“ თავად ამჟღავნებს კონტემპლაციის არნახულ ნებას, რათა მყისიერ ტოტალობაშივე მოახერხოს ამ „მწირი ჟამის“ მუმიფიცირება;

მუმიფიცირება, როგორც რეალობის კონსტრუქციული ფაქტორი.

და მით უფრო, „ამხელს“, „ამჟღავნებს“, „ასმენს“ თითოეული ჩვენგანის დამოკიდებულებას „სხვაზე“; „სხვაზე“ და „სხვის ნებაზე“...

ესაა დამოკიდებულება, რომელსაც ჰაიდეგერი უწოდებს „სხვების დიქტატურას ნამდვილი მე-სადმი ყოველი კონკრეტული ექსისტირებისას“.

ფოტოგრაფია, თითქოსდა, იმ ანონიმური სუბიექტის ინსტრუმენტი, ექსისტენციალისტურ ფილოსოფიაში das Man რომ ეწოდება;

თუმცა, იგივე ფოტოგრაფია აფუძნებს ყოველდღიურობაში „უსახურობის სახიერებას“ და ამდენადვე გვევლინება ყოველდღიურობის ექსპერტიზად.

ფოტოგრაფიაში კვლავ იღვიძებს არა მხოლოდ ობიექტური, არამედ სუბიექტური თვალის. ფოტოგრაფია ნელ-ნელა, თავად ხდება „ვუაიერი“...

თანდათან იზრდება „ინტერვალი“ თვალსა და მზერას შორის...

და ფოტოგრაფიის პარალაქსურ თვალშივე მატულობს საკუთრივ მზერითი ინტენცია; და ტენდენციაც...

ფოტოგრაფია პოულობს თავის „ენაში“ იმგვარ რესურსებს, რეალური დროის ერთი, ცალკეული გაელვების „სხვა“, მეტარეალურ განზომილებაში ტრანსპორტირებით რომ აღინიშნება.

ასე იწყებს „მუშაობას“ მეტაფორა ფოტოგრაფიაში; მეტაფორა, დროში დაუმთხვეველ შთაბეჭდილებათა შეჯერებაში რომ გამოიხატება და კადრს შიგნით ამონტაჟებს მოულოდნელ იმაგოებს.

ამ გზით გადაილახება ფოტოგრაფიის ყბადაღებული ნატურალიზმი, თუმცა, გამოსახულების ნატურალურობის, ბუნებრიობის, აუთენტურობის მოტივი თავის ადგილზე რჩება.

ფოტოგრაფიულ დისკურსში მით უფრო მეთოდურად ხდება შემთხვევითობის და ამ „შემთხვევითობის“ აუცილებელი მოტივაციის რეპრეზენტაცია; და ფოტოგრაფიის

მექანიკური დოკუმენტალიზმაც ადგილს უთმობს ფოტოგრაფირებადი ობიექტის გაუცხოებულ ჭვრეტას, ახალი და უცხო თვალთ აქემას, ჩვეულებრივი, რუტინული ავტომატიზმის გადალახვასა და მასში ყოველდღიურობის პოეზიის (და მეტაპოეზიის) აღმოჩენას.

ფოტოგრაფია დღეს „დამსმენია“-მეთქი; გადაღებულიცა და — „გადაღებლიც“, თავად ახდენს საკუთარი „ავადმყოფობის“ მაუნყებლობას. სუბიექტი კი არ ახდენს „დასმენის“ აქტს, არამედ კოლექტიური სხეული და მისი სინგულარობა იძლევა ავადმყოფობის მესიჯს და თავად გამონერს განკურნების რეცეპტს;

და ეს რეცეპტი ხშირად, ერთი შეხედვით, ნეიტრალური Punktum-ია, თვალის დახამხამებაში, Contrapunktum-ად რომ გვეცხადება.

და შაბლონური, „ბრტყელი“, უკომპოზიციო გამოხატულებაც მით უფრო ამხელს სინამდვილეს; სინამდვილეს, რომელიც პოეტისა არ იყოს, „არ ყოფილა თითქმის“.

ასე რომ, Shtudium-ისგან განსხვავებით, Punktum, გარკვეული გაგებით, მეტი სოციალური და, თუნდაც, ექსისტენციალური ინფორმაციულობითაც კი გამოირჩევა.

და ბოლოს: ფოტოგრაფია თვალს არ ხუჭავს იმაზე, რომ მისთვის „ყველაფერი სულერთია“!

ასეთია მისი ონტოლოგიური ბუნება!

ჩვენც ნუ დავხუჭავთ თვალს იმაზე, რომ ფოტოგრაფია რაღაცით ჩამოჰგავს სოცრეალიზმს.

იმით, რომ ისიც მუდამ „სამსახურშია“; და ამასთან რაღაც „ნებადართულის“ ინსტრუმენტიც...

ხელოვნება რეკლამის საშუალებააო — გამოცანასავით უთქვამს ერთხელ ანდრე ბრეტონს.

აი, პუნქტი, რომელსაც ერთხმად ადასტურებენ სიურეალისტებიცა და სოცრეალისტებიც, რუსი კონსტრუქტივისტებიცა და ბაუჰაუზის მხატვრებიც...

ფოტოგრაფია კი, როგორც წმინდა „მერკურიანული“ მედიალობა, როგორც არტისტული იდეის განსხეულების მყისიერი (Punktum-ალური?) ხერხი, ის საერთო იდეალიცაა და მოდელიც, ყველაზე ოპოზიციურ სტილისტურ ფორმებშიც იოლად რომ ამოიცინობა.

სოცრეალიზმმა დღეს მართლაც ცივილიზებული ფორმა შეიძინა; ფოტოგრაფიული ფორმა.

გაცილებით ცივილიზებული, ვიდრე იგივე ნაციონალიზმია თავისი აბსოლუტურ ღირებულებათა შკალით...

ასეა, ფოტოგრაფიას უხდება უპრინციპობა, შვენის განურჩევლობა, „ყველაფერი სულერთიას“ ფილოსოფია.

და ეს „ფილოსოფიაცაა“, თავისი უპრინციპობით რომ შეიძლება ჩაუდგეს კრიჭაში ნებისმიერ აბსოლუტივისტურ იდეას.

მთავარი ისაა, რომ „ადამიანი ადამიანისთვის მგელი“ არ უნდა იყოს.

„ადამიანი ადამიანისთვის ფილოსოფოსია“.

„Homo homini philosophus“ — იტყვის ჩვენი დროების ერთი მოაზროვნე.

ჩვენ კი ასე ვთქვათ: „Homo homini fotografus“ —

„ადამიანი ადამიანისთვის ფოტოგრაფია“.

P.S. წერაში შემომათენდა კიდევ...

მთელი ღამე წვიმდა...

ვიღაც ამ წვიმასაც გადაიღებს, ალბათ...

და წვიმის გადაღებასაც გადაიღებს...

ჯერჯერობით კი, „გარეთ ისევ წვიმს და სულ იწვიმებს“ —

ასე იტყოდა ოთარ ჭილაძე.

არის ამ სტრიქონშიც რაღაც „ფოტოგრაფიული“...

# ტარიელ დათიაშვილი

## **იქ, სადაც ჩემი სახლია თეატრი — როგორც რელიგია!**

(ესთეტური დივერსია)

*ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი.*

*სპექტაკლი “იქ, სადაც ჩემი სახლია”,  
ლალი კეკელიძის პიესის მიხედვით.*

*რეჟისორი: კახა გოგიძე.*

*პრემიერა გაიმართა 2018 წლის 6 თებერვალს.*

„მოკლედ, შენი მოსაწონი სპექტაკლი ხომ არ დაიდგაო“, — მეგობარმა წამომაცხა ერთხელ. ასეა, თეატრშიც ზუსტად ისე დავდივარ, როგორც, მაგალითად, „საწნახელში“ — საკვების მისაღებად, დასაწყობებლად, საქეიფოდ, მაგრამ თითქმის ყოველთვის მშვიერი ვრჩები. რა ვქნა, აქამდე ნანახი ვერცერთი სპექტაკლი ვერ მოვიწონე. იქ დროის ხანგრძლივობამ გამაწამა, იქ — სივრცე და მხატვრობა ვერ აღვიქვი; იქ ფილოსოფია იყო ყურით მოთრეული; იქ სამსახიობო ოსტატობა არ იდგა სათანადო სიმაღლეზე... ხდება ისეც, რომ ყველაფერი თავის ადგილზეა — „დუპლეტში“, მაგალითად, დათო როინიშვილი ისე თამაშობს, სცენას ბოლი ასდის, მხატვრობაც მშვენიერია და დადგმაც, მაგრამ მაინც ვერ მივიღე. ასეა სხვა სპექტაკლებშიც, მსახიობები ემოციურად ასახიერებენ მთელი მსოფლიოსათვის საყვარელ და პატივსაცემ პერსონაჟებს, რეჟისორები დგამენ დიდი ავტორების პიესებს, ბეკეტით დაწყებული, გოგოლით დამთავრებული, ყველა აქ არის, მაგრამ რად გინდა, მე მაინც არ მყოფნის, ცოტაა...

მართალია, ვოლტერმა კი თქვა, კუჭი, რომელიც არცერთ საკვებს არ იღებს, ჯანმრთელ კუჭად ვერ ჩაითვლებაო („კანდიდში“ ფილოსოფოსი მარტენი ამ სიტყვებით ზუსტად კრიტიკოს პოკოკურანტეს აქილიკებს), მაგრამ მე ვოლტერი არ ვარ. არ ვამბობ: „შენ ჩამოდი, მე ამოვალ“; კრიტიკაც არა სპექტაკლის ალტერნატიული დადგმა, არამედ მისი უკანა მხარე მგონია, რომელმაც კი არ უნდა უარყოს, უნდა გაზარდოს და გაამდიდროს რაღაც. შესაბამისად, ვაკრიტიკებ, ნიშნავს, რომ, უბრალოდ, ჩემს შეხედულებებს გამოვთქვამ განსხვავებულ განსაზღვრულობაში, მეტი არაფერი, ყოველი განსაზღვრება ხომ თავისთავად უარყოფაა, როგორც ამას სპინოზა ამბობს.

ერთი სიტყვით, კრიტიკა კარგია, ის ბუნებრივი და სასარგებლო რამაა, მაგრამ დადგე და ყველაფერზე იძახო — „არ მომწონს! არ მომწონსო!“, მაინც არაა ლამაზი. აქ ვეთანხმები ვოლტერს: ასეთ მდგომარეობაში არამართო სასაცილო ხდები, ჩრდილი ადგება შენს პათიოსნებასაც. ამიტომ, თუ გინდა, შენი კრიტიკა გაგებულ იქნას, როგორც მხარდაჭერა (და ბოროტმა ენებმა ბოლმიან ნაბიჭვრად არ მოგნათლონ), ერთხელ მაინც, ზრდილობის გულისთვის, უნდა თქვა, შე კაცო, როგორი უნდა იყოს სპექტაკლი, რომელიც მოგეწონებოდა.

მინდა ალაღად ვთქვა, რომ ბასრი კალმით შეიარაღებულების უმრავლესობას ამის წარმოდგენაც კი არ შეუძლია (ყოველ შემთხვევაში, მე ჯერ საქართველოში არ მინახავს არცერთი ესთეტიკური თეორიული ნიმუში, რომელიც იტყვის, თუ როგორი უნდა იყოს თანამედროვე ბიპოლარულ კულტურაში დადგმული სულიერად მდიდარი და აღნაგობით მშვენიერი ქართული სპექტაკლი) და რადგანაც არ არსებობს ისეთი რამის უკანა მხარე,



რომელსაც ზედაპირი არ გააჩნია, მათ (კრიტიკოსებს) საკმაოდ რთული თამაშების წამოწყება უხდებათ ხოლმე თავიანთი „მსჯელობებისთვის“ დამატებლობის მისანიჭებლად.

დიახ, ვაღიაროთ, რომ ეს ასეა, ნამდვილად ასეა, მაგრამ, მაინც, ვიდრე კრიტიკოსებს თვალთმაქცობაში დავადანაშაულებდეთ, მოდი, გავიხსენოთ, რომ ეს ეგრეთ წოდებული „მოწონება“ ზუსტად ის საწყისია, რომლის ყოფიერ მარცვალზეც, ბევრი დიდი მოაზროვნის აზრით, მთელი ეს სამყაროა აღმოცენებული. ანუ: იწონებ რაღაცას, ნიშნავს, რომ შენ ხდები ბატონი „ღირებულებების დამფუძნებელი“; რაღაცას შენ აძლევ უფლებას, გააგრძელოს არსებობა; რაღაცას სიცოცხლის უფლებას ანიჭებ, აი, იმის მსგავსად, ღმერთმა რომ სამყარო შექმნა, მერე მოიწონა (თქვა, რომ კარგია) და ამით შთაბერა სული ყოველივეს.

მართალი გითხრათ, მთელი ქართული შემოქმედებითი აზროვნების პრობლემაც ზუსტად ეგ არის. ჩვენ ვერ ვაძლევთ საკუთარ თავს კარგისა და ავის გარჩევის საქმეში პიროვნული ინიციატივის გამოჩენის უფლებას. თითქოს ეს ჩვენს კომპეტენციაში არ შედის, თითქოს ჩვენს უფლებამოსილებას აღემატება. ეს ჩვენ მაგივრად ვიღაც „სხვამ“ უნდა გადაწყვიტოს, სადღაც ღირებულებათა სამჭედლოში. ჯერ იქ უნდა მოიპოვო აღიარება და მერე იცოცხლე, ტრაკს აგილოკავენ, ამიტომ ზოგადად, შემოქმედებით სფეროში, როგორც ადრე ვწერდი, სვაკების როლს ვასრულებთ, არაფერ ცოცხალზე ხელი არ მიგვიწვდება, მხოლოდ ლეშით ვიკვებებით. რა თქმა უნდა, მსოფლიო სცენების დაპყრობა ცუდი არ არის, ეს მართლაც ნიშნავს რძეში ბანაობას, მაგრამ მე ვლაპარაკობ აპრიორი ღირებულებების კარნახზე. გესმით? ყოველთვის მეცინება,

როდესაც მავანი ერის თავისუფლებაზე და დამოუკიდებლობაზე ლაპარაკობენ სხვადასხვა პოლიტიკურ ასპექტებში. გეუბნებით, არანაირ დამოუკიდებლობაზე არ შეიძლება იყოს საუბარი, ვიდრე ღირებულებების დაფუძნებას არ ვისწავლით, ვიდრე იმის თქმის უფლებას არ მოვიპოვებთ — რა არის კარგი და რა არ არის კარგი; ვიდრე რალაცის მონონებას არ შევძლებთ იქამდე, ვიდრე ამას სხვა გააკეთებს; ვიდრე ველოსიპედის ხელახალი გამოგონების შეგვეშინდება...

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ არ არის იოლი, ადგე და, უბრალოდ, რალაც მოიწონო. ამ მომენტში პრაქტიკულად მუხას რგავ, სვეტიცხოველს აფუძნებ, როგორც უმთავრეს ღირებულებას, რომ თავისუფალ ადამიანად (პიროვნებად) იქცე. ამ დროს, თითქოს შენ აცხადებ დამოუკიდებლობას მთელი სამყაროსაგან, რაც ყველას ნამდვილად არ ხელენიფება. კრიტიკა უფრო იოლია, იქ კარგი ოსტატი ყოველთვის იოლად დაემალება ჭეშმარიტებას, თუმცა, რალაც რისკს ისიც შეიცავს — თუ არაფერს აფუძნებს, მიმართულებას მაინც იძლევა, მაგალითს გიჩვენებს (რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაზეა საუბარი, როცა კრიტიკა დამოუკიდებელი ლიტერატურული ჟანრი ვერ ხდება), ამიტომ არ მიკვირს, რომ ჩვენს ინტელექტუალებში კრიტიკაზე პოპულარული ქილიკია, რომელიც კრიტიკის პერვერსიული ბუნების კომიკურ-ცინიკური გამოხატულებაა და ესთეტიკური კიბის ყველაზე ქვედა საფეხურს ნამდვილად არ წარმოადგენს. ქილიკი ისეთი რამეა, რასაც პირადად უნდა შეეხო; ერთგვარი პერფორმანსია, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ძალადობრივად შეიძლება მოგეჩვენოს, მაინც არავის არაფერში ავალდებულებს და ნიჭი უსათუოდ სჭირდება. შესაბამისად,

მასზე მეტი მიმდევარი დღეს საქართველოში კრიტიკის ერთგვარ ოვიდურ ჟანრს — „ვლიცინს“ უფრო ჰყავს.



მე  
პირა  
დად  
ყოვე  
ლთვ  
ის  
მირჩ  
ევნია  
მოვი  
წონო  
,  
ვიდრ  
ე

ვაკრიტიკო. კიდევ ვქილიკობ და კიდევ „ვლიცინებ“, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ სხვა ფორმით არ შემიძლია გადმოვცე ჩემი ემოციები, უბრალოდ, ყველაფერს თავისი ადგილი აქვს. მაგრამ ძირითადად მაინც კრიტიკასთან ვჩერდები ხოლმე. კრიტიკა კომფორტულია, როცა სპექტაკლი არ გაიძულებს, მთელი სამყარო ხელისგულზე დაიდო, მაგრამ ბოროტად ნამდვილად არ ვიყენებ ამ სახიფათო იარაღს, იმათ მსგავსად, თავის გამოჩენას რომ ცდილობენ, სპექტაკლის ნებისმიერ ნაკლს ნამდვილ შავ ხვრელად აქცევენ და მთელს წარმოდგენას მასში გადაუძახებენ ხოლმე. უბრალოდ, ვნახავ სპექტაკლს — გავაკრიტიკებ, ვნახავ — გავაკრიტიკებ, საამურია ცხოვრება...

მაგრამ მოდით, სულ რამდენიმე წუთით, ამ წერილის ბოლო ფრაზამდე, დავუშვათ, რომ ასე აღარ არის, ამ ცოტა ხნის წინ რაღაც შეიცვალა. ნოე ჟორდანიას სიტყვები რომ

ვიხმარო, მოხდა ყოვლად წარმოუდგენელი რამ. დიახ, ზუსტად ასე თქვა ნოე ჟორდანიამ სეიმის მაღალი ტრიბუნიდან: მოხდა ყოვლად წარმოუდგენელი რამ, საქართველო იძულებულია, გამოაცხადოს დამოუკიდებლობაო. მეც იგივე დამემართა: სპექტაკლი, რომლისგანაც პრაქტიკულად არაფერს ველოდი, გარდა სულხან გოგოლაშვილის კარგი თამაშისა, მოულოდნელად მომეწონა, მეტიც — აღმაფრთოვანა. მომეწონა, ესე იგი, იძულებული გამხადა მეთქვა — რა არის კარგი, დამეფუძნებინა ღირებულებები და საბოლოოდ, გამომეცხადებინა დამოუკიდებლობა მთელი სამყაროსაგან. სპექტაკლს ერქვა: „იქ, სადაც ჩემი სახლია“...

ვიდრე ამ სპექტაკლს ვნახავდი, დაფიცებული მექონდა, აღარაფერს გავაკრიტიკებ-მეთქი. არც გამიხედავს თეატრისკენ, ვიდრე თვითონ მაესტრო სულხან გოგოლაშვილმა პირადად არ გამოგზავნა მოსაწვევი ჩემი და მხატვარ ლია უკლებას სახელზე. მაშინვე გაიღვიძა ჩემში ესთეტიკურმა მხეცმა. ვიჯექი პარტერში ფარდის გახსნის მოლოდინში და ვძრწოდი, ხელები მექავებოდა, კი შთავაგონებდი თავს — „არა, ტარიელ, ეს არ გააკეთო, დაივიწყე კრიტიკა, შენ ასეთი არ ხარ“, მაგრამ თავს ვერაფერს ვუხერხებდი. პოკოკურანტეობას მართლაც ახასიათებს რაღაც მსგავსი მანიაკალობა...

მერე კი, მოხდა ის, რაც მოხდა და სპექტაკლის ბოლოს ისეთი ტაში შემოვსცხე, თქვენი მოწონებული. რამ გამახელა, არ ვიცი, დავინყე და აღარ გავჩერდი. მსახიობები ყვავილებში ბანაობდნენ, მე კი დარბაზს ვუსმენდი. მართლაც, ასეთი გულწრფელი ტაში ჯერ მონასმენი არ მექონდა. ის ახლაც ყურებში მიშხუის. და აი, პასუხიც: არ არის საჭირო ჭეშმარიტების წიგნებში ძიება, ის

აქ არის — ამ აპლოდისმენტებში. რა მომეწონა ამ სპექტაკლში? რა თქმა უნდა — გულწრფელობა. შესაძლოა, დადგმა არ იყო საუკეთესო, მსახიობებიც არ ბრწყინავდნენ (გარდა სულხან გოგოლაშვილისა, რომელმაც ნამდვილი შედეგური შექმნა თავისი საოცრად სიმპათიური პერსონაჟისგან), მხატვრობა კი, ალბათ, იყო ყველაზე ცუდი, რაც კი ოდესმე მინახავს, მაგრამ მაინც კარგი სპექტაკლი ვნახე, მე ვიტყვოდი — საუკეთესო, რადგან იყო გამაოგნებლად გულწრფელი. იმასაც მივხვდი, აქამდე გაცილებით უკეთ გაკეთებულ სპექტაკლებს შავი ხვრელისკენ რატომ ვისტუმრებდი. იმიტომ, რომ მათში ზუსტად გულწრფელობას ვერ ვპოულობდი, რომლის გარეშეც არაფერს გემო არა აქვს ხელოვნებაში. გულწრფელობა შემოქმედების პურია, სწორედ ის არის ღირებულება, რომელიც თვალახვეული განასხვავებს კარგს და ცუდს, სიმართლეს და სიცრუეს ერთმანეთისგან. როგორ გამოარჩევს იესო მეორედ მოსვლისას კეთილს ბოროტისგან? ის ამბობს — „მე ვიცნობ ჩემსას და ჩემი მიცნობს მე“. მხოლოდ გულწრფელი ადამიანები, სპექტაკლები, ქვები და ტილოები გადარჩებიან...

თუმცა, ეს არ არის ახალი ამბავი. გასაგებია, რომ გულწრფელობა მნიშვნელოვანია, ეს ადამიანს იცოდა, ამაში არავინ შემოგედავება. რთული იმის ახსნაა, თუ რა იგულისხმება გულწრფელობაში, ანუ: რა ხდება ამ დროს სცენაზე ისეთი, რაც მაცურებელს ავტორთან ამქვეყნიურ საკითხებზე გულწრფელი საუბრის შესაძლებლობას აძლევს? უმარტივესით დავიწყოთ. უპირველესად, გლეხურად რომ ვთქვათ, მამაპაპურად, ეს ის ჭეშმარიტების მომენტი (Momento de verita), რასაც გულის დაცარიელებას ვეძახით. აი, ზუსტად, ნეოპლატონური სავსე მზიდან სინათლის გადმოღვრის მსგავსი, რაც იობმა

განიცადა, როცა ლაპარაკი დაიწყო. ამ დროს ყველაფერს ამბობ, გულში არაფერს იტოვებს, ხოლო რასაც ამბობ, კავშირშია არა ზოგად ჭეშმარიტებასთან, არამედ შენს ცოცხალ ნოვა-ემოციასთან.

სპექტაკლში მართლაც ყველაფერი ითქვა...

პათეტიკურად დაიწყო. მოხუცი სკლეროზიანი კაცი საკუთარ სახლში დაედებს სახლს. ახალგაზრდა მსახიობები კი, რომელთა შორის მინდა გამოვყო აბელ სოსელია (თვალი თუ არ მატყუებს, ეს ბიჭი შორს წავა) რაინდობის ინსტიტუტს აღადავებდნენ. ტრადიციული ღირებულებების აღმართვის ორსაუკუნოვანი სადღეგრძელოებრივი ფორმით ისინი კომპიუტერზე მიჯაჭვული თაობის გაძვალტყავებულ ემოციებს გამოხატავდნენ. ერთი სიტყვით, ახალი თაობა „მოძველებული“ კლიშეებით მანიპულირებდა და „რაინდულ“ ღირებულებებს ეჭვქვეშ აყენებდა ზუსტად ამ უკანასკნელთა არაგულწრფელი, ყალბი, უკიდურესად თეატრალიზებული ცხოვრების წესის გამო, რაც მე, პირადად, არამართო ქართულ სუფრებზე მიჯაჭვული რაინდების, არამედ მთელი ჩვენი თეატრალური ტრადიციის დაცინვადაც აღვიქვი, რადგან ეს პათოსი, ჩემი აზრით, მგონი თვითონ ეკლესიაზე მეტადაც კი, სწორედ ქართულ თეატრშია შემორჩენილი.

ჩვენი ეროვნული რაინდული, მეომრული სულის ამგვარი დემონსტრირება, რა თქმა უნდა, უდავოდ ქართული საზოგადოების ძირითადი ნაწილის სულისკვეთებას გამოხატავს, რომელიც „აზროვნებს“ და მეტყველებს წმინდა ტექსტუალური კლიშეებით, მხოლოდ მყარი განსაზღვრებებით, მაგრამ სპექტაკლის პათეტიკა კიდევ რამდენიმე ფენისგან შედგებოდა. კერძოდ: პერსონაჟები

საამაყო ეროვნულ ღირებულებებზე მიგითითებდნენ და თან თვალს გიკრავდნენ — „ეს ჭეშმარიტი ღირებულება კი არა, ვითომ ღირებულებააო“, კრიტიკოსობდნენ, მაგრამ, იქვე, ეს თვალის ჩაკვრა გამშვიდებდა კიდეც — „არ ინერვიულო, მართალა კი არა, ვითომ ვაკრიტიკებთო“.

ერთი სიტყვით, აქ კრიტიკის ფორმაც უკვე კლიშედ ქცეულიყო, ამიტომ შეიძლებოდა მოგჩვენებოდათ, რომ მსოფლმხედველობრივი დისკურსი ამ მხრივ სპექტაკლში განსაზღვრული არ იყო, ყველა ერთნაირად სასაცილო ხდებოდა: იმ რაინდების მეომრულ სულს, ომი რომ მხოლოდ სუფრაზე აქვთ ნანახი, დასცინოდა თაობა, დღე და ღამე რომ იბრძვის, მაგრამ მხოლოდ კომპიუტერში. მართალია სპექტაკლი პასუხობდა საზოგადოებრივ რეალობას და ეროვნული ცნობიერების წიაღში ჩამოყალიბებულ დისკურსსაც ფეხდაფეხ მიჰყვებოდა, მაგრამ არცერთ პოზიციაზე არ შეჩერდებოდა, მხოლოდ დედისერთა, ქალიშვილი ქარივით ჩაუვლიდა ხოლმე სხვადასხვა შეხედულებებს...

იობის გულწრფელობაც ეგაა: მის ლაპარაკს არავითარი იდეოლოგიური კუთვნილება არ გააჩნია, რადგან ის თითქმის მთლიანად კითხვებისგან შედგება. სწორედ ამგვარ კითხვებს ტოვებდა პერსონაჟების მიერ „ნასროლი“ თითოეული რეპლიკაც, სპექტაკლი ხომ მართლაც ქარივით დაჰქროდა მთელი ქართული ყოფიერების თავზე. არაფერი იყო საბოლოოდ ნათქვამი, არანაირი დასკვნა, მხოლოდ მინიშნება ზოგად ემოციაზე; არაფერ კონკრეტულზე კონცენტრირება, მხოლოდ გაფანტვა, რიზომატული მუდმივი მისწრაფება, ყველაფრის თქმა, ყველაფერზე მიდებ-მოდება (სექსისტობაში არ ჩამომართვათ, ქათინაურის სახით ვამბობ: ამ მხრივ, პიესის ავტორს ნამდვილად ქალის სურნელი ასდიოდა.

ქალებს ხომ ჩვევიათ ხოლმე, ერთბაშად, ერთად ყველაფრის თქმა და მერე შუა გზიდან მობრუნება: „ჰო, მართლა, რისი თქმა მაკინცდებოდა“)...

თუმცაღა, კითხვები მაინც ენიგმატური ხასიათისა იყო და ერთი პერსონაჟის ენაში მათი მოქცევა, იობი იქნებოდა ის თუ რომელიმე ქართველი ლამაზმანი, აუცილებლად დაარღვევდა იდეოლოგიურ ბალანსს. „ყველაფრის მოსწრების“ თეორიას ვერ განახორციელებ ცისკარას ხელით, პრინციპში თანამედროვე პოსტმოდერნულ კულტურაშიც „მთავარი გმირის“ დანაკუნება და ამ ნაკუნებიდან სახასიათო პერსონაჟების გამოყვანაც ამ ბალანსის დაცვას ემსახურება. ისინი შვიდნი იყვნენ, მათი დახმარებით სპექტაკლი, რელიგიით დაწყებული ნარკომანიით დამთავრებული, მართლაც ყველა საკითხს შეეხო, სოციალური და პოლიტიკურ-კულტურული გარემოც ოსტატურად აღწერა და ეს ყველაფერი დიალოგების, მონოლოგების, იდეოლოგიური დაპირისპირებისა და მოვლენათა ჯაჭვის განვითარების გარეშე. მხოლოდ რეპლიკებით. არავითარი პრანჭვა და ინტელექტუალური თავმონონება ვითომ საკაცობრიო საკითხებზე ტვინის ჭყლეტის დემონსტრირებით; არავითარი ფსიქოლოგისტური შინაგანი ტანჯვები, მხოლოდ შტრიხები და წამიერი მინიშნებები ზოგად სულზე; არავითარი დიდაქტიკური შეგონებები, მხოლოდ და მხოლოდ ფეტიშები პრინციპით — „ეს ყველაფერი არც კარგია, არც ცუდი, უბრალოდ, სასაცილოა.“ ჩვენც ვიცინოდით...

ამ ამოცანას, რა თქმა უნდა, დრამატურგიული გადაწყვეტა ესაჭიროებოდა. „ყველაფრის ერთად ამოთქმის“ მიზნით მოვლენების დალაგების მცდელობას, თავისთავად, სცენაზე ქაოსი უნდა მოჰყოლოდა. ხომ არ შეიძლება, იდგე ხელგანვდილი გაუნძრევლად ერთ წერტილში და ხან



ეკლესიას ატანდე წყალს, ხან — ეკოლოგიურ პოლიტიკას? რა თქმა უნდა — არა, ამისათვის საჭიროა განუწყვეტელი მოძრაობა, გამუდმებული გაქრობა-გაჩენა სცენაზე. საერთოდ, ჩემმა მეგობრებმა იციან, რომ ყველაზე მეტად თეატრში ვერ ვიტან უმიზნო, არაფრისმთქმელ, უსაქმურ, დაუსრულებელ ბლავუნს სცენაზე. ეს მაგიჟებს, წყობილებიდან გამოვყავარ. აქ კი მოძრაობა მართლაც დაუსრულებელი იყო, მაგრამ შეუმჩნეველი. რამ გამოიწვია ეს? რა თქმა უნდა, იმან, რომ აქ ყველაფერი მოძრაობდა დაწერილის მიხედვით, ერთი რხევაც კი არ იყო ზოგადი კონცეფციიდან ამოვარდნილი. განწყობათა გრადაციის შესაქმნელად სცენაზე ატეხილი მთელი ეს დომხალი არასოდეს ივინყებდა გულის დაცარიელებისკენ იობისეულ მისწრაფებას — ყველაფრის თქმის, ყველაფრის მოსწრების სურვილს. ვფიქრობ, ზუსტად ამან შექმნა გულწრფელობის ეფექტიც, რაც მთლიან კომიკურ სიტუაციას ერთობ დრამატულ სურათად აქცევდა, გამუდმებულ მოძრაობას კი — სრულ უძრაობად...

სქემა ასეთია: სივრცის დეიდეოლოგიზებას სრული ზედაპირულობა სჭირდება, ყველაფერზე უნდა ილაპარაკო და ილაპარაკო არაფერი. აქამდე მისვლა კი არ არის იოლი, ზედაპირულობა იმ ქარს უხმობს მშველელად, ჩვენ რომ პირობითად „ყველაფრის მოსწრება“ და გულის დაცარიელება დავარქვით. მოკლე, თითისტოლა ფრაზებში გადაცმული ამ ქარის წამიერი ჩამოქროლება უკიდურეს გულწრფელობას და ლიტერატურულ ოსტატობას ითხოვდა, რომ ყოფილიყო შემჩნეული (ყოფილიყო გაგებელი). ასეთ ვითარებაში მსახიობთა „ზედმეტი“ თამაში, რა თქმა უნდა, დააზარალებდა ამ ფრაზების საზრისის ხილვადობას (მაყურებელთა უმრავლესობისთვის, ასეც მოხდა). რაღაც აზრით, ეს

სიფაქიზე თუ სინატიფე თითქოს ერთგვარ რელიგიურობასაც ითხოვდა მსახიობებისგან, მათ ზუსტად ის ზღვარი უნდა შეემჩნიათ ხილულსა და უხილავ საგნებს შორის, ჰავლე მოციქული რომ ახსენებს — ისე უნდა ფლობდე საკუთარ სიტყვას, თითქოს არ ფლობ და ისე უნდა ამბობდე (ასხვისებდე) მას, თითქოს არ ამბობ. აქ მხოლოდ იმ ემოციების გამომხეურება იყო საჭირო, კოსმეტიკა რომ არ სჭირდება, მათი ზედმეტი თეატრალიზება, „ზედმეტი თამაში“ აუცილებლად იმის ხელახალ მოდერნიზებას მოახდენდა, რასაც სცენაზე არსებული სიტუაცია თავისი სათამაშო თოფებით ებრძოდა. ამ ეგრეთ წოდებულ „ართამაშს“ სცენაზე, ვფიქრობ, მხოლოდ სულხან გოგოლაშვილმა მიაღწია, თუმცა, სპექტაკლი მაინც დარჩა უხილავი (დიდი ვარაუდით, ეს თვითონ პიესის დამსახურებაა)...

მინდა ეს ემოცია დეტალურად გავიხსენო: დაახლოებით ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს დადგმას საერთოდ არ ჰყავდა რეჟისორი. მქონდა განცდა, რომ წვიმისაგან გამოქცეულმა შემთხვევით თავი შევაფარე ერთ ოთახს, სადაც დროდადრო ასევე შემორბოდნენ გარესამყაროსაგან გამოქცეული ადამიანები, რომლებიც, ამ დროებითი თავშესაფრის შენარჩუნების მიზნით, თავს მსახიობებად ასაღებდნენ, მხოლოდ სკლეროზიან ბაბუს ახსენდებოდა ხოლმე დროდადრო თავისი ნამდვილი სახლი. ვინ-ვინ იყო, ვერ გაიგებდი. იდგა პირველქმნილი ქაოსი და სჩანდა მხოლოდ პერსონაჟებისა და ემოციების ერთმანეთისაგან გარჩევის ერთადერთი გზა — უსაზრისობა, უაღრესად დიდი გულწრფელობა და სიმშვიდე — „მე ვიცნობ ჩემსას და ჩემი მიცნობს მე“. მოკლედ, რასაც ჩვენ „ავტორის სიკვდილს“ ვეძახით, ეგ იყო. აქ არ არსებობდა არც რეჟისორი, არც მუსიკა, არც

მხატვრობა და შესაბამისად, გასაკრიტიკებელიც არაფერი სჩანდა. ირგვლივ იყო სრული სიცარიელე, რაზეც ფუძნდებოდა ოდითგანვე გულწრფელობა, როგორც მიწიერებისთვის სრულიად შეუცნობელი ემოცია. მეც ასე მოვიქეცი და მაშინვე გავთავისუფლდი სპექტაკლისაგან. არ დაგავინყდეთ, მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენ გაუჩერებლად ვიცინოდით, არ გავჩერებულვართ, რაც ამ წერილში წერია, უხილავი იყო, ეჭვადაც კი არ მექონია ეს ყველაფერი. სპექტაკლი პრაქტიკულად გამომრჩა, წყალივით გამეპარა მუჭიდან, მართლაც ისე ვუყურე, თითქოს არც მიყურებია, თითქოს სპექტაკლი არც არსებობდა.

იმედია, როდესაც ვთქვი, გამომრჩა-მეთქი, არ იფიქრეთ, რომ რაღაც ვერ დავინახე, რაღაც ვერ შევამჩნიე. „გამომრჩა“ ნიშნავს, რომ იქ ტვინის ჭყლეტა არ დამინყია, თეატრიდან მხოლოდ ემოცია წამოვიღე, როგორც დიდი გაუხსნელი ჩემოდანი, საზრისი მასში იდო, უფრო სწორად, იდეებით იყო სავსე, ძლივს წამოვათრიე. ის მოგვიანებით სახლში გავხსენი. რასაკვირველია, ჩემოდნიდან მაშინვე ქაოსი ამოიჭრა. თავიდან, როგორც უკვე ვთქვი, ეს გაუხსნელი ჩემოდანი მხოლოდ ტაშის ხსოვნა იყო ჩემში და მაგიური, შეუცნობელი სიტყვა — გულწრფელობა. მისი გახსნისთანავე ქაოსმა ზუსტად ეს ერთადერთი სიტყვა მოიცვა და მაშინ მე დავფიქრდი კითხვაზე: მაინც რა არის ეს გულწრფელობა? აშკარაა, რომ ამ უცნაურ ჩემოდანს ვერასოდეს გახსნი, თუ ზემოთ მოყვანილი სახარებისეული სიტყვები არ მოიმარჯვე, როგორც გასაღები. გულწრფელობა, უბრალოდ, უნდა იცნო, მასზე რაიმეს თქმა ძნელია. ყველა წახნაგს ვერ ვაჩვენებ, მხოლოდ რამდენიმე განსაკუთრებულ ფაქტორს გამოვყოფ:

მაგალითად, სპექტაკლში იქმნება პარადოქსული სიტუაცია: ოჯახი, რომელიც შვიდი წევრისგან შედგება და ცხოვრობს ერთოთახიანში, მოულოდნელად ბევრ ფულს პოულობს (ეკა კუხალაშვილის თქმის არ იყოს, ფული აქ მართლაც ღმერთივით ჩნდება). როგორც ხდება ხოლმე, ერთს წაკინკლავდებიან და ოჯახის წევრები იწყებენ ერთმანეთზე „სიმართლის“ ლაპარაკს, ისეთი დეტალების გამომზეურებას, ადრეულ მათ ურთიერთობაში რომ არც ფიგურირებდა და არც მოიაზრებოდა. ეს სიმართლე კი უპირისპირდება რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს, არღვევს ბედნიერების აქამდე არსებულ სტრუქტურას, რაც კატასტროფის წინაშე აყენებს ზოგადად „სახლის“ ცნებას, ყოფიერებას. ოჯახი იწყებს დაშლას. ყველანი გასაქცევად ემზადებიან, მაგრამ ბაბუა „იყოჩაღებს“, უნიტაბში ჩარეცხავს მთელ ფულს, მერე საკუთარ სიკვდილს გაითამაშებს და იქვე ეს „სიმართლე“ ხდება დავინწყებული, ერთობა (სიყვარული) აღდგება.

რა გამოდის? ის, რომ გულწრფელობა აპრიორი არ ნიშნავს სიმართლის თქმას, ანუ, ეს არ არის მხოლოდ არსებული საგნების ხაზგასმა; ამ დროს სცენაზე მნიშვნელოვანი არ არის, რაც მართლა ხდება ამ ქვეყანაზე, არამედ — ხდება მხოლოდ ის, რაც მნიშვნელოვანია; ესე იგი, გულწრფელობა მხოლოდ ემოციურად მნიშვნელოვანი საგნების აღნიშვნაა, არაფერი ზედმეტი (შენ მხოლოდ იმ ადამიანებთან და ამბებთან ერთად ცდილობ ცხოვრებას, შენთვის რომ მართლაც მნიშვნელოვანია; მხოლოდ იქ გინდა ყოფნა, სადაც ნამდვილად შენი სახლია), ასეთი კი არარსებული საგანიც შეიძლება იყოს, მაგალითად, ინდაურები, რომელსაც ბაბუა უყრის „საკენკს“. ერთი სიტყვით, გულწრფელობა სიყვარულისთვის დახარჯული რაღაც ძალისხმევაა, ნამდვილი შრომაა, სიყვარულში

არდაღლაა, რაც მართლა გულწრფელად გიყვარს, იმის შენარჩუნებისთვის ზრუნვაში დაღვრილი ოფლია...

ახლა აქედან გამოვყოთ ორი ფაქტორი — სიყვარული და საკუთარი თავის შეცნობა. გავიხსენოთ, რომ იობიც ზუსტად მაშინ იწყებს ლაპარაკს, როცა მას „სახლი“ გაუნადგურეს და ტკივილებით შემოსაზღვრეს. სახლის დაკარგვა ერთგვარად თავის დაკარგვას ასიმბოლოებს და ის იწყებს უგონო ლაპარაკს საკუთარი ტკივილებიდან გამომდინარე („უგონო“ ლაპარაკი, რა თქმა უნდა, ნიშნავს უკონტროლო, უცენზურო ლაპარაკს. რასაც იობი ამბობს, იმ დროს პრაქტიკულად გინების ტოლფასი იყო). ამ სიმართლეში კი (აქ სწორედ გულწრფელობა იგულისხმება და არა რაციონალიზებული აზროვნების ნაყოფი) ის შეიცნობს საკუთარ თავს (ანუ, აღდგება მისი სახლი). ერთი სიტყვით, გულწრფელობა საკუთარი თავის შეცნობაა, ზუსტად იქ ხარ, სადაც იყავი და ის გაქვს, რაც აქამდე გქონდა, უბრალოდ, ახლა აცნობიერებ საკუთარ ყოფიერებას, ზრუნავ მასზე და შესაბამისად, ამას ყველაფერს (საკუთარ თავს) იმსახურებ. კარგი სიტყვები გამოვიდა: „გულწრფელი ხდები, როცა ყოველივე იმას, რაც გაგაჩნია და რასაც აკეთებ, ნამდვილად იმსახურებ“ და როცა ეს შენთვის საკმარისია. ეს „საკმარისობა“ სახლში ყოფნა — კმაყოფილება, როცა კმაყოფილი ხარ და უკმაყოფილება, როცა უკმაყოფილო ხარ.

საბოლოოდ, ზუსტად საკუთარი მდგომარეობის სრული გაცნობიერების, ერთგვარად საკუთარი თავის შეცნობის შემდეგ ხარ შენ სახლში, და შესაბამისად, გულწრფელობისკენ მიმავალი გზაც უპირველესად სწორედ საკუთარი თავის შეცნობაზე გადის, ქაოსში ხომ უპირველესად ზუსტად საკუთარი ყოფიერების დაფიქსირება და ადგილის პოვნაა მნიშვნელოვანი. განა

„ჩემი სახლიც“ ამ ადგილის პოვნა არ არის, განა ის საკუთარი თავის პოვნასა და შეცნობას არ ასიმბოლოებს? დიახ, ეს არის ნერტილი, სადაც ქაოსი ხდება ღვთაებრივი წესრიგი, სამყაროს უმყარესი მასალით — სიკეთით და სიყვარულით ნაშენები. ამ სამყაროს ასაშენებლად არ არის საკმარისი მხოლოდ ინტელექტუალური „რასტვორი“, კარგი მუსიკა, კარგი მხატვრობა, კარგი თამაში და ა. შ., აქამდე საკუთარ თავთან დაკავშირებული პრობლემები უნდა გადაწყვიტო.

მაგრამ მეორე მხრივ, თეატრი სწორედ გულწრფელობის თამაშია, საკუთარი თავის სარკეში ყურებაა, მისი შეცნობის წყურვილია და ეს თამაში უნდა იყოს სიყვარულით გაჭერებული, ანუ: გულწრფელობა (საკუთარი თავის შეცნობა) აუცილებლად დამყარებული უნდა იყოს სიყვარულზე და უპირველესად მაყურებლის სიყვარულზე. გულწრფელობა მხოლოდ იმ ნერტილში (იმ სახლში) ყოფნაა, სადაც მაყურებლის წინაშე, როგორც საკუთარ თავთან ხარ მართო, ხარ ზუსტად ისეთი, როგორც სარკეში (სადაც ხარ საკუთარი თავის მაყურებელიც და მსახიობიც) და იქცევი შესაბამისად. საკუთარ თავს კი არ უქადაგებ და ჭკუას კი არ არიგებ, არამედ ეფერები, ჭრილობებს ულოკავ და მასთან არჩევანის შესაძლებლობებს განიხილავ. ერთი სიტყვით, პირდაპირ სცენაზე მაყურებლის გულისტკივილს იზიარებ, განიცდი, რა თქმა უნდა, ისე, როგორც შენ ხედავ ან აღიქვამ მას. რა თქმა უნდა, სუბიექტური განცდაა და უპირველესად ამიტომაცაა რთული (რთული ნიშნავს, რომ თამაშსა და სინამდვილეს შორის ზღვარი წაშლილია), შესაძლოა, ამ დროს შეცდე და კეთილგონიერებას ასცდე, მაგრამ ეს გულწრფელობის განცდას არ აფერხებს. მთავარია, რომ შენს გულისნადებს არ ყიდი, არც არაფერს ყიდულობ შენი სიტყვებით, არანაირ სარგებელს არ იღებ

არც საზოგადოებისგან, არც ღმერთისგან, არც საფრთხეს იცილებ, უბრალოდ, ლაპარაკობ.

ყველაზე მეტად ზუსტად აქ უჭირს ქართულ თეატრს, მას კონტაქტი აქვს დაკარგული მაყურებელთან, ანუ რეალობასთან. სიყვარულში უპირველესად ზუსტად ამ კავშირის აღდგენას ვგულისხმობ. ზემოთ დასახული მიზნების ასასრულებლად იმ ადამიანების ნუხილების და სიხარულების გააზრება და გაზიარებაა საჭირო, დარბაზში რომ ზის (ვინც სარკის იქეთა მხარიდან იხედება). რამდენი დროც არ უნდა გავიდეს, რამდენად დეიდეოლოგიზებულიც არ უნდა გახდეს ლიტერატურული სივრცე, თეატრი ვერასოდეს შეასრულებს ღამის კლუბის ფუნქციას და ვერასოდეს გახდება მხოლოდ სიამოვნებისა და თუნდაც, ეგზალტირების ადგილი. ყოველივე ამასთან ერთად, მან რაღაც კითხვებსაც უნდა უპასუხოს. ეს კითხვები კი უპირველესად ანმყოფა და მომავლის, შვილიშვილისა და ბაბუას ურთიერთობასთან, ჰამლეტური დროთა კავშირის აღდგენასთან არის დაკავშირებული (აქ მამა არ ჩანს, ჩრდილების სამყაროში ნებივრობს).

დროთა კავშირის აღდგენაში ვგულისხმობ, რომ ეს ყველაფერი ხდებოდა ანმყოფი, ყველაფერი ხდებოდა აქ და ახლა (მარტივი ენით რომ ვთქვათ, სპექტაკლი იყო აქტუალური). გულწრფელობაც რეალობასთან უწყვეტ კავშირში ყოფნაა, საკუთარი თავის შეცნობაა აქ და ახლა; მნიშვნელობასაც ის საგნები იძენენ, რომელსაც შენს სახლში ეხები. და რა ხდება ამ სახლში? აქ რაღაც ხდება ისეთი, რის გამოც ბაბუა მას საკუთარ სახლად ვერ აღიქვამს. ის სკლეროზიანია და სულ ბრალდებებშია, ყოველთვის ჰგონია — შია და არ აჭმევენ; სუფრას უშლიან და არ ჭამს; ცდილობს იყოს უკმაყოფილო იქ, სადაც კმაყოფილებაა და კმაყოფილი იქ, სადაც უკმაყოფილებაა.

მოკლედ, საკუთარ სახლში არ არის. არ არის იმიტომ, რომ აქ მას დასცინიან, მასხრად იგდებენ მის კერპებს, სულისკვეთებას, მთელს ცხოვრებას, რომელიც უკვე წარსულად, ისტორიად არის ქცეული (ახალგაზრდა თაობა ხომ პრაქტიკულად ზუსტად საკუთარ ბაბუას დასცინის), მაგრამ იქვე, პარალელურად, თავდაუზოგავად ზრუნავს მასზე, მის სიცოცხლეს და ემოციებს უფრთხილდება და საბოლოოდ, საკუთარ ოცნებებზეც კი შეუძლიათ უარის თქმა, მისი სიყვარულის გამო, შესაბამისად, ბაბუაც აცნობიერებს, რომ მთავარია ერთობა, დანარჩენი უნდა აიტანოს, ახალგაზრდების გაგება უნდა შეძლოს, უნდა მიიღოს ისინი ისეთები, როგორებიც არიან, და ეს ურთიერთმსხვერპლშენიშვნა მართლაც არის გზა მომავლისაკენ.

მოდით გადავდებ თავს ჩასაქოლად და ვიტყვი, რომ „იქ, სადაც ჩემი სახლია“ პირველი სპექტაკლია, რომელიც ასე ახლოს მივიდა რეალობასთან, რომელიც ასე მიუახლოვდა მაყურებელს და მისი სუნთქვა იგრძნო. რა სპექტაკლებიც მინახავს ქუთაისის სცენაზე, ამის ყველაზე დიდი შანსი „რევიზორს“ ჰქონდა, მაგრამ ამ სპექტაკლში, რა უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, რეჟისორი არისტოტელესთან დაკავშირებას უფრო ცდილობდა, ვიდრე ჩვენთან, მაყურებელთან და ზოგადად რეალობასთან. არადა, ამ კავშირის გარეშე ვერცერთი სპექტაკლი ვერ იქნება გულწრფელი დღეს, ჩვენს დეიდეოლოგიზებულ გარემოში, ჩვენს ქაოსში. იღუბია, რომ თითქოს არსებობენ ისეთი უნივერსალური ტექსტები, რომლებიც ყველა დროში ერთნაირად სასარგებლო, რეალური და გულწრფელია, ძალიან სასაცილოა. ამის შესახებ, თუ სურვილი გექნებათ, სხვა დროს ვილაპარაკოთ.



მოკლედ, სპექტაკლი იყო კარგი! თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ბაბუამ და შვილიშვილმა ერთ ოთახში ცხოვრება მოახერხა, რაც მართლაც წარმოუდგენელი სირთულის ამოცანაა, მაგრამ აუცილებლად გადასაწყვეტი, ამასთან ერთად ის იყო „სწორი მიმართულების“ სპექტაკლი. მინდა ვთქვა, რომ გულწრფელობა არ არის მხოლოდ გულის დაცარიელება. მაგალითად, როგორც ზევითაც ვახსენე, არავისთვის უცხო არ არის ის ფაქტი, რომ ფული ადამიანს სიმართლის მოლაპარაკე არსებად აქცევს. ფულიან ადამიანს აქვს იმის ფუფუნება, არ იყოს დამოკიდებული სხვა ადამიანების ნება-სურვილებზე, მას შეუძლია, ანგარიში არ გაუწიოს მავანთა ინტერესებს და მოთხოვნებს და აკეთოს მხოლოდ ის, რაც მოესურვება, თქვას ის, რაც გულში აქვს, ანდა უბრალოდ, რაც ენაზე მოადგება (სხვათაშორის, გულისნადების გამომბეურება და იმის წამოროშვა, რაც ენაზე მოგადგება, არ არის ერთი და იგივე. ენა სხვა ფილოსოფიაა, როგორც ვახტანგ მეექვსე ამბობს, ენა სულისგან გაგიყვანს. ენასთან სხვა თავგადასავლებია), ამით მოახდინოს შთაბეჭდილება საზოგადოებაზე და იყოს ძალიან მაგარი ტიპი, როგორც ამას, მაგალითად, ტრამპი აკეთებს, მაგრამ ეს სიმართლე ხშირად ამაზრზენი და არაგულწრფელია. ანუ: შესაძლოა გულწრფელი ხარ, არ იტყუები, მაგრამ ბევრი ადამიანისთვის შენი სიმართლე, დამყარებული შენსავე შეხედულებებზე, იყოს ამაზრზენი. ასე რომ გულწრფელობაში მხოლოდ იმის ლაპარაკი კი არ იგულისხმება, რასაც ფიქრობ, არამედ ისიც, რომ შენ სწორად ფიქრობ, რომ შენი სიტყვები პლატონური პირველსაწყისიდან — სიკეთიდან მოდის და შეიცავს, აგრეთვე, თავისუფლების შესაძლებლობასაც. მაგალითად, როდესაც იობი უკმაყოფილოა ღმერთის საქციელით და გაკვირვებული სვამს კითხვებს, ამით ის ღმერთის

ძალაუფლებას კი არ აყენებს ეჭვქვეშ, უბრალოდ, იმას ვერ იგებს, როგორ უკავშირდება ღმერთის ზოგიერთი მიდგომა საყოველთაო სიკეთის იდეას. ესეც არ იყოს, თუკი მიზანი სიკეთე არ არის, არც გულწრფელობა ყოფილა საჭირო ამქვეყნად.

აი, დაახლოებით, როგორი უნდა იყოს სპექტაკლი, რომელიც მე მომეწონებოდა.

წარმატებები!

[1] მართლმადიდებლურ ბიბლიაში — 129-ე ფსალმუნის დასაწყისი.

[2] ჰოლოცენი, გამყინვარების შემდგომი ეპოქა (ბერძნ. hólōs — მთელი და kainós — ახალი) — დედამიწის თანამედროვე გეოლოგიური ანუ გამყინვარების შემდგომი ეპოქა, რომელიც გრძელდება უკანასკნელი 12 ათასი წელი თანადროულ დრომდე. მიეკუთვნება მეოთხეულ სისტემას. ჰოლოცენის დასაწყისი ემთხვევა უკანასკნელი კონტინენტური გამყინვარების დასასრულს ჩრდილოეთ ევროპაში.

[3] თარგმანი ვასილ გულეურისა.

[4] (ხევს. დიალ.) ეგრე არ უნდა, ყველაფერი კარგი იყო და მოკვდეს, ვინც ინანოს.